




# იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევული პერიოდის  
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

## IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia  
in the Classical and Early Medieval Period



No 16

2021

საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი  
**GEORGIAN NATIONAL MUSEUM**  
**Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies**



# იპერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევული პერიოდის  
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

## IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia  
in the Classical and Early Medieval Period



16

თბილისი 2021 Tbilisi

## სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:

გელა გამყრელიძე (მთ. რედაქტორი),  
ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი, ნინო ლორთქიფანიძე,  
დარეჯან კაჭარავა, მარინე კვაჭაძე, გურამ კვირკველია,  
დავით მინდორაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,  
ვახტანგ შატბერაშვილი, მაია ჩარკვიანი.

### EDITORIAL & REVIEWERS BOARD:

**Gela Gamkrelidze** (*Editor-in-Chief*),  
**Z. Bragvadze, D. Braund (UK), N. Lordkipanidze,**  
**D. Kacharava, M. Kvatchadze, G. Kvirkvelia, D. Mindorashvili,**  
**M. Charkviani, G. Narimanishvili, V. Shatberashvili.**

#### See the web site:

<http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela>  
<http://ancientworldonline.blogspot.com/2014/09/open-access-journal-iberia-kolxeti.html>  
[http://museum.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=95&searchq=&publication\\_type=1&year=0](http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=95&searchq=&publication_type=1&year=0)

\*\*\*

სტატიებში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და  
შესაძლებელია არ ემთხვეოდეს უურნალის სარედაქციო-სარეცენზიო  
საბჭოს შეხედულებებს.

\*\*\*

**Address: Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies.**

**A. Purtseladze Str., #1-3, Tbilisi, 0105. GEORGIA.**

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2021.  
უურ. იბერია-კოლეგი, №16, 2021.

**ISSN 1512-4207.**

UDC 94(479.22)+902. n-315.

- შინაარსი -

ს.-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული არქეოლოგიური კოლექციები საქართველოდან. - ზურაბ ბრაგვაძე, ნანა კაპანაძე.	5.
დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის საგანძურო.	
ვახტანგ ნიკოლაიშვილი.	22.
"ბერნის ჯგუფის" სკარაბეოიდის ფორმის საბეჭდავები ნასტაგისის სამაროვნიდან. - ანა გაბუნია.	30.
სვეტიცხოვლის ტაძრის გალავნის დასავლეთ კედელთან წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. - ქეთევან დილმელაშვილი.	35.
ადრეული შუა საუკუნეების კერამიკა ყვირილის ხეობიდან (მოდინახეს სამაროვნის მიხედვით). - ნანა კაპანაძე.	50.
ბიზანტიური ტიპის საქორნინო ბეჭდები ქვემო ალევის სამაროვნიდან. ქეთევან რამინის ასული რამიშვილი.	57.
სამაჯურები საქართველოში (ძვ.წ. VIII - ახ.წ. VII სს.). - ნანა გოგიძერიძე.	69.
კოლხური თიხის ჭურჭელი და ამფორები (ძვ.წ. VII - ახ.წ. V სს-ის). მარინე ფირცხალავა, გელა გამყრელიძე.	86.
დიონისეს კულტი კავკასიაში (ძვ.წ. IV-ახ.წ. IV სს.). - ლანა ჩოლოგაური.	119.
ცხოველთა ერთი ჯგუფის გამოსახულებები სასანურ გლიპტიკაში. ქეთევან ილიას ასული რამიშვილი.	134.
<b>რეცენზიანი</b>	
გიორგი ლალიაშვილი, იალუილუთეფეს კულტურა ალაზნის ველზე.	142.
***	
<b>PAPERS IN ENGLISH:</b>	
Strainers from West Georgia. - Helen Gigolashvili †.	145.
Amphorae – Burials from Bichvinta (Pityus). - Temur Todua †.	150.
Ancient Iberia and the gatekeepers of the Caucasus. - Nicolas J. Preud'homme.	155.
***	
SUMMARIES	173.
Abbreviations	181.
ინფორმაცია ავტორებისათვის	182.
***	

- CONTENTS -

<b>ARCHAEOLOGICAL COLLECTIONS IN ST. PETERSBURG STATE “HERMITAGE” FROM GEORGIA.</b>	
Zurab Bragvadze, Nana Kapanadze-----	5.
<b>THE TREASURE FROM THE ARCHAEOLOGICAL MUSEUM.</b> Vakhtang Nikolaishvili-----	22.
<b>SCARABEOID SEALS OF “BERN GROUP” FROM NASTAGISI CEMETERY</b>	
Anna Gabunia-----	30.
<b>RESULTS OF ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS AT THE WESTERN WALL OF SVETITSKHOVELI CATHEDRAL.</b> Ketevan Digmelashvili. -----	35.
<b>EARLY MEDIEVAL POTTERY FROM KVIRILA GORGE (According to the <i>Modinakhe</i> cemetery).</b>	
Nana Kapanadze. -----	50.
<b>BYZANTINE TYPE WEDDING RINGS FROM QVEMO AVLEVI CEMETERY.</b> Ketevan R. Ramishvili.----	57.
<b>THE BRACELETS IN GEORGIA (8<sup>th</sup> c. BC -7<sup>th</sup> c. AD).</b> Nana Gogiberidze. -----	69.
<b>COLCHIAN POTTERY AND COLCHIAN AMPHORAE.</b> Marine Pirtshkalava, Gela Gamkrelidze. -----	86.
<b>CULT OF DIONYSUS IN THE CAUCASUS (BC 4<sup>th</sup> c. – AD 4<sup>th</sup> c.).</b> Lana Chologauri.-----	119.
***	
<b>ABOUT DEPICTIONS OF ONE GROUP OF ANIMALS ON SASSANIAN SEALS.</b> Ketevan I. Ramishvili--	134.
<b>REVIEW-----</b>	142.
***	
<b>PAPERS IN ENGLISH:</b>	
<b>STRAINERS FROM WEST GEORGIA.</b> - <i>Helen Gigolashvili</i> †.-----	145.
<b>AMPHORAE – BURIALS FROM BICHVINTA (PITYUS).</b> - <i>Temur Todua</i> †.-----	150.
<b>ANCIENT IBERIA AND THE GATEKEEPERS OF THE CAUCASUS.</b> - <i>Nicolas J. Preud’homme</i> .-----	155.
***	
<b>SUMMARIES -----</b>	173.
<b>ABBREVIATIONS -----</b>	181.

**სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო “ერმიტაჟი” დაცული  
არქეოლოგიური კოლექციების საქართველო**  
ზურაბ ბრაგვაძე, ნანა კაპანაძე

სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟი წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს არქეოლოგიურ საცავს, სადაც სხვადასხვა ქვეყნების არქეოლოგიური კოლექციების პარალელურად წარმოდგენილია არქეოლოგიური არტეფაქტები საქართველოდანაც (სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის, #FF17\_503 — „ქართული მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ვირტუალური ანასტილოსი სანკტ-პეტერბურგის მუზეუმებში დაცული კოლექციების კვლევის საფუძველზე“, — ფარგლებში).

ისინი აქ სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა პირობებში მოხვდა. მათი უმრავლესობა შეძენილია „ერმიტაჟის“ მიერ და მხოლოდ ერთი კოლექცია წარმოადგენს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებს. ესაა ვორნაკის სამაროვანი, რომელიც 1890-იან წლებში გაითხარა ჯერ ნიკო მარის, შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (იხ. ქვემოთ). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ მუზეუმში ქართული არქეოლოგიური მემკვიდრეობის ნიმუშების თავმოყრა ხდებოდა ძირითადად XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან (სტეფანწმინდის რიტონი (სურ. 5), სანელსაცხებლე (სურ. 2) და თასები სამთავროს სამაროვანიდან (სურ. 1; 3), XX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ზოგადად შეწყდა არქეოლოგიური მასალების გადინება საქართველოდან და შესაბამისად, ისინი აღარც „ერმიტაჟში“ მოხვედრილა.

დღევანდელი მონაცემებით, საქართველოდან „ერმიტაჟში“ მოხვედრილი არქეოლოგიური არტეფაქტების რაოდენობა სამასს აჭარბებს. ზუსტი რაოდენობის დადგენა კი ჭირს იმის გამო, რომ ყველა მათგანი გამოფენილი არ არის, ხოლო საფონდო მონაცემები ამ ეტაპზე ხელმიუწვდომელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული წარმომავლობის არქეოლოგიური ნიმუშები ორ (51-ე და 53-ე) დარბაზშია გამოფენილი. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს პერიოდს ძვ.წ. III ათასწლეულიდან ახ. წ. I ათასწლეულის ჩათვლით. როდესაც „ერმიტაჟის“ ქართულ არქეოლოგიურ კოლექციებზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის ნივთებიც, რომლებიც არ არის აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მათი ქართული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. ასეთია IV საუკუნის თიხის მსხლისებურკორპუსიანი დოქტ და ამავე პერიოდის თიხის საღვინე ჭურჭელი (სურ. 4) კუმბულთას სამაროვანიდან (ჩრდილოეთ ოსეთი), რომლებიც გამოფენილია 73-ე დარბაზში და მიჩნეულია როგორც ქართული იმპორტი. ასეთი ფორმისა და ფაქტურის სამეთუნეო ნანარმი დამახასიათებელია მხოლოდ საქართველოს IV საუკუნის არქეოლოგიური ძეგლებისათვის (ურბნისი, მოდინახე, რგანი, ახალი უინვალი და სხვ). თუმცა ისინი ჩრდილოეთ კავკასიის გარდა აღმოჩენილია სომხეთშიც, სადაც ასევე მიიჩნევა საქართველოდან (იბერიის სამეფოდან) იმპორტის ნიმუშებად [ხაचატრიან 1976: 77].

უკვე აღინიშნა, რომ ქართული არქეოლოგიური კოლექციების ქრონოლოგია მოიცავს ფართო სპექტრს, ასევე ფართოა ის გეოგრაფიული არეალიც, საიდანაც მომდინარეობს ეს არტეფაქტები — აფხაზეთი (ანუხვა, ბომბორა, აჩანდარა, გუდაუთა, აბგანრუკი, ფსირცხა), იმერეთი (ბორი), შიდა ქართლი (მცხეთა, ქსნის ხეობა), ხევი (სტეფანწმინდა), ქვემო ქართლი (ვორნაკი), კახეთი (ბოდბე, დედოფლისწყარო). ამ კოლექციებს შორის ცალკე უნდა გამოიყოს სამი მათგანი - ანუხვა, ვორნაკი და ბორი - რადგან ჯერ ერთი, ამ პუნქტებიდან მომდინარე მასალები ყველაზე მრავალრიცხოვანია და მეორე - ეს სამივე ობიექტი ერთიანი სამაროვანია, ხოლო დანარჩენი არტეფაქტები წარმოდგენილია ერთი, ორი ან სამი ნიმუშით და მათი არქეოლოგიური კონტექსტიც წაკლებად არის ცნობილი,

რაც არ იძლევა ფართო მსჯელობის საშუალებას. ამიტომ ამ მიზეზის გათვალისწინებით წინამდებარე ნაშრომში ძირითად ამ სამი ძეგლის მონაცემებს განვიხილავთ ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით.

### ანუხვა.

ყველაზე უადრეს არქეოლოგიურ მასალას წარმოადგენს ანუხვადან მომდინარე არტეფაქტები (სურ. 6-22). სოფელი ანუხვა მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გუდაუთის რაიონში, ზღვის დონიდან 360 მეტრის სიმაღლეზე, გუდაუთიდან 25 კმ-ის დაშორებით. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. სოფლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა და „ერმიტაჟში“ დაცული ექსპონატები შემთხვევითა აღმოჩენილი XIX საუკუნის 90-იან წლებში. უმეტესობა მათგანი ლითონის (ბრინჯაოს) ნაკეთობებია, საბრძოლო იარაღი (სურ. 13), სამკაული (სურ. 19; 20; 21; 22), ტანსაცმლის აქსესუარები (სურ. 7; 8; 11; 12; 14), და მძივები (სურ. 9; 10). გვხვდება ქვის ერთი ნიმუშიც (უროს ფრაგმენტი (სურ. 6).

ყველა ეს ნივთი თავის დროზე მიჩნეული იქნა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ნიმუშებად და ზუსტად ამ თარიღებითაა წარმოდგენილი საგამოფენო ვიტრინებში. ვინაიდან დღემდე არ მომხდარა მათი მეცნიერული კვლევა, არავის შეუტანია ეჭვი დათარიღების სისწორეში და არც არავის შეუდარებია ისინი აფხაზეთის სხვა არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალებთან. საქმე ისაა, რომ ანუხვას მასალების ერთი ნაწილი (ზომორფული ბალთები (სურ. 14), საკერებული ფირფიტა (სურ. 12), ბრინჯაოს სარტყელი (სურ. 11) და ბრინჯაოს სატევარი (სურ. 13) საქმაოდ ჰგავს გაცილებით ადრეულ ნიმუშებს და უფრო არქაული ნივთების შთაბეჭდილებას ტოვებს. სამწუხაროდ, „ერმიტაჟში“ წარმოდგენილი არქეოლოგიური არტეფაქტების უმეტესობის მსგავსად, ანუხვას მასალების შემთხვევაშიც მოკლებული ვართ არქეოლოგიურ კონტექსტს და არ არის ცნობილი რა პირობებში მოხდა ამა თუ იმ ნივთის აღმოჩენა ან რა ტიპის კომპლექსებიდან მომდინარეობს ისინი.

ჩემი აზრით, ნახსენები ნიმუშები სამარხეული ინვენტარის ნაწილია და უნდა მიეკუთვნებოდეს ადრე ბრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპს, ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულს. ასეთი ვარაუდის საშუალებას იძლევა ანუხვას მასალების შედარება ამ პერიოდის აფხაზეთის არქეოლოგიურ ძეგლებთან, კერძოდ კი დოლმენური კულტურის სამაროვნებთან. სამხრეთ კავკასიაში აფხაზეთი ერთადერთი რეგიონია, სადაც ძვ.წ. III - II ათასწლეულებში გავრცელებულია სამარხთა თავისებური ტიპი - დოლმენი [ჯაფარიძე 1957: 76-127]. ანუხვას ანალოგიური სარტყელები, ზომორფული ბალთები და სატევრები გვხვდება ეშერის 1 დოლმენში, რომელიც ადრე ბრინჯაოს ხანის გვიანი ეტაპით, ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულით თარიღდება [ჯაფარიძე 1957: 91].

დღემდე მთლად დადგენილი არ არის კავკასიაში დოლმენების გაჩენის პირობები და მათი წარმომავლობა [ჯაფარიძე 2003:132]. თუმცა, ამის მიუხედავად, ცნობილია აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი გავრცელების ლოკალური ზონა და ესაა დღევანდელი ოჩამჩირის, ტყვარჩელისა და გალის რაიონების მიდამოები. თუ ჩვენი ვარაუდი სოფელ ანუხვაში დოლმენის (დოლმენების) არსებობის შესახებ სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს კულტურა გავრცელებული იყო არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ - დასავლეთ აფხაზეთშიც, დღევანდელი ახალი ათონი - გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზეც. რაც შეეხება ანუხვას კოლექციაში შემავალ ბრინჯაოს საკისრე რგოლ - გრივნებს (სურ. 20; 21; 22), მათი თარიღიც სავარაუდოდ კორექტირებას მოითხოვს, რადგან ამ ტიპის გრხელრკალიანი ხატისულლები ისეთ კარგად სტრატიფიცირებულ სამაროვნებზე როგორებიცაა ნიგვზიანი, დღვაბა და ურეკი, ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით თარიღდება [მიქელაძე 1986].

ამრიგად, „ერმიტაჟში“ დაცულ ანუხვას მასალებში შესაძლებელი ხდება სამი ქრონოლოგიური ეტაპის გამოყოფა. ბრინჯაოს გრეხილრკალიანი საკისრე რგოლები

მიეკუთვნება ადრე რკინის ხანას (ძვ.წ. VII-VI სს.) და ეჭვს გარეშეა, რომ ორივე მათგანი სამარხეული ინვენტარის ნაწილებია; ბრინჯაოს ზოომორფული ბალთები, ბრინჯაოს საკერებელი ფირფიტა, ბრინჯაოს სარტყელი და ბრინჯაოს ფოთლისებურპირიანი სატევრები - ადრე ბრინჯაოს ხანის ფინალურ სტადიას (ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულს) და ჩვენი ვარაუდით, ეს ნიმუშები დოლმენური კულტურის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, ხოლო დანარჩენი არტეფაქტების მიკუთვნება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებისადმი, სავარაუდოდ, დასაშვებია.

### ვორნაკი.

სოფელი ვორნაკი (დღევანდელი აკნერი) მდებარეობს დღევანდელ ჩრდილოეთ სომხეთში, ლორეს ოლქში, ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, რომელიც XIX საუკუნეში შედიოდა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში. აღნიშნული ტერიტორია სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა საქართველოს რევკომის დადგენილებით საქართველოს 1921 წლის ანექსიისა და გასაბჭოების შემდეგ. 1935 წლიდან სოფელ ვორნაკს შეეცვალა სახელი და ეწოდა აკნერი.

1892 წელს აქ გათხრები დაიწყო ნიკო მარმა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დაწყებასთან დაკავშირებით, მისავე რეკომენდაციით ვორნაკის არქეოლოგიურ გათხრებს სათავეში ჩაუდგა ექვთიმე თაყაიშვილი. გათხრებზე ნებართვა (ე.წ. "ღია ფურცელი") გაცემულია რუსეთის სამიცერატორო არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარის, გრაფ ალ. ბოპრინსკის მიერ, დაფინანსება 200 მანეთს შეადგენდა. გათხრების დროს შესწავლილი იქნა სამაროვნები, რომლებიც მდებარეობდა სოფ. დმანისთან, ვორნაკთან, ახპატთან, პრივოლნაიასთან, იაგდანთან და მათურასთან [6. მარისა და ექ. თაყაიშვილის მიმოწერა 1991: 108, 110, 124, 131; ჩარკვიანი 2007: 178-186; OAK ვა 1893, 1895: 36; OAK ვა 1894, 189: 14-16]. ამ ძეგლებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალებიდან „ერმიტაჟში“ წარმოდგენილია მხოლოდ ვორნაკის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა.

აკად. ბ. პიოტროვსკი საგანგებოდ აღნიშნავდა აკად. ექ. თაყაიშვილის მიერ ვორნაკში მოპოვებული მასალების მნიშვნელობას კავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. მანვე ვორნაკის სამარხებში №5 და №16 კომპლექსების მიხედვით გამოყო ორი ქრონოლოგიური ჯგუფი. მეთექვსმეტე სამარხი მასში გამოვლენილი ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილის (სურ. 27), მასიური ცულ-სეკირის (სურ. 30), სატეხისებური ცულის (სურ. 29), რკინის სატევრისა (სურ. 25) და შუბისპირების (სურ. 23; 24) მიხედვით დაუკავშირა სამთავროს სამაროვნის №591 სამარხს და ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დაათარილა [Пиотровский 1949: 64]. რაც შეეხება მეხუთე სამარხს, აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებიდან გამომდინარე, იგი ძვ.წ. VII-VI საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამ შემთხვევაში დათარილებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გველის თავებით დაბოლოებულ ბრინჯაოს სამაჯურებს (სურ. 32; 34), ორ მასიურ ბეჭედს (სურ. 36; 37), ბრინჯაოს ფიბულებს (სურ. 35; 38), ბრინჯაოს საკისრე რგოლს (სურ. 39), ბრინჯაოს პინცეტს (სურ. 40), ბრინჯაოს ქარქაშიან რკინის ორ სატევარს (სურ. 26; 43) და ხის ტარიან მოხრილ დანას (სურ. 25). აღნიშნული არტეფაქტები ბ. პიოტროვსკის აზრით, პირდაპირ ანალოგებს პოულობდა ლორებამბაკის ძვ.წ. VII-VI საუკუნეების სამაროვნების მასალებთან [Пиотровский 1949: 117-118].

ამრიგად, ვორნაკის სამაროვანი ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებიდან - ძვ.წ. VII – VI საუკუნის ჩათვლით. ქვემო ქართლის სხვა არქეოლოგიური ძეგლების მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელია უფრო დაკონკრეტდეს ბ. პიოტროვსკის მიერ თავის დროზე შემოთავაზებული ძეგლის ზოგადი დათარილება, რადგან მეოცე საუკუნის 60-90-იან წლებში ამ რეგიონში გაითხარა არაერთი სამაროვანი და ნამოსახლარი, სადაც გამოვლინდა ვორნაკის მსგავსი არქეოლოგიური მასალა. ჩემი ვარაუდით, ვორნაკის

სამაროვანთან ყველაზე ახლო მსგავსებას იჩენენ ბეჭთაშენის, კუშჩის, განთიადისა და ავრანლოს არქეოლოგიური კომპლექსები. მსგავსება განსაკუთრებით თვალშისაცემია თუნის ნანარმისა და ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის მიხედვით. აღნიშნული არქეოლოგიური ძეგლები ძვ.წ. IX-VI საუკუნეებს მიეკუთვნება [ავალიშვილი 1976. ლიტ. იქვე]. აქედან კი ნათელი ხდება, რომ ვორნაკის სამაროვანის ფუნქციონირების პერიოდიც სწორედ ამავე ხანას უნდა ემთხვეოდეს.

### ბორი.

სოფელი ბორი მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ზესტაფონიდან 5 კმ-ის მოშორებით. 1902 წელს სოფელ ბორში მინის დამუშავების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ვერცხლის პინაკი ბომონის ნინ მდგომი ცხენის გამოსახულებით და არამეული წარწერით (სურ. 47; 48). წარწერისა და შესაბამისად, ვერცხლის თასის თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა (ე.პრიდიკი, ა.ბორისოვი, შ.ამირანშვილი, გ.წერეთელი), მაგრამ არც ერთ მკვლევარს ეჭვი არ შეუტანია წარწერის შინაარსისა და წაკითხვის თაობაზე და ყველა მათგანი მიიჩნევს, რომ მოხსენიებულია “პიტიახში ბუზმიპრ კეთილი”. აქვე აღვნიშნავ, რომ ბორის პინაკი იყო პირველი არქეოლოგიური არტეფაქტი, რომლის მიხედვითაც დაფიქსირდა ანტიკური ხანის საქართველოში პიტიახშის ინსტიტუტის არსებობა და იგი სამი ათეული წლით უსწრებს ნინ არმაზისხევის გახმაურებულ აღმოჩენებს.

1902 წელს ძმებმა პავლაძეებმა სავენახედ მინის დამუშავების დროს შემთხვევით აღმოაჩინეს მდიდრული სამარხები, რომელთა ინვენტარი მიჰყიდეს ი. მაჭავარიანს. მან კი თავის მხრივ, ეს ნივთები მიჰყიდა სანკ-პეტერბურგის ერმიტაჟს. 1903 და 1907-1908 წლებში ბორში კვლავ აღმოჩნდა სამარხეული ინვენტარი. სოფელ ბორიდან მომდინარე არქეოლოგიური არტეფაქტები ოთხ ეტაპად მოხვდა სანქტ პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში: 1902, 1903, 1907 და 1908 წლებში. პირველი ცნობა ბორის აღმოჩენის, ვერცხლის პინაკის, შესახებ გვხვდება 1902 წელს [დალი... 1902]. 1909 წელს ბ. ფარმაკოვსკიმ პერლინში გამოაქვეყნა ბორის მასალების ჩამონათვალი [Farmakovsky 1909: 114-116]. ბორის მასალები ასევე წარმოდგენელია საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის 1908 და 1909-10 წლების ანაგარიშებში [Отчеты... 1908: 182-183; Отчеты... 1909-10: 216-18]. ამ სოფლიდან მომდინარე მასალები ყველაზე სრულყოფილად წარმოადგენილია ე. პრიდიკის 1914 წლის პუბლიკაციაში, მაგრამ არც ეს გამოკვლევა-კატალოგია ბორის არტეფაქტების სრული გამოცემა, რადგან მასალის ნანილი გრაფ ა. ბობრინსკის განკარგულებით 1912 წელს გადაეცა იმპერატორ ალექსანდრე III-ის რუსული საიმპერატორო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას. ეს არტეფაქტებია: ვერცხლის ორი თასი, ბრინჯაოს დოქი, რკინის დანები, რკინის ისრისპირი, რკინის მახვილის ფრაგმენტი, რკინის თასი და რკინის ორი ლაგამი [Придикъ 1914]. სწორედ ამ მიზეზის გამო ეს მასალები ვერ მოხვდა ბორის კოლექციისადმი მიძღვნილ ე. პრიდიკის პუბლიკაციაში. აღნიშნული ნაკლოვანების მიუხედავად, პრიდიკის 1914 წლის სტატია თავისებური პირველწყაროა ბორის მასალების კვლევის საქმეში. სულ სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულია ბორის კოლექციის 141 ნივთი. მათგან 26 ოქროსია, 21 - ვერცხლის, 45 - ბრინჯაოსი, 17 - მინისა და ძვლის, 3 - თიხის, 3 - ტახის ეშვი, 1 - ცხენის კბილი, 1 - ნიუარა და 24 - მონეტა.

იმის გამო, რომ ბორის არქეოლოგიური ატეფაქტები სხვადასხვა დროსაა აღმოჩენილი და ამავე დროს მოპოვებულია ე.წ. “შავი არქეოლოგების” მიერ, დღემდე ვერ ხერხდება მათი კომპლექსებად დალაგება და მეტიც, უცნობია საერთოდ რამდენი სამარხი შეიძლებოდა ყოფილიყო აქ და ისიც კი არ ვიცით, ეს მასალები ერთი სამაროვნიდან მომდინარეობს თუ არა. ცნობილია, რომ ბორის სამაროვანი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა [კვირკვაია, და სხვ. 2016: 6-30] და ისიც ცხადია, რომ აქ არსებობდა სამარხების სხვადასხვა სახეობები (ორმოსამარხები და ქვევრსამარხები) და აქედან გამომდინარე, არ

გამოირიცხება, რომ საქმე გვქონდეს მინიმუმ ორ სხვადასხვა ნეკროპოლთან. ისიც ფაქტია, რომ როგორც პეტერბურგის მუზეუმებში, ასევე საქართველოს მუზეუმებში (ეროვნული მუზეუმი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი) არქეოლოგიური მასალები მოხვდა ყოველგვარი არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე და სწორედ ეს რეალობა ართულებს სამარხთა თუნდაც მიახლოებითი რაოდენობის დადგენას.

ბორის არქეოლოგიური კოლექციის დეფინიციის დადგენის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არმაზისხევის აღმოჩენებს. არმზისხევის პიტიხშთა სამარხების ინვენტარი საშუალებას იძლევა დავადგინოთ პიტიახშების კუთვნილი ნივთები, ანუ ის არტეფატები, რომლებიც აუცილებელი ატრიბუტებია ქართლის (იბერიის) სამეფოს ერთ-ერთი უმაღლესი იერარქებისთვის. ჩვენი ვარაუდით, არმაზისხევში შესწავლილი სამარხებიდან პიტიახშები დაკრძალული უნდა ყოფილიყვნენ №1, 2 და 3 სამარხებში, ხოლო II-III საუკუნეების დანარჩენი მდიდრული სამარხეული კომპლექსები არ მიეკუთვნება უშუალოდ პიტიახშთა საძვალეებს და ისინი უფრო ამ საგვარეულო სახლის სხვა წარმომდგენლების კუთვნილი უნდა იყოს [ბრაგვაძე 2019: 62-72].

არმაზისხევის პირველ (ასპარუების) სამარხში აღმოჩენილია: ოქროს საბეჭდავი ბეჭედი, ოქროს ბალთა, სატევრის ქარქაშის ოქროს გარსაკარავი, ოქროს დიადემა, ოქროს კილიტები, ოქროს მონეტები, ვერცხლის სამი პინაკი, ვერცხლის ორი ორყურა ჯამი, ვერცხლის 2 სურა, ვერცხლის სარკე, ვერცხლის აბზინდები, ვერცხლის ფირფიტები, სარეცლის ვერცხლის ფეხები, ბრინჯაოს აბზინდა, რკინის ორი დანა, პასტის მძივები, მინის ჭურჭელი, ძვლის ნივთი და ხის ნაშთები [მცხეთა I. 1955: 22-40].

არმზისხევის მეორე (არმაზესის) სამარხში გვხვდება: ოქროს სამაჯური, ოქროს მედალიონი, ოქროს 5 ბეჭედი, ოქროს საყურები, ოქროს საკიდი, ოქროს საავგაროზე, ოქროს ღილები, ოქროს მონეტები, ვერცხლის პინაკი, მინის ჭურჭელი [მცხეთა I. 1955: 40].

არმაზისხევის მესამე (ბერსუმას) სამარხში მიკვლეულია: ოქროსტარიანი სატევარი, ოქროს ბეჭედი, ოქროს ხოიროს ფურცლები, ოქროს საყურე, ოქროს ორი საკიდი, ოქროს მონეტები, ვერცხლის პინაკი ბომონის ნინ ცხენის გამოსახულებით და არამეული წარწერით, სარეცლის ფეხები [მცხეთა I. 1955: 46-53].

ამ სამ სამარხში ნივთების რაოდენობა სხვადასხვაგვარია და ისინი ჩვიდმეტიდან ოცდაჩვიტმეტამდე მერყეობს (24 ნივთი ბერსუმას სამარხში, 17 — არმაზის სამარხში და 36 ასპარუების სამარხში). ასე რომ, ამ სამარხებში დაფიქსირებული საიმქვეყნიო ინვენტარი წარმოადგენს მხოლოდ პიტიახშთა საძვალეებისთვის დამახასიათებელ აუცილებელ ატრიბუტებს. ბუზმიპრ პიტიახშის სამარხის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია არმაზისხევის ამ სამივე სამარხში არსებული არტეფაქტების შეჯერება ბორში მოპოვებულ კოლექციასთან. ბუზმიპრის სამარხი არტეფაქტების რაოდენობისა და მსგავსების მხრივ ყველაზე ახლოს უნდა იდგეს ასპარუების და ბერსუმას სამარხებთან და აქ ნივთების რაოდენობა სამ ათეულამდე უნდა ყოფილიყო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცხენიანი პინაკები არ არის დამახასიათებელი მხოლოდ პიტიახშების სამარხებისთვის. ისინი გვხვდება იბერიის წარჩინებულ პირთათვის გატანებულ საიმქვეყნიო ინვენტარშიც (ზღუდერი). ანალოგიურის თქმა შეიძლება სარეცლებზეც. პიტიახშების სამარხების პარალელურად სარეცლებიც წარმოადგენს რომაული ხანის იბერიის სამეფოს წარჩინებული გვარების წარმომადგენელთა დასაკრძალავ ინვენტარს (ზღუდერი, ახალი ჟინვალი). რაც შეეხება მეტალის (ბრინჯაოსა და ვერცხლის) სურებს, ისინიც წარმოდგენილია ისეთ სამარხებში, რომლებიც არ წარმოადგენს პიტიახშების საძვალეებს, მაგრამ ეკუთვნის საზოგადოების დაწინაურებულ პირებს (ზღუდერი, ერწო).

ოქროს საბეჭდავი ბეჭდებიც არ გვხვდება მხოლოდ პიტიახშების სამარხებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ზღუდერის სამარხები, სადაც ისინი გამოვლენილია სამ მდიდრულ სამარხში [ბრაუნდი და სხვ. 2009]. ოქროთი შემკული სატევრებიც არ წარმოადგენს

მხოლოდ პიტიახშების პრეროგატივას. მოდინახეს სამარხში გვხვდება ანალოგიურად შემკული სატევარი [ნადირაძე 1975: 67]. იგივე ითქმის დიადემებთან დაკავშირებითაც. გვიან რომაული ხანის არქეოლოგიურ მონაპოვარში დიადემა აღმოჩენილია მოდინახეს 66-ე სამარხში [ბრაგვაძე 2005: 124]

ამრიგად, ერთი შეხედვით თითქმის ვერ დგინდება იმ ნივთების გამოყოფა, რომელიც დამახასიათებელი უნდა იყოს მხოლოდ პიტიახშების სამარხებისთვის. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე, რადგან ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქრონოლოგიურ ფაქტორს და საკუთრივ სამარხთა ტიპს. პიტიახშების სამარხები წარმოადგენენ სარკოფაგებს. ასეთი ტიპის სარკოფაგები კი დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ არმაზისხევის ნეკროპოლისთვის, მაშინ როდესაც ახალ უინვალში, ერწოში, ურბნისში და მოდინახეზე გვხვდება მხოლოდ ჩვეულებრივი ორმოსამარხები. არმაზისხევის სარკოფაგებს თითქოს წააგავს ზღუდერის სარკოფაგები, მაგრამ ისინი მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან. რაც შეხება ბორს, აქ შეუძლებელია რაიმეს თქმა, რადგან არც სამარხის ტიპზე და არც დაკრძალვის წესზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან ამ საკითხებთან დაკავშირებით არ გაგვაჩინია არავითარი მონაცემები. თუმცა, სავარაუდოა, რომ ბორის შემთხვევაშიც ორმოსამარხთან უნდა გვქონდეს საქმე.

ამავდროულად, ისიც აღსანიშნავია, რომ მაგრანეთის (ერწოს), ახალი უინვალის, ურბნისის და მოდინახეს სამარხები ქრონოლოგიურად განსხვავდება არმაზისხევის კომპლექსებისგან და მიეკუთვნება IV საუკუნეს, ანუ იმ პერიოდს, როდესაც არმაზისხევის პიტიახში შტო აღარ არსებობს. ასე რომ ამ რეალობიდან გამომდინარე, ამ კომლექსებში შემავალი ინვენტარის ერთმანეთისადმი მსგავსება მხოლოდ ფორმალურია და არა შინაარსობრივი.

ამრიგად, მხოლოდ მეტალის ჭურჭლების, სარეცლის ფეხების, ცხენიანი ვერცხლის პინაკებისა და ოქროს საბეჭდავი ბეჭდების მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ მხოლოდ პიტიახშების სამარხებისთვის განკუთვნილი არტეფაქტების შესახებ, რადგან ეს ნივთები შეიძლება შეგვხვდეს როგორც პიტიახშების, ასევე — დანაჩენი წარჩინებული პირების სამარხებში და თითქმის ვერ დგინდება იმ არტეფატების დეფინიცია, რომლებიც ექსკლუზიურად არის დამახასიათებელი მხოლოდ პიტიახშების სამარხებისთვის. საკუთრივ ბორის კოლექციაში კიდევ უფრო ჭირს ასეთი ნივთების გამოყოფა. მხოლოდ ერთი, ცხენიანი პინაკი არ ინვევს არანაირ ეჭვს, რომ იგი ეკუთვნოდა პიტიახში, მაგრამ ჩნდება საინტერსო კითხვა—ის სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ეს პინაკი, რამდენად შეიძლება განვიხილოთ პიტიახშის საძვალედ? საქმე ისაა, რომ ბორში არ დაფიქსირებულა არც სარკოფაგი, არც აკლდამა და ერთი შეხედვით, ბუზმიპრ პიტიახშის კუთვნილი არტეფაქტები ყველა წყაროს მიხედვით, მომდინარეობს ჩვეულებრივი ორმოსამარხიდან. ეს რეალობა გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე არ უნდა გვქონდეს პიტიახშის სამარხთან და გამოვლენილი მდიდრული ინვენტარიც არ უნდა წარმოადგენდეს პიტიახშის საკუთრებას. აკლდამისა და სარკოფაგის გარდა ბორის მონაპოვარში არ ჩანს არც არმაზისხევის პიტიახშების სამარხებისთვის დამახასიათებელი სახელისუფლებო ინსიგნიები (დიადემა, საბეჭდავი, ოქროს ქარაქაშიანი სატევარი). მდგომარეობას, ერთი შეხედვით, ართულებს წარწერიანი პინაკი. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ იგი ბუზმიპრ პიტიახშისაგან საჩუქრად მიიღო ბორში დაკრძალულმა იმ პიროვნებამ, რომლის სამარხშიც ეს ნივთი დაფიქსირდა. რომაულ ხანაში არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც მმართველები საკუთარ ქვეშევრდომებს ჩუქნიდნენ ძვირფას ნივთებს სამახსოვრო წარწერით. გავიხენოთ თუნდაც ბერსუმა პიტიახშისთვის ნაჩუქარი თასი. ასე რომ თუ ასეთ მოსაზრებას დავუშვებთ, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და იმ კითხვებსაც გაეცემა პასუხი, თუ რატომაა პიტიახშის წარწერიანი პინაკი აღმოჩენილი ორმოსამარხში და არა აკლდამაში, ან სარკოფაგში; რატომ არ გვხვდება აქ პიტიახშებისთვის დამახასიათებელი

სახელისუფლებო ინსიგნიები და სხვ. ბორში დაკრძალული ის პიროვნება, ვისაც ეკუთვნოდა პიტიხშის წარწერიანი პინაკი წარმოადგენდა საკმაოდ შეძლებულ ადამიანს და მას ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა იბერიის მმართველ ზედაფენასთან. ამის დასტურს წარმოადგენს მისთვის პიტიახშის მიერ ძვირფასი ნივთის ჩუქების ფაქტიც. ამ შემთხვევაში ისეთივე მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე, როგორც ზღუდერში, სადაც ასევე ფიქსირდება მდიდარი ადამიანისთვის სამარხში ჩაყოლებული ნაჩუქარი ვერცხლის ლანგარი [ბრაუნდი და სხვ. 2009: 21].

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ბორში არ ფიქსირდება პიტიახშის სამარხი, ამ სოფელში მოპოვებულ არტეფაქტებს აქვს დიდი მნიშვნელობა რომაული ეპოქის იბერიის ისტორიისათვის, რადგან ცნობილი ხდება კიდევ ერთი პიტიახში სახელი. ხოლო სად არის დაკრძალული საკუთრივ ბუზმიპრ პიტიახში, ჩვენი ცოდნის ამჟამინდელ ეტაპზე, ამ კითხვაზე პასუხი ჯერ-ჯერობით უცნობია. შესაბამისად, არც ის არის გარკვეული პიტიახში ბუზმიპრ კეთილი არმაზისხევის პიტიახშთა სახლიდანაა, თუ არგვეთის პიტიახშია. თუმცა, სავარუდოდ, იგი არგვეთის უნდა ყოფილიყო, რადგან არმაზისხევიდან ასეთი სახელის პიტიახში ცნობილი არ არის.

### **ლიტერატურა:**

- ავალიშვილი 1976:** ავალიშვილი გ. ქვემო ქართლი ძვ.ნ. | ათასწლეულის | ნახევარში. თბ.
- აფაქიძე 1944:** აფაქიძე ან. ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან. საქართველოს სახელ. მუზეუმის მოამბე. ტ. XII-B. თბ.
- აფაქიძე 1963:** აფაქიძე ან. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ.
- ბრაუნდი და სხვ. 2009:** ბრაუნდი დ. ჯავახიშვილი ქ. ნემსაძე გ. საგანძური ზღუდერიდან. თბ.
- ბრაგვაძე 2019:** ბრაგვაძე ზ. არმაზისხევის პიტიახშთა სახლი. არქეოსპექტრი №2. თბ.
- ბრაგვაძე 2013:** ბრაგვაძე ზ. იბერია-კოლხეთის ზოგიერთი ისტორიულ-არქეოლოგიური პრობლემისათვის. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში №21. თბ.
- ბრაგვაძე 2005:** ბრაგვაძე ზ. ყვირილის ხეობა გვიანანტიკურ ხანაში. ჟურ. იბერია-კოლხეთი, რედ. გ. გამყრელიძე, №3. თბ.
- კვირკვაია და სხვ. 2016:** კვირკვაია რ. დავლიანიძე რ. ჩხარტიშვილი ნ. არქეოლოგიური კოლექციები სოფელ ბორიდან. საქ. ეროვნული მუზეუმის მოამბე, VII (52).
- მიქელაძე 1986:** მიქელაძე თ. კოლხეთის ადრე რკინის ხანის სამაროვნები. თბ.
- მცხეთა I. 1955:** მცხეთა, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. I, თბ.
- ნადირაძე 1975:** ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.
- 6. მარისა და ექ. თაყაიშვილის მიმოწერა 1991:** გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა, თბ.
- ჩარკვიანი 2014:** ჩარკვიანი მ. ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოღვაწეობა, ონლაინ არქეოლოგია №6.
- ჯაფარიძე 1957:** ჯაფარიძე ოთ. დოლმენური კულტურა საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 77. თბ.
- ჯაფარიძე 2003:** ჯაფარიძე ოთ. საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბ.
- Farmakovsky 1909:** Farmakovsky B. Archäologische Sammlung von Bori. Archäologischer Anzeiger. Berlin.
- Дъло... 1902:** Дъло Императорской Археологической Комиссии. №35.
- Пиотровский 1949:** Пиотровский Б., Археология Закавказья, Ленинград.
- Придикъ 1914:** Придикъ Е. Новые Кавказские Клады. Материалы По археологии России. № 34, СПб.
- Отчеты... 1896:** Отчеты Императорской Археологической Комиссии за 1894 г. СПб.

**Отчеты... 1908:** Отчеты Императорской Археологической Комиссии за 1908 г.

**Отчеты... 1909-10:** Отчеты Императорской Археологической Комиссии за 1909-10 гг.

**Хачатриан 1976:** Хачатриан Ж. Античный Некрополь. Гарни V, Ереван 1976.

### ՍԱՐԿԱՏԵԾՈՎ ԱԼԵՆԵՐՈՂՈՅԱ:

1. ՎԵՐԿԵԼՈՎ ՏԱՏՈ. ՄՎԵՐՏԱ. ՏԱՄՏԱՎՐՈՎ.
2. ՄԻՆՈՎ ՏԱՆԵԼՍԱՎԵՐԵԾԼԵ. ՄՎԵՐՏԱ. ՏԱՄՏԱՎՐՈՎ.
3. ՎԵՐԿԵԼՈՎ ՇԵԽԻԱՆՈ ՏԱՏՈ. ՄՎԵՐՏԱ. ՏԱՄՏԱՎՐՈՎ.
4. ԹՍԵԼՈՎ ԵՎՇԱՆՈ ԴՐՈՅԻ ԾԱ ՏՈՒԾՈՎ ՏԱԼՎՈՆԵ ՖՈՐՖԵԼՈ ԿԱՄՑՈՒԼՈՒԴԱՆ. ԲԻՌԴՈՂՈՅԵ ՌԵՍԵՏՈ. ԵՋՏՈՉՈՒՈՎՈ.
5. ՎԵՐԿԵԼՈՎ ՌՈՒԹՈՆՈ ՎԵԽԻՆՈ ՏԱՎՈՎ ԳԱՄՈՍԱԵՎԼԵԾՈՒՈ. ՏԳԵՎԱՆՆՈՒՆԴԱ.
6. ԵՎՈՎ ՇՐՈՎ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
7. ԾՐՈՆՋԱՈՎ ԾԱԼՏԱ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
8. ԾՐՈՆՋԱՈՎ ԾԱԼՏԱ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
9. ՊԱՏԳՈՎ ՄԺՈՎՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
10. ՄԺՈՎԵԾՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
11. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՏԱՐԳՎԵԼՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
12. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՏԱԿԵՐԵԼՈ ՇՈՐԴՈՒՈՒ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
13. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՇՄԱՆՎՈՍՊՈՐՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
14. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՑՈՐՄՈՐՇՎՈՒԼՈ ԾԱԼՏԱ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
15. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՇՄԱՆՎՈՍՊՈՐՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
16. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՇՄԱՆՎՈՍՊՈՐՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
17. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՎՇՈՒԼՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
18. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՏԱՐԵՎԱՐՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
19. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՌՈՐԼԵԾՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
20. ԾՐՈՆՋԱՈՎ ԵՎՈՎ ՄԺՈՎԵԼՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
21. ԾՐՈՆՋԱՈՎ ԵՎՈՎ ՄԺՈՎԵԼՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
22. ԾՐՈՆՋԱՈՎ ԵՎՈՎ ՄԺՈՎԵԼՈ. ԱՆՇԵՎԱ. ԱՇԽԱՑԵՏՈ.
23. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՇՄԱՆՎՈՍՊՈՐՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
24. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՇՄԱՆՎՈՍՊՈՐՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
25. ՐԿՈՆՈՎ ՏԱՐԵՎԱՐՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
26. ՐԿՈՆՈՎ ՏԱՐԵՎԱՐՈ ԾՐՈՆՋԱՈՎ ԵՎՈՎ ՄԺՈՎԵԼՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
27. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՏԱՐԵՎԱՐՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
28. ՐԿՈՆՈՎ ՏԱՐԵՎԱՐՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
29. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՎՇՈՒԼՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
30. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՎՇՈՒԼՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
31. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՎՇՈՒԼՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
32. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՏԱՄԱՋՄՈՒՐՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
33. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՏԱԿՈՆՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
34. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՏԱՄԱՋՄՈՒՐՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
35. ԾՐՈՆՋԱՈՎ ԹՄՎՈԼԾՏԱԿՈՆՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
36. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՌՈՐԼԵԶՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
37. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՌՈՐԼԵԶՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
38. ԾՐՈՆՋԱՈՎ ԹՄՎՈԼԾՏԱԿՈՆՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
39. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՏԱԿՈՆԾՐԵ ՌՈՐԼԵԶՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
40. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՏՈՒԾԵԳՈՒ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.
41. ԾՐՈՆՋԱՈՎ ՏԱՐԵՎԱՐՈ. ՎՈՐՆԱԿՈ. ԵՎԵՄՈՎ ՔԱՐՏԼՈ.

42. ბრინჯაოს კვერთხის თავი. ვორნაკი. ქვემო ქართლი.
43. რკინის სატევარი. ვორნაკი. ქვემო ქართლი.
44. თიხის საღვინე ჭურჭელი. ვორნაკი. ქვემო ქართლი.
45. თიხის კათხა. ვორნაკი. ქვემო ქართლი.
46. თიხის დოქი. ვორნაკი. ქვემო ქართლი.
47. ვერცხლის თასი. ბორი. იმერეთი.
48. ვერცხლის თასის გრაფიკული ნახატი. ბორი. იმერეთი.
49. ბრინჯაოს ოინოხოია. ბორი. იმერეთი.
50. ბრინჯაოს ოინოხოია. ბორი. იმერეთი.
51. ბრინჯაოს სურა. ბორი. იმერეთი.
52. ბრინჯაოს სურა. ბორი. იმერეთი.
53. ბრინჯაოს სურ. ბორი. იმერეთი.
54. ბრინჯაოს დოქი. ბორი. იმერეთი.
55. ბრინჯაოს პატერა. ბორი. იმერეთი.
56. ბრინჯაოს პატერა. ბორი. იმერეთი.
57. ბრინჯაოს პატერა. ბორი. იმერეთი.
58. ბრინჯაოს პატერა. ბორი. იმერეთი.
59. ბრინჯაოს სასწორი. ბორი. იმერეთი.
60. ვერცხლის თასი. ბორი. იმერეთი.
61. ბორის არქეოლოგიური კოლექციის ექსპოზიცია “ერმიტაჟში”.
62. ბორის არქეოლოგიური კოლექციის ექსპოზიცია “ერმიტაჟში”.
63. ბორის არქეოლოგიური კოლექციის ექსპოზიცია “ერმიტაჟში”.
64. ბორის არქეოლოგიური კოლექციის ექსპოზიცია “ერმიტაჟში”.
65. ბორის არქეოლოგიური კოლექციის ექსპოზიცია “ერმიტაჟში”.
66. ბორის არქეოლოგიური კოლექციის ექსპოზიცია “ერმიტაჟში”.



1



2



3



4



5



6



7





8



9







44



45



46



47



48



49



50



51



52



53



54



55



56



57



58



59



60



61



62

19



63



64



65



66

## დიდი მცხაოს არქოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის საგანძურო ვახტანგ ნიკოლაიშვილი

ქართლის სამეფოს (ბერძნულ-რომაული წყაროების — იბერიის) ძველი დედაქალაქი მცხეთა ცნობილია ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლებით. მცხეთის შესახებ მოვითხრობენ ქართული („მოქცევაი ქართლისაი“, „ქართლის ცხოვრება“) და უცხოური წერილობითი წყაროები (სტრაბონი, I ს.; პლინიუსი, I ს.; პტოლემაიონი, II ს.; დიონ კასიუსი, II-III სს.; მოსე ხორენელი, V ს. და სხვ.), ასევე, არქეოლოგიური ძეგლები. „დიდი მცხეთა“ ნახსენებია ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, რომელიც შესულია საისტორიო ქრონიკაში „ქართლის ცხოვრება“: „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა...“ [იხ. ქართლის ცხოვრება 1955: 17-18]. ლეონტისეული „დიდი მცხეთა“ ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებისა და მცხეთის გადედაქალაქების პერიოდს ემთხვევა. ის დიდ ფართობს მოიცავდა და დაცული იყო სასიმაგრო სისტემით. ჩრდილოეთიდან მას იცავდა ღართისკართან გამავალი სასიმაგრო სისტემა, თავდაცვის მეორე ხაზი კი ბერისციხე-წინამურთან გადიოდა, სამხრეთით სანკეპელა-დიდგორის ქედი და იქ აღმართული ციხე-სიმაგრეები მოქმედებდნენ (კაცითავანა, არმაზციხის სამეფო რეზიდენცია), აღმოსავლეთით — ზემო ავჭალასა და დევის ნამუხლზე (ქოშიგორა) გამავალი გალავანი გადიოდა, დასავლეთით — გრძელი მინდორი, სარკინე, ციხედიდისხევის დაცვის სისტემა ფუნქციონირებდა.

ამჟამად ეს ტერიტორია ასე შემოიფარგლება: აღმოსავლეთით — მცხეთის რკინიგზის სადგური ზაჰესი, დასავლეთით — ძეგვი, ხეკორძულას ხევი და ნასტაკისი; ჩრდილოეთით — მუხრანის სანახები, სამხრეთით — სანკეპელა-დიდგორის ქედი [აფაქიძე და სხვ. 1955:3; ნიკოლაიშვილი 2005: 93-108]. ქალაქი მცხეთა ნახსენებია აგეთვე, „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკაში, რომელიც შესულია X საუკუნის შატბერდის კრებულში [იხ. შატბერდის კრებული, 1979: 333]. ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან შეჩრებულ ქართლის განმანათლებელ ნინო კაპადოკიელის შეკითვაზე — რომლისა სოფლისანი ხართ თქვენ?, მცხეთელი მწყემსი პასუხობს: „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. ამ ტერიტორიაზეა გამოვლენილი მცხეთის დედაქალაქობის წინა პერიოდის (არმაზისხევში აღმოჩნდა პალეოლითის ხანის და ძვ.წ. IV ათასწლეულის რამდენიმე ნიმუში), დედაქალაქობის (ძვ.წ. IV ს. – ახ.წ. IV/V სს.) და შემდგომი პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები (V-XII- XVIII სს).

ისტორიული დიდი მცხეთის კვლევის შედეგად გამოვლენილი არტეფაქტები დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის გარდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და უცხოეთის (საფრანგეთი, რუსეთი) მუზეუმებშია დაცული. წერილობითი წყაროებით და არქეოლოგიური მონაცემებით მცხეთა — ქართლის (იბერიის) სამეფოს ძველი დედაქალაქი — წარმოვიდგება როგორც „სამეფო“ ქალაქი, „სად ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ (იხ. „მოქცევაი ქართლისაი“, „ქართლის ცხოვრება“), სადაც მთელი სამეფოს ტერიტორია მჭიდროდ ჩანს დასახლებული. დედაქალაქობის პერიოდის მცხეთა (ძვ.წ. IV-III სს. – ახ.წ. IV-V სს.) აღმოსავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფოს ქართლის (იბერიის) პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი იყო.

სტრაბონის თანახმად, ძვ.წ. I საუკუნისათვის „იბერია მეტნილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც, ისე, რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი“. ასეთი ქალაქებია მცხეთასთან ერთად ხუნანი, რუსთავი, კასპი, უფლისციხე, გორი,

ურბნისი და ა.შ. საქალაქო მშენებლობის აღმავლობაზე მეტყველებს დედაქალაქობის პერიოდის მცხეთაში (სამთავროს სამარვანზე) აღმოჩენილი ერთ-ერთი სამარხის ეპიტაფია, რომელიც IV საუკუნეში მცხეთის მხატვართუუცესისა და ხუროთმოძვრის ავრელი აქოლისის საფლავზე მდგარა. ავრელი აქოლისის სახელი კვლავ დადასტურდა ახლა უკვე ქვაზე ამოკვეთილ სამშენებლო წარნერაში [ყაუხჩიშვილი 1998: 6-7]. ამ თანამდებობის არსებობა თავისთავად მიუთითებს ამ პერიოდის მცხეთაში ფართოდ გაშლილ სამშენებლო საქმიანობაზე.

ავჭალისკარი, არმაზციხე-ბაგინეთი, კაცითავანა, ციხედიდისხევი, სარკინე-გრძელი მინდორი, წინამური (სტრაბონისეული სევსამურა) — ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ქალაქური ტიპის დასახლებები და გამაგრებული ადგილებია. სავაჭრო მაგისტრალთა გასწვრივ საქალაქო მშენებლობამ და ახალი ქალაქების წარმოქმნამ, ვაჭარ-ხელოსანთა ფენის დაწინაურება გამოიწვია. მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის ტრადიციულ დარგებთან ერთად განვითარდა ხელოვნებისა და ხელოსნობის დარგები, განსაკუთრებით ოქრომჭედლობა.

მცხეთაში საოქრომჭედლო სკოლის არსებობაზე მიუთითებს ქართული ოქრომჭედლობის უძველეს ტრადიციებზე აღმოცენებული ნიმუშები (თრიალეთი, ახალგორი, მცხეთა), არმაზციხე-ბაგინეთზე, არმაზისხევსა და სამთავროს სამაროვნებზე გამოვლენილი არტეფაქტები, აგრეთვე წერილობითი წყაროები. ასე მაგალითად, ძვ.წ. 65 წელს ქართლის მეფე არტაგმა რომაელ სარდალს — პომპეუსს მიართვა ოქროს ტახტი, მაგიდა და სარეცელი, რაზეც მოგვითხრობს რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიუსი (II-III სს.). უფრო გვიან, ახ.წ. II საუკუნეში ქართლის მეფე ფარსმანმა რომის იმპერატორ ადრიანეს მიართვა სავარძელი და ოქროთი მორთული წამოსასხამები.

ოქრომჭედლთა ფენას უნდა მიეკუთვნოს ფრილა ქვების - გემების შემსრულებელი ოსტატებიც. გემებზე ძირითადად გამოსახულია ბერძნულ-რომაულ სამყაროში გავრცელებული სიუჟეტები, მაგრამ ბეჭდის მფლობელთა სახელები ადგილობრივი ჩანს, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მონვეულ ბერძნ-რომაელ ოსტატებთან ერთად ადგილობრივი ოსტატებიც მუშაობდნენ. ამას მიუთითებს სამთავროს ერთ-ერთ სამარხში საოქრომჭედლო სასწორ-საწონებისა და რამდენიმე გათლილი ქვის აღმოჩენა; აგრეთვე, სარკინეში ნაპოვნი ჩუქურთმოვანი ტვიფრები, მხატვრულ ნაწარმთა დაუმუშავებელი ნიმუშები და ტიგელის ნაწილები [აფაქიძე 1963: 228-231].

ოქრომჭედლობის ცალკეული ნიმუშები ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანულ სამარხებში გვხდება (ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი. ოხერახევი; ძვ.წ. XVII-XVI სს. სამთავრო). ძვ.წ. VII-VI-V საუკუნეების სამარხებში (ნარეკვავი, სათოვლე-ნაბაღრევი) კი მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდილია. ასე მაგალითად, ნარეკვავის სამარხეულ კომპლექსში (№53) ბრინჯაოს ნივთების (ქვაბი, შტანდარტისთავი, კვერთხი, მახვილი, ორი საბრძოლო ცული, გრავირებული სარტყელი, ლაგამი, სამაჯური, კოლხური ცული), თიხის ჭურჭლისა (10 ერთეული) და სარიტუალო საგნების გვერდით აღმოჩნდა ოქროს სასაფეთქლე და მძივები. როგორც ირკვევა, სამარხში დიდი პატივით დაუკრძალავთ სახელისუფლო ინსიგნით (კვერთხი, გრავირებული სარტყელი, შტანდარტისთავი) აღჭურვილი წარჩინებული მეომარი. პარალელური მასალის მიხედვით, №53 სამარხი შეიძლება ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით დათარიღდეს [აფაქიძე და სხვ. 2000: 28-43]. იქვე, ნარეკვავის სამაროვანზე გამოვლენილ სინქრონულ სამარხში (№59) ოქროს წყვილი სხივანა საყურე აღმოჩნდა, რომელიც №53 სამარხში გამოვლენილ ნიმუშებთან ერთად წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ოქრომჭედლობის განვითარებაზე.

ოქრომჭედლობისა და ტორევტიკის ოსტატთა ნახელავს წარმოადგენს სვეტიცხოვლის ეზოში, III ს. სამარხ-აკლდამაში აღმოჩენილი ვერცხლის საწერელი ოქროს სამელნით. საწერელზე ცხრა მუზის გამოსახულება წარნერით. იგი შესაძლოა, სამეფო

კარის მწერლის სამარხი იყოს. მცხეთაში სულ 5 სამელნეა აღმოჩენილი. პირველი ბრინჯაოს ცილინდრული სამელნე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღმოჩნდა. მის ძირზე ამოკვეთილია ლათინური წარწერა: „Ex officina Calpurni“. როგორც ირკვევა, ის კალპურნის სახელოსნოშია დამზადებული და სავაჭრო გზით ჩანს შემოტანილი მცხეთში. ეს კიდევ ერთი დასტურია ქართლის სამეფოსა და რომის ძლიერ სახელმწიფოს შორის არსებული კონტაქტებისა. ამავე პერიოდის — ახ.წ. II საუკუნის კრამიტსამარხში აღმოჩნდა ვერცხლის სამელნე სტილოსთან ერთად — სვეტიცხოველთან ახლოს. იქვე, სვეტიცხოველთან კიდევ ერთ კრამიტსამარხში (№6) დადასტურდა ბრინჯაოს ცილინდრული სამელნე, სტილოსი და ბრინჯაოს 4 ნკირი ოქრომჭედლობის სხვა შესანიშნავ ნიმუშებთან ერთად.

კრამიტსამარხი (№6) აღმოჩნდა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრიდან ორმოციოდე მეტრის დაშორებით. ის შედგება 20 ბრტყელი, გვერდებაკეცილი (სოლენი) და ღარისებრი (კალიპტერი) კრამიტისაგან. სამარხი წაგრძელებულ ოთხკუთხა ფორმისაა (210 X 110 X 50 სმ), ორფერდა სახურავით, ე.ი. საცხოვრებელი სახლის მოდელს წარმოადგენს. ამ ტიპის სამარხს შეიძლება ეწოდოს „სახლი საკრძალავი“. მიცვალებული ქალბატონის ჩონჩჩი მძინარე პოზაშია წარმოდგენილი. ქალი მარჯვენა გვერდზე ესვენა, თავით აღმოსავლეთით. მარჯვენა ხელი კი თავქვეშ ჰქონდა ამოდებული. სამარხში აღმოჩნდა: ხელადა, ჭრაქი, მინის სანელსაცხებლები, ოქროს ყელსაბამი, ოქროს წყვილი საყურე, ოქროს წყვილი ბეჭედი, ოქროს და ვერცხლის მონეტები. მსგავსი სამკაული გამოვლენილია არმაზისხევის ერისთავთა (პიტიახშთა) და სამთავროს ახ.წ. პირველი საუკუნეების სამაროვნებზე [აფაქიძე და სხვ. 1955: ტაბ. IX, სურ. 135, 137; Apakidze, Nikolaishvili 1994: 25-26]. ზემოაღნიშნული არტეფაქტების განხილვის საფუძველზე, კრამიტსამარხი №6 შეიძლება ახ.წ. II საუკუნით დათარიღდეს. იქ გამოვლენილი სამკაული ადასტურებს მოსაზრებას ოქრომჭედლობის მცხეთური სკოლის არსებობის შესახებ [წუბინაშვილი 1944; ამირანაშვილი 1944; აფაქიძე და სხვ. 1955]

თიხისა და მინის ანალოგიური ჭურჭელი ფართოდაა ცნობილი ახ.წ. პირველ საუკუნეებში ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე და ურბნისში [ნიკოლაიშვილი 1993; საგინაშვილი 1970]. თიხის ჭურჭელი ადგილობრივი წარმოშობისაა, ხოლო მინა სირიის ქალაქ სიდონის ენიონის სახელოსნოს ნანარმი უნდა იყოს. მსგავსი ბრინჯაოს სამელნე ძვლის ორ სტილოსთან ერთად გამოვლინდა სამთავროს ჩრდილოეთით ბაიათხევში — ახ.წ. III საუკუნით დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსში [ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1995: 131, სურ. 1098-1100; 1285-1287]. ბრინჯაოს და ვერცხლის ანალოგიური სამელნეები გავრცელებული ჩანს ანტიკურ სამყაროში [Eschebach 1984: 40-41]. მცხეთაში ადრე გამოვლენილ სტილოსებთან და სამელნეებთან ერთად ეს აღმოჩენა ქართლის (იბერიის) სამეფოში მწიგნობრობის დაწინაურებასა და ქალაქური კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს.

საქალაქო ცხოვრებისა და დამნერლობის განვითარებაზე მეტყველებს აგრეთვე, მცხეთაში აღმოჩენილი IV-V საუკუნეებით დათარიღებული აბრაამ სარას ძის სახლის ნაშთები. ამაზე მოგვითხრობს ოქროს ავგაროზი, რომელზედაც არამეულით შესრულებული ებრაული შელოცვაა ამოკვეთილი. სახლის საძირკველში ჩადგმულ სამტუჩა ხელადაში აღმოჩნდა ოთხად დაკეცილი ოქროს გრაგნილი (5,8 X 2,8 სმ). ავგაროზი ავი სულისგან იცავდა მფლობელს. მას ათავსებდნენ სახლებსა და სინაგოგებში. წარწერა ებრაელ აბრაამ სარას ძეს ეკუთვნოდა და მისი ოჯახის წევრების ავი სულებისა და დემონებისაგან დასაცავად იყო გამიზნული. შელოცვა დაწერილია იუდეურ-არამეულზე, რომელიც გავრცელებული იყო საქართველოში დამკვიდრებულ ებრაელთა შორის [წერეთელი 1996: 95-132].

აბრაამ სარას ძის სახლი ორი ოთახისაგან შედგება. მათ შორის გასასვლელი კარი-ლიობია დატოვებული. მეორე სათავსში მარანია მოწყობილი, სადაც დიდი რაოდენობის IV-VI საუკუნეებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა. ასევე, სასანური მონოგრამებით ორი საბეჭდავი-ბულა. ერთ-ერთ საბეჭდავზე ამოკვეთილია ქრისტიანული სიმბოლო — ჯვრის გამოსახულება. აღნიშნული საბეჭდავები სტილისტურად და გამოსახული სიუჟეტების მიხედვით V-VI საუკუნეების სასანური გლიპტიკის ნიმუშების ანალოგიურია. საბეჭდავი-ბულები უმეტესწილად გარკვეული ქონების — საქონლის დასაბეჭდად გამოიყენებოდა. ამიტომ სავარაუდოა, რომ ბულების მეპატრონე ვაჭართა წრის წარმომადგენელი იყო. ამრიგად, აბრაამ სარას ძის სახლში აღმოჩნილი ავგაროზი ერთხელ კიდევ მიუთითებს დედაქალაქობის ხანის მცხეთის მცხოვრებთა ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე, სოციალურ დიფერენციაციასა და დამწერლობის განვითარებაზე.

მცხეთის მუზეუმში დაცული ოქომჭედლობის ნიმუშების უმეტესი ნაწილი გვიანრომაული პერიოდისაა (ახ.წ. I-IV სს.). სწორედ ამ დროის ქართლის სამეფოში, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა სამარხებში, დიდი რაოდენობით დასტურდება ოქომ-ვერცხლის სამკაული (განსაკუთრებით გამორჩეულია უმაღლესი და საშუალო ფენა). თვალსაჩინოა სამკაულის, განსაკუთრებით საყურების, სამაჯურების, ბეჭდების და ყელსაბამების სიმრავლე. ამ პერიოდში ყალიბდება ოქომჭედლობის მცხეთური სკოლა, რომელსაც ათვისებული აქვს იმდროინდელი ტექნიკური ხერხების სრული არსენალი (კვერვა, რჩილვა, მჭვალვა, მოგავარსება, ნივთების შემკობა წნული და გრეხილი სახეებით და ბურთულებით). გარდა ამისა, გამოირჩევა ქართული ოქომჭედლობისათვის დამახასიათებელი თავისებურებით: სამკაულთა მორთვა სხვადასხვა ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებით, პასტითა თუ მინანქრით [აფაქიძე და სხვ. 1955: 196].

დედაქალაქობის ხანის მცხეთაში სხვა დარგებთან ერთად, საკმაოდ განვითარებული ჩანს მინის წარმოებაც (ჭიქათმოქმედება). ის დიდ აღმავლობას განიცდის ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. საბერავი მილის გამოგონებასთან ერთად, მინის წანარმი ხელმისაწვდომი ხდება ქართლის სამეფოს (იბერიის) მოსახლეობისათვისაც. რამაც ასახვა პირვა მცხეთა-სამთავროს სამაროვნებზე დადასტურებულ სამარხეულ კომპლექსებში და ურბნისის ნაქალაქარის სამაროვანზე გამოვლენილ ამავე პერიოდის ძეგლებზე.

ურბნისის ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას, გვიანანტიკური ხანის კულტურულ ფენაში ნაპოვნია მინის ზოდები, რაც იქვე დიდი რაოდენობით აღმოჩნილ მინის ჭურჭელთან ერთად, სპეციალისტებს ქართლის სამეფოში (იბერიაში) ახ.წ. პირველ საუკუნეებში მინის ჭურჭლის ადგილობრივ წარმოებაზე აფიქრებინებს [ლომთათიძე 1977]. ახ.წ. პირველ საუკუნეებში მინის წანარმი (განსაკუთრებით სანელსაცხებლები) შემოტანილია ქართლის (იბერიის) სამეფოს ტერიტორიაზე (მცხეთა, ურბნისი). მინის იმპორტული წანარმის მცხეთაში კონცენტრაციას ხელს უწყობდა მჭიდრო პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები, რომლებიც ჰქონდა ქართლის (იბერიის) სამეფოს ანტიკური სამყაროს ქვეყნებთან. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე მცხეთაზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა [ლორთქიფანიძე 1962: 47]. ამ გზით ილექტობდა მცხეთაში რომაული და პართული მონეტები, გლიპტიკური ძეგლები, ეგვიპტური სკარაბეები და საკიდები, მინის ჭურჭელი და სხვა იმპორტული წანარმი.

ოქროს სამკაულთან ერთად, მძივები დიდი მცხეთის თითქმის ყველა პერიოდის სამარხეული კომპლექსის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ისინი გამოირჩევიან მასალისა და ფორმის მრავალფეროვნებით. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზე (ძვ.წ. XIV-VI სს.) ჭარბობს სარდიონისგან დამზადებული მძივები. ფორმის მიხედვით

გვხვდება წაკვეთილ-ბიკონუსური, ცილინდრული, მრავალნახნაგა, კასრისებრი, მილაკისებრი, შინდისებრი, ოვალური, სამკუთხა, კონუსისებრი, ოთხკუთხა, ცულისებრი, წვეთისებრი მძივები. დასტურდება მონითალო-მოყავისფრო, მოყვითალო-მოვარდისფრო, გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე მძივები. გარდა სარდიონისა, გვხვდება მთის ბროლის, პასტის, ეგვიპტური ფაიანსის და სხვა მასალისაგან დამზადებული მძივები. ისინი გამოირჩევიან დამზადების ტექნიკითა და ფორმის სრულყოფილებით.

განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება გვიანრომაული ხანის (ახ.ნ. პირველი საუკუნეების) მძივები. ისინი სხვადასხვა ფორმისაა: სფერული, ნახევარსფერული, ოვალური, ცილინდრული, წაკვეთილ-ბიკონუსური, კვირისტავისებრი, ამფორისკისებრი, კალათისებრი და თითისტარისებრი. გამოვლენილია როგორც იმპორტული (მარგალიტი, ქარვა, მარჯანი), ასევე ადგილობრივი მასალისაგან (გიშერი, მთის ბროლი, ქალცედონი) დამზადებული მძივები. ამ მხრივ, აღსანიშნავია მცხეთის მახლობლად, თეძმისხევში აღმოჩენილი გიშერის საბადოები [იხ. მგელიაშვილი 1984].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დროებით ექსპოზიციაში წარმოდგენილი მცხეთის არტეფაქტები მხოლოდ მცირე ნანილია იმ მრავალფეროვანი კოლექციებისა, რომელსაც ფლობს დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი [დოლიძე და სხვ. 2016].

### ლიტერატურა:

**ამირანაშვილი 1944:** ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ.

**აფაქიძე 1963:** აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ.

**აფაქიძე და სხვ. 1955:** აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. მცხეთა I, თბ.

**აფაქიძე და სხვ. 2000:** აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ა., გავაშელი ე., ღლონტი ნ., კაპანაძე მ., ნარეკვავის სამაროვანი, ნარეკვავი II, თბ.

**დოლიძე და სხვ. 2016:** დოლიძე ი., ნიკოლაიშვილი ვ., მაისურაშვილი ნ. დიდი მცხეთის სახელმწიფო მუზეუმ - ნაკრძალის კოლექციიდან, თბ.

**ლომთათიძე 1977:** ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I- XIII სს. თბ.

**ლორთქიფანიძე 1962:** ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო- სატრანზიტო გზის შესახებ. - სმამ, XIX, №3, გვ. 47-79.

**მგელიაშვილი 1984:** მგელიაშვილი თ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ნახევრადდვირთასი და სანახელავო ქვების გეოლოგიური შესწავლა, თბ.

**ნიკოლაიშვილი 1993:** ნიკოლაიშვილი ვ. კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება, თბ.

**ნიკოლაიშვილი 2005:** ნიკოლაიშვილი ვ., დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია, - ჟურ. „იბერია-კოლხეთი“, რედ. გ. გამყრელიძე, № 2, გვ. 93-108.

**ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995:** ნიკოლაიშვილი ვ., გოუნაშვილი გ., ბაიათხევის სამაროვანი, კრებ. მცხეთა, X, თბ.

**საგინაშვილი 1970:** საგინაშვილი მ. ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ.

**ქართლის ცხოვრება 1955:** ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ. თბ.

**ჩუბინაშვილი 1944:** ჩუბინაშვილი გ. მხატვრული დახასიათების ცდა არმაზში აღმოჩენილი პიტიახშთა ნივთებისა. — საქართველოს მაცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების IV სესიის თეზისები.

**ყაუხეჩიშვილი 1998:** ყაუხეჩიშვილი თ. ახალი წარწერა მცხეთიდან. - II სამეცნიერო სესია მიძღვნილი მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1997 წ. ჩატარებული საველე

არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, მცხეთა-თბილისი, გვ.6-7.

**წერეთელი 1996:** წერეთელი კ. მცხეთის არამეული ამულეტი. კრებ. მცხეთა, ტ. XI, თბ., გვ.95-132.

**შატბერდის კრებული 1979:** შატბერდის კრებული X საუკუნისა. თბ.

**Apakidze, Nikolaishvili 1994:** Apakidze A. Nikolaishvili V. Aristokratik Tomb of the Roman period from Mtsketa, Georgia. - The Antiquities, vol LXXIV,. London, pp. 25,26.

**Eschebach 1984:** Eschebach Hans, Rund und Schraiben, Pompei, Leipzig, p.40-41.

### ილუსტრაციების აღწერილობა:

**ტაბ. I – 1.** ხვიები, ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევარი, ოხერახევი, გორასამარხი №1, ოქრო, დმ-1,4 სმ.; **2.** ხვიები, ძვ.წ. XVII — XVI სს, სამთავრო, გორასამარხი №16, ოქრო, მაქს. დმ - 2,2სმ.; **3.** საყურეები, ძვ.წ. VI — V სს., ნარეკვავი IV, სამარხი №59, ოქრო, დმ - 3სმ.; **4.** მძივები, ძვ.წ. VI — V სს, ნარეკვავი IV, ოქრო, სამარხი №53, დმ - 0,3სმ.; **5.** სამაჯური, ძვ.წ. IV — III ს, კამარახევი, სამარხი №12, ვერცხლი, მაქს. დმ — 0,3სმ.; **6.** ყელსაბამი, ახ.წ. II ს, სვეტიცხოველი I, კრამიტსამარხი №6, ოქრო, გრანატი, ახ.წ. II ს., 32სმ.; **7.** საყურეები, ახ.წ. II ს., სვეტიცხოველი I, კრამიტსამარხი №6, ოქრო, გრანატი, 1,5სმ.; **8.** საყურეები, ახ.წ. III ს., სამთავრო, სამარხი №990, ოქრო, გრანატი, მარგალიტი, 5,5 სმ.

**ტაბ. II – 1.** ქოირები და თვალსაფრები, ახ.წ. III ს., მცხეთა, ქალაქის ტერიტორია, ქვასამარხი №15, ოქრო. ქოირები 2,9—4,6 სმ., თვალსაფარი 1,1—1,4 სმ. **2.** საკიდები, ახ.წ. III—IV სს. სამთავროს სამაროვანი, სამარხი №110, ოქრო, სარდიონი, 1,8 სმ.; **3.** საკიდები, ახ.წ. III—IV სს, სვეტიცხოველი V, სამარხი №34, ოქრო, გრანატი. **4.** მძივები, ძვ.წ. VIII — VII სს., ნიჩბისისხევი, სამარხი №26, სარდიონი, ანთიმონი, სპილენძის შენადნობი, პასტა. **5.** გემა—ინტალიონ, ახ.წ. III ს., ორი თევზისა და ღუზის გამოსახულებით, სარდიონი, 1,6 x 1,5 სმ. **6.** სანელსაცხებლე, ახ.წ. I—II ს., ქალაქი მცხეთა, შემთხვევითი მონაპოვარი, მინა, 1,4 სმ.; **7.** ნიუარა, მზის ტაძრის გამოსახულებით, ფერუმარილის სასრესი, ახ.წ. III ს-IV ს-ის პირველი ნახევარი, ბაიათხევი, სამარხი №18, დმ-13სმ. (ფოტოები ივანე ყენიასი).

# I



1



2



3



4



5



6




7



8



## II



## “ბერნის ჯგუფის” სკარაპეოდის ფორმის სახეზდავები ნასტაგისის სამართლიდან

ანა გაბუნია

საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული აქემენიდური საბეჭდავები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი — ჯამში 6 ცალი. საბეჭდავები ძირითადად გვიანდელ კომპლექსებშია გამოვლენილი. გლიპტიკური ძეგლები გამოქვეყნებულია ქ. ჯავახიშილის ნაშრომში აქემენიდური საბეჭდავების შესახებ [ჯავახიშილი 2009: 85-92]. ქ. ჯავახიშილი აღნიშნავს, რომ საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური საბეჭდავების განხილვა მნიშვნელოვანია არა მარტო აქემენიდური გლიპტიკის შესწავლისთვის, არამედ საქართველოსა და აქემენიდური სამყაროს ურთიერთობის კვლევის თვალსაზრისითაც [ჯავახიშილი 2009: 91].

2018 წელს, ნასტაგისის არქეოლოგიური ბაზის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ქვის ორი საბეჭდავი. გლიპტიკურ ძეგლთა გამოქვეყნება საჭიროდ მივიჩნიე, რადგან ისინი ყველა ნიშნის მიხედვით ე.წ. ბერძნულ-სპარსული გლიპტიკის გვიანდელ “ბერნის ჯგუფის” უნდა მივაკუთვნოთ.

საბეჭდავების ე.წ. ბერძნულ-სპარსული ჯგუფი პირველად ა. ფურტვენგლერმა გამოჰყო და ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით დაათარიღა [Furtwangler 1900: 116]. ბერძნულ-სპარსული საბეჭდავები ძირითადად სკარაბეოიდებითა და მრავალწახნაგებითაა წარმოდგენილი. გამოსახულებები მრავალფეროვანია. გვხვდება ბერძენი ან სპარსელი მეომრები და მონადერეები, ცალკეული ცხოველები. ერთ-ერთი პოპულარული მოტივი ე.წ. სპარსელი ქალია. “ბერძნულ-სპარსული” საბეჭდავების თემას სხვადასხვა დროს ბევრი მკვლევარი შეეხო. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს საბეჭდავთა წარმომავლობის, შემქნელთა ეროვნებისა თუ დათარიღების შესახებ [Maximova 1928: 663; Richter 1946: 15-80; Никулина 1966: 20; Boardman 1990: 401; Boardman 1994: 42-44, Boardman 2000: 153-173; Gates 2002: 105-132; Kaptan 2002; ლორთქიფანიძე მ. 1963: 135-137].

ქვის მცირე ზომის სკარაბეოიდის ფორმის ორი საბეჭდავი ნასტაგისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1980 წლის სეზონის გათხრების დროს, №35 (115) სამარხში გამოვლინდა. სამარხში ასევე აღმოჩნდა ოქროფენილი მძივები და ბრინჯაოს ორი საყურე რგოლი (ნივთები დაცულია ნასტაგისის არქეოლოგიურ ბაზაზე).

ინვ. №102.1. სკარაბეოიდის ფორმის რძისფერი ქალცედონის მცირე ზომის საბეჭდავი (სურ.1) სიგრძივ გახვრეტილია. საბეჭდავის ბრტყელ პირზე გამოსახულია ფანტასტიკური არსება, სავარაუდოდ გრიფონი. გამოსახულება ზედაპირულია, სქემატური. დეტალები არ არის კარგად დამუშავებული. გამოსახულება აღმოსავლურ იერს ატარებს. საბეჭდავი ყველა ნიშნით უნდა გაერთიანდეს ე.წ. ბერძნულ-სპარსული საბეჭდავების გვიანდელ ჯგუფში, რომელსაც ბორდმანი “ბერნის ჯგუფის” უწოდებს [Boardman 1970: 320-321]. “ბერნის ჯგუფის” უმრავლესობას მცირე ზომის სკარაბეოიდის მსგავსი საბეჭდავები შეადგეს. გვხვდება ასევე მრავალწახნაგებიც. გამოსახულებები ნაკლები დეტალიზაციით ხასიათდება და სტილს აღმოსავლური გავლენა მეტად ეტყობა, ვიდრე ბერძნული. ბორდმანი “ბერნის ჯგუფის” სკარაბეოიდებს პოსტ-აქემენიდური ხანით, ძვ.წ. IV-III საუკუნეებით და უფრო გვიანი პერიოდით ათარიღებს და თვლის, რომ ეს ჯგუფი საბეჭდავებისა აქემენიდური იმპერიის პროვინციებში გვიან ხანამდე შემორჩა. [Boardman 1970: 320-321]. საგულისხმოა, რომ ფლორიან კნაუსი “ბერნის ჯგუფის” საბეჭდავების შექმნის თარიღად ძვ.წ. II საუკუნეს გვთავაზობს [Knauß 1999: 179].

ნასტაგისის საბეჭდავის სტილისტურად მსგავსი გამოსახულებით შემკული ქალცედონისა და სერპენტინის სკარაბეოიდი განხილული აქვს ბორდმანსა და

ვოლენვეიდერს და მათ “ბერნის ჯგუფში” აერთიანებენ. მათგან ერთი, მომდინარეობს ეგვიპტიდან, ხოლო მეორე — ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთიდან. საბეჭდავები დათარიღებულია ძვ. წ. IV საუკუნის გვიანი ხანით [Boardman, Wollenweider 1978: cat. n. 199, 202]. კიდევ ერთი საფირინის სკარაბეოიდი დაცულია აღმოსავლური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, მოსკოვში. გამოსახულება სტილისტურად ძალიან ახლოს დგას ნასტაგისის ცალთან. წარმომავლობად დასახელებულია მცირე აზია. მკვლევარი საბეჭდავს ძვ.წ. V საუკუნით ათარიღებს, თუმცა, ვფიქრობ, ეს თარიღი საფუძვლს მოკლებულია და გამოსახულების სტილის მიხედვით სკარაბეოიდი ძვ.წ. III საუკუნით უნდა დათარიღდეს [Bersina 2010: 42].

ინვ. №102.2. სკარაბეოიდის ფორმის ნაცრისფერი ზოლიანი აქატის მცირე ზომის საბეჭდავი (სურ. 2). საბეჭდავის ბრტყელ პირზე გამოსახულია მხედარი წოპიანი ქუდით მფრინავი ნავარდის პოზაში. მხედარს მაღლა აღმართულ ცალ ხელში მოკლე შუბი უჭირავს და სასროლად ემზადება. ცხენის გამოსახულება მოცულობითია. მხედარი შედარებით სქემატურად, ზედაპირულად არის გამოსახული, დეტალები არ არის დამუშავებული. მსგავსი სიუჟეტები მრვალად გვხვდება ე.წ. ბერძნულ-სპარსული წრისადმი მიკუთვნილ “ბერნის ჯგუფის” სკარაბეოიდებსა და ტაბლოიდებზე [Boardman 1970: cat. n. 881, 882, 883, 925, 973, 974]. გამოსახულების სტილითა და თემატიკით ჩვენს მიერ განხული ზოლიანი აქატის საბეჭდავიც ბერძნულ-სპარსული გლიპტიკის გვიანდელ ე.წ. ბერნის ჯგუფის ძეგლებს უნდა მივაკუთვნოთ. მსგავსი ტიპის ნახევრად გამჭვირვალე ქალცედონის მცირე ზომის სკარაბეოიდის ტიპის საბეჭდავი, რომელზეც მხედარია გამოსახული წოპიანი ქუდით, აღმოჩენილია საგარეჯოს რაიონის სოფელ ჯიმითში და ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში [ჯავახიშილი 2009: 90-91]. სტილისტურად მსგავსი მხედრის გამოსახულებები განხილული აქვს ბორდმანს და მათ ასევე “ბერნის ჯგუფში” აერთიანებს [Boardman 1970: 457, n.974-976]. ქვის სამი სკარაბეოიდი ინახება ჰარვადის ხელოვნების მუზეუმში (მასალები გამოუქვეყნებელია). სამივე მათგანზე მხედარია გამოსახული წოპიანი ქუდით. ორ გემაზე მხედარი შუბს, მის წინ მდგომ ქვეითს უმიზნებს, ხოლო ერთ შემთხვევაში დათვა (სურ. 3) (ფოტოს გამოყენების უფლებისათვის დიდ მადლობას ვუხდი ჰარვარდის ხელოვნების მუზეუმის პერსონალს).

ნასტაგისის სამარხის დათარიღება არ ხერხდება მასში არსებული ძალიან მნირი სამარხეული ინვენტარის გამო, თუმცა ნასტაგისის სამარხები ძირითადად ძვ.წ. II-I სს. მიჯნით თარიღდება [Бохочадзе и др. 1982: 44-51]. სამარხი, რომელშიც სკარაბეოიდის ტიპის საბეჭდავები გამოვლინდა, ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. საბეჭდავებიც სავარაუდოდ ძვ.წ. III-II საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

### ლიტერატურა:

- ჯავახიშილი 2009:** ჯავახიშვილი ქ. საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური საბეჭდავები. - უურ. იბერია-კოლხეთი, რედ. გ. გამყრელიძე, №5, გვ. 85-93.
- Boardman 2000:** Boardman J. Persia and the West, London.
- Boardman1990:** Boardman J. The diffusion of Classical art in Antiquity. London.
- Boardman 1970:** Boardman J. Greek gems and finger rings, London.
- Boardman, Wollenweider 1978:** Boardman J, Wollenweider M.L. Catalogue of the engraved gems and finger rings, Oxford.
- Bersina 2010:** Bersina S. Ancient Gems of the East. Moscow, 2010.
- Furtwangler A. 1900:** Furtwangler A. Die Antiken Gemmen, Band 3, Leipzig-Berlin.
- Gates 2002:** Gates J.E. The Ethnicity Name Game: What Lies behind “Graeco-Persian”? Jour. Ars Orientalis. Vol. 32, Michigan. pp. 105-132.

**Kaptan 2002:** Kaptan D. The Daskyleion Bullae: Seal Images from the Western Achaemenid Empire. Achaemenid History 12. Leiden.

**Maximova 1928:** Maximova M.A. Griechisch-persische Kleinkunst in Kleinasien nach den Perserkriegen, Jour. Archäologischer Anzeiger, Berlin. pp. 650-651, and 670, fig. 24

**Richter 1946:** Richter G. Greeks in Persia. Jour. American Journal of Archaeology, vol. 2, #1, New-York, pp. 15-80.

**Бохочадзе и др. 1982:** - Бохочадзе А., Мирианашвили Н., Нариманишвили Г., Надибайдзе М., Карадзе И., Сургуладзе В., Настакисская археологическая экспедиция Мцхетского р-а, ПАИ- в 1980 году. с. 44-51.

**Никулина 1966:** Никулина М. Малоазийская глиптика второй половины V-IV вв. до н.э. и проблема восточногреческого и греко-персидского искусства. Мос.

### ტაბულების აღწერილობა:

**სურ.** 1. ქალცედონის სკარაბეოიდი და ანაბეჭდი ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებით. ინვ. №102.1.

**სურ.** 2. ზოლიანი აქატის სკარაბეოიდი და ანაბეჭდი მხედრის გამოსახულებით ინვ. №102.2.

**სურ.** 3. ქვის სკარაბეოიდები მხედრის გამოსახულებით; ჰარვარდის ხელოვნების მუზეუმიდან. ინვ. № 1986.563, 1986.568, 1984.817.

სურ. 1




0 1 cm.

სურ. 2



0 1 cm.

სერ. 3



**სვეტიცხოვლის თაძრის გალავნის დასავლეთ კადალთან  
ნარმოებული არეალოგიური გათხრების შედეგები**  
**ქეთევან დილმელაშვილი**

სვეტიცხოვლის გალავანი საამშენებლო წარწერის თანახმად 1787 წ. ერეკლე II ბრძანებითაა აგებული. ამავე წარწერით ირკვევა, რომ სვეტიცხოველს ადრევე ჰქონია გალავანი, რომლის ფრაგმენტები ჩართულია დღევანდელი გალავანის დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში. თუ ერეკლესდროინდელი გალავნის მშენებლობისთვის რიყის ქვა და აგურია გამოყენებული, გალავნის ძველი ნაწილი ნაგებია ნატეხი და თლილი ქვის კვადრებით.

გალავნის დასავლეთი კედელი მისი ყველაზე რთული ნაწილია. აქ კედელში ჩართულია XI ს. კარიბჭე, მელქისედეკის სასახლე და გვიანი პერიოდის სამრეკლო, ხოლო XIX ს-ში შიგნიდან მიაშენეს საცხოვრებელი სახლები და სხვა დანიშნულების ნაგებობები. 1964-65 წწ. გაინმინდა და გაიხსნა (ხელმ. 6. ჩუბინაშვილი და ვ. ცინცაძე) გვიანი შუა საუკუნეებისთვის გაუქმებული კარიბჭე და სამრეკლო, რომელიც თითქმის მიწით იყო დაფარული. ამავე დროს მოიხსნა გალავანზე მიშენებული სახლები და ნაგებობები.

1963-1964 წწ. გაინმინდა და სრულად გამოვლინდა გალავნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩართული მელქისედეკის სასახლე, რომელიც ბოლოს როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის დროს განუახლებიათ. ამავე დროს უნდა გაემართათ აქ ორი მარანი. შემდგომ პერიოდში სასახლე მთლიანად დანგრეულა და მის ადგილას გლეხთა საცხოვრებელი სახლები აშენებულა [ანდლულაძე... 1990: 261-269].

XX ს-ის 50-იანი წლებიდან მოყოლებული სვეტიცხოვლის კომპლექსა და მის შემოგარენში არაერთი არქეოლოგიური კამპანია იქნა ნარმოებული. მათ შორისაა 1960-1961 წწ. გალავნის ჩრდ.-დას. კუთხეში წარმოებული გათხრები, მელქისედეკის სასახლის შესწავლის დროს განხორციელებული სამუშაოები 1963-1964 წწ. (სვეტიცხოველი V), გალავნის სამხრეთ-დასავლეთი კედლის გასწვრივ 1985 წ. გათხრილი ფენები (სვეტიცხოველი VI), ტაძრის ეზოში გათხრილი სამარხები 2001 წ. და თავად ტაძარში 2006 წ. წარმოებული სამუშაოები (სვეტიცხოველი X) (სამწუხაროდ ამ სამუშაოთა შესახებ სრულყოფილი პუბლიკაციები არ არსებობს) [ანდლულაძე... 1990: 261-269; ბოხოჩაძე... 1962: 31-35; კალანდაძე... 1964: 13-17; ბოხოჩაძე 1961: 20; აფაქიძე... 2003: 81-123].

2019 წელს სვეტიცხოვლის გალავნის დასავლეთი კედლის კარიბჭესა და მელქისედეკის სასახლის შუა მონაკვეთს (სიგრძე - 22 მ) ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები: მოიშალა კედლის ავარიული ნაწილი და ის ახლიდან გაკეთდა, კედელს საძირკველში გაუკეთდა საყრდენი, ხოლო ეზოს მხრიდან სამი კონტრფორსი. აღნიშნული სამუშაოები წარიმართა არქეოლოგიური გათხრების თანხლებით. სამწუხაროდ, ერთის მხრივ ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სპეციფიკის, ხოლო მეორეს მხრივ ძეგლის ავარიულობის გამო სამუშაოები განხორციელდა ეტაპობრივად და მხოლოდ სარეაბილიტაციო საჭიროებებიდან გამომდინარე, რის გამოც გათხრების ერთიანი ფოტოფიქსაცია არ მოხერხდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა 4 ქრონოლოგიური ფენა: 1. XVIII ს; 2. XI-XIII სს., 3. ადრეული შუა საუკუნეების და 4. გვიანანტიკური პერიოდის (ტაბ.I).

1. XVIII სს. ფენა უშუალოდ მიწის ამჟამინდელი ზედაპირიდან იწყება და გალავნის მთელ საკვლევ მონაკვეთზე ინტენსიურია (0.6-1 მ სისქით) (ტაბ.I). ის წარმოდგენილია გალავანზე მიღვმული ნაგებობების სამეურნეო ნაწილებით, რომელიც ერთმანეთისგან გალავანზე მიშენებული 4 კედლით იმიჯნება (კედლები №1-4). კედლებისა და კულტურული ფენების განლაგებით თუ ვიმსჯელებთ, მათ ტერასული განლაგება უნდა ჰქონოდათ სამხრეთისკენ დაფერდებით. კედლების უმეტესი ნაწილი ქვიტკირისაა. ერთ

კედელზე გამოყენებულია ბრტყელი აგური (კედელი №2). კედელი 3 კი წინა ეპოქის კედელზე იყო დაშენებული. როგორც გათხრებმა უჩვენა, ეს კედელი თავის დროს რაღაც ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს ქმნიდა, რომელმაც მას შემდეგ დაკარგა ფასადურობა, რაც ნაგებობის დას. კედელი გალავნის კედლად აქციეს (აღნიშნული ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე განხორციელებული სამუშაოების შედეგად გაიხსნა და დატოვებულ იქნა საჩვენებლად). აღნიშნულ ნაგებობებს თიხატკეპნილი იატაკი ქონიათ, რომელიც წინა ეპოქის ნანგრევ ფენაზეა გამართული.

უკიდურეს სამხრეთ ნაწილში (პირობითად №1 სათავსოში) დადასტურდა ლია ჩალისფრად გამომწვარი თონე (თონე №1), რომელიც გაუქმების შემდეგ ქვითა და ნარჩენებით შეუვსიათ. ის იატაკში ჩადგმული იყო 33 სმ-ით, ზეძირკვლის დონეზე კი თიხატკეპნილით იყო შემაგრებული. თონის იატაკად აგურის კვადრატული ფილები გამოუყენებიათ. თონის კეცი ხონის კვალით იყო მთლიანად დაფარული (სიმაღლე იატაკის ზემოთ - 70 სმ, დმ - 72 სმ, კედლის სისქე - 3 სმ) (ტაბ.II-1).

მონაკვეთის შუა ნაწილში (პირობითად №2 სათავსოში) დადასტურდა ერთმანეთის გვერდით ჩადგმული ორი თონე (№3-4) და ხაროსებრი ნაგებობა (№1) (ტაბ.II-2). ხაროსებრი ნაგებობა მინის თანამედროვე ზედაპირიდან 30 სმ-ის სილრმეზე იწყებოდა. ნაგები იყო ბრტყელი აგურით და ნატეხი ქვით დუღაბზე (სიმაღლე - 1.45 მ, დმ - 1.45 მ). პირი ოდნავ შევინწროვებული ქონდა, ფსკერი სწორი და მოშანდაკებული. ფსკერზე დაფიქსირდა კარგად დაწნეხილი მოყავისფრო მასა (8 სმ სისქეზე). მოგვიანო ეტაპზე ის გაუქმებიათ და ამოუვსიათ ქვით, აგურის ნატეხებით, მიწით და დაზიანებული ჭურჭლით. გაუქმების შემდეგ მასზე სანახევროდ დაუდგამთ თონე (№4), რომლის გვერდზე კიდევ ერთი თონე იყო გამართული (№3). ორივე თონე ერთნაირად, ყავისფრად გამომწვარი და მცირე რადიუსიანი იყო. ორივეში დაფიქსირდა ნაცარი.

საკვლევი მონაკვეთის უკიდურეს ჩრდილოეთ, №4 სათავსოში გაიწმინდა ყავისფრად გამომწვარი ორი ქოცოს ფრაგმენტები. ქოცოები ჩაკირული ყოფილა. ამ ფენიდან მომდინარე კერამიკა ჭურჭლითა ნარმოდგენილი. მათგან გამოსაყოფა №1 ნაგებობაში, კედლის ძირში, იატაკზე წაქცეული დოქი, მაღალი ყელით და ბადისებრი ორნამენტით დაღარული სფერული მუცლით, და ხაროსებრ ნაგებობაში აღმოჩენილი ჭურჭელი (კეცი, ქილა, ხუფი, ჭრაქები, დოქები, ფიალები და თეფშები) (ტაბ.V-1).

მათგან ჭრაქები ნიჟარისებური ჭრაქების რიცხვს მიეკუთვნება და XVII-XVIII სს. თარიღდება. მსგავსები აღმოჩენილია მელქისედეკის სასახლის ტერიტორიაზე გამართული სახლების კულტურულ ფენებშიც [არჩვაძე 1978: 113-115]; დოქები, რომლებიც ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი მაღალი, კონუსური ყელით, ყელსა და მხარზე მიძერნილი მართკუთხა ყურითა და მსხლისებური მუცლის ქონე ყოფილა. ყველა წითლად იყო შეღებილი. ნაწილს თევზითხური ორნამენტით შემკული მუცელი ქონია. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია თბილისში, ქარვასლის და სინაგოგის გათხრებისას, თბილისის დედაციხეზე, მცხეთაში მელქისედეკის სასახლის ტერიტორიაზე ნასახლართა ფენაში და ყველა შემთხვევაში დათარიღებულია XVII-XVIII საუკუნეებით [მინდორაშვილი 2009: 23; არჩვაძე 1974: 177-178]; ჯამები ხასიათდება შიგნით ჩაკეცილი ბრტყელი ბაკოთი, დაქანებული მაღალი კალთით, გამოყოფილი გულშეზნექილი ქუსლით. შეღებილია წითლად და ზედაპირზე წნევით დატანილი ზოლები დასდევს. ასევე ერთნაირია თეფშები: გარეთ ჩაკეცილი ბაკოთი, ვერტიკალური მხრით, დაქანებული კალთით და პატარა ქუსლისებრი ძირით. ნაწილი შეღებილია წითლად. წერნაქით შეღებილი და წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით შემკული ფიალების თუ თეფშების მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია თელავის, თბილისის ქარვასლის XVIII ს. ფენებში [ჩიკოძე 1974: 68-82; არჩვაძე 1974: 174-187; მინდორაშვილი 2009: 23-24].

ამდენად აღნიშნული ფენა XVIII ს-ით უნდა დათარიღდეს, თუმცა მასში შესაძლოა გამოიყოს ორი ეტაპი: პირველი ალბათ სათავსოთა გამართვის ეტაპია, როცა გაკეთდა ხაროც, ხოლო მომდევნო ეტაპზე უკვე ხარო უქმდება და მის ადგილას თონეები იდგმება.

მეორე ქრონოლოგიური ფენა განვითარებულ შუა საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს და განსხვავებით სხვა პერიოდის ფენებისგან, მხოლოდ საკულევი მონაკვეთის სამხრეთ ნაწილში დადასტურდა. ის წარმოდგენილი იყო თავად გალავნის კედლით საძირკვლითურთ, მასზე მიშენებული რიყის ქვის ტალახზე ნაგები კედლის ნაშთით, სამეურნეო ორმოსა და სხვადასხვა არტეფაქტებით (ტაბ.I).

მელქისედეკის გალავანს, რომელზეც ერეკლე მეფის დროინდელი გალავანია აშენებული, საკმაოდ მკვრივ დუღაბზე ნაგები რიყის ქვის საძირკველი ქონია (მინის თანამედროვე ზედაპირიდან 1.35 მ სიღრმემდე) (ტაბ.III-1).

საინტერესოა, რომ ტაძრის მშენებლობის დროინდელი გალავანი კარიბჭემდე არ გრძელდება და არც არასოდეს ყოფილა. უფრო მეტიც, განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად არათუ არც სხვა კედლების ნაშთები გამოვლენილა ამ მონაკვეთში, არამედ განვითარებული შუა საუკუნეების ფენაც არ დადასტურებულა: ერეკლესდროინდელი გალავანი ამ ნაწილში უშუალოდ ადრეული შუა საუკუნეების ფენაზეა დაშენებული (ტაბ.I, IV-1,2). სამწუხაროდ, შესწავლილი მონაკვეთის მოცულობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ რითიმე ავხსნათ ამ ადგილას განვითარებული შუა საუკუნეების ფენების არარსებობა.

ამ ფენას ეკუთვნის გალავანზე მიღვმული რიყის ქვის კედელი (№5), რომელიც ტალახითაა შემტკიცებული. კედელი XVIII ს-ის სამეურნეო ნაგებობის გამართვისას დაუზიანებიათ, ამიტომ ის ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი. თავად კედლის მშენებლობისას კი დაუზიანებიათ წინა პერიოდის თონე (№2) (ტაბ.I, II-1).

№5 კედლის ჩრდილოეთით დაფიქსირდა 2 მ დიამეტრის სამეურნეო ორმო (ტაბ.I, III-2), რომელიც გალავნის საძირკვლის გასწვრივ იყო გაჭრილი გალავნის მშენებლობის შემდგომ (ორმოს სრული სიღრმის დადგენა არ მოხერხდა, რადგან ის ჩვენს მიერ შესწავლილი 2 მეტრის ქვემოთ გრძელდებოდა). ორმო სავსე იყო რიყის ქვით, ორივე სახის კრამიტისა და სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტებით. კრამიტები წარმოდგენილი იყო განვითარებული შუა საუკუნეებისთვის მახასიათებელი ბრტყელი კრამიტისა და ღარიანი კრამიტის ნატეხებით. ჭურჭლიდან კი გამოიყო ქვევრის (ანალოგიური ქვევრი გაითხარა საკვლევი მონაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ადრეული შუა საუკუნეების ფენაში), ქოთნის და სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები. სამეურნეო ორმო XVIII ს. სამეურნეო ნაგებობის მშენებლობის დროს გაუქმდებულია და მასზე ამ ნაგებობის ერთ-ერთი კედელია (№2) აშენებული.

ამ ფენის კუთვნილი არტეფაქტები მცირეა. მათგან გამოიყო მრავალფრად, ცისფრად და მწვანედ მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, რომლებიც განვითარებული შუა საუკუნეების ბოლო ეტაპის დაუდევრად მოჭიქული ჭურჭლის მსგავსია და ამავე პერიოდის თეთრ ანგობზე მწვანე სალებავის ნალვენთით მოხატული ბორბლისებურქუსლიანი ჯამი (ჯამის ზომებია: სიმაღლე - 7,5 სმ, პირის დმ - 16,5 სმ, ქუსლის დმ - 7,2 სმ, კეცის სისქე - 0,7 სმ.) (ტაბ.V-2). მოჭიქული ჭურჭლის მსგავსი ნიმუშები მრავლადაა აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების ნაქალაქარებზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კანკელის ორი ფილის ფრაგმენტი, რომლებიც მელქისედეკის დროინდელი გალავნის კედლის ჩრდილოეთით, მისი საძირკვლის დონეზე აღმოჩენდა (ზეთსახდელი ქვების გასწვრივ). კანკელის ფრაგმენტები თეძმის მწვანე ტუფისგანაა დამზადებული. ერთ მათგანზე მცენარეული ორნამენტია მოცემული და ამდენად, კანკელის ქვედა ტიხრის ჩარჩოს ნარმოადგენს. მეორეზე კი ორი მხედრის ჰერალდიკური გამოსახულებაა. მარჯვენა მხედრიდან მხოლოდ ცხენის წინა ფეხი და ფლოქვია შემორჩენილი. მარცხნივ გამოსახული მხედრის ცხენი წინა ფეხებით

შემართულია. მხედარს მოკლე რომაული სამხედრო ტანისამოსი მოსავს. ხელში შუბი უპყრია. ზედა ნაწილი არაა შემორჩენილი (ტაბ.VII-1-2).

მხედრების ჰერალდიკური გამოსახულებები ქართულ ხუროთმოძღვრულ რელიეფში VII-VIII საუკუნეებიდან ჩნდება და განსაკუთრებით მახასიათებელია განვითარებული შუა საუკუნეების რელიეფისთვის (წებელდის კანკელი, მარტვილის, ჯოისუბნის, ჯრუჭის, ვალეს, ნიკორწმინდის ტაძრები, იყალთოს ტრაპეზი, სათხის კანკელი). როგორც კვლევებმა უჩვენა, ძირითადად გამოსახავდნენ ნმ. გიორგისა და ნმ. თევდორეს (მახასიათებელი ნიშნები: წვერი და უწვერულობა, შუბების ვერტიკალურობა და დიაგონალურობა, დამარცხებულ მოწინააღმდეგები იმპერატორისა და გველეშაპის გამოხატულება).

მაგრამ ამ ორიდან რომელია შემორჩენილი სვეტიცხოვლის ფრაგმენტზე, ძნელი სათქმელია, რადგან ის მახასიათებელი დეტალები, რაც ამ ორ წმინდანს ერთმანეთისგან მკვეთრად ასხვავებს (წვერი და მოწინააღმდეგები), არ შემორჩა. შუბის დიაგონალური მოცემულობა კი (მის მოწინააღმდეგები კი ვერტიკალურობა), მყარი მაიდნენტიფიცირებელი ვერ იქნება, რადგან რელიეფებში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა შუბის დახრილობის ფორმა ნმ. გიორგისა და თევდორესთან მონაცემლეობს (მაგალითად, თუ როგორც წესი, ნმ. გიორგის შუბი ვერტიკალში უნდა იყოს მოცემული, საფარის კანკელზე ის დიაგონალურადაა მოცემული; თუ ნმ. თევდორეს შუბი, როგორც წესი, დიაგონალში უნდა იყოს მოცემული, ჯოისუბნისა და სათხის შემთხვევაში ის ვერტიკალურადაა გამოსახული) [ხუნდაძე... 2017; შმერლინგ 1962].

კანკელის მეორე ფრაგმენტი სიუჟეტური და კვეთის მანერის მიხედვით ძლიერ გავს სვეტიცხოვლისავე, ალავერდის, ურთხვის, შომღვიმის, იყალთოს კანკელებს, რომელებიც სათანადო კვლევების საფუძველზე XI ს. პირველი მეოთხედითაა დათარიღებული და შიომღვიმისა და ალავერდის კანკელთა პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე მელქისედეკ კათოლიკოსის სახელს უკავშირდება [შმერლინგ 1962; გაგოშიძე 2006: 24-31; ხუნდაძე... 2017].

ამდენად, სტილისტური ნიშნებით კანკელის ფრაგმენტები ერთიდაიგივე კანკელის ფრაგმენტებად უნდა მოვიაზროთ და ტაძრის შენების პერიოდით - XI ს. პირველი მეოთხედით უნდა დათარიღდეს.

ამავე, განვითარებული შუა საუკუნეების ფენაში, კანკელის ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა თეთრი ტუფის ქვაში ნაკვეთი კანკელის (?) ფრაგმენტი, რომელიც 11,5 სმ სისქისაა. ზურგი, მარცხენა და ზედა ნახნაგი დასრულებული აქვს (ტაბ.VII-3), ზედაპირზე კი მოცემულია დიაგონალური ზოლებით დაფარული, შეწყვილებული ლილვის მქონე სვეტი და მის კაპიტელზე გადასული ორი თაღი, რომელთა შორის რვაფურცელა ვარდულია მოთავსებული. ლილვებისა და თაღთა შემკობის სტილით, ასევე ვარდულის ფორმით და საერთო მახასიათებლებით რელიეფი V-VI საუკუნეების სტელებისა და ქვაჯვარების (მაგ. ნაგზაურის კომპლექსი, დამბლუტისწყლის მცირე ეკლესია, ბალიჭის და ბუჩქრაშენის ეკლესიები) გამოსახულებებთან ავლენს სიახლოვეს და ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს [კახიანი... 2012: ტაბ.18-20; ჯაფარიძე 1982: ტაბ. XXVI, XXVII, XV, XXI]. ფრაგმენტის ზედაპირზე, სვეტის მარცხენა მხარეს რამდენიმე X-XI სს. ნუსხური ლაპიდარული წარწერის ფრაგმენტია შემორჩენილი, რაც მეტყველებს, რომ კანკელი (?) რამდენიმე საუკუნის მანძილზე თავის ადგილას „მდგარა“, შემდეგ კი უკვე დაზიანებული, მელქისედეკის დროინდელი ტაძრის კანკელის ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა მინაში.

განვითარებული შუა საუკუნეების ქვეშ საკვლევი მონაკვეთის მთელ სიგრძეზე აღრეული შუა საუკუნეების მძლავრი ფენა დაფიქსირდა (ტაბ.I, IV-2). როგორც ჩანს, საქმე უნდა გვქონდეს სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებთან. მათ კრამიტის სახურავი ქონიათ, რაზეც მოწმობს, ამ ფენაში მთელს სიგრძეზე ჩამსხვრეული კრამიტების მძლავრი ფენა. ნგრევის პროცესი კარგად დადასტურდა №7 კედლის შემთხვევაშიც,

რომელიც სამხრეთით გადაქცეულა და ქვეშ მოუყოლებია სხვადასხვა ჭურჭელი. ამ ნაგებობათა კედლებიდან გაინმინდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე აღმართული ტალახზე ნაგები ქვის ორი კედლის ნაშთი (შემორჩენილი სიმაღლე 0.4-0.50 მ, სისქე - 50-80 სმ). ნაგებობებში დადასტურდა თონე და ოთხი სხვადასხვა ზომის ქვევრი.

თონე (№2) გამომწვარი იყო მოყავისფროდ (ტაბ.I, II-1), დამზადებული წმინდად განლექილი თიხისგან (სიმაღლე - 47 სმ, ღმ - 50 სმ, კედლის სისქე - 5 სმ). ის დამზადებული მოუტანიათ და ადგილზე ჩაუდგამთ. გარშემო თონისკენ შემაღლებული კირხსნარიანი იატაკი იყო მოწყობილი. სწორედ ამ იატაკზე იყო ამოყვანილი განვითარებული შუა საუკუნეების რიყის ქვის კედელი (№5), რომელმაც თონის დასავლეთი ნაწილი ჩაჭრა. თონე სავსე იყო ნაცრით, რომელიც საკმაოდ ხშირი ფენით დაფიქსირდა თონის გარშემოც.

ქვევრები სხვადასხვა ზომის გახლდათ (ღმ - 65-100 სმ) (ტაბ.IV-3). გამომწვარი იყო მოვარდისფრო-მოჩალისფროდ, ქონდათ წმინდად განლექილი, თხელი ან საშუალო სისქის კეცი და ბრტყელი ძირი. უმეტესობას ზედაპირზე შემოსდევდა ჭდეული ან სადა ქედები. ქვევრების პირების შესახებ რამის თქმა ძნელია, რადგან შემდგომი პერიოდის ფენით იყო დაზიანებული და მორღვეული.

ქვევრები სავსე იყო მინით, რომელშიც ერია ცხოველთა ოსტეოლოგიური ნარჩენები, ნახშირის ნამცეცები და ადრეული შუა საუკუნეებისთვის მახასიათებელი კრამიტების და ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის ნუნდებულიც, რაც ადგილზე მის ნამზადობას უსვამს ხაზს. ქვევრები ერთმანეთის გვერდით თიხნარ გრუნტში, უდუღაბოდ იყო ჩადგმული, სხვადასხვა დონეზე, რაც მათი სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებით უნდა აიხსნას. ამ ფენის მონაპოვარი მოითვლის კერამიკულ ნაწარმს, ბრინჯაოს ფიბულას და რელიეფურ არქიტექტურულ დეტალს (ტაბ.VI-1, VII-3).

კერამიკა გამომწვარია ღია მოჩალისფროდ ან მოწითალოდ. ერთ ნაწილს ზედაპირზე დასდევს ხონის კვალი და ტალღოვანი ორნამენტი. დოქებს ყელზე ერთი ან ორი წიბო შემოსდევს. ყურები ოვალურგანივეკვეთიანია და მიძერნილია პირსა და მხარზე, ყურის თავზე კოპებით. მსგავსი ჭურჭელი მრავლადაა აღმოჩენილი არმაზციხეზე, არმაზისხევში, რუსთავში, სვეტიცხოვლის უბნის ნამოსახლარებზე, ურბნისში (ურბნისში მსგავსი ყელწიბოიანი, მხარსა და ყელზე დაძერნილ ყურიანი ჭურჭელი აღმოჩენილია დამწვარი ნაგებობის იატაკზე, რომელიც სტატიგრაფიულად კარგად თარიღდება V ს.) [პაჭიკაშვილი 2014: 95; ნიკოლაიშვილი 2013: 8-15; ნარიმანიშვილი 2016: 120-146; ჭილაშვილი 1964: 78-79, 90-101; აფაქიძე...1955].

XVIII ს. გალავნის კედლის ძირში ადრეული შუა საუკუნეების ფენაში აღმოჩნდა ბუდეაბმული და მუხლჩახრილი ბრინჯაოს ფიბულა, ხოლო უშუალოდ გალავნის კედლის ქვეშ კაპიტელის ფრაგმენტი. ის კირქვისაა, ორი მოპირდაპირე მხარე დამუშავებულია (ტაბ.VII-3): ზედა კიდეს სადა ლილვი გასდევს, ხოლო ქვედა - თაროსებურადაა დასრულებული. მარჯვენა და მარცხენა კიდე ჩამოტეხილია. ზედაპირზე მოცემულია ოთხფურცელა ვარდულების - „ხუთანების“ ერთი რიგი.

მსგავსი ორნამენტი IV-VI სს. ქართული არქიტექტურული ნაგებობების დამახასიათებელი დეტალია. ისინი გამოყენებულია ბოლნისის სიონისა და ივრის სიონის კაპიტელებზე. ანალოგიური კი შემორჩენილია ვახტანგ გორგასლის დროინდელი სვეტიცხოვლის სვეტის კაპიტელებზე. გარდა სტილისტური მსგავსებისა, აღმოჩენილი ფრაგმენტი ზომებშიც თანხვდება სვეტიცხოვლის კაპიტელის რელიეფების ზომებს: ტაძარში დაცული კაპიტელების სიმაღლე 20-25 სმ შორის მერყეობს, აღმოჩენილის სიმაღლე კი 22 სმ-ია. ამდენად, ეჭვგარეშეა, რომ აღმოჩენილი ფრაგმენტი ვახტანგ გორგასლის დროინდელი სვეტიცხოვლის ბაზილიკის კუთვნილად უნდა მოვიაზროთ.

აღნიშნული ადრეული შუა საუკუნეების ფენაში მელქისედეკის დროინდელი გალავნის კედლის კიდეში აღმოჩნდა ერთმანეთზე საფეხურებად დალაგებული ორი ზეთსახდელი

ქვა, ხოლო მათსა და გალავნის საძირკულს შორის ქვიშაქვის კვადრი ( $70 \times 35 \times 40$  სმ) ზედაპირზე მართულთხა ფოსოთი (25 სმ სიღრმით) (ტაბ.I, II-3, III-3). ზეთსახდელებიდან, ზედას ერთი ლარი აქვს თავისი სატუჩეთი (ზომები:  $0.78 \times 0.97 \times 0.22$  მ, ლარის დღ - 0.56 მ), ქვედას კი ორი (ზომები:  $0.60 \times 0.98 \times 0.28$  მ, ლარის დღ - 0.55 მ). რა დანიშნულებით იყო აღნიშნული ქვები ასე განლაგებული ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი წინა ეპოქის ზეთსახდელებია და გალავნის მშენებლობისას უნდა გამოეყენებინათ.

მეოთხე კულტურული ფენა გვიანანტიკური პერიოდისაა. ის უშუალოდ მოსდევს ადრეული შუა საუკუნეების ფენას (ტაბ.I). ამ პერიოდის გამოყოფა წინისგან მოხერხდა ცალკეული მასალის მიხედვით. ესაა წითლად შეღებილი ბრტყელი და ლარიანი კრამიტის ფრაგმენტები და ცალკეული ფრაგმენტები სხვადასხვა ჭურჭლისა (ტაბ.VI-2). მათგან გამოსაყოფა:

1. ლამბაქისებური ჭრაქი, რომელიც მცხეთის II-IV სს. I ნახ. კერამიკული ნაწარმის ტიპიური ნიმუშია და ამ პერიოდით დათარიღებულ თითქმის ყველა უბანზეა დაფიქსირებული არა მხოლოდ ნამოსახლარებზე, არამედ სამარხებშიც (არმაზციხე, არმაზისხევი, კარსნისხევი, სვეტიცხოველი II, VIII, სვეტიცხოველი IV №46 და ბაიათხევის №35 სამარხები [ნიკოლაიშვილი 1993: 8-26; აფაქიძე... 1981: 158; ნიკოლაიშვილი 2013: 8-15; აფაქიძე... 1995: 14; ნიკოლაიშვილი... 1995: 133]).

2. ქოთნების პირის ფრაგმენტები, წმინდად განლექილი კეცით, ღიაჩალისფრად გამომწვარი, ზედაპირზე ჩარხისმიერი პასტელისებური ფერის ზოლებით. მსგავსი ფაქტურის და ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია არმაზციხეზე, არმაზისხევში, კარსნისხევში და ასევე II-IV სს. თარიღდება [ნიკოლაიშვილი 1993: 8-26].

3. ზედაპირნაპრიალები, ნარიჯისფერკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები. მსგავსი ჭურჭელი დადასტურებულია რგანის, მოდინახეს, ურბნისის IV ს. სამარხებში და ამავე პერიოდის რუსთავის, ლოჭინის ნამოსახლარ ფენებში [ბრაგვაძე 2000: 107-119; ბრაგვაძე... 2004: 91-141; ჭილაშვილი 1964: 78-79; ჭილაშვილი 1958: ტაბ.V; აბრამიშვილი... 1962: სურ.4].

გვიანანტიკური ხანის ფენის ქვეშ უძრავი თიხნარი გრუნტია. ამდენად, 2019 წ. სვეტიცხოვლის გალავნის დასავლეთი კედლის სამხრეთი ნაწილის შიდა პერიმეტრზე განხორციელებული სამუშაოების შედეგად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეემატა სვეტიცხოვლის ისტორიას:

გაირკვა, რომ მელქისედეკის დროინდელი გალავანი კარიბჭეს სამხრეთიდან არ ერწყმოდა და მათ შორის რაღაც ნაგებობა უნდა მდგარიყო; გამოვლინდა გორგასლის დროინდელი არქიტექტურული და მცირე პლასტიკის ნიმუშები და მელქისედეკის დროინდელი ტაძრის კანკელის ფრაგმენტები, რითიც მეტი ნამოდგენა შეგვექმნა კანკელის გადაწყვეტის დეტალებზე; გაირკვა, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ამ მონაკვეთზე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები მდგარა. კომპლექსის ეზოში მომავალი გათხრების ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება, იმის გარკვევა, აღნიშნული ნაგებობები მოსახლეობის კუთვნილი იყო, თუ ტაძრის სამეურნეო ნაწილს წარმოადგენდა.

### ლიტერატურა:

**აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. 1962: ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები. - ჟურნ. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. XXIII-. თბ., გვ.197-201.**

**ანდოულაძე ნ., ბოხოჩაძე ა., დევდარიანი ფ., ვანიშვილი შ., ზაქარაია პ. 1990: სვეტიცხოველი. - კრებ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. V, თბ., გვ.261-269.**

- არჩვაძე თ. 1974:** თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი წერნაქიანი ჭურჭელი. – კრებ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. II. თბ., გვ.174-187.
- არჩვაძე თ. 1978:** აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნაწარმი. კრებ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. III. თბ., გვ.111-131.
- აფაქიძე ან.,** გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955: მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. I. თბ.
- აფაქიძე ან.,** აბდუშელიშვილი მ., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., მანჯგალაძე გ., გიუნაშვილი გ., ძნელაძე მ., სადრაძე ვ., ირემაშვილი შ. 1981: მცხეთა – 1978 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – კრებ. მცხეთა. V. თბ., გვ.153-169.
- აფაქიძე ან.,** ნიკოლაიშვილი ვ. 1985: დიდი მცხეთის ტერიტორიზე 1985 წელს ჩატარებული კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. ანგარიში დაცულია დიდი მცხეთის არქეოლოგიურ-სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში.
- აფაქიძე ან.,** ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., მანჯგალაძე გ., ძნელაძე მ., სადრაძე ვ., დავლიანიძე რ. 1995: მცხეთა - 82 (1982 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა ძიების შედეგები). - კრებ. მცხეთა. X. თბ., გვ.6-57.
- აფაქიძე ან.,** ყიფიანი გ., მანჯგალაძე გ., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., კაპანაძე მ., სიხარულიძე ა. 2003: სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები. მცხეთა 2001. – კრებ. 2001 და 2002 წლების საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების ანგარიშები. თბ., გვ.55-123.
- ბოხოჩაძე ალ.,** კალანდაძე ალ., ფიცხელაური კ. 1962: მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1961 წლის მუშაობის შედეგებისათვის. – კრებ. საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბ.
- ბოხოჩაძე ალ.** 1961: მასალები შუაფეოდალური ხანის მცხეთის ისტორიისათვის. – კრებ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიის ძეგლები. I. თბ., გვ.20-25.
- ბრაგვაძე ზ. 2000:** რგანის სამაროვანი. – არქეოლოგიური უურნალი. I, გვ.107-119.
- ბრაგვაძე ზ., ჩიგოგიძე ქ.** 2004: მოდინახეს სამაროვანი. – კრებ. არქეოლოგიური უურნალი. II. თბ., გვ.91-141.
- გაგოშიძე გ. 2006:** ალავერდის ტაძრის თავდაპირველი კანკელის ფრაგმენტები. – კრებ. ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები. 1. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი-თელავი-ალავერდი, გვ.24-31.
- კახიანი კ., ჭანიშვილი გ., კოპალიანი ჯ., მაჩაბელი კ., ალექსიძე ზ., ლლილვაშვილი ე., პატარიძე ნ. 2012:** ადრექტისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან. თბ.
- კალანდაძე ა., ბოხოჩაძე ა. 1964:** მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. – სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ.
- მინდორაშვილი დ. 2009:** არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში. თბ.
- ნარიმანიშვილი გ. 2016:** არმაზისხევის არქეოლოგიური კომპლექსის 2014-2015 წწ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. – უურნ. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. №23, თბ., გვ.92-101.
- ნიკოლაიშვილი ვ. 1993:** კარსნისხევი მეთუნეთა დასახლება. თბ.
- ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995:** ბაიათხევი, კრებ. მცხეთა. X. თბ., გვ.97-134.
- ნიკოლაიშვილი ვ. 2013:** არმაზციხე-ბაგინეთი, ახალი არქეოლოგიური გათხრები. – უურ. ძველი ხელოვნება დღეს. №4, თბ., გვ.8-16.
- პაჭიკაშვილი ნ. 2014:** ძველი რუსთავი. თბ.
- ჩიკოიძე ც. 1974:** თელავი გვიანფეოდალურ ხანაში. – კრებ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. II. თბ., გვ.68-82.
- ჭილაშვილი ლ. 1958:** ქალაქი რუსთავი. თბ.
- ჭილაშვილი ლ. 1964:** ნაქალაქარი ურბნისი. თბ.

**ხუნდაძე თ., კვაჭატაძე ე., დადიანი თ. 2017:** შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება. თბ.  
**ჯაფარიძე ვ. 1982:** ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო  
ქართლიდან. თბ.

Шмерлинг Р. 1962: Малые Формы в архитектуре средневековой Грузии. Тб.

#### **ტაბულების აღწერილობა:**

**ტაბ. I** – გეგმა და ჭრილი.

**ტაბ. II** – 1 – ადრეული, განვითარებული და XVIII ს. ფენების ჭრილი; 2 – XVIII ს. თონეები  
და ხარო; 3 – ზეთსახდელი ქვები.


**ტაბ. III** – 1 – XI ს. გალავნის საძირკველი; 2 – განვითარებული შუა საუკუნეების  
ნაგებობის იატაკი და სამეურნეო ორმო; 3 – გვიანანტიკური პერიოდის ფენა და მასში<sup>ჩაჭრილი</sup> განვითარებული შუა საუკუნეების სამეურნეო ორმო.

**ტაბ. IV** – 1-2 – ჭრილები გალავნის კედლის ძირში; 3 – V-VI სს. ქვევრები.

**ტაბ. V** – 1 – XVIII ს. მასალა; 2 – განვითარებული შუა საუკუნეების მასალა.

**ტაბ. VI** – 1 – V-VI სს. მასალა; 2 – გვიანანტიკური პერიოდის მასალა.

**ტაბ. VII** – 1-2 – XI ს. კანკელის ფრაგმენტები; 3 – V-VI სს. კანკელის (?) ფრაგმენტი, 4 – V ს.  
ბაზილიკის სვეტის კაპიტელის ფრაგმენტი.



II



1



2



3

III



1



2



3

IV



1



2



3

V



1



2



VI



- - -  
1



- - -



- - -  
2

VII



1



2



3



4



**ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის ხეობიდან**  
**(მოდინახეს სამაროვნის მიხედვით)**  
ნანა კაპანაძე

მოდინახეს სამაროვანი 1966-81 წლებში იქნა შესწავლილი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ჯ.ნადირაძის ხელმძღვანელობით. 1995 წელს ამავე ექსპედიციამ (ხელმძ. გ. მახარაძე) ამავე სამაროვანზე ჩატარა მცირე მასშტაბის სამუშაოები და დამატებით გამოავლინა ადრეული შუა საუკუნეების 6 სამარხი. სულ მოდინახეზე აღმოჩენილია ადრეული შუა საუკუნეების 36 სამარხი, მათგან 12 უინვენტაროა. მოდინახეს სამარხები იმითაც არის საყურადღებო, რომ ისინი შეიცავს თუნის ნაწარმს, რაც ესოდენ იშვიათი მოვლენაა ადრე შუა საუკუნეების კომპლექსებისთვის. კერამიკული ნიმუშები აღმოჩნდა 12 სამარხში (სულ 16 ერთეული.) სახეობების მიხედვით ისინი იყოფა რამდენიმე ჯგუფად: ჩაფი, დოქი და ხელადა.

ჩაფი აღმოჩენილია №3 სამარხში (სურ.1). მისთვის დამახასიათებელია რუხი-ვარდისფერი მრგვალი პირი, ცილინდრული ყელი, მრგვალი კორპუსი და ბრტყელი ძირი. მხრებზე და ყელზე მიძერნილი აქვს ოვალურგანივევეთიანი ყურები. განხილული ჩაფი საკმაოდ ჰქონდა დილმის ხეობაში, თრელიგორის ნასახლარზე მიკვლეულ ნიმუშებს, რომლებიც ზოგადად III-VI საუკუნეებით თარიღდება. ვ.ნიკოლაიშვილი აღნიშნულ ნიმუშებს დერგისებურ ჭურჭლებად მიიჩნევს [ნიკოლაიშვილი 1985: ტაბ. XIV].

VI-VII საუკუნეების ანალოგიური ჩაფები მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე: მცხეთა [სინაურიძე 1966: 58], ურბნისი [ჭილაშვილი 1964: 110-113], უფლისციხე [მინდორაშვილი 1990], ივრის ხეობა [ჯორბენაძე 1982: 28], დარიალის ციხე [მინდორაშვილი 2004: 113] და სხვ. ყველაზე ახლო ანალოგებს მოდინახეზე აღმოჩენილი ჩაფი იჩენს ზღუდერში მიკვლეულ ნიმუშებთან. მსგავსება ვლინდება როგორც გარეგნული ფორმის, ასევე ფერის მიხედვითაც. ზღუდრის ჩაფები გ. ნემსაძის მიერ დათარიღებულია IV-V საუკუნეებით [ნემსაძე 1991: 118].

ორყურა ჩაფები საკმაო რაოდენობით არის აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოშიც. ისინი მიკვლეულია ციხისძირში [ინაიშვილი 1993: 51-60], ვაშნარში და ვარდციხეში [ჯაფარიძე 1989: 70]. ანალოგიური ჩაფები მოიპოვება საკუთრივ მოდინახეს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხებშიც [ნადირაძე 1975: 57]. აღნიშნულ ჭურჭლებს ჰქონდათ საკმაოდ დიდი პრაქტიკული გამოყენება. იმასაც ფიქრობენ, რომ ორყურა ჩაფები თავისი გენეზისით უკავშირდება ამფორებს და გამოიყენებოდა როგორც კერამიკული ტარა [ჯაფარიძე 1989: 70]. მართლაც, ამგვარი ფორმის ჭურჭელი პრაქტიკული უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, ორი ყურის გამო მოსახერხებელი იქნებოდა ასაწევად და მეორე მხრივ, ბრტყელი ძირის გამო მოსახერხებელია დასადგმელადაც, ამფორებისგან განსხვავებით [სინაურიძე 1966: 58].

რაც შეეხება დოქებს და ხელადებს, მათ შორის შესაძლებელია სამი ტიპის გამოყოფა. პირველ ტიპში ვაერთიანებთ მსხლისებურკორპუსიან ნიმუშებს, მეორე ტიპი წარმოდგენილია მრგვალმუცლიანი და ყელნიბოიანი ნიმუშებით, ხოლო მესამე ტიპს ვაკუოვნებთ სფერულმუცლიან და მრგვალყელიან დაბალ ხელადას.

I ტიპის, მსხლისებურკორპუსიანი დოქები (სურ. 2) და ხელადები (სურ. 3) ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიმუშებია ზემო იმერეთის გვიანანტიკური—ადრე შუა საუკუნეების კომპლექსებისათვის. ისინი აღმოჩენილია მოდინახეს სამაროვანზე [ნადირაძე 1975: 43-75], რგანის სამაროვანზე [ბრაგვაძე 2000: 107-151], ჯიეთის სამაროვანზე [სონღულაშვილი 2006: 132-138]. აღნიშნული ნაწარმისათვის დამახასიათებელია მრგვალი პირი, ვიწრო ყელი, მკვეთრად დაქანებული მხრები და

მრგვალი ძირი. თიხა უმეტესწილად კარგად არის განლექილი, თუმცა, შეიმჩნევა კვარცისა და ქარსის მცირე მინარევები. ფერი ხშირ შემთხვევაში მოჩალისფროა (სამარხი №2, 3, 55), მაგრამ გვხვდება მოწითალო-აგურისფერი ნიმუშებიც (სამარხი №40).

ამ ჭურჭლის ფორმები სათავეს იღებს გვიანანტიკური ხანიდან და როგორც უკვე ითქვა, წამყვანი ფორმაა | ათასწლეულის შუა ხანების ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლებისათვის. ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ ურბნისის გარდა, საქართველოს არც ერთ ძეგლს არ მოუცია ანალოგიური ტიპის ჭურჭლის იმდენი რაოდენობა, რამდენიც — ყვირილის ხეობის სამაროვნებს. ეს ტრადიცია, ბუნებრივია, ვერ დაიკარგებოდა ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გარდამავალ პერიოდში და სწორედ ამ ვითარებას უნდა მიეწეროს მსხლისებურკორპუსიანი დოქების არსებობა მოდინახეს ადრე შუა საუკუნეების სამარხებში.

ამ სახის კერამიკა მრავლად მოიპოვება როგორც დასავლეთ, ასევე — აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. ამ ნიმუშების პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისინი გვხვდება, როგორც სამარხეულ კომპლექსებში, ასევე ნამოსახლარ ფენებშიც. მსხლისებურკორპუსიანი დოქები და ხელადები აღმოჩენილია: რუსთავში [ლომთათიძე 1955: 182-183], მცხეთაში [უგრელიძე 1987: 57-58], ურბნისში [ჭილაშვილი 1964: 75], ოჩამჩირეში [კახარავა 1972: 29], ძევრში [ფუთურიძე 1959: 74], წებელდაში [ვორონოვ, ვაჟიოკ, იუშინ 1970: 183], ლიაში [ჯაფარიძე 2006: 46-62], სოხუმში [ტრაپშ 1973: 339], სტირფაზში [Texov 1985: ტაბ. 49, 71, 78, 82], გველეთის სამაროვანზე [მინდორაშვილი 2004: ტაბ. XIV] და სხვ.

მსხლისებურკორპუსიანი დოქები აღმოჩენილია საქართველოს ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, ისინი მოიპოვება სომხეთში, გარნის სამაროვანზე [ხაचატრიან 1976: ტაბ. 5] და ჩრდილოეთ კავკასიაში [უვაროვ 1900: 239-246]. გარნის მსხლისებურკორპუსიანი დოქების დათარიღებისათვის ჟ. ხაჩატრიანი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სწორედ საქართველოში აღმოჩენილ (ურბნისი) დოქებს [ხაჩატრიან 1976: 48]. კვლევის ამ ეტაპზე არ გამოვრიცხავთ მსხლისებურკორპუსიანი კერამიკის ქართულ წარმომავლობას და მათ ექსპორტს მეზობელ რეგიონებში (სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასია).

საერთოდ, ამგვარი კერამიკის გავრცელებისა და ზუსტი ქრონოლოგიის გარკვევა გვიანანტიკურ-ადრეული შუა საუკუნეების არაერთ კულტუროლოგიურ ასპექტს მოჰყენდა ნათელს. ხშირად ამგვარი ჭურჭლების დათარიღებისათვის მიმართავენ ხოლმე ყვირილის ხეობის, კერძოდ, კი მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვნის მონაცემებს.

ანალოგიურად იქცევა ბ. ტეხოვიც, რომელიც სტირფაზში აღმოჩენილი ამგვარი დოქების დათარიღების საქმეში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სწორედ მოდინახეს მონაცემებს [Texov 1985: 33] მაგრამ უნდა ითქვას, რომ 1975 წელს ჯ. ნადირაძის მიერ გამოქვეყნებული მოდინახეს არც ერთი ნიმუში IV საუკუნეზე გვიანდელი არ არის [წადირაძე 1975: 49-96], მაშინ როდესაც სტირფაზის დოქების უმეტესობა V საუკუნეს მიეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავთანხმოთ ვ. ჯაფარიძის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, საქართველოში დღემდე აღმოჩენილი მსხლისებურკორპუსიანი დოქების ყველაზე უძველესი ნიმუშები IV საუკუნეზე ქვევით არ შეიძლება მიდიოდეს, რადგან არც ერთი ასეთ დოქები არ არის ცნობილი I-III საუკუნეების კომპლექსებიდან [ჯაფარიძე 1989: 79].

ჩვენი აზრით, ამ მოსაზრებას შეიძლება ერთი გარემოება დავუმატოთ. საქმე ისაა, რომ უკანასკნელ ხანებში საკმაოდ გაიზარდა ასეთი დოქების გავრცელების არეალი და აქედან გამომდინარე, არ გამოირიცხება მათი აღმოჩენა შედარებით ადრეული ხანის კომპლექსებშიც. ყოველ შემთხვევაში, რაღაც მსგავს მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე რგანის სამაროვანზე, სადაც მსხლისებურკორპუსიანი დოქების ერთი ნაწილი III

საუკუნის მიწურულითა და IV საუკუნის დასაწყისით თარიღდება [ზრაგვაძე 2000: 118-120].

მ. სინაურიძე აღნიშნავდა, რომ მსხლისებურკორპუსიანი კერამიკა დამახასიათებელი მოვლენაა ადრე შუა საუკუნეების საწყისი (IV-VII) საუკუნეებისათვის [სინაურიძე 1966: 65]. ამ ქრონოლოგიური შეკალის ზედა თარიღს ვ.ჯაფარიძის მიხედვით მიეკუთვნება ვაშნარის, ციხისძირის, წებელდისა და ვარდციხის დოქებიც [ჯაფარიძე 1989: 80]. მოდინახეზე აღმოჩენილი მსგავსი ნიმუშები V-VI საუკუნეებს მიეკუთვნება. შეიძლებოდა ისიც დაგვეშვა, რომ კერამიკის ეს ნიმუშები ადგილობრივი, საჩხერული ნაწარმია და არ გამოირიცხება გვიანანტიკურ-ადრე შუა საუკუნეების ზემო იმერეთში ამგვარი კერამიკის დამაზადებელი სახელოსნოების ფუნქციონირება და ნაწარმის გატანა ქვეყნის სხვა კუთხებში.

II ტიპის კერამიკულ ჯგუფში ვაერთიანებთ მრგვალმუცლიან, სადა და ყელნიბოიან ცალებს (სამარხი №№ 31, 35, 36, 40, 65). ამ ტიპის ნიმუშებისათვის საერთო ნიშნებია: ფართო, მრგვალი პირი, დაბალი, ნიბოიანი ყელი, სფერული ტანი და ბრტყელი ძირი. ყური თითქმის ყველა შემთხვევაში მიძერნილია პირის გვირგვინზე და მხარზე (სურ. 4; 5; 6; 7) გამონაკლისს წარმოადგენს მე-40 სამარხის დოქი, რომელსაც ყური მიძერნილი აქვს მხარზე და ყელზე (სურ. 8). აღნიშნული დოქები ჩალისფერკეციანია, ზედაპირი მოჩალისფრო-მოწითალოა, თიხა კარგად არის გამომწვარი, ფაქტურაც კარგად განლექილია, თუმცა, მინარევები მაინც შეიმჩნევა. ყელნიბოიანი დოქები დადასტურებულია როგორც აღმოსავლეთ, ასევე — დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. განსაკუთრებით მრავლად მოიპოვება ისინი ქართლისა [წემსაძე 1991: 119] და აფხაზეთის [Воронов 1979: 45-47] ტერიტორიაზე.

მოდინახეზე აღმოჩენილი II ტიპის დოქები თავისი ფორმითა და ფაქტურით ემსგავსება ზღუდერში [წემსაძე 1991: 125], არაგვისპირში [რობაქიძე 1982: ტაბ. XXIII], უნგრებიში [მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 1984: 91] აღმოჩენილ ცალებს.

ყელნიბოიანმა ჭურჭელმა დიდი ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება და მათ შესახებ არაერთ ნაშრომშია მსჯელობა. აღნიშნული კერამიკის გავრცელებისა და თარიღის შესახებ ვრცელი მიმოხილვა ეკუთვნის ნ.მირიანაშვილს [მირიანაშვილი 1983: 48-51]. მანვე ამგვარი ჭურჭლების გავრცელების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად ძვ.წ.-ახ.წ. I საუკუნეები მიიჩნია, რაც მტკიცდება ყვირილის ხეობის არქეოლოგიური აღმოჩენებითაც [მახარაძე, ლაშხი 1997: 57]. ყელნიბოიანი კერამიკა საკმაოდ პოპულარულია მთელი გვიანანტიკური პერიოდის განმავლობაში და როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადჰყოფს, აგრძელებს არსებობას ადრეულ შუა საუკუნეებშიც.

III ტიპის თუნის ნაწარმი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ნიმუშით. ეს არის მომცრო ტანის, ფართოპირიანი, დაბალყელიანი და სფერულტანიანი დოქი №3 სამარხიდან (სურ. 9). აღნერილ ჭურჭელს საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე არც თუ მრავალრიცხვანი პარალელი ეძებნება. ამგვარ ნიმუშს ვერ ვხვდებით მ. სინაურიძის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების კერამიკისადმი მიძღვნილ საგანგებო ნაშრომში. ამ ჭურჭელს გარეგნული ფორმით შეიძლება მივამსგავსოთ ზღუდერში აღმოჩენილი ერთი ნიმუში [წემსაძე 1991: სურ. 2], მაგრამ აღვნიშნავთ, რომ მსგავსება უაღრესად პირობითია და გარეგნული ფორმის ცალკეულ დეტალებში მუდავნდება (ფართო პირი, სფერული ტანი). ამგვარი კერამიკა არ ჩანს არც დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. აქედან გამომდინარე, ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა.

მოდინახეს სამარხებში ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოვყოთ №№76,77,79 (სურ. 10; 11; 12) კომპლექსებში დაფიქსირებული თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები. სწორედ მათი

ფრაგმენტულობის გამო ვერ ვაერთიანებთ მათ ვერც ერთ ტიპში და ცალკე მდგომ ჯგუფად განვიხილავთ.

მათ შესახებ ზოგადად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დამზადებულია საკმაოდ უხეში თიხისაგან, ქარსისა და კვარცის მაღალი პროცენტული შემცველობით და ადვილად შლადია. ამ სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლების ნიშან-თვისებები ზოგადად დამახასიათებელია გვიანანტიკური-ადრე შუა საუკუნეების თუნის ნაწარმისათვის. აღნიშნულია, რომ ამ პერიოდის თიხის ჭურჭლები დამზადებულია თითქმის განულექავი, ან ცუდად განლექილი უხეში თიხისაგან. თიხა მარცვლოვანია და ხასიათდება ქარსის მაღალი პროცენტული შემცველობით. დამაკმაყოფილებელი არ არის არც გამოწვის ტექნოლოგიური დონე. გამოწვის ხარისხი სუსტია, რის გამოც ჭურჭლები ადვილად შლადი და აღდგენის უუნაროა. თიხის ჭურჭლები ძირითადად მოწითალო-მოაგურისფროა, ზოგჯერ-გაშავებულიც, კეცი უმეტესწილად მოყავისფრო, ან მოწითალოა და ნაწარმის უმეტესობა სკელკეციანობით ხასიათდება [ჯაფარიძე 1982: 31-32]. ზუსტად ანალოგიური ნიშნებით ხასიათდება მოდინახეს №№76, 77 და 79 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლებიც.

როგორც განხილულმა მასალებმა ცხადშეყო, მოდინახეზე აღმოჩენილი თუნის ნაწარმი არ არის მრავალფეროვანი და საფიქრებელია, რომ თიხის ჭურჭლების წარმოების დონე აშკარად ჩამოუვარდება წინამორბედ, ანტიკურ ხანას. ვვარაუდობთ, რომ ამ ვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს არა რელიგიური ფაქტორი, რაც გამოიხატება სამარხებში ინვენტარის შემცირებით, ან სრულიად გაქრობით, არამედ გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა მინისა და ლითონის ჭურჭლების მხატვრული დარგების განვითარებას.

მიგვაჩინია, რომ ამ ვითარებამ ძლიერი და ალბათ, გადამყვეტი როლიც შეასრულა კერამიკის მხატვრული შემკვიდრისა და ფორმების მრავალფეროვნების დაკინიების საქმეში. როგორც ჩანს, მოსახლეობას განუვითარდა და გაეზარდა მოთხოვნილება მინისა და ლითონის ნაწარმზე და მათი მხატვრული ლირსების გაზრდაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე კერამიკის შემდგომ სრულყოფაზე.

ამიტომ გვიანანტიკურ ხანაში შემჩნეული ტენდენცია, რაც გამოიხატება კერამიკული წარმოების დაცემასა და ნაწარმის ერთგვარ გაუბრალოებაში, ინერციით გრძელდება ადრე შუა საუკუნეებშიც. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც მიგვაჩინია, რომ საზოგადეობის ყველა ფენას ერთნაირად არ მიუწვდებოდა ხელი მაღალმხატვრული, თუნდაც სადა მინისა და ლითონის ჭურჭლებზე და კერამიკული დარგი მაინც წამყვანი უნდა ყოფილიყო თუნდაც სამეურნეო და სამზარეულო სფეროში.

ამის მიუხედავად, ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ ამ დროს ეს დარგი საკმაოდ დეგრადირებულია და ოდნავადაც ვერ უტოლდება ძვ. II-I ათასწლეულებში არსებულ დონეს. როგორც ჩანს, ამ პერიოდშივე ხდება კერამიკულ სახელოსნოთა შემცირებაც, რასაც მოწმობს დამზადების დაბალი ტექნოლოგიური დონე, რადგან იშვიათია განლექვა და ჭარბობს უხეში, მარცვლოვანი, ქარსმინარევიანი თიხა. ასევე თვალშისაცემად კლებულობს მათი რაოდენობა სამარხებშიც. როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობს და ამასვე ადასტურებს ჩვენს მიერ განხილული კომპლექსებიც, თითოეულ სამარხში მეტად იშვიათია თითო ან ორი ცალის გარდა მათი აღმოჩენის შემთხვევები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული არაერთი ვარაუდის მიუხედავად, დღემდე თითქმის პასუხაუცემელია ერთი არსებითი კითხვა — რატომ ქრება V-VI ს-დან სამარხებში თუნის ნაწარმი და რატომ ღარიბდება მისი ასორტიმენტი. ეს მოვლენა რომ მხოლოდ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ცვლილებით აგვეხსნა, საკმაოდ ტრივიალური იქნება. ამიტომ როდესაც აღნიშნულ საკითხზე ვმსჯელობთ, საჭიროა გარკვეული სიფრთხილე, რადგან ეს პრობლემა ხანგრძლივ კვლევა — ძიებასა და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

## ლიტერატურა:

**ბრაგვაძე ბ. 2000:** რგანის სამაროვანი, აუ I. თბ.

**ინაიშვილი 6. 1993:** ციხისძირის ახ.ნ. I—VI საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

**ლომთათიძე გ. 1955:** რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა I. თბ.

**მამაიაშვილი 6, ჯავახიშვილი ქ. 1984:** ჭერემის გვიან რომაული ხანის სამაროვანი, კაეშ VI. თბ.

**მახარაძე გ, ლაშხი ლ. 1997:** საირხის ელინისტური ხანის კერამიკა, ნარკვევები III. თბ.

**მინდორაშვილი დ. 1990:** უფლისციხე ფეოდალურ ხანაში, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ.

**მინდორაშვილი დ. 2004:** არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბ.

**მირიანაშვილი 6. 1983:** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ.

**ნადირაძე ჯ. 1975:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

**ნემსაძე გ. 1991:** თიხის ჭურჭელი ძამას ხეობიდან, სსმმ XLI-B. თბ.

**ნიკოლაიშვილი ვ. 1985:** დიღმის ხეობა ადრე ფეოდალურ ხანაში, სას III. თბ.

**რობაქიძე ც. 1982:** არაგვისპირის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, ად. თბ.

**სინაურიძე მ. 1966:** აღმოსავლეთ საქართველოს ადრე ფეოდალური ხანის კერამიკა, მსკი I. თბ.

**სონდულაშვილი ხ. 2006:** ჯიეთის სამაროვანი, აუ IV. თბ.

**უგრელიძე 6. 1987:** ადრეულ შუა საუკუნის ქართლში მინის წარმოების ისტ.-თვის. თბ.

**ფუთურიძე რ. 1959:** დასავლეთ საქართველო გვიანანტიკურ ხანაში, მსკა III. თბ.

**ჩიხლაძე ვ. 2015:** ჟინვალის სამაროვანი თბ.

**ჭილაშვილი ლ. 1964:** ნაქალაქარი ურბნისი, თბ.

**ჯაფარიძე ვ. 1882:** კლდეეთის სამაროვანი და დასავლეთ საქართველოს გვინანტიკური ხანის არქეოლოგიის შესწავლის ზოგიერთი საკითხი, ძმ.

**ჯაფარიძე ვ. 1989:** ვარდციხის ნაქალაქარი, თბ.

**ჯაფარიძე ვ. 2006:** ეგრისის მატერიალური კულტურა I-VII საუკუნეებში. თბ.

**ჯორბენაძე ბ. 1982:** ერწო—თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ.

**Воронов Ю. Вазнюк А. Юшин В. 1970:** Апуштинский могильник IV-VI вв. н.э. в Абхазии. Советская Археология. №1. М. с.183.

**Воронов Ю. 1979:** Материальная культура Абхазии I тысячелетия н.э. КСИА. №159. М.

**Качарава Д. 1973:** Город Гиенос в античную эпоху. Автореферат докторской диссертации на соискание ученной степени кандидата исторических наук. Тб.

**Техов Б. 1985:** Материальная культура населения среднего течения реки Большой Лиахви в I-VIII вв. Тб.

**Трапш М. 1974:** Древний Сухуми. Труды. Т.2. Сух.

**Уваров П. 1900:** Могильники Северного Кавказа. МАК. СПБ.

**Хачатриан Ж. 1976:** Античный некрополь. Гарни. V. Ер.

## სურათების აღწერილობა:

1. ჩაფი. სამარხი №3.
2. ყელნიბოიანი დოქი. სამარხი №36.
3. ხელადა. სამარხი №55.
4. ყელნიბოიანი დოქი. სამარხი №65.
5. დოქი. სამარხი №35.
6. დოქი სამარხი №31.
7. ხელადა. სამარხი №33.
8. დოქი. სამარხი №40.
9. დოქი. სამარხი №3.
10. დოქის ფრაგმენტები. სამარხი №76.
11. დოქის ფრაგმენტები. სამარხი №77.
12. დოქის ფრაგმენტები. სამარხი №78.



1



2



3



4



5



6




7



8



9



10



11



12

**პიზარტიური ტიპის საქონლით გეზღები**  
**ქვემო აღნიშვნის სამართლით**  
ქეთევან რამინის ასული რამიშვილი

ადრე შუასაუკუნეებიდან ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად მთელს ქრისტიანულ სამყაროში გლიპტიკა ხდება ქრისტიანული კულტურის განუყოფელი ნაწილი. საქართველო IV ს-ის დასაწყისიდანვე ქრისტიანული კულტურის ორბიტაში მოქმედი „ახალი იდეოლოგიის პოზიციების გამყარება, გარდა საზოგადოების შიგნით მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა, რაც მიმართული იყო ქვეყნის ფეოდალიზაციისაკენ III ს-ის მეორე ნახევარში, აჩქარებდა მეტად რთული საგარეო ვითარება. გაძლიერებული სასანური ირანის დაუფარავმა აგრესიამ კავკასიის და კერძოდ, საქართველოს მიმართ ქართლის სამეფოს მესვეურები, რომლებიც ისედაც რომის იმპერიაზე იყვნენ ორიენტირებულები, აიძულა რაც შეიძლება დროულად შეერთებოდნენ იმ ძალებს, რომელიც ბიზანტიის ახლადშექმნილი იმპერიის გარშემო იყრიდა თავს და რომელიც ამჯერად ქრისტიანული იდეოლოგიით აღჭურვილი, მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა სასანური ირანის წინააღმდეგ” [რამიშვილი რ. 2006: 147-148].

ამდენად, ქართული ქრისტიანული ხელოვნების ჩამოყალიბება წარიმართა ერთი მხრივ, ადგილობრივი ტრადიციებისა და ანტიკური პროტოტიპების ზეგავლენით, ხოლო მეორე მხრივ, ბიზანტიასთან და სასანურ ირანთან მჭიდრო კულტურული კონტაქტების საფუძველზე, რის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ქვემო აღვის ადრე შუასაუკუნეების (V-VII სს.) სამაროვანი, რომლის შემადგენელ ნივთიერ მასალაში მოიპოვება როგორც ადგილობრივი, ისე ბიზანტიური ტიპის და სასანური ხელოვნების ნიმუშები.

აღვისა და მისი მიდამოების შესწავლა დაიწყო 1981 წელს. ქვემო აღვში (ქსნის ხელი) სოფლის აღმოსავლეთით, მდ. ალეურას მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „გრძელებზე“ გამოვლინდა სამაროვანი, სადაც 1981-1989 წწ. გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აღვის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი – ნ. აფხაზავა). სამაროვანზე გაითხარა ადრე შუასაუკუნეების 138 სამარხი: ქვის ფილებით ნაგები სამარხები, ორმოსამარხები და ძელებით გადახურული ორმოსამარხები [აფხაზავა ნ. 1988: 4-9].

მიცვალებულები (უკლებლივ ყველა მამაკაცი) დაუკრძალავთ ქრისტიანული წესით - ზურგზე გაშოტილები, თავით დასავლეთით, ხოლო ქალების უმეტესობა დაკრძალული იყო გვერდზე, კიდურებმოხრილი, ნივთების უმრავლესობა წარმართული წესით უმეტესად ქალებისთვის ჩაუტანებიათ, რაც, მიუხედავად იქ მაცხოვრებელი ქალბატონების ქრისტიანული აღმსარებლობისა, ფართო ფენებში (განსაკუთრებით ქალთა საზოგადოებაში) ძველი წარმარული ტრადიციების მდგრადობაზე მიგვითითებს [რამიშვილი რ. 1970: 131; აფხაზავა ნ. 1988: 49].

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს მოვლენა შესაძლოა აიხსნას „ხალხური ქრისტიანობის“ და „ფოლკლორული ქრისტიანობის“ ფენომენის გათვალისწინებით, რაც გულისხმობდა ხალხურად მითოლოგიზირებულ ქრისტიანობას და რაც მნიშვნელოვნად განპირობებული იყო იმით, რომ ქალები ტრადიციული წეს-ჩვეულებების, რელიგიური სისტემებისა თუ მათი გადმონაშთების უმთავრესი შემნახველები არიან [აფხაზავა ნ. 1988: 52].

ქვემო აღვის სამაროვანზე საკმაოდ უხვადაა აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები. მათ შორის სჭარბობს სასანური ბეჭდები და საბეჭდავები, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა ქრისტიანი არ იყო. სასანური გლიპტიკის საუკეთესო მკვლევარის ქ. ილ. რამიშვილის მოსაზრებით, ქართლის მოსახლეობას არ ესმოდა სასანურ გემათა გამოსახულებების სიმბოლური მნიშვნელობა და საბეჭდავების შერჩევა ხდებოდა

მხოლოდ მათი გემოვნების მიხედვით [რამიშვილი ქ. ილ. 1979: 49]. ქვემო ალევში აღმოჩენილ სასანურ ბეჭდებზე ხშირად გამოსახულია ჯვარი, რაც გარდა ქრისტიანებისა, ირანელი მოსახლეობისთვისაც (განსაკუთრებით ხელოსნებისთვის) მისაღები სიმბოლო იყო [Пигуловская Н. 1956: 293-294; Bivar A. 1963: 27], თუმცა როგორც ჩანს, ამ ბეჭდებს სიამოვნებით ატარებდნენ ქვემო ალევში მოსახლე მანდილოსნები, ხოლო ჯვრის გამოსახულებას დიდი ალბათობით ქრისტიანული მრწამსის გამომსახველ სიმბოლოდ მიიჩნევდნენ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური გზით აღმოჩენილი ქრისტიანული გლიპტიკური ძეგლები საქართველოში მრავალრიცხოვანი არ არის. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქვემო ალევის სამაროვანზე აღმოჩენილი ქრისტიანული შინაარსის მქონე გამოსახულებებით შემკული ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები, რომლებიც ძირითადად, ქალთა სამარხებშია აღმოჩენილი და უქველად ალევში მაცხოვრებელი ქალბატონების (მოსახლეობის) ქრისტიანულ მრწამსზე უნდა მიგვითოთებდეს. ეს ბეჭდები საგანგებოდ არავის უკვლევია. მათი ყოველმხრივი შესწავლა, რა თქმა უნდა, ფასდაუდებელ წვლის შეიტანს იმდროინდელი საზოგადოების სულიერი სამყაროს მართებულ გაგებაში, ასევე, იმ იდეოლოგიური შეხედულებების გააზრებაში, რომელიც ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდგომ ხანებში არსებობდა საქართველოში.

ბევრის მთქმელია ეს ბეჭდები იმდროინდელი საზოგადოების კულტურული დონისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის შესახებაც. გადაწყვეტილი გვაქვს ამ გლიპტიკური ძეგლების საფუძვლიანი შესწავლა, თუმცა, წინამდებარე ნაშრომში ჯერ-ჯერობით განვიხილავთ მხოლოდ ბრინჯაოსაგან დამზადებულ სამ ფარაკიან ბეჭედს (I ჯგუფის II სერიის პირველი ვარიანტი [აფხაზავა 1988: 105, ტაბ.XII/15]), რომლებიც გამოსახულებათა შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბიზანტიური ტიპის საქორნინო ბეჭდებს წარმოადგენენ.

**1. ბეჭედი ბრინჯაოსი, ფარაკიანი (გლ.ფ. 1691 - 7-986/1169, კორინთა, საკირები, ქვემო ალევის ექსპედიცია, ორმოსამარხი №17), წრესთან მიახლოვებული ოვალის ფორმის ფარაკის ბრტყელ პირზე ძალიან სქემატურად და ზედაპირულად ამოკვეთილია ერთმანეთის პირდაპირ ქალისა და მამაკაცის ბიუსტი მკერდამდე, თავებით პროფილში (ტაბ. I/1). სახის ნაკვთები და სხვა დეტალები არ განირჩევა. მათ ზემოთ მომცრო ჯვარია ამოჭრილი. გამოსახულებას გარშემო უვლის ღარი, რომელსაც ნახევარწრებისგან შედგენილი ჩარჩო შემოუყვება, რაც მთლიანობაში ყვავილის გვირგვინის შთაბეჭდილებას ტოვებს. გამოსახულება ანაბეჭდზე არცთუ მკაფიო გამოსახულებას იძლევა, შედარებით მკვეთრად ჩანს ყვავილისებრი ჩარჩო (ტაბ. I/2). ბეჭედს აქვს თანაბარი ზომის შიგნიდან ბრტყელი და გარედან ოდნავ ამობურცული რკალი (ტაბ. I/3), რომელზეც ფარაკია დარჩილული (ფარაკის დმ - 10 მმ; ბეჭდის სიმაღლე 12 მმ). ნივთი მთლიანობაში კარგადაა დაცული, თუმცა დაუანგულია, ხოლო რკალი და ფარაკი - ოდნავ დაზიანებული.**

**2. ბეჭედი ბრინჯაოსი (გლ. ფ. 1636 - 7-986/389, ქვემო ალევი - ქვისსამარხი №39), ფარაკიანი. ოვალური ფარაკის ბრტყელ პირზე არცთუ ღრმად, მაგრამ მკაფიოდ ამოკვეთილია პორიზონტალურ ხაზზე აღმართული გრძელი ჯვარი, რომლის ორივე განივი მკლავი ბოლოში გაფართოებულია. ჯვრის აქეთ-იქით ამოჭრილია ორი ადამიანის ბიუსტი ანფასში. მათი თავები შემკულია მცირე წრეებისგან შედგენილი გვირგვინებით, რომლებიც ერთი შეხედვით შარავანდედს მოგვაგონებს. სახეები სუმარულადაა შესრულებული - ნაკვთები არ განირჩევა (ტაბ. I/4). ანაბეჭდზე დაბალ, მაგრამ შედარებით მკაფიო გამოსახულებას იძლევა (ტაბ. I/5). ბიუსტებს ქვემოთ ის პორიზონტალური ხაზია გავლებული, რომელზეც ჯვარია აღმართული, ხოლო ხაზს ქვემოთ შუაში ამოჭრილია სამყურა ყვავილი, აქეთ-იქით კი - პატარა სამკუთხედები, თუმცა შესაძლოა გამოსახული იყოს ბერძნული ასოები ან წარწერის იმიტაცია, ყოველ შემთხვევაში ანაბეჭდზე შუაში**

თითქოს იკითხება ასო X, რომელიც ქრისტეს აღმნიშვნელი უნდა იყოს. ბეჭედს ვინწრო, შიგნიდან ბეტყელი და გარედან ოდნავ ამობურცული რკალი აქვს, რომლის ფარაკთან შეერთების ადგილას მცირედ ფართოვდება (ტაბ. I/6). ფარაკი დარჩილულია რკალის ბოლოებზე (ფარაკი – 11X9 მმ; ბეჭედი – 19X20 მმ). ბეჭედი კარგადაა დაცული, ოდნავ დაუანგულია.

**3. ბეჭედი ბრინჯაოსი (გლ.ფ. 1683 - 7-986/1169, ქვემო ალევი — ორმოსამარხი №133),** ფარაკიანი, ოვალური ფარაკის ბრტყელ პირზე ძალზე სქემატურად და არალრმად ამოჭრილია გრძელი ჯვარი, მის აქეთ-იქით ორი ადამიანის ბიუსტია ანფასში, ხოლო ბიუსტებს ქვემოთ გრძელი ხაზია გავლებული, რომლის ქვემოთ ამოკვეთილია მოკლე ხაზი (ტაბ. I/7). გამოსახულებას სიმკვეთრე აკლია, თუმცა ადამიანების ხვეული თმის მაღალი ვარცხნილობა და მრგვალი თვალები მაინც განირჩევა. უხეშადაა ნაკვეთი, ხისტი ხაზებით. ბიუსტები ყველაზე ღრმა კვეთითაა შესრულებული, თუმცა სუმარულად, მოკლებულია დეტალიზაციას. გამოსახულება ანაბეჭდზე დაბალ და გაურკვეველ გამოსახულებას იძლევა (ტაბ I/8). ბეჭდის ვიწრო შიგნიდან ბრტყელი რკალი გარედან ოდნავ ამობურცული და ფარაკთან მირჩილვის ადგილას ოდნავ გაფართოებულია (ტაბ. I/9). ფარაკი რკალზეა დარჩილული (ფარაკი – 11X10 მმ; ბეჭედი – 21X21 მმ). ბეჭედი დაუანგული, ხოლო რკალი მცირედ დაზიანებულია.

როგორც ცნობილია, რომაელების მიერ დაარსებული ბიზანტია, განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში, განიცდიდა ერთი მხრივ, ანტიკური ტრადიციების, ხოლო მეორე მხრივ ელინიზირებული ალმოსავლეთის მძლავრ გავლენას ხელოვნების თითქმის ყველა სფეროში, მათ შორის გამოყენებითი ხელოვნების ისეთ დარგებში, როგორიცაა საიუველირო საქმე, გლიპტიკა, ტორევტიკა, ტექსტილი და სხვ. ხშირად ძველი ანტიკური ტიპები, სახეები და სიმბოლოები შენარჩუნებული იყო და გამოიყენებოდა ბიზანტიელი ოსტატების მიერ, განსაკუთრებით ეს ითქმის იუველირებზე [განმარტინოვა 2009: 169].

ადრებიზანტიურ საიუველირო ნაკეთობებში - ე.წ. „ბიზანტიურ ანტიკაში” (ტერმინი ეკუთვნის ცნობილ ბიზანტიოლოგს ლ. მაცულევიჩს) რომაული ემბლემატიკის გამოყენებაში ბიზანტიელი მმართველები ხედავდნენ პოლიტიკური სტაბილურობისა და „ახალი რომის” სიდიადის საფუძველს [Залесская В. 1998: 15]. ანტიკური მოტივების ქრისტიანულად ტრანსფორმირებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გემებსა და მათზე ამოკვეთილ გამოსახულებებს.

ბიზანტიელი დიდებულები რომაული ტრადიციისამებრ ატარებდნენ პირად საბეჭდავ-ბეჭდებს, რომლებშიც ჩასმული იყო გემები ანტიკური გამოსახულებებით, თუმცა მათ უკვე ქრისტიანული შინაარსი მიენერებოდა. მაგ. ერთ-ერთი ბიზანტიელი ეპისკოპოსი ატარებდა ოქროს საბეჭდავ-ბეჭდებს, რომლის გემაზე ამოჭრილი იყო ორფეოსი ლირით და წარწერით: „ქრისტე”, ცხადია, ამ შემთხვევაში ორფეოსს ქრისტეს მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძალიან საყვარელი მოტივი იყო გემებზე ჰერაკლეს გამოსახვა, ვისი სასწაულებრივი გმირობები ქრისტეს მიერ განხორციელებულ სასწაულებთან ასოცირდებოდა, ასევე პოპულარულობას ინარჩუნებდა ფრთოსანი ნიკე, რომელიც ბოროტებასა და ავადმყოფობაზე გამარჯვების სიმბოლო გახდა. სიყვარულის შიშველი ღვთაება ვენერა გადაიქცა შემოსილ ქალწულ მარიამად, ხოლო ფრთოსანი ეროტი - კეთილი ამბების მახარებელ ანგელოზად. მედუზა გორგონა ავი თვალისგან დამცავი გამოსახულება გახდა, თუმცა მის ზემოთ უკვე პატარა ჯვარი იყო ამოკვეთილი წარწერასთან ერთად, რომელიც ასე იკითხებოდა: „ღმერთო დაიფარე მფლობელი”. მტრედი, რომელიც ადრე ვენერას ფრინველი იყო, ქრისტეს ფრინველად მოგვევლინა, ოღონდ ნისკარტში პალმის რტო ან ქრიზმა ეჭირა [განმარტინოვა 2009: 174-175].

„ბიზანტიური ანტიკას” ერთერთ ძალიან საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს სხვადასხვა ლითონისგან (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა) დამზადებული ადრებიზანტიური საქორნინო ბეჭდები, რომლებსაც მამაკაცი ჩუქნიდა მეუღლეს.

არსებობდა სხვანაირი — ჯვრისწერის ბეჭდები, რომლებსაც წყვილი ერთმანეთს უცვლიდა. საერთოდ, ბეჭდების გაცვლის ტრადიცია ეგვიპტელებს მიენერებათ. მათ ჰქონდათ რგოლის ფორმის ბეჭდები, რომლებიც დამზადებული ყოფილა ლერწმისგან. მრგვალი ფორმა მიანიშნებდა ერთგულებისა და სიყვარულის მარადიულობას, რადგან რგოლს არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო, ხოლო ჭრილი (ღიობი) საიქიოს აღმნიშვნელი იყო, სადაც ცოლ-ქმარი ისევ ერთად გააგრძელებდა ცხოვრებას.

ეგვიპტელები საქორნინო რგოლებს მარცხენა ხელის არათითზე (მეოთხე თითი) ატარებდნენ. ეგვიპტელების მიბაძვით მარცხენა ხელის მეოთხე თითზე ატარებდნენ აგრეთვე საქორნინო ბეჭდებს ძველი ბერძნები და რომაელები. ძველბერძენი ისტორიკოსი, ბიოგრაფი და ესეისტი პლუტარქე ხსნის ამ ფაქტს ეყრდნობა რა ბერძენი მწერლის აპიონის თზულებას „ეგვიპტის შესახებ”, სადაც აღნერილია ეგვიპტელების ჩვეულება გვამის გაკვეთისა (რასაც ბერძნები ანატომიას უწოდებდნენ), რის შედეგადაც დადგინდა, რომ მხოლოდ მარცხენა ხელის მეოთხე თითისგან გამომავალი ძალიან წვრილი ძარღვი აღნევდა ისეთ სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს (სიყვარულის აღმნიშვნელ) ორგანომდე, როგორიც არის გული. სწორედ ამიტომ ეგვიპტელები საქორნინო რგოლებს ამ თითზე ატარებდნენ [გოპახენი A. 1999: 144-145]. როგორც ირკვევა, ეს ტრადიცია გადავიდა ბიზანტიის იმპერიაშიც, საიდანაც იგი ევროპაში გავრცელდა. VII ს-ის დასაწყისში ისიდორე სევილიელის ცნობილ ჩანაწერში აღნიშნულია, რომ საქორნინო ბეჭდებს ატარებენ მეოთხე თითზე: „საქმრო აძლევს ბეჭედს საცოლეს როგორც ნიშანს ორმხრივი ერთგულებისა და როგორც საფუძველს მათი გულების შეერთებისა და ამიტომაც ბეჭედს ატარებენ მეოთხე თითზე, რადგან სწორედ ამ თითში არის ვენა, რომლითაც სისხლი მიედინება გულისაკენ”. <http://asgard-ua.com/blog>.

არა უგვიანეს VII ს-ისა (უფრო ადრეც) ბიზანტიიაში ტრადიციად იქცა საქმროს მიერ საცოლისთვის საქორნინო ბეჭდისა და ქამრის მირთმევა. ადრე შუასაუკუნეებში ბიზანტიიაში საქორნინო რიტუალი ბევრ საერთოს პოულობდა რომაულ ტრადიციებთან, მაგრამ იგი უფრო მრავალფეროვანი და პარადული გახდა. სიძე მოძიოდა პატარძალთან მუსიკოსების თანხლებით. პატარძალი გამოწყობილი იყო ძვირფას ფარჩის კაბაში და მოქარეულ ბლუზონში. საკმაოდ ძლიერი ფერუმარილით შელამაზებულ სახეს ვუალი უფარავდა. როდესაც საქმრო მიუახლოვდებოდა, იგი აიწევდა ვუალს, რათა საქმროს დაენახა მომავალი მეუღლე, შესაძლოა, სიცოცხლეში პირველად. მშობლების, მსახურების, მეგობრების, მეჩირალდნების, მომღერლებისა და დამკვრელების გარემოცვაში ნეფე-პატარძალი ეკლესიაში მიდიოდა. ქუჩაში ხალხი აივნებიდან იებსა და ვარდის ფურცლებს აყრიდა.

ეკლესიაში, ჯვრისწერის განმავლობაში მათ თავებს ზემოთ ნათლიებს გვირგვინები ეჭირათ. შემდეგ ისინი ცვლიდნენ ბეჭდებს, ხოლო XI ს-იდან წინასწარ მომზადებულ საქორნინო კონტრაქტსაც აწერდნენ ხელს მონმეების თანდასწრებით. ჯვრისწერის ცერემონიის შემდეგ იმავე გზით ყველა ბრუნდებოდა პატარძლის სახლში, სადაც ელოდებოდათ ძალიან ლამაზად გაშლილი და უხვი, საზეიმო სუფრა საუკეთესო ჭურჭლით, სასმისებითა და საუცხოო კერძებით გაწყობილი. საძინებელში შესვლისას მამაკაცი მეუღლეს ჩუქნიდა ბეჭედსა და სარტყელს [Райс T. 2006: 97], (ანუ ჯვრისწერის დროს სხვა ბეჭდების გაცვლა ხდებოდა), ხოლო ბეჭდებზეც ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ მამაკაცი ჩუქნიდა ქალს და მას მხოლოდ ქალი ატარებდა, რაც კარგად ჩანს ქვემო აღევის სამარვანზე აღმოჩენილი ბეჭდების მიხედვით. ისინი ქალის კუთვნილება იყო და მხოლოდ ქალების სამარხებშია აღმოჩენილი [აფხაზავა 6. 1988: 34, 48].

დღეს მსოფლიოს მუზეუმებში უფრო მეტი ბეჭედი ინახება, ვიდრე სარტყელი. საფიქრებელია, რომ მხოლოდ ძალიან მდიდარ მამაკაცებს შეეძლოთ ცოლისთვის ქამრის ჩუქება. შეძლებულები მეუღლეებს მიართმევდნენ ოქროს საქორნინო ბეჭდებს, თუმცა შესაძლებლობის მიხედვით შეიძლებოდა ვერცხლისა და ბრინჯაოს ბეჭდების ჩუქებაც.

დოქტორ მარვინ როსის ვარაუდით, ბიზანტიაში საქორწინო ბეჭდები წარმოიშვა იმ ტრადიციისგან, რომელიც ბიზანტიის პირველმა იმპერატორებმა შემოიღეს – მოეჭრათ მონეტები თავიანთი ქორწინების დღეს. ამ მონეტებზე ხშირად იმპერატორისა და მეუღლის პორტრეტებს შორის გამოსახული იყო ქრისტე [Raics T. 2006: 97].

ადრებიზანტიური საქორწინო ბეჭდები წარმოადგენენ ფარაკიან, თითზე სატარებელ ლითონის (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა) ბეჭდებს მრგვალი ან დაწახნაგებული რკალით, რომელთა წრიულ, მართკუთხა ან იშვიათად ოვალურ ფარაკზე ამოკვეთილია ქალისა და მამაკაცის ბიუსტები მკერდამდე - პროფილში ან ანფასში (ტაბ. II/10-15). ხშირად ასეთ ბეჭდების ფარაკებზე ამოჭრილია ბერძნული სიტყვა „მონოია“, რაც ნიშნავს ჰარმონიას (ორი გულისა და გონების ჰარმონიულ შეთანხმებას, კავშირს). ის ბეჭდები, რომლებზეც წყვილი თავებით პროფილში - ერთმანეთის პირდაპირ არიან გამოსახულები უფრო ადრეულია და გვიან IV ს-ითა და ადრეული V ს-ით თარიღდება (ტაბ. II/10, 11). ასეთ ბეჭდებს ეძებნებათ პირდაპირი პროფილის რომაულ ბეჭდებს შორის და კომპოზიციურად და იკონოგრაფიულად ძალიან დიდ სიახლოვეს ავლენენ გვიანანტიკურ (რომაულ) ბეჭდებში ჩასმულ გემებზე ამოჭრილ წყვილების პორტრეტულ გამოსახულებებთან [Walker A. 2011: 60; სურ. 4/1]. მაგ. III ს-ის დასაწყისით დათარიღებულ რომაულ სარდერის გემაზე გამოსახული სეპტიმუს სევერუსი და მისი მეუღლე პლაუტილას პორტრეტი, სადაც ისინი მკერდამდე, ერთმანეთის პირდაპირ, თავებით პროფილში არიან წარმოდგენილები [Walters H. 1926: ტაბ. XXV/2023].

ბიზანტიურ ბეჭდებზე ქალისა და მამაკაცის თავებს ზემოთ უკვე გამოსახულია პატარა ჯვარი. ქვემო ალევში აღმოჩენილ № 1691 ბეჭედზე ამოჭრილი გამოსახულება სწორედ კომპოზიციის ამ ტიპთან ავლენს სიახლოვეს, მაგრამ ბიზანტიური ბეჭდებზე ამოკვეთილი გამოსახულებისგან განსხვავებით უფრო სქემატური და უხეში ნამუშევარია, ხოლო წყვილის გვირგინისებრი ჩარჩოთი ნაკეთობის დეკორატიულობაა გაძლიერებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ, ჯერ ერთი, ბეჭედი უფრო გვიანდელია და მეორეც, ბიზანტიის იმპერიის რომელიმე პროვინციაში ან მის გავლენის სფეროში მყოფ ქვეყანაში არის დამზადებული. არ არის გამორიცხული, რომ ბეჭედი ადგილობრივად — ქსნის ხეობის რომელიმე პუნქტში, იქნებ სულაც ალევში იყოს შექმნილი, სადღაც V-VI სს-ში. როგორც ალევში წარმოებული გათხრების ხელმძღვანელი – შესანიშნავი არქეოლოგი ნ. აფხაზავა აღნიშნავს, „ალევის ხევი მთელ ქსნის ხეობასთან ერთად კულტურულ-ეკონომიკურად ქართლის დიდად დაწინაურებული კუთხე უნდა ყოფილიყო. ნაწილი იქ აღმოჩენილი ნივთებისა ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს“ [აფხაზავა ნ. 1988: 117].

ალევური (№ 1691) ბეჭედი საგრძნობლად განსხვავდება ბიზანტიური ბეჭდებისგან კვეთის ტექნიკითა და შესრულების დონით. და თუ ბიზანტიური ბეჭდები გარკვეულწილად მაინც ინარჩუნებენ პორტრეტისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, ალევურ გამოსახულებაზე მხოლოდ კომპოზიციური სქემაა დარჩენილი. საერთოდ, ამგვარ კომპოზიციას იბერიაში კარგად იცნობდნენ გვიანანტიკურ ხანაში, რადგან გემები წყვილის პორტრეტული გამოსახულებით, რომელიც II-III სს-დან ვრცელდება მთელს რომის იმპერიაში, მისი კულტურული ორბიტის მყოფ ქვეყნებში, საქართველოშიც არის აღმოჩენილი. არმაზისხევის № 1 სამარხში მოპოვებულია მუქი ფერის გრანატის (პირობი) გემა, რომელიც თვლებით მოოჭვილ სარტყელის ოქროს ბალთას ამკობს (საქ. ეროვნული მუზეუმი, გლ. ფ. 834). ოვალური ინტალიოს ამობურცულ პირზე ამოჭრილია წყვილის პორტრეტი – წვერიანი მამაკაცისა და ქალის ბიუსტები ერთმანეთის პირდაპირ, პროფილში (ტაბ. II/16). ინტალიოზე გარკვეული პიროვნებების პორტრეტებია ამოკვეთილი, რასაც გარშემო ამოჭრილი ბერძნული წარწერა გვამცნობს: „კარპაკი, ზევახი, ჩემი სიცოცხლე“. სავარაუდოდ, კარპაკი და ზევახი მეუღლეები არიან [ჯავახიშვილი ივ. 1951: 445]. გემა შეისნავლა მ. ლორთქიფანიძემ, იგი ადგილობრივ ნაკეთობად მიიჩნია და II ს-ით დაათარიღა [ლორთქიფანიძე მ. 1958: 55-58].

მეორე პორტრეტული წყვილი ამოქრილია მოწითალო-ნარინჯისფერ სარდიონის გემაზე, რომელიც ოქროს ბეჭედს ამკობს (ტაბ. II/17) ზღუდერის სამაროვნის №1 ხის სარკოფაგიდან (საქ. ეროვნული მუზეუმი, გლ.ფ. 1187), ოვალური ინტალიოს ოდნავ ამობურცულ პირზე ერთმანეთის პირდაპირ გამოსახულია ახალგაზრდა ქალისა და მამაკაცის მკერდამდე პორტრეტები პროფილში. გემაზე, პორტრეტების ქვემოთ მოცემულია ბერძნული ნეგატივური წარწერა, რომელიც გამოსახული პირების სახელებს წარმოადგენს: „მატრონა და კაბრიასი“. სავარაუდოდ, ეს წყვილიც ცოლ-ქმარია. ბეჭედი გემითურთ შეისწავლეს ქ. ჯავახიშვილმა და გ. ნემსაძემ, იგი მცირე აზიულ რომელიმე პროვინციულ სახელოსნოში დამზადებულად მიიჩნიეს, თუმცა არც მისი ქართლის სამეფოში დამზადება გამორიცხეს და ნივთი III ს-ის შუა ხანებით დაათარიღეს [ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. 1982: 139-144].

ძალიან საინტერესოა პეტერბურგის ერმიტაჟში დაცული ნიკოლოს ოვალური გემა, რომელზეც რომაული მანერით შესრულებული ქალი და მამაკაცი ერთმანეთის პირდაპირ, პროფილში არიან წარმოადგენილები, თუმცა მათ თავზე უკვე ქრისტეს მონოგრამაა ამოქრილი (ტაბ. II/18), ნივთი IV ს-ით თარიღდება [Неверов О. 1976: 112/145].

ამდენად, ბეჭედი №1691 მიგვაჩინია რომაულ ტრადიციაზე აღმოცენებული ბიზანტიური საქორწინო ბეჭდების მიბაძვით დამზადებულ ადგილობრივ ნაკეთობად, რაც ერთი მხრივ, ბიზანტიის იმპერიასთან მჭიდრო კულტურულ და სავაჭრო ურთიერთობაზე მიუთითებს, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავებული ანტიკური ტრადიციის ქრისტიანულად ტრანსფორმაციაზე. ბიზანტიური საქორწინო ბეჭდების მკვლევარი ა. უოლკერი როცა ბიზანტიურ საქორწინო ბეჭდებზე საუბრობს, მათი ბიზანტიურობის დამადასტურებელ არგუმენტად მოჰყავს ბეჭდებზე ამოკვეთილი ბერძნული წარწერა და ჯვრის გამოსახულება. ჯვრის გამოსახულებისა და ბერძნული წარწერის ერთობლივად არსებობის მიხედვით დანამდვილებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ბეჭდები ბიზანტიურია (ქრისტიანულია), თუმცა მხოლოდ ბერძნული წარწერა მყარი არგუმენტი ვერ იქნება, რადგან როგორც ცნობილია, ბერძნული ენა რომის იმპერიაშიც ლათინურის თანასწორად ითვლებოდა. რომის აღმოსავლური პროვინციებისთვის კი, ბერძნული საერთოდ *lingua franca*-ს წარმოადგენდა [მშვილდაძე მ. 2012: 56], რისი ნათელი მაგალითებიცაა არმაზისხევსა და ზღუდერში აღმოჩენილი გემები ბერძნული წარწერებით.

ქვემო აღვურ № 1691 ბეჭედზე წარწერა საერთოდ არ არის ამოკვეთილი, მაგრამ როგორც ბეჭდის ფორმით, ისე სიუჟეტით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ბიზანტიური ტიპის საქორწინო ბეჭედია. როგორც აღვნიშნეთ, ამ ბეჭედზე გამოსახულებას გარს უვლის ყვავილის გვირგინისებრი ორნამენტული ჩარჩო, რაც ნივთს დეკორატიულ, საზეიმო ხასიათს ანიჭებს, ამავე დროს, იგი მართლაც შეიძლება ყვავილის გვირგვინის აღმნიშვნელი იყოს, რადგან ყვავილები საქორწინო რიტუალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი იყო. ზოგიერთი გადმოცემით, წყვილს ყვავილებისგან დაწნულ გვირგინებს ადგამდნენ თავზე, ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჯვრისწერის დღეს გზაში ყვავილებს აყრიდნენ თავზე მექორწინებს.

ბიზანტიურ საქორწინო ბეჭდების ფარაკებზე ამოქრილი გამოსახულების მეორე ტიპი არის ქალისა და მამაკაცის ბიუსტები ანფასში, რომელთა შორის გამოსახულია გრძელი ჯვარი (ტაბ. II/12, 13). არსებობს ისეთი ბეჭდებიც, რომელთა ფარაკზე ქალისა და მამაკაცის მთლიანი ფიგურებია მოცემული, ამ შემთხვევაში მათ შორის გამოსახულია ხოლმე ქრისტეს ფიგურა (ტაბ. II/14). ბეჭდები ამგვარად მოდელირებული კომპოზიციებით დათარიღებულია VI-VII სს-ით [Walker A. 2011: 61-62; სურ. 4/2 და 4/3]. ქვემო აღვში აღმოჩენილი №№ 1636, 1683 ბეჭდებზე ამოქრილი გამოსახულებები ამ ტიპისაა. ისინი ორივე სქემატურია და არ გამოირჩევიან შესრულების მაღალი დონით, მაგრამ №1636 ბეჭდის ფარაკზე კვეთა უფრო სუფთაა და გამოსახულება უფრო კარგად განირჩევა

ვიდრე № 1683 ბეჭედზე, სადაც გამოსახულება გაცილებით სქემატური და სუმარულია – მოდელირებულია ღმულებითა და ხაზებით, დაუდევრადაა ნაკვეთი, თუმცა თმის ვარცხნილობა ერთგვარად შენარჩუნებულია და როგორც ჩანს, ერთ-ერთ ბიზანტიურ ბეჭედზე გამოსახული წყვილის თმის ვარცხნილობიდან არის გადმოღებული (უფრო სწორად, მცდელობაა მიბაძვისა) (შეად. ტაბ. I/7 და ტაბ. II/15).

შესრულების ხარისხში განსხვავება ბიზანტიურსა და ქვემო ალევურ ბეჭდებს შორის გამოწვეული უნდა იყოს ერთიდაიგივე სიუჟეტის ხანგრძლივი კოპირებით, რის დროსაც (დროთა განმავლობაში) გამოსახულება კარგავს დახვეწილობასა და ფორმათა სიმკვეთრეს (განსაკუთრებით იმპერიის პერიფერიაზე და ბიზანტიის იმპერიის კულტურულ ორბიტაში მყოფ ქვეყნებში). როგორც ჩანს, ქვემო ალევის მოსახლეობისათვის VII ს-ში ესთეტურ მხარეს უკვე ნაკლები ყურადღება ექცეოდა და მთელი აქცენტი გადატანილი იყო გამოსახულებათა შინაარსობრივ (იდეოლოგიურ) დატვირთვაზე და მათ დამცავ ფუნქციაზე. როგორც ბიზანტიურ ბეჭდებზე გამოსახული ადრეული და შემდეგდროინდელი წყვილის გამოსახულებებიდან ჩანს, პორტრეტი თანდათანობით კარგავს ინდივიდუალურ ნიშნებს და უკვე ანფასში გადმოცემულ ბიუსტებზე ქალისა და მამაკაცის განზოგადებული სახეა წარმოდგენილი (შეადარ. ტაბ. II/1, 2 და ტაბ. II/12, 13), რაც კიდევ უფრო გაღრმავებულია მთელი ტანით გადმოცემული წყვილის შემთხვევაში, სადაც ძალიან ზოგადი დეტალებით არის გადმოცემული ქალისა და მამაკაცის, ასევე ქრისტეს ფიგურები (ტაბ. II/14). დაკარგული ჩანს რომაული ტრადიცია გამოსახულების მოცულობითი პლასტიკური ფორმებით მოდელირებისა და პიროვნების პორტრეტული ნიშნებისა თუ ხასიათის გადმოცემისა.

მაშასადამე, ბიზანტიურ ბეჭდებზე გამოსახულებების განვითარება წარიმართა რეალისტურიდან სქემატურ, განზოგადებულ გამოსახულებებმდე. მოცულობითი ბიუსტები თანდათანობით გადაიქცა ორგანზომილებიან, ბრტყელ გამოსახულებებად, რაც ქრისტიანული ხელოვნების უმთავრესი მოთხოვნა იყო, თუმცა, ეს გამოსახულებები მაინც მეტად გამომსახულია და თავისებურად მომხიბლავი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვემო ალევურ № 1636 ბეჭედს ვათარილებთ VII ს-ის პირველი ნახევრით (39-ე სამარხი, სადაც ეს ბეჭედი აღმოჩნდა, გამთხრელის მიერ დათარილებულია ასევე [აფხაზა 6. 1988: 105]), ხოლო № 1683 ბეჭედს კი – VII ს-ის მეორე ნახევრით და ეს ბეჭდებიც ბიზანტიური საქორწინო ბეჭდების ადგილობრივ მინაბაძად მიგვაჩინია. ჩამოთვლილ თავისებურებებთან ერთად ქვემო ალევური ბეჭდების ფარაკები ოვალურია, ხოლო რკალი ვინწრო და ბრტყელი, მაშინ, როცა ბიზანტიური ბეჭდების ფარაკები უმეტესად მართვულია ან წრიულია და რკალი ფართო, მრგვალგანივევეთიანი ან დაწახნაგებულია.

რაც შეეხება № 1636 ბეჭდის ფარაკზე ქალისა და მამაკაცის თავზე შემოვლებულ რკალებს, ერთი შეხედვით შარავანდედს მოგვაგონებს. ამ გამოსახულების შედარებამ ბიზანტიური ოქროს ბეჭდის ფარაკზე გამოსახულ ქალისა და მამაკაცის ბიუსტებთან (ტაბ. II/12-13) ან ფეხზე მდგომ ფიგურებთან (ტაბ. II/14), სადაც კარგად ჩანს მათ თავებზე გამოსახული შარავანდედისებრად მორკალული თმის მაღალი ვარცხნილობა საქორწინო გვირგვინებით, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქვემო ალევურ № 1636 ბეჭედზეც ქალსა და მამაკაცს თმის ვარცხნილობაზე ადგათ საქორწინო გვირგვინი და არა შარავანდედი. რაც შეეხება ამ ბეჭდების დანიშნულებას, ბიზანტიური საქორწინო ბეჭდების მკვლევარი ა. უოლკერი იზიარებს ბიზანტიური საიუველირო ხელოვნების ცნობილი მცოდნის ე. კიცინგერის მოსაზრებას, რომლის თანახმად ბიზანტიურ საქორწინო ბეჭდებს ქორწინების დამცავი ფუნქცია ჰქონდათ [Kitzinger E. 1988: 68] და თავის მხრივ ამატებს, რომ გარდა ამისა, ბეჭდები განკუთვნილი იყო ავი თვალისგან, მაგიური ზემოქმედების შედეგად აგრესიული თავდასხმისაგან წყვილის (მეულლეების) დასაცავად, აგრეთვე იმისთვის, რომ ქმარი მუდამ მიპმული ჰყოლოდა ცოლს [Walker A. 2011: 59]. არსებობს

განსხვავებული შეხედულებაც – გ. ვიკანი ფიქრობს, რომ ამ ბიზანტიურ ბეჭდებს სამედიცინო-მაგიური მნიშვნელობა ჰქონდათ და უზრუნველყოფნენ ბეჭდის მფლობელი ქალბატონის მშვიდობიან მშობიარობას [Vikan G. 1990: 155].

ჩვენი მოსაზრებით, სამივე შეხედულება მისაღებია. საერთოდ, ამ ბეჭდებს რომ ავგაროზის ფუნქცია ჰქონდათ ჩვენში ეჭვს არ იწვევს, თუმცა დავამატებთ, რომ რადგან ქვემო აღევის სამაროვანზე მანდილოსნებს ეს ბეჭდები სამარხში მაინც ჩაატანეს (რაც ქრისტიანული წესით იკრძალებოდა), როგორც ჩანს, ისინი ძალიან მნიშვნელოვან ნივთს (რელიქვიას) წარმოადგენდნენ და ეს ბეჭდები დაკავშირებული უნდა იყოს მეუღლეების ერთად ყოფნასთან იმ ქვეყნადაც და მათი კავშირისა და სულების დაცვის გარანტია იყო საიქიოშიც, რაც წარმართული წესია და შესაძლოა მომდინარეობდეს ბერძნულ-რომაული ტრადიციიდან საფლავის ქვებზე (სტელებზე) ცოლ-ქმრის გამოსახვისა რიტუალური ტრაპეზის დროს, სადაც ქალისა და მამაკაცის ბიუსტები (როგორც ბეჭდებზე) ანფასშია წარმოდგენილი. მაგ. ძვ.ნ. V ს-ის ძველბერძნული სტელა გოლგის ნეკროპოლიდან (კვიპროსი) (ტაბ. III/19) [Акимова Л., Савельев Ю. 2012: 19]. ცნობილია ასევე რომაული წყვილების (მეუღლეების) ბიუსტები ანფასში (ტაბ. III/20) მათ საფლავის ქვაზე (ახ.ნ. I-II სს). ვფიქრობთ, საფლავის სტელებზე გამოსახულმა (ბერძნულ-რომაულ ტრადიციაში დამკვიდრებულმა) ამ მოტივმა გამოძახილი ჰპოვა როგორც რომაულ, ისე ბიზანტიურ საქორნინო ბეჭდებზე წარმოდგენილ წყვილთა კომპოზიციებში, ვითარცა მეუღლეების სამარადუამოდ ერთად ყოფნის გარანტია.

### ლიტერატურა:

**აფხაზავა ნ. 1988:** ქვემო აღევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ.

**ლორთქიფანიძე მ. 1958:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II, არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები. თბ.

**ლორთქიფანიძე მ. 1961:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III. თბ.

**ლორთქიფანიძე მ. 1967:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, IV. თბ.

**ლორთქიფანიძე მ. 1990:** ჟინვალის გვიანანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები. ხელნაწერი. (ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში).

**მშვილდაძე მ. 2012:** ბიჭვინთის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ.

**რამიშვილი რ. 1970:** სიონი. თბ.

**რამიშვილი რ. 2006:** სულიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების კვირაძალზე – უურ. იბერია-კოლხეთი (რედ. გ. გამყრელიძე), № 6, გვ. 144-149. თბ.

**რამიშვილი ქ. ი. 1979:** სასანური გემები საქართველოში. თბ.

**ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. 1982:** ზღუდერის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები – სსმმ, XXXVI-B, (რედ. ლ. ჭილაშვილი), გვ. 129-152. თბ.

**Акимова Л., Савельев Ю. 2012:** Надгробие с изображением ритуальной трапезы – из собрания Гос. Музея Изобразительных Искусств им. А. Пушкина. Мос.

**Габриэль Г. 2009:** Античные и христианские мотивы в византийском ювелирном искусстве. Труды / СПБГУКИ. – Т. 185. С. 169-175. С.-Петербург.

**Гопаченко А. 1999:** Плутарх: Застольные беседы. Книга IV. Вопрос VIII. «Почему кольца с печатями принято носить на безымянном пальце» // Моралии: Сочинения. / С. 144-145.- 1120 с. — (Антология мысли). Мос.

**Залесская В. 1998:** Прикладное искусство Византии IV–XII вв. в его отношении к античному наследию: диссертация в виде научного доклада. СПб., С. 15.

**Неверов О. 1976:** Античные интальи в собрании Эрмитажа. Ленинград.

**Пигуловская Н. 1956:** Города Ирана в раннем средневековье. Мос.-Лен.

**Райс Т. 2006:** Византия. Быт, религия, культура. Мос.

**Bivar A. 1963:** Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum; Stamp Seals, II, London.

**Kitzinger E. 1988:** Reflections on the Feast Cycle in Byzantine Art, Cahiers archéologiques 36. Paris.

**Vikan G. 1990:** Art and Marriage, vol. 44. pp. 145-163. Harvard.

**Walker A. 2011:** Myth and Magic in Early Byzantine Marriage Jewelry - The Persistence of Pre-Christian Traditions. The Material Culture of Sex, Procreation, and Marriage in Premodern Europe.

**Walters H. B. 1926:** Catalogue of The Engraved Gems and Cameos Greek Etruscan and Roman in The British Muzeum. London.

### ტაბულების აღნერილობა:

**ტაბ. I.** 1. ბრინჯაოს საქორნინო ბეჭედი № 1691, ოვალურ ფარაკზე წყვილის ბიუსტების გამოსახულებით პროფილში. კორინთა, საკირეები, ქვემო ალევის ექსპედიცია, ორმოსამარხი №17. 2. №1691 ბეჭედის ანაბეჭდი. 3. №1691 ბეჭედი. 4. ბრინჯაოს საქორნინო ბეჭედი №1636, ოვალურ ფარაკზე წყვილის ბიუსტების გამოსახულებით ანფასში, ქვემო ალევი, ქვისამარხი № 39. 5. №1636 ბეჭედის ანაბეჭდი. 6. №1636 ბეჭედი. 7. ბრინჯაოს ბეჭედი №1683, ოვალურ ფარაკზე წყვილის ბიუსტების გამოსახულებით ანფასში, ქვემო ალევი, ორმოსამარხი №133. 8. №1683 ბეჭედის ანაბეჭდი. 9. №1683 ბეჭედი.

**ტაბ. II.** 10. ბიზანტიური ვერცხლის საქორნინო ბეჭედი მართკუთხა ფარაკზე წყვილის ბიუსტების გამოსახულებით პროფილში. 11. ბიზანტიური ოქროს საქორნინო ბეჭედი ე.ნ. დანიკებული რკალით და მართკუთხა ფარაკზე წყვილის ბიუსტების გამოსახულებით პროფილში. 12. ბიზანტიური ოქროს საქორნინო ბეჭედის მართკუთხა ფარაკი წყვილის ბიუსტების გამოსახულებით ანფასში. 13. ბიზანტიური ოქროს საქორნინო ბეჭედი წრიულ ფარაკზე წყვილის ბიუსტების გამოსახულებით ანფასში. 14. ბიზანტიური ოქროს საქორნინო ბეჭედი ოვალურ ფარაკზე წყვილის ფიგურებისა და მათ შორის ქრისტეს გამოსახულებით ანფასში. 15. ბიზანტიური ოქროს საქორნინო ბეჭედის მართკუთხა ფარაკი წყვილის ბიუსტების გამოსახულებით ანფასში. 16. გრანატის (პიროპი) გემა ოქროს ბალთაში № 834. ოვალურ ინტალიოზე წყვილის პორტრეტით პროფილში და წარწერით: „კარპაკი, ზევახი, ჩემი სიცოცხლე“. არმაზისხევი, №1 სარკოფაგი. 17. სარდიონის გემა ოქროს ბეჭედში, № 1187. ოვალურ ინტალიოზე წყვილის პორტრეტით პროფილში და წარწერით: „მატრონა და კაბრიასი“. ზღუდერი, ხის სარკოფაგი №1. 18. წყვილის პორტრეტი და ქრისტიანული მონოგრამა მათ ზემოთ ნიკოლოს ინტალიოზე, პეტერბურგი, ერმიტაჟი.

**ტაბ. III.** 19. წყვილის ბიუსტების გამოსახულება ანფასში საფლავის ქვაზე, გოლგის ნეკროპოლი (კვიპროსი). 20. რომაელი წყვილის (მეუღლეების) ბიუსტები მათ საფლავის ქვაზე.

I



1



2



3



4



5



6



7



8



9

II




10



11



12



13



14



15



16



17



18

III



19



20

## სამაჯურები საქართველოში (ძ3.ნ. VIII – ახ.ნ. VII სს.)

ნანა გოგიძერიძე

სამაჯურები საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსების ერთ-ერთი დამახასიათებელი არტეფაქტია. მათი უმრავლესობა აღმოჩენილია სამარხებში *in situ* მიცვალებულის ზედა და ქვედა კიდურებზე და სამკაულის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. თუმცა ამავე ფორმის ნივთების გარკვეული ჯგუფი სხვა ფუნქციის მატარებლადაა მიჩნეული.

ისევე, როგორც სხვა არქეოლოგიური მონაპოვარი, სამაჯურები წარმოადგენს ერთ-ერთ ნივთიერ წყაროს შესაბამისი საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების შესწავლისათვის და შეიცავს მდიდარ ინფორმაციას საზოგადოებაში მიმდინარე ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროცესის შესახებ. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის, განვითარების დონის, მისი როგორც შიდა, ისე საგარეო კონტაქტების და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტის კვლევა.

სამაჯურები ფართოდ გავრცელებული სამკაულია. მას ატარებდნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები და ბავშვები. ისინი მზადებოდა სხვადასხვა მასალისაგან – ლითონის, ძვლის, ხისა და მინისაგან. გვხვდება ასევე სხვადასხვა მძივების ასხმები, რომლებიც მიცვალებულის მაჯებზე იყო შემოხვეული. ლითონის სამაჯურები გვხვდება მავთულოვანი და ფირფიტოვანი, ნაჭედი, ჩამოსხმული ან თეგვის გზით დამზადებული, მრგვალი, ოვალური ან ოთხკუთხა განივევეთით [Петренко 1978: 49], შეკრული ან გახსნილი, მრგვალ ან ოვალურზურგიანი და ზურგშედრეკილი. შემკულობის თვალსაზრისით ეს ნივთები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

უძველესი ამგვარი ნივთი საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია ქაცხელების (ქარელის მუნიციპალიტეტი) სამაროვნის №2 სამარხში, რომლის თარიღი დღეს ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულის ბოლო მეოთხედზე უფრო ადრეული ხანითაა დათარიღებული. ესაა ბრინჯაოს სპირალი, რომელიც მიცვალებულს მკლავზე ჰქონდა წამოცმული [Ghiconti და სხვ. 2008: 155-156].

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კომპლექსებისათვის დამახასიათებელია ბრინჯაოს მასიური, სხვადახვა დიამეტრის ღეროსაგან დამზადებული სადა ან გრავირებული გეომეტრიული ორნამენტით დეკორირებული რგოლები ან ხვიები, რომლებიც დადასტურებულია როგორც სამარხეულ ინვენტარში, ისე განძებში. სამარხებში ისინი უმთავრესად მიცვალებულის ფეხებზე ან ფეხებთან არის აღმოჩენილი და ფეხის სამკაულადაა მიჩნეული. ეშერის სამარხში აღმოჩენილ მცირე ზომის ამგვარ რგოლებთან დაკავშირებით ბ. კუფტინი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თუკი ეს ფეხის სამკაულია, ისინი ბავშვობაშივე უკეთდებოდა ბავშვს ფეხზე და აღარ ეხსნებოდა. შესაძლოდ მიაჩინა მას აგრეთვე მათი საყურებებად ხმარება, როგორც ეს სუმატრის ქალების შემკულობაში შეინიშნება. ეს ორი უკანასკნელი მთლიანად სხმული არ არის და თიხის გულგულაზეა დამზადებული, ამდენად შედარებით მსუბუქია. რაც შეეხება ორ ბრინჯაოს რგოლს იმავე სამარხიდან, რომლებიც გარეგნულად სრულიად არ განსხვავდება აღნერილი ეგზემპლარებისაგან, ისინი მასიურია, მთლიანად სხმული და მძიმე (ტაბ.I. სურ. 1) [Куфтин 1948: 167].

განძების შემადგენლობაში შემავალი ამგვარი ნივთები ხშირად იმდენად დიდი ზომისაა და მძიმეა, რომ სამკაულად მათი ხმარება იმთავითვე დადგა ეჭვის ქვეშ. ბ. კუფტინს მოჰყავს მაგალითად ლელვარის ფეხის სამაჯურები, რომლებიც წონით ეშერულს უახლოვდება (ერთ ასირიულ მინამდე), თუმცა ჩამოუვარდება მათ სისქით და დახვეწილობით. ეყრდნობა რა უ. მორგანის ინფორმაციას, იგი აღნიშნავს, რომ რადგან

ისინი მიცვალებულს ფეხებზე ჰქონდა წამოცმული ზოგჯერ 4-5 ცალი თითო ფეხზე წონით 4,5-5 კგ-მდე, საეჭვოა იმის ვარაუდი, რომ ისინი ცოცხალი ადამიანის სამკაულს წარმოადგენდა და ფიქრობს, რომ ისინი უკვე მიცვალებულის ფეხზე იყო შემოჭედილი მჭედლის მიერ, რადგან ზოგიერთი მათგანის 7 სმ-იანი შიდა დიამეტრი გამორიცხავს მათ ადამიანის ფეხზე წამოცმის შესაძლებლობას. უ. მორგანი მათ განიხილავს, როგორც მიცვალებულის ქონებას [Kyftin 1948: 167-168], რაც, სავსებით ლოგიკურად გამოიყურება იმდროინდელი დაკრძალვის წესების ფონზე. ბრინჯაოს მასიური სადა ან გეომეტრიული ორნამენტით შემკული რგოლები, ე.ნ. სიკილები, რომლებიც მონეტების გაჩენამდე ვაჭრობისას გაცვლის საშუალებად გამოიყენებოდა [ნიორაძე 1948: 18-19], სავსებით გამოდგებოდა იმქვეყნიური ცხოვრებისათვისაც.

გვიანბრინჯაოს ხანისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ხშირია ე.ნ. განძების დაფლვის ფაქტები. მათ მოვაჭრეთა ან მელითონეთა განძებს უწოდებენ. ორივე შემთხვევაში ისინი გაცვლისათვის იყო გამიზნული. ჩვეულებრივ ისინი ხეობებში, სავაჭრო გზების გაყოლებაზე იჩენს თავს და დადასტურებულია ძირითადად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კულტურების შეხვედრის ადგილებში [ლორთქიფანიძე 1978: 107-108]. ამ განძების შემადგენლობაში შედის როგორც სადა, ისე გეომეტრიული გრავირებული ხაზებისა და სამკუთხედებისაგან შედგენილი, ე.ნ. პარკეტული ორნამენტით შემკული რგოლები (მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი განძებში, როგორიცაა ცხინვალის განძი (ძვ.წ. VII -VI სს), (ტაბ. I, სურ. 2), ჩაბარუხის განძი (ძვ.წ. VIII -VII სს), ფასანაურის, ოყურების განძი ლეჩეუმიდან) [იხ. ქორიძე 1965].

ამგვარი ნივთების შესანიშნავად დეკორირებული ეგზემპლარები მომდინარეობს ლიახვის ხეობიდან (ხცე, სტირფაზი) (სამი მასიური გახსნილი რგოლი და ერთი კისრის რკალი) და ანალოგიური ნივთები ცხინვალის განძიდან და თერეგვიდან [Kyftin 1948: 28, სურ. 8; 18, ტაბ. XIV, 1, 2; ტაბ. XVI], ასევე სურამიდან, კეხვიდან და ჯავისთავიდან.

განსხვავებულად არის დეკორირებული ბრინჯაოს მასიური რგოლი ერთმანეთზე გადასული თავებით ქვიშარიდან, რომელსაც გ. ნიორაძე რგოლ-მონეტას უწოდებს და აფრიკაში გამოყენებულ მანილა-ს ანალოგად მიიჩნევს. ამ ეგზემპლარზე ექვსი რელიეფური ქედი ხუთ სიბრტყედაა დაყოფილი. რკალის თითეული ზოლი სხვადასხვა ორნამენტითაა შემკული - ნინნკლებით შევსებული რომბებისა და სპირალების მონაცვლეობით [ნიორაძე 1948: 19].

განძების გარდა ამგვარი არტეფაქტები აღმოჩენილია სამარხეულ კომპლექსებშიც, რაც ახალი მონაცემების შუქზე მათი თარიღების დაზუსტების საშუალებას იძლევა. ასე, სამთავროს სამაროვანზე 1939 წ. გათხრილი №42 სამარხის სამაჯური (ტაბ I, სურ. 3) საშუალებას იძლევა სამარხის თარიღი, რომელიც სამაროვნის ზოგადი თარიღის მიხედვით ძვ.წ. XI-VI სს. ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული [კალანდაძე 1982: 77-79], დაკონკრეტდეს და მასში აღმოჩენილი კერამიკული ჭურჭლისა და ბრინჯაოს საკინძის საფუძველზე ძვ.წ. VIII-VII სს. განისაზღვროს.

მსგავსი ორნამენტითაა გაფორმებული მასიური რგოლები ნაცარგორის სამაროვნის (ხაშურის მუნიციპალიტეტი) №11 სამარხიდან (ტაბ.I, სურ.4), რომლის თარიღი განსაზღვრულია I ათასნ. პირველი ნახევრით [რამიშვილი 1995: 70]. სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძები საშუალებას გვაძლევს სამარხის თარიღი განვსაზღვროთ არაუადრეს ძვ.წ. VIII საუკუნისა. ამავე ორნამენტს ვხვდებით ბრინჯაოს მასიურ რგოლებზე ნარეკვავის სამაროვნიდან [ოქროპირიძე 1963: 216-217], რომელთა ანალოგიების თარიღი განსაზღვრულია გვიანბრინჯაოს ხანით [ჯაფარიძე 1950: 105].

წერვანი II სამაროვანზე 1979 წ. გამოვლენილ №5 ორმოსამარხის ინვენტარში, რომელიც გვიანბრინჯაოს სამარხების ჯგუფშია მოქცეული [სადრაძე 1989: 83, სურ. 545, 546], ანალოგიური რგოლები დადასტურებულია ნიჩბისისხევის დანგრეული სამარხების

ინვენტარში და დათარიღებულია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი, 1987: 122, ტაბ. XXXII].

განსხვავებული ორნამენტია დატანილი ბორნიღელის სამაროვნის №92 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს მასიურ სამაჯურებზე [ლამბაშიძე, კვიშინაძე 1991: 31, ტაბ. 65, 27, 28], (ტაბ. I, სურ. 5). იგი შედგენილია წყვილ ზოლებს შორის მოქცეული განივი ზოლებისა და ირიბი ბადისებური ორნამენტით შემკული მონაკვეთების მონაცვლეობით.

თითქმის ყველა შემთხვევაში, ზემოხსენებულ განძებში და სამაროვნებზე ორნამენტირებულ რგოლებთან ერთად დადასტურებულია ბრინჯაოს სადა მასიური რგოლები. ჩვეულებრივ ისინი მრგვალგანივევეთიანია, თანაბარღეროიანი. თუმცა გვხვდება ოვალურზურგიანი, შიდა მხარეს დაბრტყელებული, ბოლოჩამოჭრილი მასიური სამაჯურები საგანგებოდ მოგლუვებული ზედაპირით. ამგვარი აღმოჩნდა ოყურების და წოისის განძებში და დათარიღებულია ძვ.ნ. VIII-VII სს. [Miron, Orthmann, 1995: 287, N238]. ბრინჯაოს თანაბარგანივევეთიანი, ბოლოჩამოჭრილი და დაბრტყელებული, ბოლოდავიწროებული, გახსნილი რგოლები აღმოჩნდა მზეთამზეს სამაროვანზე (ბორჯომის მუნიც.). მათ შორის უმეტესობა დეროდაბრტყელებულია, ნაწილი კი მრგვალღეროიანი. მათი თარიღი განსაზღვრულია ძვ.ნ. VII-VI სს. [Gambashidze და სხვ. 2002: 370, 294].

ძვ.ნ.VII-VI სს. დათარიღებულია დმანისში აღმოჩენილი ბრინჯაოს ოვალური ფორმის გრავირებული სამაჯურები, რომელებიც წარმოადგენს ორად მოღუნულ, მთლიან მრგვალგანივევეთიან ღეროს [Gambashidze 2002 :394, #345 b, c].

ამავე ხანაში გვხვდება ოვალური, ერთმანეთზე ბოლოგადასული, რომბულღეროიანი სამაჯურები გარეთა სიბრტყეებზე გრავირებული სამკუთხედებით ან ირიბი ნაჭდევებით, ასევე მრგვალღეროიანი სამაჯურები ზურგზე განივად დაღარული მონაკვეთებით. ამგვარი აღმოჩნდა თბილისში, საბურთალოზე და დათარიღებულია VIII-VI სს. ფარგლებში [ქორიძე 1958: 43, ტაბ. VIII]. სრულიად გამორჩეულია ბრინჯაოს შეკრული მასიური რგოლები მრგვალგანივევეთიან ღეროზე ძალლების გამოსახულებების რიგით თლიას სამაროვნის №39 სამარხიდან (ძვ.ნ. VII ს.) (ტაბ. I, სურ. 6) [ფანცხავა 1988: 67; Texob, 1980. ტაბ. 44, 23-24; რამიშვილი 2011: 263, ტაბ. III, 6].)

მრგვალბრტყელი რგოლები ბოლოებზე პარკეტური ორნამენტით აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან სამთავროს სამაროვნის №84 სამარხში. აქვე იყო რომბულგანივევეთიანი სადა რგოლები [კალანდაძე 1982: 16-17, სურ. 57-62, 67], რომელთა თარიღი წინაანტიკურ ხანაშია მოქცეული.

ბრინჯაოს სამაჯურები და მასიური რგოლები აღმოჩნდა ერგეტას სამაროვანზე №2 ორმოში, რომელთა თარიღი, თ. მიქელქაძის აზრით, არ სცილდება ძვ.ნ. VII ს. ფარგლებს [მიქელაძე 1982: 87, ტაბ. XXXIII, 31-40], სამაჯურები გახსნილია და ბოლოგანვრილებული. ანალოგიური სადა სამაჯურები დადასტურებულია დღვაბას სამაროვანზე (ხობის რ-ნი) და ძვ. ნ. VII ს მეორე ნახევრით - VI ს-თაა დათარიღებული [მიქელაძე, პაპუაშვილი 1991: 6, სურ. 152, 1-13].

გვიანი ბრინჯაო - ადრეული რკინის ხანაში სამაჯურები არც თუ ისე ბევრ ძეგლზე გვხვდება. ამ მხრივ აღსანიშნავია VII-VI სს. დათარიღებული მზეთამზეს განძი (ბორჯომის მუნიც.), სადაც ათეულობით რკაგახსნილი ოვალურ ან მოოთხკუთხოგანივევეთიანი სამაჯური აღმოჩნდა, რომელთა ბოლოებზე თითქოს ცხოველის სტილიზებული გამოსახულებები ჩნდება [Gambashidze და სხვ. 2002: 370].

ძვ.ნ. VIII ს-დან ხმარებაში შემოდის ასევე ბრტყელი, ლითონის ფირფიტისაგან დამზადებული სამაჯურები. მათ შორის ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს ფურცლისაგან დამზადებული წიბოებიანი სამაჯური – მანუეტი ეშერის დანგრეული სამარხიდან (ტაბ. I, სურ. 7), რომელსაც ბ. კუფტინი ვოლგისპირეთისა და დასავლეთევროპული პარალელების საფუძველზე II ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს [კეფთი 1949: 161, 164].

ერთწიბოიანი ოვალურზურგიანი სამაჯურები დახვეული ბოლოებით აღმოჩნდა ოყურეშის (ლეჩხუმი), ოჯოლის განძებისა და ბრილისა და თლიას სამაროვნის მასალებში (ტაბ. I, სურ. 8) და ძვ.წ. VIII-VII სს. ფარგლებში თავსდება [ქორიძე 1965: 117, 119; Texov 1977: 160-161, სურ. 109]. ბრინჯაოს ბოლოჩამოჭრილი ქედიანი სამაჯური მრგვალგანივკვეთიანი ორად მოღუნული მავთულისაგან დამზადებულ სამაჯურთან ერთად აღმოჩნდა სოფ. განთიადში და დათარიღებულია ძვ.წ. VII-VI სს. [Gambashidze და სხვ. 2002: 394 ა, №345].

ბრინჯაოს ბრტყელი, ბოლოებდახვეული, ზედხედში ოვალური სამაჯურები ზურგზე ზოლებითა და ფრჩხილისებური გრავირებული ხაზებით, ჯვარედინი და წერტილოვანი ორნამენტით აღმოჩნდა წეროვანის სამაროვანზე, რომელიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანითაა დათარიღებული (სამ. №№26, 79) [სადრაძე 1989: 92, 140, სურ. 627, 1024]. ბრინჯაოს ბრტყელი ბოლოებჩახვეული, თანაბარლეროიანი სამაჯური ზურგზე გრავირებული წინვოვანი და სპირალური ორნამენტით აღმოჩნდა მერხეულის სამაროვანზეც და მრავალრიცხოვანი პარალელების საფუძველზე (წითელი შუქურა, ძვ.წ. VII-VI სს.; გუადიხუ, ძვ.წ. VI ს.; ქუჩუქ-სტამბოლი; გუდაუთის სხვადასხვა პუნქტები ძვ.წ. VII ს.; სოხუმის მთის კრემაციული სამარხი; პალური, ძვ.წ. VII-VI სს. მიჯნა.) დათარიღებულია ამავე ქრონოლოგიური მონაკვეთით [ბარამიძე 1977: 51; ტაბ. VI, 19].

ამგვარად, ძვ.წ. VIII-VII სს-ში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გავრცელებულია მასიური, მრგვალი ან ოვალური ფორმის რკალგახსნილი, სხმული, გეომეტრიული ორნამენტით შემკული ან უორნამენტო, მრგვალი, რომბული ან მგვალბრტყელი განივკვეთის მქონე სამაჯურები, რომელთა მსგავსებიც იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენს თავს მთელი საკვლევი ეპოქის განმავლობაში. ამავე ხანაში გვხვდება სხვადასხვა, შედარებით უფრო მცირე განივკვეთის მავთულისაგან დამზადებული ბოლოგანვრილებული სამაჯურებიც (ტაბ. I, სურ. 9 ა, ბ, გ, დ). ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ განხილული ხანის მასალა არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით.

თუმცა, ვითარება რადიკალურად იცვლება ანტიკური ხანისათვის. გავრცელებას იწყებს ოვალური ან წრიული ფორმის მრგვალგანივკვეთიანი, მასიურლეროიანი სამაჯურები, რომელთა ბოლოებზე მოთავსებულია თანაბარი ღეროსაგან მკვეთრად გამოყოფილი ცხოველის თავების რეალისტური ან სტილიზებული გამოსახულებები. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის უძველესი ამგვარი არტეფაქტი მომდინარეობს ერგეტას სამაროვნიდან და დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII სს-ით [Gambashidze და სხვ. 2002: 71].

ძვ.წ. V ს-დან სამაჯურების ასორტიმენტი მკვთრად იზრდება და ფართოდ ვრცელდება მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. IV ს-დან დასტურდება სამაჯურების ახალი ფორმა – ზურგშედრეკილი სამაჯურები [Кигурадзе 1976: 51]

საინტერესო სურათი მოგვცა ცხოველების გამოსახულებებით შემკული სამაჯურების ანალიზმა. მათ შორის გვხვდება როგორც რეალისტური, ისე ძლიერ სტილიზებული გამოსახულებები, თუმცა სპეციფიკური ელემენტების საშუალებით მათი ამოცნობა მაინც ხერხდება. როგორც აღმოჩნდა, მათზე სულ რამდენიმე ცხოველს გამოსახავდნენ: ცხვარს, ზურგზე ყურებგადაწყობილ ბალახისმჭამელ ცხოველს (ქურციკი, ჯიხვი, ხბო), ფანტასტიურ დრაკონისმაგვარ ცხოველს და ფაფრიან ცხოველს, რომელსაც ფაფარი შუაზე აქვს გადაყოფილი. რიგ შემთხვევაში ეს ლომის გამოსახულებაა, თუმცა შედარებით მოგვიანებით ჩნდება და უფრო გვიანელინისტური ხანისათვისაა დამახასიათებელი [Amandry 1985: 11-15]. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არ არის გველის გამოსახულებები [დაწვრ. სამაჯურების ტიპოლოგიასა და ქრონოლოგიაზე იხ. გოგიბერიძე 2003: 17-18; გოგიბერიძე 2021], ეს უცნაურია, რადგან გველის გამოსახულებები საკმაოდ პოპულარულია ადგილობრივ მოსახლეობაში, განსაკუთრებით

კი კოლხურ-ყობანურ კულტურაში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძვ.წ. V ს-დან ხდება ძირეული ძვრები ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში და საქმე გვაქვს აქემენიდურ გავლენებთან, მით უფრო, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ცხოველის გამოსახულებები დამახასიათებელია სწორედ აღმოსავლური სამყაროსათვის, სადაც, ბერძნული კულტურის ნიმუშებისაგან განსხვავებით, ასევე არ გვხვდება სამკაულზე გველის გამოსახულებები. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ V-III სს-ში საქართველო მოქცეულია აქემენიდური რწმენა-წარმოდგენების გავრცელების არეალში, რაც გამოიხატება იმპორტული პროტოპიპების ადგილობრივ გადამუშვებაში და მათ სტილიზაციაში ყველასათვის გასაგები ელემენტების — სიმბოლოების დონეზე.

ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი სიუჟეტის განვითარებაში გარკვეული ქრონოლოგიური წყვეტილი შეინიშნება, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ იგი უწყვეტი სახით არსებობს საქართველოს ფარგლებს გარეთ და აქ პერიოდულად იმპულსების სახით შემოდის [გოგინერიძე 2003: 77; გოგიბერიძე 2021].

რაც შეეხება ცხოველისთავიანი სამაჯურების გავრცელების არეალს, ისინი ცნობილია უნიდან, ამუდარის განძიდან, სირიდან, ნიპურიდან. ორმაგი გამოსახულება ამკობს კარლსრუეს მუზეუმში დაცულ ოქროს სამაჯურებს [Amandry 1985: 14, 20, 12, 1, 3, ტაბ. 10-12, 11, 21, 22, 26-29]. საქართველოს ტერიტორიაზე რეალისტურად შესრულებული გამოსახულებებით შემკული, აშკარად იმპორტული სამაჯურები დადასტურებულია ვანის №6 და №11 სამარხებში (ტაბ. I, სურ. 10, ა, ბ, გ, დ) [ლორთქიფანიძე 1972: 7-48], რომლებიც აქემენიდური ხელოვნების ნიმუშადაა მიჩნეული [ჭყონია 1981: 47-48]. გამოსახულების მოდელირების თვალსაზრისით ხბოს თავები, ვანის №6 სამარხის ოქროს სამაჯურზე, რომლის უახლოეს ანალოგიებად ვუნის სამაჯურებია მიჩნეული [Amandry 1985: 14; ჭყონია 1981: 48], ძალიან ჰყავს ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის ბერძნული სამაროვნის №57 სამარხის ვერცხლის ზურგშედრეკილი სამაჯურების გამოსახულებებს, რომლებზეც ხბოს რეალისტურად შესრულებული გამოსახულებებია მოთავსებული [კახიძე: 2007. სურ 82, 5]. ამავე სამაროვანზე დადასტურებულია ხბოს თავების სტილიზებული გამოსახულებებით შემკული ვერცხლის სამაჯურების მთელი წყება (ტაბ. I, სურ. 11, 10, ბ, გ, დ). მათზე ცხოველის გამოსახულების სტილიზაცია არც ისე შორსაა რეალისტური პროტოპიპებისაგან. განსაკუთრებით კარგად ჩანს ზურგზე გადაწყობილი ყურები — ამ ჯგუფის სამაჯურების მთავარი საკლასიფიკაციო ნიშანი [გოგინერიძე 2003: 20; გოგიბერიძე 2021]. ფიჭვნარის სამაროვნის ხბოსთავიანი სამაჯურების ნაწილი ზურგშედრეკილია (სამარხები №№10, 34, 57, 76), ნაწილი კი ოვალურზურგიანი (სამ. №№9, 35, 107, 110) [კახიძე 2007: 82, 5]. ასაკის თვალსაზრისით ფიჭვნარული ეგზემპლარები წინ უსწრებს ვანის სამაჯურებს, რომლებიც ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევრის [ჭყონია 1981: 46], უფრო კი ამავე საუკუნის დასასწყისის კომპლექსშია აღმოჩენილი. დანარჩენი ფიჭვნარული ცალები სტილიზებულია, თუმცა მათზე გამოსახულების გამოცნობა არც ისე ძნელია. სულ სხვაგვარადაა საქმე აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამავე გამოსახულების სტილიზაციის პროცესი იმდენად შორსაა წასული, რომ მისი ამოცნობა ძნელი იქნებოდა, თუ არა ამ გამოსახულებისათვის აუცილებელი რამდენიმე დეტალი, რომელიც, როგორც წესი, ყველა შემთხვევაში არის წარმოდგენილი [დაწვრ. ტიპოლოგიის შესახებ იხ. გოგინერიძე 2003: 77; გოგიბერიძე 2021], თუმცა ამ უკანასკნელთა უადრესი ნიმუშები მაინც უფრო ახლოს დგას ფიჭვნარულ სტილიზებულ ცალებთან და, ვფიქრობთ, სწორედ აქედან ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოში, თანაც არა იმდენად თვით ნაკეთობები, რამდენადაც ის იდეა, რომლის მატარებლადაც ეს გამოსახულებები ითვლებოდა.

ფიჭვნარში რეალისტური პროტოპიპების შემოტანა სირიის გზით უნდა განხორციელებულიყო, სადაც მოხდა მათი გადამუშავება და გავრცელება ჯერ

აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე (ბეჭთაშენი, მანგლისი, კამარახევი, ყაზბეგი და სხვ.).

საინტერესო შედეგს იძლევა ვერძის გამოსახულებიანი სამაჯურების ანალიზი. ამგვარი რეალისტური გამოსახულებები არც თუ ისე ხშირად გვხვდება. ოქროს ოვალურზურგიანი ვერძისთავიანი სამაჯური დადასტურებულია ფიჭვნარის V ს. დათარიღებული ბერძნული სამაროვნის №245 სამარხში [კახიძე 2007: 357]. სოფ. ჩომეთში კოლხური მონეტების განძთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის ოვალურზურგიანი ვერძისთავებიანი სამაჯური (ტაბ. I, სურ. 12) [გოგიბერიძე 2003: 77; გოგიბერიძე 2021, სურ. 12]. ასევე ოვალურზურგიანია ვანის №11 სამარხის ოქროს ვერძისთავიანი წყვილი სამაჯური (ტაბ. I, სურ. 13) [ჭყონია 1981: 47, კატ. 53, სურ. 7], თუმცა ეს უკანასკნელი სტილით სრულიად განსხვავდება ზემოხსენებულებისაგან.

ოქროს ვერძისთავიანი ზურგშედრეკილი სამაჯური აღმოჩნდა საირხის სამაროვნის №8 სამარხში (ტაბ. I, სურ. 14) [ნადირაძე 1990: 49-50]. მოდელირების თვალსაზრისით იგი ძალზე ახლოს დგას ფიჭვნარული სამაჯურისა და ვანის №11 სამარხის ოქროს ვერძისთავებიანი ყელსაბამის გამოსახულებებთან [ჭყონია 1981, ტაბ. 13, 9].

ყველა ხსენებულ ეგზემპლარზე საგანგებოდაა აღნიშნული ცხოველის შემსხვილებული დრუნჩი, რქებს შორის არ მახვილებულთა სამკუთხედის სახით და დაღარული რქები. ღარები სამკუთხედის წვეროსაკენ არის მიმართული. ცხოველის თავები რქებთან გაფართოვებულია და თანაბარი ლეროსაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. ამ დეტალებზე ასე დაწვრილებით იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ისინი თავს იჩენს საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლში ფართოდ გავრცელებულ სამაჯურებზე (ბეჭთაშენი, სანთა), რომლებიც თავის დროზე სწორედ ამ ნიშნების მიხედვით ვერძის სტილიზებულ გამოსახულებად იქნა მიჩნეული (ტაბ. I, სურ. 15 ა, ბ, გ) [გოგიბერიძე 2003: 77; გოგიბერიძე 2021, სურ. 3-17] და რომელთა პროტოტიპებად სწორედ ზემოაღნერილის მსგავსი რეალისტური გამოსახულებები ვიგულისხმეთ, ხოლო აღნიშნული დეტალები სტილიზაციისას იქცა იმ, ყველასთვის გასაგებ სიმბოლოებად, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა სტილიზებული გამოსახულების იდენტიფიკაცია.

ამგვარად შემკული სამაჯურები საქართველოში სხვაგანაც გვხვდება (დიდი ლილო, დაბლაგომის განძი, ვანის სამარხი №11, მთა იაშთხვა) (ტაბ. I, სურ. 16). ამგვარი აღმოჩნდა ფიჭვნარის ძვ.ნ. V ს. კოლხური სამაროვნის №293 სამარხშიც [კახიძე, ვიკერსი 2004: 19, სურ. 66]. ამდენად, იკვეთება შემდეგი სურათი: რეალისტური გამოსახულებებით შემკული სამაჯურები შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთის გზით, ეს იდეა ვრცელდება და იწყება გამოსახულებების სტილიზაციის პროცესი, ჩნდება ადგილობროვი სანარმოო ცენტრები, საიდანაც ეს პროდუქცია გადის სხვა რაიონებში და შესაძლოა, რეალისტურ გამოსახულებებთან თანაარსებობს. სტატისტიკის მიხედვით ასეთი ცენტრის არსებობა ბეჭთაშენის მიდამოებშია საგულისხმო, რადგან აქ ეს ნივთები უფრო ჭარბადაა წარმოდგენილი, ვიდრე სხვაგან.

საინტერესოა ამ ნივთების გავრცელების გეოგრაფია. ისე ჩანს, რომ ისინი საწარმოო ცენტრიდან სხივისებურად ვრცელდება სხვადასხვა მიმართულებით: აჭარისკენ (ფიჭვნარი), ქართლისკენ (დიდი ლილო), იმერეთისკენ (ვანი), აფხაზეთისკენ (მთა იაშთხვა), აქედან კი შესაძლოა, კავკასიონის ქედს გაღმაც, სადაც ისინი უკვე კარგავს თავის საკლასიფიკაციო ელემენტებს და მართლაც გველის გამოსახულებებს (ვ. პეტრენკოს განსაზღვრებით) ემსგავსება. აქ მათი უადრესი ნიმუშები ძვ.ნ. IV ს., ხოლო უგვიანესი ძვ.ნ. III ს. შემდეგაც განაგძობს არსებობას [Петренко 1978: 52-53].

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ეგზემპლარების შემცველი ყველა კომპლექსი ძვ.ნ. V ს. განეკუთვნება. ეს გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ამ სამაჯურების ფორმა სკვითურ სამყაროში საქართველოს ტერიტორიიდანაა მოხვედრილი, ხოლო რაც შეეხება გამოსახულების შინაარსს, იგი გაუგებარი დარჩა,

გამოსახულებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და მისთვის დამახასიათებელი სიმბოლოებიც გაქრა [გოგიბერიძე 2003: 47].

საქართველოს ტერიტორიაზე ვერძისთავებიანი სამაჯურის უგვიანეს ნიმუშად საირხის ზურგშედრეკილი სამაჯური გვევლინება. იგი საერთოდ ერთობ თავისებურია და წინარე ხანის ნიმუშებისაგან განსხვავადება საერთო ფორმით და გაფორმების დეტალებით. როგორც ჩანს, ვერძის სიმბოლურ მნიშვნელობას ჯერ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა იქ, საიდინაც იგი შემოიტანეს და იგი იმპულსის სახით კვლავ შემოდის საქართველოში ძვ.წ. IV ს-ში. ეს გამოსახულებები კვლავ ჩნდება გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის მიჯნაზე.

ამგვარად, ერთი სიუჟეტის მაგალითზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ უცხოური გავლენების ნიადაგზე ადგილობრივი ნიმუშების წარმოშობისა და მათი შემდგომი გავრცელების გზებზე, როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მაგალითად სკვითების ტერიტორიაზე.

ცხოველის გამოსახულებიანი თანაბარღეროიანი სამაჯურებიდან აღსანიშნავია ოქროს უნიკალური სამაჯურები ტახის გამოსახულებით ვანის №11 სამარხიდან (ტაბ. II სურ. 17) [ჭყონია 1981: 47].

ძვ.წ. IVს შუა ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება ე.წ. დრაკონისთავებიანი სამაჯურები. ამგვარი დადასტურებულია ყაზბეგის, დაბლაგომის, ვანის, დაფნარის სამაროვნების მასალებში (ტაბ. II, სურ. 18, ა, ბ, გ) [გოგიბერიძე 2003: 26]. ამ გამოსახულებების შემდგომ სტილიზაციას, ბ. კუფტინის აზრით, წარმოადგენს სამაჯურების მთელი სერია სიმეტრიულად განლაგებული პრიზმატული შემსხვილებებით (ტაბ. II, სურ. 19), რომლებიც ასევე დაფნარის და დაბლაგომის მასალებისათვისაა დამახასიათებელი და გვხვდება გუადიხუს, ფიჭვნარის და ვანის სამარხეულ კომპლექსებში [გოგიბერიძე 2021].

გვიანელინისტურ ხანაში ცხოველის თავების გამოსახულებები სულ უფრო მეტ სტილიზაციას განიცდის. ჩვენი ყურადღება მიიქცია ნივთებმა, რომელთა საკლასიფიკაციო ნიშნად ღეროსაგან საგანგებოდ გამოყოფილი, დაღარული ბურცობებით შევსებული შემსხვილებები (ე.წ. Pperlenschnur) მივიჩნიეთ. ეს ორნამენტი სხვადასხვა სახის სამკაულზე გვხვდება — დიადემებზე, გვერგვებზე, ფიბულებზე, სამაჯურებზე, საკინძებსა და ილარებზე [გოგიბერიძე 2003, სურ. 159-176; 175-184, გოგიბერიძე 2021]. ალინიშნა, რომ ეს ორნამენტი საკმაოდ კანონიკურია და შედგება რამდენიმე დამახასიათებელი ელემენტისაგან (წახნაგოვანი ღერო, დაღარული ბურცობები, ტეხილი ხაზების ერთი ან რამდენიმე რიგი, განლაგებული წახნაგოვანი ღეროს ნიბოების შესაბამისად). ამგვარი ორნამენტით შემკული უძველესი ნივთები (ბრინჯაოს საკინძები) მომდინარეობს ლურისტანული მასალებიდან და დათარიღებულია ძვ.წ. XI-X სს-ით [Vander Berghe 1982: 83, 158, სურ. 261]. საქართველოს ტერიტორიაზე ამ ორნამენტის გამოყენების უძველესი ნიმუშები დადასტურებულია ვანის №11 სამარხის ოქროს დიადემაზე, სადაც იგი მოთავსებულია შესაკრავსა და რომბულ ფირფიტას შორის და ოქროს ფიბულის რკალზე ამავე კომპლექსიდან. სამარხის თარიღი ძვ.წ. V ს. შუა ხანებითაა განსაზღვრული [ლორთექიფანიძე 1972: 225, სურ. 176]. მომდევნო ხანებში ეს ორნამენტი დამოუკიდებელი დეკორის სახით გვხვდება ვანის №6 სამარხის ოქროს (ტაბ. II, სურ. 20 ბ, გ, დ) [ჭყონია 1981: 46, სურ. 49,50,51], ფიჭვნარის [კახიძე, ვიკერსი 2004: სურ. 245], საირხის [წადირაძე 1990: 63, ტაბ. 33, 11] და ყაზბეგის სამაროვნის ბრინჯაოს ფიბულებზე [წითლანაძე 1976; გოგიბერიძე 2003, სურ. 177-181]. იგი დადასტურებულია ილარებისა და საკინძების შემკულობაში [გოგიბერიძე 2003, სურ. 183-184; გოგიბერიძე 2008: 7, 12, გოგიბერიძე 2021], საკმაოდ გავრცელებულია სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული სამაჯურების ამგვარად დეკორირება [გოგიბერიძე 1986: 154-167;

გოგიბერიძე 2003: 37-40; გოგიბერიძე 2021, II ჯგუფის I ქვეჯგუფი, ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ვერცხლის სამაჯურები ფიჭვნარის ძვ.ნ. V ს. ბერძნული სამაროვნიდან [კახიძე 2007: 263, სურ. 30, 9, 72, 7].

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოხსენებული ეგზემპლარისაგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი ზურგშედრეკილი არ არის და ამ ორნამენტით შემკული, საქართველოსათვის უძველესი ნივთების ჯგუფს უახლოვდება (იგულისხმება ვანის №11 სამარხის დიადემა და ფიტულა).

რაც შეეხება თვით ორნამენტს. ეს ორნამენტი ძალზე წააგავს “ბარსომს” (ღერების შეკვრას) [გაგოშიძე, გოგიბერიძე 1996], რომელიც ზოროასტრულ საკულტო რიტუალთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებული მსგავსება შეინიშნება ამუდარიის განძში დადასტურებული ქურუმის ვერცხლის მცირე ზომის ქანდაკების ატრიბუტთან, რომელიც მას ხელთ უპყრია [ვეიმალ 1979: 34, 1] და რომელიც ო. დალტონის მიერ სწორედ ბარსომადა მოხსენიებული. თუმცა რ. გირშმანი მას ყვავილის გამოსახულებად მიიჩნევს. ჩვენი აზრით, ო. დალტონის ინტერპრეტაცია უფრო დამაჯერებლად გამოიყურება. ქანდაკების თარიღი მკვლევართა მიერ განსაზღვრულია ძვ.ნ. V ს-ისა და IV ს-ის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში [ვეიმალ 1979: 34, 1].

ხშირად ეს სამაჯურები ერთ კომპლექტს შეადგენს ამგვარადვე შემკულ გვერგვებთან (მაგ. ვანის №16 სამარხი). ყველა შემთხვევაში ამ ვარიანტის სამაჯურების თარიღი არ სცილდება ძვ.ნ. IV - III ს-ის დასაწყისის ფარგლებს [დაწვრ. იხ. გოგიბერიძე 2003, სურ. 105-115, 159-166, 175-184; გოგიბერიძე 2021], თუმცა, მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი გაფართოვდა ფიჭვნარის ძვ.ნ. V ს. ბერძნულ სამაროვანზე ოვალურზურგიანი სამაჯურების ალმოჩენის ხარჯზე. როგორც აღვნიშნეთ, შემკობის ეს ხერხი გამოყენებულია სხვა დანიშნულების სამკაულზეც (ილარები, საკინძები, მშვილდაკინძები).

ამგვარად, შეგვიძლია ვითიქროთ, რომ “ბარსომის” გამოსახულება აღმოსავლური კულტურის ნასესხობას უნდა წარმოადგენდეს და რამდენადაც არც კოლხურ დიადემებს და არც შესაკრავიან გვერგვებს საქართველოს ზემოჩამოთვლილი მხარეების ფარგლებს გარეთ პარალელები არ ეძებნება, სავარაუდოა, რომ ეს სიმბოლო შეთვისებული და გადამუშავებული იქნა ადგილობრივი კულტურის მიერ, რომლის წიაღშიც დიდი ხანია არსებობდა დიადემებისა და საკისრე რკალების ტრადიცია.

ელექტრუმის სამაჯური ალგეთის მდიდრული სამარხიდან (ქვემო ქართლში ამ ორნამენტის ერთადერთი დადასტურება) გამოირჩევა დამზადების განსხვავებული ტექნიკით (ტაბ. II, სურ. 21). მის ზურგშედრეკილ ლეროზე შემოკრულია ელექტრუმის თხელი გოფრირებული ფირფიტა. ამგვარივე გოფრირებული ფირფიტა გვხვდება ახალგორის განძის წრიული ბურთულებიანი საყურების [Smirnov 1934, ტაბ. III, 24] და საირხის №1 სამარხის ოქროს საყურესა და ოქროს მძივების გაფორმებაში [წადირაძე 1990: 71-72; ტაბ. 34, 8, 7]. იგივე ტექნიკა გამოყენებული საირხის საკისრე რკალზე, რომლის სპილენძის ლეროზე წამოცმულია გოფრირებული მოოქრული ფირფიტა. ამ ნივთის უახლოეს პარალელს ჯ. წადირაძე ძვ.ნ. IV ს ეტრუსკული ხელოვნების ნიმუშებში ხედავს [წადირაძე 1990: 85; ტაბ. 39, 3]. ძნელი სათქმელია, რამდენადაა ეს ნივთები დაკავშირებული ეტრუსკულ სამყაროსთან. ფაქტი კი ის არის, რომ ამგვარად დამზადებული ნივთები აღმოჩენილია როგორც აღმოსავლეთ (ალგეთის მდიდრული სამარხი, ახალგორის განძი), ისე დასავლეთ საქართველოში (საირხე) და მისი თავისებურება ერთ სანარმოო ცენტრზე უნდა მიუთითებდეს, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარეობდა, რადგან საოქრომჭედლო ნაწარმით ძალზე მდიდარ საქართველოში ამ ხერხით დამზადებული ნივთების ხევდრითი წონა ძალზე მცირეა.

საინტერესოა ასევე რკინის ბურცობებიანი სამაჯურების გავრცელების არეალი და ქრონოლოგია. ისინი დადასტურებულია ქვემო ქართლის (გომარეთი, კიკეთი, კუშჩი, ეცო,

პაპიგორა, შავსაყდარა, ბოგვისხევი) [დავლიანიძე 1983; გაგოშიძე 1982; შატპერაშვილი 1999; მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004; თუშიშვილი 1970], შიდა ქართლის (კავთისხევი, კამარახევი, ტახტიძირი, ვარსიმაანთვარი) [ნაკაიძე 1980; ჯლარკავა 1982; გაგოშიძე 1977; გოგიბერიძე 2008; ნითლანაძე 1983.] და ზემო იმერეთის (ითხვისი, მოდინახე) [გაგოშიძე, გოგიბერიძე 2006; ნადირაძე 1975] ძეგლებზე. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მათი უმრავლესობა ოვალურზურგიანია. გვხვდება ზურგშედრეკილი ცალებიც, როლებსაც სიგანეში განზიდული ფორმა ახასიათებს, რაც ზურგშედრეკილი სამაჯურების ადრეული ნიმუშებისათვისაა დამახასიათებელი. მათი კონცენტრაცია ჩამოთვლილ ძეგლებზე ძვ.წ. IV ს. პირველ ნახევარში მათ ადგილობრიობაზე და საქართველოს ამ რეგიონებში ერთიანი მატერიალური კულტურის არსებობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ფიჭვნარის სამაროვანზე ამგვარი სამაჯურების აღმოჩენის ფაქტი არ დასტურდება.

ზემოაღნერილი სამკაულის პარალელურად არსებობას განაგრძობს ბრტყელლეროიანი სამაჯურები. ასეთებია ცხოველის თავების რელიეფური სტილიზებული გამოსახულებებით შემკული ოვალური სამაჯური ზენური ორნამენტით ვანის №11 სამარხიდან (ტაბ. II, სურ. 22) [გოგიბერიძე 2003, სურ. 159-176; 175-184, გოგიბერიძე 2021, სურ. 57-61, 66-67], ცხოველის გრავირებული გამოსახულებებითა და ზენური ორნამენტით შემკული სამაჯური ბრილიდან (ძვ.წ. IV ს) (ტაბ. II, სურ. 23).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური ხანის სამაჯურებისათვის ძირითადად დამახასიათებელია დეკორის სამკაულის ბოლოებზე ან მთელს ღეროზე სიმეტრიულად განლაგება, თუმცა რიგ შემთხვევებში მორთულობა რკალის ცენტრალურ ნაწილშია მოთავსებული. ასეთია, მაგალითად, ბრინჯაოს სამაჯური მანგლისის №1 აკლდამიდან (ტაბ. I, სურ. 24), რომელზედაც ბოლოებზე განლაგებული ცხოველის სქემატური გამოსახულება რკალის შუა ნაწილში ერთმანეთის პირისპირაა განთავსებული [გოგიბერიძე 2003, სურ. 24, გოგიბერიძე 2021, სურ. 36]. შემკობის ამავე ხერხს ვხვდებით ე.წ. “დრაკონისთავებიან” სამაჯურებზეც [გოგიბერიძე 2003: 25, გოგიბერიძე 2021, სურ. 37, 38-39]. ამ შემთხვევაშიც გამოსახულებები არ განსხვავდება ბოლოებზე მოთავსებული გამოსახულებებისაგან და არ არის ამოვარდნილი ორნამენტაციის ერთიანი რიტმული თარგიდან.

ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი სამაჯური (ტაბ. II, სურ. 25), რომლის ბოლოები დაღარული ბურცობებითაა შემკული, რკალის შუა ნაწილში კი ჩასმულია ოვალური ფარაკი, რომელზედაც მოთავსებულია გემა — ბოლოგაშლილი ფრინველი, ნახევარმთვარე და ვარდულია გამოსახული [კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 66, სურ. 159, 1]. ფარაკი დარჩილულია ნახნაგოვან, თანაბარი ზომის მავთულზე, რომლის ბოლოებზე განლაგებულია ირგვლივი ღარებით შემოსაზღვრული დაღარული ბურცობი. მსგავსი ბოლოები ახასიათებს, ახალგორის განძის ოქროს ოვალურზურგიან სამაჯურებს [Smirnov 1934: ტაბ. I, ა, ბ; გოგიბერიძე 2003: 39, სურ. 113]. რაც შეეხება ფრინველის და ნახევარმთვარის გამოსახულებას, ეს სიუჟეტი ფართოდაა გავრცელებული ელინისტურ ხანაში. ანალოგიური სამაჯურების მთელი წევება აღმოჩნდა აწყურის სამაროვანზე, ძვ.წ. IV ს-ითაა დათარილებული და, ავტორის აზრით, ან შემოტანილია აქემენიდური სამყაროდან, ან ადგილობრივადაა დამზადებული აქემენიდური კულტურის გავლენით [Licheli 2007: 59, სურ. 4, 5; ლიჩელი 2011: 38-39].

როგორც ირკვევა, ძვ.წ. IV ს-თვის დამახასიათებელია ამ კატეგორიის ნივთების განსაკუთრებული მრავალფეროვნება. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში ხდება მათი წარმოების ფართოდ ათვისება და ფორმათა მრავალგვარობა ძიებისა და ჩამოყალიბების პროცესის ამსახველია. ძვ.წ. III ს-ში მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლის ფონზე მათი ასორტიმენტი საგრძნობლად კლებულობს, რაც ამ პროდუქციის ხელოსნობის დონეზე სტანდარტიზაციაზე უნდა მიუთითებდეს.

გვიანელინისტურ ხანაში ფართოდ არის გავრცელებული ზურგშედრეკილი სამაჯურები ბოლოებზე ფაფრიანი ცხოველის ძლიერ სტილიზებული გამოსახულებით, რომელთა საკლასიფიკაციო ნიშანია ცხოველის თავისა და კისრის არეში სიგრძივ დატანილი ღარი (ტაბ. III, სურ. 28, ა, ბ). ამგვარები მრავლად გვხვდება სამთავროს, დაბლაგომის, დაფნარის, ზემოფარცხმის და სხვა სამაროვნების ქვევრსამარხებში [თოლორდავა 1980]. სამთავროს ქვევრსამარხებისათვის დამახასიათებელია ასევე ზურგშედრეკილი, კონუსისებურად ბოლოშემსხვილებული სამაჯურები (ტაბ. III, სურ. 29, ა, ბ). ძ.წ. III-I საუკუნეებში ასევე ფართოდაა გავრცელებული ზურგშედრეკილი სამაჯურები თანაბარ ღეროზე განლაგებული სხვადასხვა რაოდენობის ოვალური ბურცობებით (ტაბ. III, სურ. 30, ა, ბ, გ). ამგვარი არტეფაქტები დადასტურებულია ფიჭვნარის, დაბლაგომის, დაფნარის, ზემოფარცხმის, გუადიხუს, ყაზბეგის, თოხლიაურის და სხვა სამაროვნებზე [გოგიბერიძე 2003: 40-41].

ძ.წ. I ს-დან მთელი რომაული ხანის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს ბოლოგადახვეული სამაჯურები, რომლებიც დადასტურებულია როგორც მდიდრულ, ისე რიგით სამარხებში საქართველოს სხვადასხვა ძეგლებზე: არმაზისხევი [აფაქიძე, გობეჯიშვილი 1955, სურ. 139, 6] არქეოთი [ჯაფარიძე 1956, სურ. 4], დუშეთი [Gambashidze და სხვ. 2002: 446], ჭერემი [მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 1984, ტაბ. XXXI, XXXVI] და სხვ.

რომაულ ხანში ფართოდ ვრცელდება სახსროვანი, ხშირად თვლებით შემკული სამაჯურები (ტაბ.III, სურ. 31 ა. ბ). ამგვარი ნივთები დადასტურდა დედოფლის გორაზე [გოგიბერიძე 2008, კატ. №161, 162], არმაზისხევში [აფაქიძე, გობეჯიშვილი 1955, სურ. 139, 1, 2, 4, 5, 8] ბიჭვინთაში [დიდი პიტიუნტი 1978, ტაბ. 256] და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური ხანის სამაჯურებისათვის ძირითადად დამახასიათებელია დეკორის სამკაულის ბოლოებზე ან მთელს ღეროზე სიმეტრიულად განლაგება, თუმცა რიგ შემთხვევებში მორთულობა რკალის ცენტრალურ ნაწილშია მოთავსებული. ასეთია, მაგალითად, ბრინჯაოს სამაჯური მანგლისის №1 აკლდამიდან, რომელზედაც ბოლოებზე განლაგებული ცხოველის სქემატური გამოსახულება რკალის შუა ნაწილში ერთმანეთის პირისპირაა განთავსებული [გოგიბერიძე 2003: 24, სურ. 36]. შემკობის ამავე ხერხს ვხვდებით ე.წ." დრაკონისთავებიან" სამაჯურებზეც [გოგიბერიძე 2003: 25, სურ. 37, 38-39]. ამ შემთხვევაშიც გამოსახულებები არ განსხვავდება ბოლოებზე მოთავსებული გამოსახულებებისაგან და არ არის ამოვარდნილი ორნამენტაციის ერთიანი რიტმული თარგიდან.

მთავარი დეკორატიული ელემენტის სამკაულის ცენტრალურ ნაწილში გადმოტანა შემდგომში საკმაოდ გავრცელებულია. ასე მაგალითად, უინგალისა და რიყიანების ველის ვერცხლის მავთულოვანი ბოლოგადახვეული სამაჯურების ცენტრალურ ორნამენტს ჰერაკლეს კვანძი წარმოადგენს. ორივე ნივთი ჩვ.წ. I ს-ის სამარხებიდან [მირიანაშვილი 1983: 41, სურ. 23] მომდინარეობს [Gambashidze და სხვ. 2002: 444, 446] (ტაბ.III, სურ. 26, ა). ამავე სამაროვნის №16 სამარხში აღმოჩნდა ბოლოებგადახვეული სამაჯური, რომლის ცენტრში სახსრების საშუალებით მიმაგრებული იყო ოვალური თვალბუდე მასში ჩასმული მინის ინტალიოთი — ქალლმერთის გამოსახულება [მირიანაშვილი 1983: 40, სურ. 21] (ტაბ. III, სურ. 27).

ამავე კონსტრუქციის სამაჯურები საკმაოდ დამახასიათებელია რომაული ხანისათვის სამაჯურების დიდი მრავალფეროვნებისა და იმპორტული ნაკეთობების სიმრავლის ფონზე. ნაწილების სახსროვანი შეერთება ახასიათებს ასევე ოქროს სამაჯურებს არმაზისხევის №2 სამარხიდან (ტაბ. III, სურ. 31, ა, ბ), სადაც ცენტრალურ ელემენტს ასევე აღმანდინის თვალი წარმოადგენს [აფაქიძე, გობეჯიშვილი 1955, სურ. 139, 4, 5]. დეკორირების ამავე პრინციპს ვხვდებით კამეებით შემკულ ოქროს სამაჯურებზე ბაგინეთის მდიდრული სამარხიდან [Miron, Orthmann 1995: 176, კატ. №180], ასევე გიშრის,

ოქროს ბადეში ჩასმული აღმანდინებიანი აპლიკაციით შემკულ სამაჯურზე [Nacional Treasures 1999, 102] (ტაბ. III, სურ. 32). სამაჯურზე ცენტრალური დეკორის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ნეფრიტზე ათენა პალადას გამოსახულებიანი სამაჯური სამთავროდან (ტაბ. III, სურ. 33) [აფაქიძე, გობეჯიშვილი 1955, სურ. 139, 3.]. რაც შეეხება სამაჯურების კონსტრუქციას, ელემენტების სახსროვანი შეერთება საერთოდ დამახასიათებელია რომაული ხანის საიუველირო ნაწარმისათვის. მათ რიცხვს მიეკუთვნება ოქროს სამაჯურები მცხეთიდან [აფაქიძე, გობეჯიშვილი 1955, სურ. 139, 1, 2, 8], ბიჭვინტიდან [დიდი პიტიუნტი 1978, ტაბ. 256].

რომაულ ხანაში სამაჯურების ასორტიმენტი ძალზე ფართოა. ცენტრალურ ორნამენტიანი სამაჯურების გვერდით არსებობას განაგრძოს გახსნილი, ოვალური, უორნამენტო სამაჯურები თანაბარი წახნაგოვანი ღეროთი [ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1980: 5]

გვიანანტიკურ ხანაში არსებობას განაგრძობს ფირფიტოვანი სამაჯურებიც. ჟინვალში და ბრილში აღმოჩენილი ამგვარი სამაჯურები აშკარად უკავშირდება დეკორირების ძველ ადგილობრივ ტრადიციებს, რაც გამოიხატება გრავირებული სამკუთხედების და ზენური ორნამენტის გამოყენებაში [Gambashidze 2002, 436-439] (ტაბ. III, სურ. 34).

ბრტყელი სამაჯურებიდან აღსანიშნავია ასევე ვერძის თავის რელიეფური გამოსახულებებით შემკული სამაჯურები არაგვის ხეობიდან [რამიშვილი 2008: 78] (ტაბ. III, სურ. 35).

ადრე შუასაუკუნეებში განაგრძობს არსებობას ზურგშედრეკილი სამაჯურების ზოგიერთი ტიპი, ძირითადად ბოლოშემსხვილებული. კვლავ პოპულარულია სტილიზებული ცხოველის თავებით შემკული ოვალურზურგიანი და ბოლოგადახვეული სამაჯურები [ჩიხლაძე 2008, სურ. 11] საინტერესოა ალევის სამაროვნის მასალა, რომელიც განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მრავალსახოვანია. აյ გვხვდება ოვალურზურგიანი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული სამაჯურები, რომელთა დაბრტყელებულ ბოლოებზე ცხოველის (ლომის) გამოსახულებაა დაშტამპული [აფხაზავა 1988: 112, ტაბ. XXXVI, 1-3]. VII ს. კომპლექსებში ფართოდ ვრცელდება ე.წ. ქედშესქელებული სამაჯურები, რომლებიც გვხვდება სამთავროში, გურჯაანში, სიღნაღმი, ჩრდილო-ოსეთის, ჩეჩენეთ-დალესტანისა და აზერბაიჯანის ზოგიერთ რაიონებში [აფხაზავა 1988: 116, ტაბ. XXXVI, 9] (ტაბ. III, სურ. 36), პარალელურად საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებობას განაგრძობს სადა ოვალური გახსნილი სამაჯურები, მათ შორის აფხაზეთის ძეგლებზეც [გუმბა 1978, ტაბ. XXXI, 2; XXXII, 2, 3]. აქვეა წრიული მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები ოთხწახნაგა შემსხვილებზე დატანილი თვალისებური გრავირებული ორნამენტით წებელდიდან (ტაბ. III, სურ. 37) [გუმბა 1978, ტაბ. II, 30, 35]. მსგავსი არტეფაქტები აღმოჩენილია ნოქალაქევში და სოჭის მიდამოებში [ზაქარაია 1986].

ამგვარად, მთელი საკულტური ხანის შესაბამისი მასალის განხილვის შედეგად დგინდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სამაჯურები ძირითადად ადგლობრივად მზადდება, თუმცა ხშირად მათ საფუძვლად უდევს იმპორტული პროტოტიპები, რომელთა შემდგომი გადამუშავება და გათავისება უკვე ადგილობრივ ნიადაგზე მიმდინარეობს. ხშირად ისინი უკვე აღარ იწარმოება თავისი პირვანდელი დამზადების ადგილას, მაგრამ განაგრძობს არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა მათზე დატანილი გამოსახულებების მნიშვნელობა უკვე დაკარგულია და ისინი წმინდა დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს. ამ მნიშვნელოვანი არტეფაქტების და მათი დეკორირების ელემენტების მიხედვით ვლინდება საქართველოს კონტაქტები გარე სამყაროსთან სხვადასხვა ეპოქაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამაჯურებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ამათუ იმ ძეგლის თარიღის განსაზღვრაში. სწორედ ამ არტეფაქტების ანალიზის შედეგად

მოხერხდა მთელი რიგი არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ადგილის განსაზღვრა და დაზუსტება [გოგინერიძე 2003: 78, 79].

ასე, ძვ.წ. V ს. შუა ხანებში მოთავსდა ბეშთაშენის სამაროვნის №№9, 13, 17, 26, 28, 36 სამარხები, სანთას სამაროვნის სამარხი №2, სამარხი მთა იაშხთვადა.

ძვ.წ. V ს. ბოლო – IV ს. დასაწყისში – ბეშთაშენის სამარხი №62, კიკეთის სამაროვნის სამარხები №1 და №2.

ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევარი – შრომისუბნის სამარხი №2, მოდინახეს სამაროვნის სამარხი №3, საირხის №10 სამარხის სამხერთი კამერა.

ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევარი და შუახანები – კამარახევის სამაროვნის სამარხები №№8, 66, 72, 126, 129, 147; საირხის სამარხი №8.

ძვ.წ. IV ს. შუახანები – მანგლისის აკლდამა; ითხვისის სამაროვნის №2 და №4 სამარხები; კამარახევის სამაროვნის სამარხები №№ 30, 65, 146, 149, 151; გომარეთის სამაროვნის სამარხები №6 და №9; მოდინახის სამარხი №6; ვანის სამარხები №2 და №16.

ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევარი – კამარახევის სამაროვნის სამარხები №№4.24, 156; ითხვისის სამაროვნის სამარხი №1, ვანის სამარხი №12.

ძვ.წ. IV ს. ბოლო მეოთხედი – ალგეთისა და ყანჩაეთის მდიდრული სამარხები.

ძვ.წ. IV ს. ბოლო – III ს. დასაწყისი – დაბლაგომის სამაროვნის ქვევრსამარხები №№14, 15, 25, 27; დაფნარის სამაროვნის ქვევრსამარხები №№ 3, 5, 28, 31, 33; გუადიხუს სამაროვნის უმცროსი ჯგუფის სამარხები №№8, 38, 39; ახალგორის განძი.

ძვ.წ. III ს. პირველი ნახევარი – დაბლაგომის მდიდრული სამარხი.

ძვ.წ. II ს. მეორე ნახევარი – წითელი შუქურას სამაროვნის უმცროსი ჯგუფის სამარხი №39.

ძვ.წ. I ს. მეორე ნახევარი – სამთავროს სამაროვნის სამარხი №227.

ახ.წ. I ს. – სამთავროდს სამაროვნის სამარხი №58.

ესაა იმ არქეოლოგიური ძეგლების არასრული სია, რომელთა ქრონოლოგიის დაზუსტება მოხერხდა სამაჯურების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე.

### ლიტერატურა:

**აფაქიძე ან, გობეჯიშვილი გ. კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. 1955:** მცხეთა, არქეოლოგიური გათხრები არმაზისხევში. I, თბ.

**აფაქიძე ან, რედ. 1977:** დიდი პიტიუნტი ტ. III, თბ.

**აფხაზავა ნ. 1988:** ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. ქსნის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ.

**ბარამიძე მ. 1977:** მერხეულის სამაროვანი, თბ.

**გაგოშიძე იულ., გოგიბერიძე ნ. 1996:** ძვ.წ. V-III სს. საქართველოს ძეგლების დანაწევრებული ქრონოლოგია სამარხეული მასალების მიხედვით. ქართლის ქრონოლოგიის საკითხები. 1996 ნ., არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბ.

**გაგოშიძე იულ. 1977:** არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში. კავკასიის უახლესი აღმოჩენები, სამეცნიერო სესიის მოხსენებათა შინაარსები, თბ., გვ. 16-17.

**გაგოშიძე იულ., გოგიბერიძე ნ. მახარაძე გ. 2006:** ითხვისის სამაროვანი (კატალოგი). არქეოლოგიური უურნალი, IV. თბ., გვ. 36-58.

**გაგოშიძე იულ. 1982:** თრიალეთის სამაროვნები. თბ.

**გოგიბერიძე ნ. 1986:** დაღარული ბურცობებით დეკორირებული სამკაულის თარიღისათვის. უურნ. მაცნე, №2, თბილისი, გვ. 154-167.

**გოგიბერიძე ნ. 2008:** საკინძების და ილარების ზოგიერთი ტიპის თარიღისათვის. უურ. იბერია-კოლხეთი, რედ. გ. გამყრელიძე, №4, გვ. 5-13.

**გოგიბერიძე ნ. 2021 ა.: სამაჯურები. — საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები (ძ.ნ. V – ახ.ნ. V სს.). რედ. გ. გამყრელიძე. გვ. 418-424.**

**გოგიბერიძე ნ. 2021 ბ.: სამაჯურები საქართველოში (ძ.ნ.VIII-ახ.ნ.VII სს.), გვ.3-67.  
[https://museum.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=95&info\\_id=158](https://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=95&info_id=158)**

**დავლიანიძე ც. 1983:** ქვემო ქართლის კულტურა ძვ.ნ. I ათასწ. II ნახევარში. თბ.

**ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., იაშვილი მ., ზამთარაძე მ., თ. კაპანაძე. 1986:** ნოქალაქევის ექსპედიციის 1980-81წწ. ანგარიში. უურ. საქართველოს სახელ. მუზეუმის ექსპედიციები, VIII, გვ. 83-91.

**თოლორდავა ვ: 1980.** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ.

**თუშიშვილი ნ. 1970:** ბოგვისხევის სამაროვანი. უურ. მაცნე, №3. გვ. 126-140.

**კალანდაძე ალ. 1982:** კრებ. მცხეთა, VI, ნინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ძ.ნ. XI-VI სს. თბ., გვ. 7-138.

**კახიძე ამ, ვიკერსი მ. 2004:** ფიჭვნარის ძ.ნ. IV ს ბერძნული ნეკროპოლი. ფიჭვნარი I, ბათუმი-ოქსფორდი, გვ. 86-112.

**კახიძე ამ. 2007:** ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ფიჭვნარის ძ.ნ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლი. ბათუმი-ოქსფორდი.

**ლიჩელი ვ. 2011:** სამარხეული ინვენტარი აწყურიდან. უურ. ინტერდისციპლინარული არქეოლოგია, I, თბ., გვ. 25-57.

**ლორთქიფანიძე ოთ. 1972:** ვანის ნაქალაქარი. კრებ. ვანი, I, გვ. 7-80.

**ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე ო., ხახუტაშვილი დ. 1980:** გონიოს განძი. თბ.

**მამაიაშვილი ნ., ჯავახიშვილი ქ. 1984:** ჭერემის გვიანანტიკური ხანის სამაროვანი. კახეთის ექსპ. შრომები, VI, გვ. 77-107.

**მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. 2004:** ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

**მირიანაშვილი ნ., 1983:** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ.

**ნადირაძე ჯ. 1975:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

**ნადირაძე ჯ. 1990:** საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ.

**ნაკაიძე ნ. 1980:** ძ.ნ. IV-III სს. ქვევრსამარხები დაჭრილების სამაროვნიდან. კრებ. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 28-41.

**ნიორაძე გ. 1948:** ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. უურ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, გვ. 1-22.

**ოქროპირიძე ნ. 1963:** ნარევავის სამაროვანი. ისტ. ინ-ტის შრომები, VII, გვ. 183-219.

**რამიშვილი ქ. რ. 2008:** ვერძის გამოსახულებები მდ. არაგვის ხეობიდან. უურ. იბერია-კოლხეთი, №4, რედ. გ. გამყრელიძე, გვ. 76-84.

**რამიშვილი ქ. რ. 2011:** ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებები კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე. უურ. ძიებანი, №20, გვ.255-270.

**სადრაძე ვ. 1989:** წეროვანი II. ბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვანი (კატალოგი). კრებ. მცხეთა IX. თბ. გვ. 77-153.

**ფანცხავა ლ. 1988:** კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბ.

**ქორიძე დ. 1953:** გვიანბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი თბილისიდან. უურ. საქართველოს სახელ. მუზეუმის მოამბე, XVII.

**შატბერაშვილი ვ. 1999:** ეცოს სამაროვნის ქრონოლოგიის საკითხი. უურ. ძიებანი, №3.

**წითლანაძე ლ. 1976:** ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

**ჭყონია ა. 1981:** ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. კრებ. ვანი, VI, თბ.


**ჯაფარიძე ოთ. 1950:** ცხინვალის განძი. საქ. სახელ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, გვ. 103.

**ჯაფარიძე ოთ. 1956:** არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში. თსუ შრომები, ტ.63.


**ჯლარკავა თ. 1982:** კამარახევის სამაროვანი. კატალოგი, მცხეთა, VI, გვ. 139-190.

- Апакидзе А., Николаишвили В., Сихарулдзе А., Мелитаури К., Гагошидзе Ю., Гиунашвили Г., Манджгаладзе Г., Нариманишвили Г., Глонти Н., Иремашвили Ш., 1987:** Археологические раскопки в Мцхета и ее округе. ПАИ в 1984-1985 гг. Тб., с. 47-51.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К., Гамбашидзе И. 1991:** Основные результаты работ Месхет-Джавахетской экспедиции в 1985-1986 гг. ПАИ в 1986 г., с. 27-34.
- Гогиберидзе Н. 2020:** Браслеты и гривны Грузии V-I вв. дон.э., 2003.
- Гумба М. 1978:** Новые памятники цебельдинской культуры, Тб.
- Зеймаль Е. 1979:** Амударьинский клад. Л-Д.
- Лордкипанидзе Г. 1978:** Колхида в VI-II вв. до н.э., Тб.
- Куфтин Б. 1949:** Материалы к археологии Колхиды, I, Тб.
- Петренко В. 1978:** Украшения Скифии VII-III вв.до н.э. – АС, САИ, Вып. В4-5, Мос.
- Рамишвили А. 1995:** Археологические раскопки в Хашури.- ПАИ в 1987 г. с. 69-74.
- Техов Б. 1977:** Центральный Кавказ в XVI-X вв до н.э. Мос.
- Техов Б. 1980:** Тлийский могильник I. Тб.
- Amandry P. 1985:** OrfevriereAchemenide. Jur. Antike Kunst, I, p.9-22.
- Chikhladze V. 2008:** Zhinvali Cemetery. – Ancient Near Eastern Studies, Suppl. 19, pp. 449-465.
- Gambashidze I, Hauptmann A, Slotta R, Yalçın Ü., 2002:** Georgien Schätze aus dem Land des Goldenen Vlies (Catalog) 2002. Heraus.
- Gogiberidze N. 2008:** Metal Jewelry - Iberia and Rome., Ed.A. Furtängler, I. Gagoshidze, H. Löhr, N. Ludvig, Langenveisßbach, pp.170-175.
- Ghloni L., Ketskveli M., Palumbi G., 2008:** The Cemetery at Kvatskhelebi. - Archaeology in Southern Caucasus: Perspectives from Georgia, *Ancient Near Eastern Studies*, Supplement 19. Leuven-paris-Didley, MAS.153-184.
- Licheli V. 2007:** Oriental Innovations in *Samtskhe* (Southern Georgia) in the 1<sup>st</sup> Millenium BC. – Ancient Civilizations from Scythia to Siberia, 13, Leiden-Boston, 55-66.
- Smirnov J. 1934:** Der Schatz von Achalgori. Tiflis.
- Miron A., Orthmann W, 1995:** Untervegs zum Goldenen Viles. Archäologische Funde aus Georgien. Heraus. Saarbrücken.
- Vander Berghe L. 1982-83:** Luristan een Vardvenen Bronzkunst uit Vest Iran Ori Z. Solters ed. 1999: National Treasures of Georgia, London.

## I



II



III

Fig. I - 3b, V-VII b.



26 ♂



27



28 ♂



28 ♂



29 ♂



29 ♂




29 ♂



31 ♂



31 ♂




32



33



34



35



36



37

## კოლეგიალური თიტული და ამონონი

(ძ.წ. VII – ახ.წ. VI სს)

მარინე ფირცხალავა, გელა გამყრელიძე

საქართველოში კერამიკულ წარმოებას განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ძ.წ. VII - ახ.წ. VI სს-ის კერამიკული ნანარმი დასავლეთ საქართველოში ცნობილია ნამოსახლარებიდან და სამაროვნებიდან. თითქმის არ მოიძებნება დროის ამ მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლი, რომელზეც არ იყოს ფიქსირებული თიხის ჭურჭლის ესა თუ ის სახეობა. მისი გავრცელების ძირითადი პუნქტებია: ვანის ნაქალაქარი [იხ. თოლორდავა 2001: 37-39; ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 15-16; მათიაშვილი 1977: 52; მათიაშვილი 2013], ნაოხვამუ [იხ. კუთინ 1950: 193-200], დაბლაგომი [იხ. კუთინ 1950: 20; თოლორდავა 1977: 71-81], სოფ. მთისძირი [იხ. გამყრელიძე 1982: 82-86, 107-114], სოფ. დაფნარი [იხ. კიგურაძე 1976: 7], სოფ. ნოსირი [იხ. გოგაძე 1982: 57], სოფ. ჭალადიდი [იხ. მიქელაძე 1978: 40], სოფ. ნიგზიანი [იხ. მიქელაძე 1985: ტაბ. IV], საჩხერე [იხ. ნადირაძე 1990: 16], ყვირილის ხეობის ნამოსახლარები [იხ. ნადირაძე 1975: 21-36], ბათუმისციხე [იხ. ვაშაკიძე და სხვ. 1975: 96-97; კახიძე 1965: 71-72], ქობულეთ-ფიჯვნარი [იხ. კახიძე 1971: 40-50], ქ. ფოთის მიდამოები [იხ. მიქელაძე 1978: 55; გამყრელიძე 1987: 97-119], სოხუმი და მისი მიდამოები [იხ. კალანდაძე 1954: 35-36; ტრაშ 1969: 121, 143], ოჩამჩირე [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 58], ქუთაისი და მისი მიდამოები [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 42], სოფ. ერგეტა [იხ. პაპუაშვილი და სხვ. 2005], შორაპანი [იხ. ჯაფარიძე ვ. 2006: ], წებელდა [იხ. ვირიანი და სხვ. 1985: 74-80].

დროის ხსენებულ მონაკვეთში წარმოებული ადგილობრივი თიხის ჭურჭელი სახეობებისა და ტიპების მრავალფეროვნებით ხასიათდება. კერამიკული არტეფაქტები დანიშნულების მიხედვით, ჯგუფებად არის გაერთიანებული, რადგან სწორედ ფუნქცია განაპირობებს ჭურჭლის გარეგნულ სახეს [იხ. ბოჭორიშვილი 1949: 59].

გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები: სამეურნეო (ქვევრი, დერგი), სამზარეულო (ქოთანი, ქვაბი, ბადია, ხუფი, საწური), სუფრის (დოქი, სასმისი, ლანგარი, თეთში, ჯამი, თასი, ტოლჩა, სამარილე), სამგზავრო (მათარა), სავაჭრო-სატრანზიტო (ამფორა), დეკორატიული (ლარნაკი), რიტუალური (თიმიატერიონი, რიტონი). ეს დაყოფა პირობითია, რადგან ამა თუ იმ ჯგუფის ჭურჭელი სხვა დანიშნულებითაც შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული. აგრეთვე, კერამიკული წარმოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე თიხის ჭურჭლის სხვადასხვა სახეობა, ან ტიპი დომინირებს.

**ქვევრი**, სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი, ყველა დროის მუდმივი სახეობაა. ჭურჭლის ეს სახეობა მისი ფორმის ჩამოყალიბების დროიდან მოკიდებული დღემდე მზადდება და მოიხმარება საქართველოში მისი ძირითადი ფუნქციით. ხანგრძლივი დროის მანძილზე, მორფოლოგიური ცვლილებების მიუხედავად, რომლებიც ყოველთვის გარკვეული ეპოქის სტილს გამოხატავს, უცვლელია ქვევრის ფორმის ძირითადი პრინციპი — ვიწრო ყელი, ვიწრო ძირი და სხვადასხვა პროპორციის განიერი კორპუსი (სფერული, ე.წ. კვერცხისებური, მხრებგანიერი, ძირისკენ მკვეთრად დავიწროებული). აქაური ქვევრების უადრესი ნიმუშებისათვის დამახასიათებელია ვიწრო პირი და განიერი (ზოგჯერ თითქმის სფერული) კორპუსი, რომელიც მკვეთრად ვიწროვდება ბრტყელი ძირისკენ. ამ ჭურჭლის სპეციფიკური ნიშანია პროფილირებული პირის გვირგვინი, რომლის გარეთა გვერდი ზოგ შემთხვევაში ორფერდაა და დაფარულია დაკბილული შტამპით გამოყვანილი ე.წ. ნინვისებური ორნამენტით, ხოლო მხრებიდან ძირისკენ ეშვება სწორი ან ირიბიად დახრილი კანელურები [იხ. კუთინ 1950: 193, სურ. 49ა, 1]; ხშირად, გვირგვინის გარეთა გვერდი დაფარულია ირიბი ღარებით. ჭურჭლის ყელს ხშირად ირგვლივი ღარები და მათ შორის გამოყვანილი ქედები შემოუყვება. ეს ნიშანი — ირიბი ღარები გვირგვინის გარეთა გვერდზე, ყოველთვის მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული —

დამახასიათებელი მომენტია ამ ხანის, წინარეანტიკური ეპოქის კერამიკისათვის, ისევე როგორც ირგვლივი განიერი ღარები და მათ შორის გამოყვანილი ქედები სხვადასხვა ზომის ჭურჭლის ყელზე. ეს ღარები პირის გვირგვინებზე ხშირად დაკბილულად შტამპითაა დატანილი, სხვადასხვა სიხშირის კბილანებიანი ტვიფრით. ჭურჭლის მხარი სხვადასხვანაირად არის შემკული: გვხვდება ურთიერთსანინააღმდეგოდ მიმართული ღრმა ღარების რიგები, რომელთა ზედა მნკრივზე დაძერნილია წრიული, დაბრტყელებული, რელიეფური კოპები. არის — კოპებსა და ღარებს შორის დაშტრიხული სამკუთხედები; ზოგჯერ მხარი კონცენტრული წრეებით შედგენილი სარტყლითაა შემკული. ღარებისა და წრეების კვეთა ღრმაა, ღარების ბოლოები მომრგვალებულია; კონტურები მკვეთრია და ორნამენტი რელიეფურ იერს იძენს. მხარზევე ვხვდებით ირგვლივი ღარებითა და ტალღოვანი ხაზებით შედგენილ სარტყელს; ასევე სამკუთხედებით, ირგვლივი ღარებითა და ტეხილი ხაზებით შედგენილ სარტყელს, საიდანაც მთელ კორპუსზე ძირამდე ეშვება კანელურები. გვხვდება კორპუსზე ირიბი ღარებითა და ბადისებრი ნახატით დაფარული ირგვლივი და შვეული ქედები.

ქვევრს მეურნეობაში იყენებდნენ მარცვლეულის, ზეთის, ღვინის შესანახად; მომდევნო პერიოდში კი ამ ჭურჭლის ძირითადი ფუნქცია ღვინის დაყენება და შენახვა იყო [ვაშაკიძე და სხვ. 1975: 93-96]. გარდა ამისა, გარკვეულ ეპოქაში ეს დიდი ზომის ჭურჭლი ზოგჯერ გამოიყენებოდა მიცვალებულთა დასაკრძალად, ე.წ. ქვევრსამარხად. ქვევრის ფორმის სტანდარტიზაცია ძვ.წ. VII ს-ის დასასრულიდან ივარაუდება და მის ძირითად ფუნქციად ღვინის დაყენება-შენახვა მიჩნეული, რაც მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული; ამავე დროს არ გამორიცხავენ, რომ ქვევრი სხვა პროდუქტების შესანახავად და ტრანსპორტირებისთვისაც გამოიყენებოდა [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 91; მიქელაძე 1974: 62; ბოხოჩაძე 1963: 114-149; ვაშაკიძე და სხვ. 1975: 93-96].

ძვ.წ. VI ს-დან საგრძნობლად იზრდება ქვევრის პოპულარობა. ამ ხანიდან მოკიდებული დასავლეთ საქართველოში არ მოიძებნება ისეთი ნამოსახლარი, სადაც დიდი რაოდენობით არ იყოს ნარმოდგენილი კოლხური ქვევრების ფრაგმენტები. ეს პერიოდი აღინიშნება ქვევრის წარმოების მკვეთრი გადიდებით; მექვევრეობა წარმოგვიდგება, როგორც კერამიკული ხელოსნობის ჩამოყალიბებული ცალკე დარგი. ამ პერიოდის ქვევრებისათვის, შედარებით უკეთ დაცული ნიმუშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დამახასიათებელია გადაშლილი, მასიური, პროფილირებული, ორნამენტირებული პირის გვირგვინი; ზემოთკენ გაფართოებული, შეზნექილი (იშვიათად სწორი) ყელი; გამოყვანილი მხრები; გამობერილი კორპუსი, რომელიც თანდათან ვიწროვდება ბრტყელი ძირისკენ; ძირი ტანისგან არ არის გამოყოფილი, იშვიათად გვხვდება ძირგამოზიდული ნიმუშებიც. ქვევრების ცალკეული სეგმენტები მდიდრული ორნამენტითაა შემკული. ასეთი ქვევრები მიწაში არ იდგმებოდა [იხ. ვაშაკიძე და სხვ. 1975: 95].

ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია ღარებისა და ქედების კომბინაციით შექმნილი ორნამენტით: კორპუსს მაქსიმალური დიამეტრის ადგილას შემოუყვება ირგვლივი ღარებით შედგენილი სარტყელი, რომლიდანაც ორივე მხარეს — ძირისკენ და მხრისაკენ — მიემართება რელიეფური (შვეული ან ირიბი) ქედები, ხშირად ღილაკისებური დანაძერნებით სარტყელთან. ზოგჯერ ამ ნახატს ემატება ერთიმეორებში ჩასმული ნალისებური მოყვანილობის ქედები, ხოლო მათზე, როგორც წესი, დაკბილული შტამპით დატანილია ირიბი ნაჭდევები. ხშირად ქვევრს ყელზე ქედები შემოუყვება. ქედები კორპუსზე სხვადასხვა სახისაა — დაბალი, მაღალი, წაწვეტებულზედაპირიანი; ქედებითვეა გამოყვანილი კონცენტრული წრეები.

ამ ხანის ქვევრებს აქვთ სპეციფიკური ფორმის პირის გვირგვინები, რომლებიც დეკორთან ერთად კოლხური კერამიკის განვითარების აღნიშნული საფეხურის მახასიათებლებად გვევლინებიან. გვირგვინის პროფილების მიხედვით ჩანს, რომ ძვ.წ. VI-

V სს-ში თანაარსებობს ორი ძირითადი ტიპი — ოთხკუთხაგანივეკვეთიანი და განივეკვეთში სამკუთხა მოყვანილობის — გარკვეული ვარიაციებით. ასევე მყარია პირის გვირგვინის გვერდების შემკულობა — რომბული ბადისა და წინვისებური ნახატის სხვადასხვა კომბინაცია, ერთი მხრივ, და ტალღისებური და ჯვარედინი ხაზებისა, მეორე მხრივ. წინვისებური ორნამენტი და მისი დიდი ზომის ჭურჭლის პირის გვირგვინზე დატანის ტრადიცია წინამორბედი ეპოქის გამოძახილია, ხოლო გვირგვინის სამკუთხა განივეკვეთი და მისი რომბული ბადით ან ტალღოვანი და ჯვარედინი ხაზებით შემკულია ამ ეპოქის სიახლეა. ის საკმაოდ მდგრადი ფორმაა და თითქმის უცვლელი სახით არსებობს ორი საუკუნის მანძილზე [ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 20-21; გამყრელიძე 1982: სურ. 36-38]. ორნამენტი დაკბილული იარაღით არის დატანილი, დახვეწილია, კვეთა არ არის ლრმა; გვირგვინზე ნახატი იშვიათად დაუდევრად არის შესრულებული. მოგვიანო ხანაში შემკულობის ეს მოტივები ქვევრის პირის გვირგვინებზე ქრება, თვით ქვევრებიც აღარ არის ასე მდიდრულად ორნამენტირებული [ვაშაკიძე და სხვ. 1975: 100].

ქვევრების დამზადების პროცესი: ქვევრის ძირი მბრუნავ ჩარხზე კეთდება, მისი შემდგომი კედელი კი შენდება ნაწილ-ნაწილ; ქვევრის ახალამოყვანილ კედელს ხელისფიცრით ლესავენ ორივე მხრიდან [იხ. ბოჭორიშვილი 1949: 116-120]. ასეთი მოლესვის კვალი ძვ.წ. VI-IV სს-ის ქვევრების კედლებზე მკაფიოდ ჩანს როგორც ჭურჭლის გარეთა, ისე შიდა მხარეს. შემდგომ, გამომშრალ ქვევრს კერამიკულ ქურაში გამოწვავდნენ. ლაბორატორიული კვლევით გაირკვა, რომ ე.წ. კოლხური ქვევრები 750-800° ტემპერატურაზეა გამომწვარი [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 16]. მათი ტექნოლოგიური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ე.წ. კოლხური ქვევრის თიხა მარცვლოვანია, კეცი გაულექავია, მომზადებულია სპეციფიურად დამუშავებული თიხისაგან. ქვევრის გამომწვარი თიხოვანი მასა სხვადასხვა პროცენტით შეიცავს რკინას, მინდვრის შპატის, კვარცის, ქარსისა და პლაგიოკლაზის მინარევებს. საყურადღებოა, რომ ეს შემადგენლობა დამახასიათებელია კოლხური კერამიკის სხვა სახეობებისთვისაც [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 138-139; ვაშაკიძე და სხვ. 1975: 97].

ამ ხანის ქვევრები, გადანატებში, მოყავისფრო ან მორუხოა; შავზედაპირიანები, ხშირად მოვარდისფრო შიდა მხრით. ლაბორატორიული დაკვირვებით, კეცის ფერზე გავლენას ახდენდა რკინის უანგეულების ცვალებადობა. ამგვარი ქვევრების სიმაღლე ზოგადად 80 სმ-სა და 120 სმ შორის მერყეობს, პირის დიამეტრი 25-45 სმ შორის, ძირისა — 17-30 სმ შორის, კეცის სისქე — 1სმ-დან 3სმ-მდე.

შემდეგ ქვევრმა თანდათანობითი ევოლუცია განიცადა. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან, განსხვავებით ადრინდელი ნიმუშებისაგან, რომლებისთვისაც დამახასიათებელია განიერი კორპუსი და ფართო, ოდნავ ბრტყელი მხრები, მოგვიანო ქვევრებს გაუჩნდათ მომრგვალებული მხრები და კერცხისებური მოყვანილობა. განსხვავებულია პირის გვირგვინი, ესოდენ ტიპიური სეგმენტი ადრინდელი ქვევრებისა, ვითარდება გამარტივების გზით: ის შემსხვილებულია და ირგვლივი ლარებითაა პროფილირებული; გვირგვინზე აღარ არის წინვისებური ნახატი, რომბული ბადე, ტალღოვანი ორნამენტი, ასევე ტიფორით დატანილი წრიული მოტივები; შემკულობის გამარტივება არაერთბაშად, თანდათან ხდება — ძვ.წ. IV ს-ში ჯერ კიდევ ვხვდებით რელიეფური ქედებით გამოყვანილ სახეებს, რომლებიც შემდეგში ქრება, ასევე ქრება რელიეფური სარტყლები. ძვ.წ. III-I სს-ში ორნამენტი უკვე ცოტაა, გვხვდება სადაზედაპირიანი ნიმუშებიც. ეს მოვლენა იმითაა ახსნილი, რომ ამ დროიდან ქვევრები, ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე, უკვე მინაშია ჩადგმული. მათი ძირითადი ფუნქცია კვლავ დვინის დაყენება-შენახვაა [ვაშაკიძე და სხვ. 1975: 98-100, ტაბ. XV-XVI]; პარალელურად ძვ.წ. IV-III სს-ში ცენტრალურ კოლხეთში საყოველთაოდ ვრცელდება ხმარებიდან გამოსული ქვევრის სამარხად გამოყენების წესი [იხ. კუფთი 1950: 20-34].

მარცვლეულით სავსე ქვევრები ფიქსირებულია ქვ.ნ. II- I სს-ის საკულტო კომპლექსებში [მათიაშვილი 2013: 53, 109-110, ტაბ. XIII-XIV]. ამ პერიოდში ქვევრებზე გარკვეული ნიშნები ჩნდება. ისინი დატანილია ჭურჭლის ყელისა და მხრის მიჯნაზე, წვეტიანი იარაღით, სველ თიხაზე გამოწვამდე; არის რელიეფური ნიშნებიც. ნიშნები რამდენიმენარია: სოლარული — სვასტიკა, ჯვარი, სამთითა, რქები; სტილიზებული — ადამიანის, ცხოველის, ფრინველის გამოსახულებები; ასოსმაგვარი ნიშნები [იხ. ვაშაკიძე და სხვ. 1975: 103, ტაბ. XXVIII-XXIX; მათიაშვილი 2013: 54, ტაბ. XIII]. ახ.ნ. I ს-დან ქვევრის ტიპი იცვლება: ერთი მხრივ გვხვდება სადაზედაპირიანი ქვევრები [იხ. მინდორაშვილი 2014: IV, ტაბ.X; 8; II, ტაბ.XII,34], ხოლო პარალელურად სპეციფიკური მოყვანილობისა და შემკულობის მქონე ნიმუშები. ახ.ნ. III-Vსს-ში აქ გავრცელებული ნიმუშები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოწითალოდ; აქვთ გამობერილი, ძირისკენ თანდათან დავიწროებული კორპუსი; ოთხკუთხაგანივევეთიანი და სადა პირის კიდე; ყელზე ზოგჯერ ვერტიკალურად განლაგებული ტალღისებური ხაზებით შედგენილი ზოლებია; მხარი დაფარულია ახლოს მიჯრილი ტალღოვანი ხაზებით შედგენილი განიერი სარტყლით.

**დერგები:** ქვევრებთან ერთად დერგებიც სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელია. ისინი პროპორციებით ქვევრებზე უფრო მცირე, ხოლო ქოთნებზე უფრო დიდი ზომისანი არიან. ქვ.ნ. VII ს-ის დერგების მიხედვით მათში გამოიყოფა რამდენიმე ტიპი. ცალკე ჯგუფს ქმნიან სხვადასხვა ზომის ერთგვაროვანი დერგები, რომელთაც აქვთ სწორი, გადაშლილი და სადა პირი, რომლის სიგანე ზოგ შემთხვევაში აღემატება დერგის კორპუსის სიგანეს. დერგის კორპუსის ყველაზე განიერი ნაწილია მხრები, აქედან ის თანაბრად ვიწროვდება ბრტყელი ძირისკენ. ზოგჯერ პირის კიდიდან მხრებამდე ირგვლივი ღარებია. მხრებიდან ქვემოთ ეშვება კანელურები ან ურთიერთსასწინაალმდეგოდ მიმართული მოკლე ირიბი ღარების რიგები. ხშირად მხარზე დაძერნილია შვერილები [იხ. თოლორდავა 2001: ტაბ. I,15].

ქვ.ნ. VI-IV სს-ში, გავრცელებულია უკვე განსხვავებული ტიპის დერგები. აქ ვხვდებით ე.ნ. ქვევრის ტიპის თხელკედლიან დერგებს, რომელიც მოყვანილობით და შემკულობით თანადროული ქვევრების გამეორებაა, განსხვავებაა მხოლოდ ზომებში; პარალელურად ჩნდება ახალი ფორმები — ორყურა, ვიწროპირიანი დერგები ე.ნ. ბიკონუსური ტანით (რაც ამ ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია). ასევე ფართოპირიანი ორყურა დერგები, ბიკონუსური მოყვანილობის, თარაზულად მიმაგრებული ყურებით და ტანზე შვეული პრიალა ზოლებით. ქვ.ნ. III-I სს-ის დერგები სხვადასხვა ზომის, მომრგვალებულტანიანი, სადაზედაპირიანი, ყურიანი ან უყუროა [იხ. მათიაშვილი 2013: 52-53, ტაბ. XXXII-XXXIV].

**ქოთანი,** ე.ნ. კოლხური კერამიკული, სამზარეულო ჭურჭლის ყველაზე გავრცელებული სახეობაა. ქვ.ნ. VIII-IVსს-ის კერამიკაში ქოთნები საქმაოდ მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი: ადრეულ ეტაპზე, ქვ.ნ. VIII-VII სს-ში კანელურებიანი ქოთნებია გავრცელებული; ასევე ფართოპირიანი ნიმუშები; პირგადაშლილი ქოთნები, შემკული ასტრალური ნიშნებით; ცალყურა და ორყურა ქოთნები, დანაძერნით ყურზე, როგორც სადა, ასევე ორნამენტირებული — ქოთნის კორპუსის ზედა ნაწილი შემკულია ტეხილი ხაზების სამი რიგით შედგენილი სარტყლით; გვხვდება უყურო, თითქმის სფერულტანიანი, პირფართო და ვიწროძირიანი ეგზემპლარები [იხ. თოლორდავა 2001: 38, ტაბ. I, 10, 13, 14, ტაბ. IV,9-17].

მომდევნო, ქვ.ნ. VI-IV სს-ში, გვხვდება სხვადასხვა ზომის, ორყურიანი ქოთნები, ბიკონუსურტანიანი ცალყურა ნიმუშები და სხვ. უმეტესობას გაპრიალებული ზედაპირი აქვს, ყელი შემკულია სხვადასხვა ორნამენტით: ირგვლივი ღარებით, ტალღოვანი ხაზებით, წინვისებური ჭდებით; მხარზე გვხვდება ირიბი ღარები, რომბული ბადე; ტანზე გამოყვანილია პრიალა შვეული ზოლები და სხვ. [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 28-31; გამყრელი 1982: 63-67; კახიძე 2007: 128]. ამ პერიოდის ქოთნებთან დაკავშირებულია —

**ხუფები**, რომლებიც ორი ტიპისაა: ე.ნ. ჯამისებურნი და დისკოსებური ხუფები [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 32-33, სურ. 51- 52].

ჯამისებრი ხუფები განსხვავებული დიამეტრისანი არიან. მათ შეუძი აქვთ სახელური — ე.ნ. ზოომორფული ყურების მსგავსი დანაძერნი. ძვ.ნ.III - ახ.ნ. Iსს-ის ქოთნებში (სხვადასხვა ზომის, ყურიანი და უყურო, მომრგვალებულტანიანი, სადაზედაპირიანი, სპეციფიკური მახასიათებლების არარსებობის გამო, ქრონოლოგიური განვითარების სურათი არ შეინიშნება [იხ. მათიაშვილი 1977: 68; მათიაშვილი 2013: 52-53, ტაბ. XXXII-XXXIV].

**საწურები** სამზარეულო კერამიკის ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნიან. საწურები ნარმოადგენს ღრმა ჯამისებური მოყვანილობის ჭურჭელს, რომლის კედლები და ძირი გამჭოლი ნახვრეტებითაა დაფარული [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 31-32, სურ. 50-51; პაპუაშვილი და სხვ. 2005: 16, ტაბ. XIV, 6-9].

**სასმისები** ე.ნ. კოლხური კერამიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ჭურჭლის სახეობაა. მათ ფართო გავრცელებას ძვ.ნ. VII-IV სს-ში, ქვევრების მსგავსად, მეღვინეობის განვითარებას უკავშირებენ. სუფრის ჭურჭლის ეს სახეობა მკაფიოდ ჩამოყალიბებული და მხოლოდ ამ ეპოქისთვის დამახასიათებილი ფორმით გამოირჩევა. ძვ.ნ. VII ს-ში ე.ნ. ძირწვეტიანი სასმისებია გავრცელებული. მათი ტანი პირიდან ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება; ზედა ნაწილზე მიმაგრებული აქვთ ე.ნ. ზოომორფული ყური. არის სადაზედაპირიანი და ორნამენტირებული ნიმუშები; ხშირია კანელურებიანი სასმისები, ასევე რომბული ბადით და ურთიერთსაზინაალმდეგოდ მიმართული ირიბი ღარების რიგებით შემკული ეგზემპლარები [მიქელაძე 1974: 62, ტაბ. VI, 12; გოგაძე 1982: ტაბ. 41, 508; თოლორდავა 2001: ტაბ. I,8].

ძვ.ნ. VI-IV სს-ში სასმისების რამდენიმე ტიპი ვრცელდება. ცალკე ჯგუფს ქმნიან ე.ნ. ჭიქისებური სასმისები — ცალყურა, პირფართო, ძირისკენ დავიწროებული ჭურჭლები; მათი კორპუსის შემკულობის მოტივებია რელიეფური სალტები, ირგვლივი ღარებით შემოსაზღვრული ტალღოვანი ხაზების სარტყელი, სალტებისა და ტალღოვანი ნახატის კომბინაცია [მიქელაძე 1974: 62, ტაბ.IX; ლორთქიფანიძე სხვ. 1981: 38, სურ.58; გამყრელიძე 1982: 63-67, სურ. 36-38].

ტიპიურია ამ პერიოდისთვის აგრეთვე ე.ნ. ცილინდრულტანიანი სასმისები — ცალყურა, ცილინდრის ფორმის ტანით, რომელიც ძირთან ბრტყელია და გამოზიდული, თითეოს სიმყარისთვის შექმნილი სადგარია. ეს გამოზიდულობა ზოგჯერ კონუსური გაფართოებით არის შეცვლილი, რის გამოც ასეთ ნიმუშებს კონუსურტანისებადაც მოიხსენიებენ. ამ ჯგუფის სასმისების ტანი მთლიანად დაფარულია ტალღოვანი ორნამენტით, რომელიც ირგვლივი ღარებით მონაკვეთებადაა დაყოფილი. გავრცელებულია აგრეთვე ცალყურა ფეხიანი სასმისები — მათი კორპუსი მკვეთრად ვიწროვდება ძირისკენ და გადადის წრიულ სადგარში; გაპრიალებული ტანი დაფარულია ირგვლივი ღარებით. გვხვდება კათხისებური სასმისებიც [ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 41, სურ.61, 63; გამყრელიძე 1982: სურ. 14].

ძვ.ნ. III-I სს-ში, ადგილობრივ კერამიკულ წარმოებაში ჩნდება სუფრის ჭურჭლის უცხოური, ბერძნულის მსგავსი ფორმები. მზადდება უფრო თხელკედლიანი, ნატიფი სასმისები — ე.ნ. კანთაროსის ტიპის ორყურა თასები — დაბალი, სწორკედლიანი, გამოყვანილი ძირითა და რელიეფური დანაძერნებით დაბრტყელებულ ყურებზე; გვხვდება როგორც სადა, ისე ორნამენტირებული ცალები, შემკული წნევით გამოყვანილი რომბული ბადითა და წერტილებით. ასევე დამახასიათებელია ამ ხანის დასავლეთ საქართველოს თიხის ნაწარმისთვის ცალყურა ტოლჩები. ამ ტიპის ადრეულ (ძვ.ნ. VII ს-ის) ჭურჭელს აქვს სადა სწორი პირი, ოდნავ გამოყოფილი ყელი, ბრტყელი ძირი და ე.ნ. ზოომორფული, ზოგჯერ მარყუჟისებური ყური. მათვის დამახასიათებელია

თანაბარი სიგანის ვერტიკალური კანელურებით დაფარული, გაპრიალებულზედაპირიანი კორპუსი [იხ. მათიაშვილი 1977: 62, ტაბ. XXI, 13; ფირცხალავა და სხვ. 1986: 70, სურ. 50, 5].

ძვ.ნ. VIII-VII სს-ში საშუალო და მცირე ზომის ჭურჭლისთვის ტიპიურია სპეციფიკური ფორმის ყურები, რომლებიც თიხის ჭურჭლის განვითარების მხოლოდ ამ ეტაპზე გვხვდება. გამოიყოფა რამდენიმე განსხვავებული ჯგუფი. ერთი ჯგუფის ნიმუშებს ზედა ბოლოზე განივად დაძერნილი აქვთ ლილვაკისებური ბოლოებნაკვეთილი და შუაში ჩაღრმავებული დეტალი — ნინარე ხანის რქისებურშვერილიანი ე.ნ. ზოომორფული ყურების სტილიზაციის ახალი ვარიანტი; არის სადა და განივი ჭდებით დაფარული ნიმუშები. ამ ტიპის ყურები ძირითადად საშუალო ზომის ჭურჭლის კუთვნილებას წარმოადგენს; ესაა სხვადასხვა ქოთხები, სასმისები, დოქები. ასევე ტიპიურია ე.ნ. ბრტყელზურგა, მრგვალნახვრეტიანი ყურები; ისინი სადაა, იშვიათად შემკულია ირიბი ღარებით და პატარა და საშუალო ჭურჭლის კუთვნილია. ორივე ჯგუფის ყურები გვხვდება კანელირებულ ჭურჭლზე, რომელიც ასე დამახასიათებელია ამ ეტაპისათვის. არის მორკალული, სადა ყურებიც, სქელკედლიანი დიდი ზომის ჭურჭლის კუთვნილი. მომდევნო ხანაში, ძვ.ნ. VI-IV სს-ში, ისინი ქრება და ადგილს უთმობს სხვა ნაირსახეობას — მათ დანაძერნები და შვერილები მოხრის ადგილზე აქვთ მოთავსებული [იხ. მიქელაძე 1974: 56, ტაბ.VI, 2,3,6-12; თოლორდავა 2001: 38, ტაბ. 1,3-8, ტაბ.IV, 9-17; ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 49, სურ. 72, 73, 7].

**ჯამ-ფიალების** ტიპის ჭურჭელი: ძვ.ნ. VII ს-თვის ეს არის პირფართო, გადაშლილი, ზოგჯერ პირმოყრილი, თხელკედლიანი, ბრტყელძირიანი ჭურჭლი. მათ შორის გამოიყოფა ნიმუშები, რომელთა კალთა მთლიანად დაფარულია ირგვლივი ღარებით, ხოლო პირის კიდეზე ტალღოვანი ღარები შემოუყვება. ძვ.ნ. VI-IV სს-ის ჯამები მრავლადაა წარმოდგენილი ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე. არის სხვადასხვა ზომის პირგადაშლილი და პირმოყრილი ნიმუშები. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ბრტყელი ძირი, რომელიც თანდათან გამოყვანილ ფორმას იძენს და ძვ.ნ. IV ს-ის შუახანებისათვის ჯამს უკვე ქუსლი უჩნდება [იხ. თოლორდავა 2001: ტაბ.I,3].

ძვ.ნ. III-I სს-ში გავრცელდა კალთადახრილი და კალთამომრგვალებული, პირმოყრილი ნიმუშები გამოყვანილი ძირებით. მათთან ერთად, ჩნდება ბერძნულის ნაირი კერამიკა. მაგ.: მონითალო ფერის, ნაპრიალები, შვეულკიდიანი ჯამები. მონითალო ფერის პირგადაშლილი, გაპრიალებული, ქუსლიანი ჯამები. ისინი მცირეაზიული კერამიკული ფორმების გავლენას განიცდიან. არის აგრეთვე მოყავისფრო, ორყურა ჯამები, რომლებსაც შვეული კიდე, ძირისკენ მკვეთრად დავიზროებული კალთა, გამოყვანილი ძირი და ე.ნ. ჩახვეული პირიზონტალური ყურები აქვთ [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 132-133, 140, ტაბ.XXXII; მათიაშვილი 1977: 66, ტაბ. XVI, 9,10; XXI, 8,10,12; ფირცხალავა და სხვ. 1986: 68-69, სურ. 51-1,3,8].

ახ.ნ. I-V სს-შიც, როცა ადგილობრივ სამეთუნეო ნაწარმში წარმოდგენილი ტრადიციული კერამიკული ფორმების გვერდით ინტენსიურად მზადდება ბერძნულ-მცირეაზიული წარმომავლობის კერამიკული ნაწარმის მინაბაძები, უფრო მრავლად ადგილობრივი ფორმების გაგრძელებით შექმნილი თიხის ჯამები გვხვდება, როგორც პირგადაშლილი ასევე პირმოყრილი, ქუსლიანი ნიმუშები [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1991: 193, ტაბ. XIV-3; გამყრელიძე 2014: 133, 136-137].

**დოქი:** კოლხური კერამიკის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია დოქი. საქართველოში ჭურჭლის ეს სახეობა წარმოქმნის მომენტიდან დღემდე არსებობს ფორმისა და შემკულობის მრავალფეროვანი ვარიაციებით. ფორმათა ამ სიმრავლეში განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან ე.ნ. ყურმილიანი დოქები, რომლებიც ძვ.ნ. VII-III სს-შია გავრცელებული დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე, განსაკუთრებით პოპულარული კი დოქის ეს ტიპი ძვ.ნ. VII-IV სს-შია და ამ ხანის კერამიკის წამყვან სახეობად გვევლინება ქვევრებთან და სასმისებთან ერთად. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძნელად

თუ მოიძებნება ამ ხანის ძეგლი, სადაც არ არის აღმოჩენილი ყურმილიანი დოქები (მაგ. : ფიჭვნარი, ბათუმისციხე, სიმაგრე, რიონისპირა დასახლებები, ერგეტა, სოფ. მთისძირი, შუამთა, დაბლავომი, დაფნარი, ოჩამჩირე, ქუთაისი, მოდინახე, საირხე, მუხურჩა, მერხეული, ითხვისი, ბრილი და სხვ.). ამ დოქების განმსაზღვრელი ნიშანია თავისებური ყური, რომელიც შედგება სწორი, მრგვალგანივეკვეთიანი მილისაგან და რკალისაგან, რომლითაც მილი ყელს უერთდება. კორპუსის მოყვანილობის მიხედვით დოქები გაირჩევა ბიკონუსურტანიანი და სფერულტანიანი ნიმუშები. ცნობილია სადაზედაპირიანი და ორნამენტირებული ცალები — ყელი და მხარი შემკულია ირგვლივი ლარებითა და ირიბი ნაჯდევების რიგით. ამ ტიპის დოქები ჯერ კიდევ ძვ.წ. VII ს-ის დასასრულს ჩნდება. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. VI-IV ს-ში კოლხეთში გავრცელებულ ყურმილიან დოქებს აქვთ ბიკონუსური მოყვანილობის ტანი, რაც ამ ხანის კოლხური კერამიკის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად ითვლება, ასე რომ ჭურჭლის ეს სახეობა, წარმომავლობისდა მიუხედავად, ძვ.წ. VI-IV ს-ის კოლხური კერამიკის სპეციფიკას განსაზღვრავს [იხ. გამყრელიძე 1982: 63- 67, სურ. 36-38].

ყურმილიან დოქებს გარდა სინქრონული ბიკონუსური დოქების მთელი სერიაა წარმოდგენილი კოლხეთში. მათგან ერთი ნაწილი გამოირჩევა ამ დროისთვის სპეციფიკური, დახვენილი პროპორციებითა და ორნამენტით. დოქებს აქვთ მკვეთრად ბიკონუსური ტანი, რომელიც იმდენად არის განზე გაზიდული, რომ ჭურჭლის დიამეტრი დოქის სიმაღლეს აღემატება. ყურები ხშირ შემთხვევაში პირდაპირ პირის კიდიდანაა აღმართული. აქაც, როგორც ყურმილიანი დოქების შემთხვევაში, ტიპიურია ორნამენტის სარტყელებად განლაგება ჭურჭლის ტანის ზედა ნაწილზე. ძირითადი ორნამენტული სახეებია ღარებს შორის მოქცეული ტალღოვანი ხაზები; წინვისებური ორნამენტის სარტყელი; წერტილებით შევსებული ტრაპეციები, რომლებიც ჭურჭლის მხრებიდან სხივისებურად იშლებიან; წერტილებით შედგენილი ირიბი ხაზების სარტყელი; ურთიერთსანინააღმდეგოდ მიმართული ღარების ირგვლივი რიგები; მხარსა და წელზე — წვერით ზემოთ მიმართული და რომბული ბადით დაფარული სამკუთხედებით შედგენილი სარტყელი, ღილაკებითა და კონცენტრული წრეებით შემოსაზღვრული; ხშირად შემკულია ყურიც: მის მთელ სიგრძეზე დატანილია წერტილების რიგი; წნული ან წინვისებური ნახატი. ძვ.წ. IV ს-დან ბიკონუსური კორპუსი ნაკლებად გაზიდულია, იგრძნობა ტანის მომრგვალების ტენდენცია, ხოლო ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ში ჩნდება კორპუსის ე.წ. მსხლისებრი მოხაზულობა, მარტივდება ორნამენტი. ბიკონუსურტანიან დოქებს შორის გვხვდება სადაზედაპირიანი, მაღალი დოქები, შედარებით ნაკლებად გაზიდული კორპუსით; მათი ერთადერთი შემკულობაა ირგვლივი ღარები ყელზე, იშვიათად ტანს უდიდესი დიამეტრის ადგილზე შტამპით დატანილი წრეები გასდევს [იხ. კახიძე 2007: 132, სურ. 14,2; 34, 9; 49,5; 84,6; 64,11; 75,4; 64,4; 80,2; მახარაძე და სხვ. 2007: 43, 79, სურ. 11, 12].

დოქის, სუფრის ჭურჭლის ამ სახეობის განვითარებაში ახალი ნიშნები თავს ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან იჩენს. თუკი ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში დოქებს ჯერ კიდევ შერჩათ ტანის ბიკონუსური, მაგრამ არც თუ მკვეთრი მოყვანილობა, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან დოქების ტიპი იცვლება, აშკარაა მიდრეკილება წაგრძელებული პროპორციებისაკენ — წინა ეპოქის ნიმუშებისგან განსხვავებით ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. III ს-ის დოქებს აქვთ ვიწრო და მაღალი ყელი, ე.წ. მსხლისებური ან სფერული კორპუსი, რომელზეც ძველი ტრადიციიდან გამოყოლილი ტალღისებური ხაზების სარტყელია დატანილი; ხშირად ამ დოქებზე ყელს ქვემოთ სამკუთხა “შევრონების” სარტყელია; ზოგჯერ სფერულტანიანი დოქების ტანი მთლიანადაა დაფარული ტალღოვანი ხაზებით, რომლებზეც ზევიდან დატანილია პრიალა ზოლებით შექმნილი რომბული ბადე. დროთა განმავლობაში დოქის ახალი ფორმები ინერგება — ძვ.წ. II-I ს-ში ჩნდება დაბალყელიანი, სფერულტანიანი, სადაზედაპირიანი და წითელი

საღებავის სარტყლებით მოხატული დოქები; მათ დიდ ნაწილს აქვს სპეციფიკური ფორმის, ხშირად რელიეფური დანაძერწებით შემკული ბრტყელი, შეწყვილებული ან გრეხილი ყურები; ამ დოქების ერთ ნაწილს სამტუჩა პირი აქვს. ბერძნული კერამიკული ფორმების გავლენაზე მიუთითებს საღვინე ჭურჭლის — ონოხოიას — მიბაძვით შექმნილი კოლხური სამტუჩა დოქები და შეწყვილებული ყურების არსებობის ფაქტი. საყურადღებოა, რომ დოქებს გარდა, ასეთი ყურები დამოწმებულია ასევე წითელი ზოლებით მოხატულ, პელიკის ტიპის ჭურჭლების გაჩენა, ისევე როგორც წითელი ზოლებით შემკული კერამიკის ხმარებაში შემოსვლა, ელინისტური ხანის ბერძნული კერამიკის გავლენით არის ახსნილი [იხ. მათიაშვილი 1977: 62].

საყურადღებოა წითელი ზოლებით მოხატული ადგილობრივი წარმოების დოქების ერთი ჯგუფი, რომლებიც ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-შია გავრცელებული და ითვლება ახალი კულტურული იმპულსების მოწმობად [ლორთქიფანიძე 1977: 20]; ესაა მოყვითალო ფერის ანგობზე მოწითალო ან მოყავისფრო საღებავით მოხატული დოქები, რომელთაც აერთიანებთ ერთგვაროვანი ფორმა და მოხატულობის საერთო პრინციპი — მათვის დამახასიათებელია გადაშლილი პირი, ე.წ. მსხლისებური კორპუსი, პირის კიდესა და მხარზე მიერთებული ექვსწახნაგა (ზოგჯერ ოვალური) ყური და ტანის ზედა ნაწილის მოხატვა წითელი ზოლებით შედგენილი გეომეტრიული ორნამენტით; ძირითადად ეს არის სარტყლები, რომლებსაც ქმნის სამი ან ოთხი ირგვლივი ზოლი, დაყოფილი ირიბი ან შვეული მოკლე ხაზებით; „შევრონები“, შევსებული პარალელური წითელი ზოლებით; ერთიმეორები ჩახატული სამკუთხედების მნკრივი; რომბული ბადე; ერთიმეორები ჩახატული რომბების მნკრივი, გაყოფილი ორ ნაწილად ირგვლივი ზოლით; ტეხილი ხაზების რიგები [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 208, სურ. 176; ჭყონია 1986: 109, სურ. 93; გაგოშიძე და სხვ. 2006: 43-44, ფ. 31, 32, სურ. 14, 15]. ამ ტიპის მოხატული დოქები ცნობილია აღმოსავლეთ კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლებიდან — ითხვისი, ვანი, ასევე გვხვდება ისინი აღმოსავლეთ საქართველოს — თბილისი, კუშჩი, ასურეთი, ტკოცი — ძეგლებზე [იხ. ლორთქიფანიძე 1977: 20].

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოში წარმოებული დოქები გამოირჩევიან განსხვავებული კეცითა და ახალი ფორმებით — ისინი დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისაგან; მათი ერთი ნაწილი სფერულტანიანია, მაღალყელიანი, გამოყვანილძირიანი; ზოგჯერ ყელზე, მხარსა და მუცელზე ირგვლივი რელიეფური ქედებია; მეორე ჯგუფს აქვს წაგრძელებული მსხლისებური ტანი, დაბალი ყელი და გამოყვანილი ძირი [იხ. ლორთქიფანიძე გ. 1991: 192, ტაბ. II-1; 193, ტაბ. XIV-1, 2].

თავისებურ ჯგუფს ქმნიან ე.წ. ნებელდური ტიპის კერამიკის შემადგენლობაში მყოფი დოქები, რომლებიც პირის სპეციფიკური ფორმით (ძაბრისებური) გამოირჩევიან. ახ.წ. II ს-ის ამ დოქებს აქვთ ძაბრისებური, კიდეზე ლილვაჟებული პირი; მხრებებანიერი კორპუსი, თითქმის მთლიანად დაფარული ტალღისებური ხაზებით და გრეხილის იმიტაციით შემკული ყური [იხ. ვირობის 1975: 67, სურ. 13-6, 7]. ახ.წ. IV ს-დან დოქების პირი ფართოვდება და გარეთა მხრიდან ირგვლივი დარებით იფარება; V ს-ში ტანი ე.წ. მსხლისებური ხდება და VI ს-ში უკვე გაბატონებულია წითელკეციანი დოქები, რომელთაც აქვთ თასისებურად გადაშლილი, გარედან დალარული სპეციფიკური პირი; მაღალი და ვიწრო ყელი; მსხლისებური მოყვანილობის კორპუსი; განიერი ბრტყელი ძირი; სადა ან შეწყვილებული, ზოგჯერ სამსვეტა ყურები; ტანის ზედა ნაწილი დაფარულია სხვადასხვა სიხშირის ტალღისებური ხაზებით, რომლებსაც ერთვის სხვადასხვა ორნამენტული მოტივები — კონცენტრული წრები, სპირალი, სათვალისებრი ნახატი, რომბები და სხვ. ზოგ შემთხვევაში ტალღისებური ხაზები [იხ. ვირობის და სხვ. 1985: 75-76, სურ. 22, 2-3; 52, 1-44; 53-58; რამიშვილი 2003: 286].

ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკის პოპულარულ სახეობადაა აღიარებული ღრმა ლანგრებად განსაზღვრული ჭურჭელი. ამ ჯგუფის ნიმუშებისთვის დამახასიათებელია ფართო, გადაშლილი პირი, სხვადასხვა მოდიფიკაციის სამკუთხაგანივევეთიანი პირის გვირგვინი, რომელიც ფორმითა და ორნამენტით ქვევრების ანალოგიური მოყვანილობის პირის გვირგვინების გამეორებაა. ამ ლანგრების პირის გვირგვინები შემკულია ტვიფრით დატანილი კონცენტრული წრეების რიგებით, დაკბილული შტამპით გავლებული ტალღოვანი ხაზებითა და რომბული ბადით. პარალელურად არის უორნამენტო ღრმა ლანგრები — ბრტყელი, ჰორიზონტალურად გადმოკეცილი განიერი პირის კიდით და ძირისკენ მკვეთრად დავინროებული კალთით. იშვიათი კერამიკული ფორმაა ე.წ. ლარნაკისებური ჭურჭელი — უყურო, მკვეთრად ბიკონუსური კორპუსით, პროფილირებული პირის გვირგვინით, შემკული ირიბი ჭდეების სარტყლიბით პირსა და ტანის ზედა ნაწილზე [იხ. მიქელაძე 1974: 63, ტაბ. X; მახარაძე და სხვ. 2007: 54, სურ. 30].

**მათარები:** სპეციფიკური ფორმის, წრიული, დაბრტყელებული, ყელიანი, ზოგჯერ ორყურიანი და ზოგჯერ უყურო (ბუდეში ჩასადები) სალაშქრო-სამგზავრო ჭურჭელი [იხ. ჭანიშვილი 2013: 257]. ორნამენტირებულია ჭურჭლის ორივე მხარე. მთელი ნიმუშების მიხედვით ნახატი ჭურჭლებზე არ მეორდება და ამ მხრივ ყოველი მათგანი უნიკალურია; ცნობილია ძვ.წ. V ს. დათარიღებული რამდენიმე მათარა, რომელიც საგანგებო აღნიშვნის ღირსია: ერთ-ერთი მათგანის კორპუსის ორივე მხარეს ამოკანვრით დატანილია სპირალურად ჩახვეული გამოსახულება — სამი პარალელური, ერთომეორები ჩახვეული სპირალი; შეუა სპირალი მათარის ერთ გვერდზე მტაცებელი ფრინველის ძლიერ სტილიზებული გამოსახულებით სრულდება [იხ. მახარაძე და სხვ. 2007: 97-98, სურ. 94]. სხვა ნიმუშებზე ვხვდებით ორივე გვერდის შემკობას კონცენტრული წრეებით და ყელის ირგვლივ ღილაკების რიგით [იხ. კახიძე 2007: 128-129, სურ. 72,5; 76,5]. მათარები ძვ.წ. VI-V სს-ის კოლხეთში ფართოდ გავრცელებული არა ყოფილა. მათი უმრავლესობა ძვ.წ. IV-III სს-ის ძეგლებიდანაა ცნობილი. უცვლელია მათი ტანის ფორმა (წრიული, ბრტყელი ან მომრგვალებული ძირით) [იხ. ჭანიშვილი 2013: 257-260].

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან კოლხურ მეთუნეობაში მკვეთრი ცვლილებები ხდება. იცვლება ჭურჭლის ტანის ფორმა — გაბატონებული ბიკონუსური მოყვანილობა ადგილს უთმობს სფერულ ტანს, ხდება პროპორციების დაგრძელება, ჩნდება ქუსლი; ტრადიციულ სახეობათა გვერდით ბერძნული კულტურის გავლენით ჩნდება ჭურჭლის ახალი ფორმები. დავიწყებას ეძლევა კერამიკის ზოგიერთი სახეობა. ნაკლები ყურადღება ექცევა ჭურჭლის შემკობას — რაც წარმოების ინტენსიფიკაციითა და მასობრივ წარმოებაზე გადასვლით აიხსნება.

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან ადგილობრივი მეთუნეობის განვითარებაში დგება ხანა, როდესაც კოლხეთში, ტრადიციული სახეობების გვერდით, კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია ბერძნული ფორმების მიბაძვით დამზადებული მცირე არტეფაქტებით. შედარებით ფართო ხასიათი ბერძნული კერამიკული ფორმების დანერგვამ ძვ.წ. III-I სს-ში მიიღო. დოქების, ჯამ-ფიალებისა და თასების შესახებ უკვე აღნიშნული იყო. ამ სახეობებს უნდა დავუმატოთ ე.წ. სათევზე ლანგრები — გარეთ გადახრილი პირის კიდით, ბრტყელი ძირით, წრიულქუსლიანი, ფსკერის ცენტრში რელიეფური ქედით შემოსაზღვრული ჩაღრმავების მქონე ჭურჭლები, ლაკის იმიტაციით დაფარული ან წითელი საღებავით მოხატული; ეს ჭურჭელი ფორმით ენათესავება ელინისტურ სამყაროში გავრცელებულ სათევზე ლანგრებს, რომელთა გავლენითაცაა სავარაუდო შექმნილი კოლხეთში; ასევე თეფშები — შვეულკიდიანი, წრიულქუსლიანი, წითლად ან შავად გაპრიალებული, ან წითელი საღებავის ზოლებით დაფარული ჭურჭელი, რომელიც მოყვანილობით ელინისტურ სამყაროში გავრცელებულ წითელი და შავი ლაკით დაფარულ სუფრის ჭურჭელს ჰგავს და ამდენად მის მინაბაძადა მიჩნეული [იხ. მათიაშვილი 1977: 66-68, ტაბ. XXI, 2-7, 9].

საქართველოს ზღვისპირეთში, ახ.წ. II - V სს-ში, მცირე აზიის რომაული პროვინციების თიხის ნაწარმის ინტენსიური მოზღვავების პარალელურად, ისევე, როგორც გვიანელინისტურ ხანაში, მზადდება თიხის ჭურჭლის ადგილობრივი მინაბაძები — ონიონები; მორტარიუმები; პატერები — საკულტო დანიშნულების ჭურჭელი ცილინდრული პორიზონტალური ყურებით [Trapish 1969: 331-335, ტაბ. III-4, 8,5, XVIII,3-5; რამიშვილი 2003: ტაბ. 109, 11]. ახალი კერამიკული ფორმებია რიტუალური დანიშნულების ჭურჭლები: მაღალფეხიანი თასი-თიმიატერიონები (წითელი სალებავით მოხატული), რიტონები, ე.წ. დაფანჯრული ჭურჭელი (წითელსარტყყლებიანი).

ძვ.წ. VIII – IV სს-ის პირველი ნახევრის ე.წ. კოლხური კერამიკის ორნამენტული დეკორი განსაკუთრებული სიუხვით გამოიჩინა. შემდეგ თიხის ჭურჭლის ზედაპირის შემკობა გამარტივების გზით მიდის. რაც შეეხება ძვ.წ. VIII-IV სს-ის კოლხური კერამიკის ორნამენტს, ის გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ზემოთ მოტანილი, შედარებით უკეთ დაცული კერამიკული ფორმების განხილვისას გამოჩნდა. დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე ნაპოვნია ჭურჭლის უამრავი ორნამენტირებული ფრაგმენტი, რომელიც აფართოებენ წარმოდგენას ამ ხანის კერამიკის შემკულობის მოტივებსა და მათი შესრულების ტექნიკურ სერხებზე.

გამოსახულების დატანისას გამოყენებულია სხვადასხვა ტექნიკა: დაძერწვა, კვეთა, დაშტამპვა, წნეხვა, გაპრიალება. შტამპით დატანილია კონცენტრული წრეები, პატარა ტრაპეციისებური ჭდეებით შედგენილი წრეხაზები, ე.წ. სათვალისებური სპირალი, ირიბი ღარები. დაკბილული შტამპით დატანილია სხვადასხვა სიგანისა და სიღრმის ირიბი და ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ღარები, რომბული ბადე, ხვიები; დაძერწილია ბრტყელი ღილაკები და წვეტიანი კოპები, ქედები. გვხვდება რთული ნახატი — სხვადასხვა ორნამენტული სახის კომპინაცია, კერძოდ, წერტილების, კოპების, ჭდეებისა და ღარების მონაცვლეობა. ამ პერიოდის ადრინდელ ეტაპზე, რომელიც ძვ.წ. VIII-VII სს-ს მოიცავს, კოლხური კერამიკის განმსაზღვრელი წიშანია ჭურჭლის ზედაპირის კანელურებით დაფარვა, ასევე მისი პრიალა ზოლების კომპინაციით შემკობა და გაპრიალება. განსხვავებული სიხშირისა და სიღრმის კანელურებით დაფარულია დიდი ზომის სქელკედლიანი ჭურჭელი, თხელკედლიანი ქოთხები, ტოლჩები, სასმისები. კანელურები მხრიდან ეშვება ძირამდე, ზოგჯერ ძირთან ახლოს წყდება და დარჩენილი არ ჰარიზონტალურ ზოლებადაა გაპრიალებული; სადა წანილები, როგორც წესი, ნაპრიალებია; დიდი ზომის ჭურჭლის ძირებზე ხშირია პრიალა ზოლებით შექმნილი ბადისებური ნახატი [იხ. მიქელაძე 1974: 56-57; თოლორდავა 1977: 76].

წინარეანტიკური ხანის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ორნამენტული მოტივია ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ღარების რიგებით შედგენილი ნახატი — როცა დახრილი რიგების რაოდენობა ორზე მეტია, მას ე.წ. პარკეტულ ორნამენტად მოიხსენიებენ, ხოლო ღარების ორი რიგი ე.წ. წიწვისებურ, იგივე ე.წ. თევზიფხურ მოტივადაა განსაზღვრული [იხ. კიფთი 1950: 197, სურ. 48-42, 75, 83; 49ა-3; 49ბ-11; ტაბ. 75, 5; თოლორდავა 2001: ტაბ. I, 15; II, 5, 7, 9; V, 12]. ამ ტიპის ორნამენტით, ჩვეულებრივ, შემკულია ჭურჭლის მხარი და კორპუსი მხარს ქვემოთ (როგორც სქელკედლიანი, ისე თხელკედლიანი სხვადასხვა ტიპის ჭურჭლისა), ცალკე, ან სხვა მოტივებთან შეთავსებით (კოპები, ჯვრები, რომბული ბადე და სხვ.).

როგორც ზემოთ დავინახეთ, ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული რიგებით შედგენილი ორნამენტით დაფარულია დიდი ზომის ჭურჭლის ე.წ. ორფერდა პირის გვირგვინებიც. საინტერესოა, რომ კერამიკული წარმოების განვითარების მომდევნო ეტაპზე, ძვ.წ. VI-IV სს., ეს ნახატი გამარტივებული სახით (ე.წ. წიწვისებური ორნამენტი) უპირატესად ჭურჭლის პირის გვირგვინებზე გადაინაცვლებს [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 53-54].

ძვ.წ. VIII-IVსს. ასევე პოპულარული მოტივია რომბული ბადის ორნამენტი, რომელიც სარტყელების სახით გვხვდება ჭურჭლის მხარსა და კორპუსზე, როგორც ცალკე, ისე სხვა ორნამენტულ სახეებთან შეთავსებით; ის ხან დაკბილული ტვიფრითაა დატანილი, ხან წნეხვით გამოყვანილი პრიალა ზოლებით არის შედგენილი [კუფთი 1950: სურ. 48, 35; თოლორდავა 2001: 39, ტაბ. V, 9]. ამავე პერიოდში ჩნდება ორნამენტის სახეები, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII სს.-ში არ არის ფართოდ გავრცელებული მთელ კოლხეთში, მაგრამ ამ ეტაპისთვის დამახასიათებლადა მიჩნეული, რადგან ამ ხანისთვის ტიპიური ჭურჭლის შემკულობაში გვხვდება [იხ. თოლორდავა 2001: 39].

პირველ რიგში ეს ეხება კონცენტრული ნრეებით შედგენილ ორნამენტს. ნახატს ქმნის საგანგებო ტვიფრით დატანილი ორი ერთიმეორები ჩასმული ნრეებაზი შუაში წერტილით. ასეთი კონცენტრული ნრეების ერთი ან რამდენიმე რიგისგან შედგენილი სარტყელი ამკობს დიდი ზომის სქელკედლიანი ჭურჭლის მხარს, მცირე ზომის კანელირებულ ცალყურა კათხებს, თხელკედლიანი ჭურჭლის კორპუსს [კუფთი 1950: 97, 99, ტაბ. 36-1; თოლორდავა 1977: 74, სურ. 57, 20; თოლორდავა 2001: ტაბ. V, 22]. მეთუნეობის განვითარების მომდევნო ეტაპზე ეს ორნამენტი უხვადაა გამოყენებული ღრმა, პირგადაშლილი ლანგრების პირების შემკობაში, სადაც პირის გადმოშლილ კიდეს კონცენტრული ნრეების ორი ან სამი რიგი შემოუყვება [კუფთი 1950: 95, 96, ტაბ. 34-1, 3-6].

ყურადღებას იპყრობს ამ მოტივის როლი ცხოველის გამოსახულებიანი სქელკედლიანი ჭურჭლების შემკულობაში: ჭურჭლის მხარის სამ სხვადასხვა ფრაგმენტზე ამოკვეთილი თითო ზოომორფული ფიგურა სწორედ კონცენტრული ნრეებისა და ირიბი ღარების კომბინაციით შედგენილ სარტყელებს შორისაა მოთავსებული; ნრიულად განლაგებული კონცენტრული ნრეებივე ქმნიან ერთიან დისკოს — სოლარულ გამოსახულებას, რომლისკენაც მიემართება ფანტასტიკური არსება, რომლის ტანი მთელ სიგრძეზე, კისრისა და დრუნჩის ჩათვლით, ამ ნრეების მნკრივითაა დაფარული [კუფთი 1950: 103-107, სურ. 27-29, ტაბ. 37].

აგრეთვე ორნამენტის იშვიათ სახეებს მიეკუთვნება სპირალური ორნამენტის ვარიანტები — ე.ნ. რვიანში ჩაწერილი სპირალი და ე.ნ. გადაბმული სპირალის, ან იგივე ე.ნ. მიკენური სპირალის სახელით ცნობილი მოტივები [იხ. Kunich 1998: 230-231, სურ. 89 ა, ე]. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხაზებით შეერთებულ ერთიმეორები ჩასმულ სპირალურ ხვეულებს; ხვეულები ტვიფრითაა დატანილი, ხოლო გადაბმის ხაზები წვეტიანი ინსტრუმენტითაა გავლებული. შენიშნულია, რომ კოლხური კერამიკისათვის ორნამენტის ეს იშვიათი მოტივები უხვად გვხვდება თანადროულ მხატვრული ხელოსნობის ბრინჯაოს ნივთებზე — კოლხური კულტურის გრაფიკული დეკორით შემკულ საგნებზე [იხ. ხიდაშელი 1982: ტაბ. X-XIII, XVI, №17; ფანცხავა 1988: 27, ტაბ. II-IV].

ძვ.წ. VI-IV სს-ში კოლხური კერამიკის შემკულობის ძირითადი ტრადიციული სახეები: ე.ნ. ტალღისებური, წიწვისებური, რომბული ბადე, ირგვლივი და შვეული ხაზები, ირიბი ნაჟდევები, კონცენტრული ნრეები, ღილაკები, ერთდროულად გვხვდება სხვადასხვა ნაკეთობებზე. ამასთან, კონკრეტულ მორფოლოგიურ ნიშნებს გარკვეული სახის ორნამენტი შეესაბამება. საერთო ორნამენტის დატანის პრინციპი — ორნამენტული მოტივების სარტყელებად განთავსება (ქვევრებზე, დერგებზე, ქოთნებზე, დოქებზე, ლარნაკებზე); წინა ეპოქის მსგავსად, ტექნიკური ხერხებიც — წნეხვა, დაკბილული ტვიფრის გამოყენება, გაპრიალება, კვეთა, ძერნვა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე პოპულარულმა ორნამენტულმა სახეებმა — რომბულმა ბადემ და წიწვისებურმა ნახატმა — ჭურჭლის ტანიდან პირის გვირგვინებზე (ეს უპირატესად ამ ხანაში საყოველთაოდ გავრცელებულ ჭურჭელს — ქვევრს ეხება) გადაინაცვლა [გამყრელიძე 1982: 63-67].

დასავლეთ საქართველოს მოცემული პერიოდის თიხის ჭურჭლის განვითარებაზე დაკვირვების შედეგად, ჩანს, თუ როგორ ხდება წარსულიდან შემორჩენილი ნაკადების

შერწყმა ახალ ფორმებთან. იშვიათი გამონაკლისის გარდა, კოლხურმა კერამიკამ გვერდი აუარა უცხო ფორმების გავლენას და გარკვეულ ხანამდე შეინარჩუნა ტრადიციული თვითმყოფადობა. ის თავისი გზით ვითარდებოდა, ვიდრე ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან და მთელი შემდეგი პერიოდის განმავლობაში არ შემოიჭრა ბერძნული სამეთუნეო ნაწარმის გავლენით შექმნილი სახეობათა ახალი ფორმები. ამ დროიდან კოლხურ მეთუნეობაში მკვეთრი ცვლილებების ხანა დგება. გარდა იმისა, რომ ჭურჭლის ტანის ფორმები ახალ ნიშნებს იძენს (ბიკონუსური მოყვანილობის ნაცვლად გაბატონებულია სფერული ან ე.წ. მსხლისებრი ტანი, ხდება პროპორციების დაგრძელება, ჩნდება ქუსლი), ტრადიციულ სახეობათა გვერდით ბერძნული კულტურის გავლენით ჩნდება ჭურჭლის ახალი სახეობები.

დასაწყისში ეს არის ძირითადად ადგილობრივად დამზადებული ამფორები, შემდეგში კი, ძვ.წ. III-I სს-ში, ბერძნული იმპორტის მოზღვავებასთან ერთად, ინტენსიურად ინარმოება ბერძნული კერამიკის მიბაძვით დამზადებული ჭურჭელი. ახ.წ. I ს-დან კოლხეთში იცვლება პოლიტიკური სიტუაცია: დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი რომის პოლიტიკის გავლენის ქვეშ მოექცა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ე.წ. პონტოკავკასიის სასაზღვრო სისტემის ჩამოყალიბების შედეგად ამ სისტემაში შემავალი ქალაქები სასაზღვრო მიღიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქებად გარდაიქმნა [იხ. გამყრელიძე 2014: 132].

ეს მოვლენა მატერიალურ კულტურაზეც აისახა; აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ნაწარმის, უპირატესად კი მცირე აზიას რომაული პროვინციების სანაპირო ცენტრების ნარმომავლობის არტეფაქტების მომძლავრებით, რამაც განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი ახ.წ. II-III სს-ში მიიღო; ამ ხანაში ადგილობრივ სამეთუნეო ნაწარმში წარმოდგენილი ტრადიციული კერამიკული ფორმების გვერდით ინტენსიურად მზადდება მცირეაზიული პროვინციების ნაწარმის მინაბაძები [იხ. გამყრელიძე 2014: 133, 136-137].

რაც შეეხება ძვ.წ. VII-IV სს-ის კერამიკას, როგორც კოლხეთის მატერიალური კულტურის ერთ-ერთ ყველაზე მეტყველ ელემენტს, ის თავისთავადი კოლხური კულტურის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს შეადგენს და კულტურის სხვა მახასიათებლებთან ერთად წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს კოლხეთის ხელოსნური წარმოების ისტორიისთვის. ადრეულ ეტაპზე, ძვ.წ. VIII-VII სს-ში, უკვე გვხვდება ჭურჭლის ყველა ის სახეობა, რომელიც შემდგომი, ძვ.წ. VI-IV სს-ის (ე.წ. ადრეანტიკური ხანის) კერამიკის განმსაზღვრელად ითვლება.

ძვ.წ. VI-IV სს-ში წინარე ხანის სამეთუნეო ტრადიციების გაგრძელებასთან ერთად იქმნება დიდი რაოდენობის, რთული ფორმების მრავალფეროვანი სახეობები. ამ ხანის კოლხური კერამიკა, ტიპოლოგიური მრავალფეროვნების მიუხედავად, ხასიათდება გარკვეული ერთიანობით, რაც შემდეგ ასპექტებში ვლინდება: ყველა ჭურჭელი სამეთუნეო ჩარხზეა დამზადებული, დადგენილია თიხის ერთგვაროვანი შემადგენლობა და გამოწვის ერთნაირი რეჟიმი; განსხვავებული დანიშნულებისა და ფორმის ჭურჭელს აერთიანებს ორნამენტი.

ძვ.წ. VI-IV სს თიხის ნაწარმის არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება კერამიკული წარმოების ფართო მასშტაბებსა და ხელოსანთა კარგ პროფესიულ დონეზე მიუთითებს მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. ნათლად ჩანს, რომ ამ ხანაში ხდება ფორმების სტანდარტიზაცია, მეთუნეობის სპეციალიზაცია (მექვევრეობის ცალკე დარგად გამოყოფა), მეთუნეობა სასაქონლო ხასიათს იღებს, რასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შიდაკოლხური ეკონომიკური კავშირების განვითარებისათვის, ხოლო ამ ხანის თიხის ნაწარმის საყოველთაო გავრცელება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ზღვისპირა ზოლსა და ლიხის ქედს შორის, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დიდსა და მცირე კავკასიონს შორის) თანხვდება ამავე პერიოდის ხელოსნობის სხვა მნიშვნელოვანი დარგების გავრცელების

ზონას და გარკვეულად შეესატყვისება კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ- ტერიტორიულ საზღვრებს [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 209-210].

**კოლხური ამფორები:** დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმპორტული ამფორები სავაჭრო ტარად ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. აქ დადასტურებულია შავიზღვისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის საქალაქო ცენტრებში დამზადებული ამფორები [ფუთურიძე 1976: 79-90].

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება ადგილობრივი ე.ნ. კოლხური ამფორების (resp. ყავისფერთიხიანი) წარმოება [იხ. გამყრელიძე 2010: 176-189]. ამ პერიოდისათვის ე.წ. კოლხური ამფორები სინოპურს ჰქვანან. დასავლეთ საქართველოს კოლხური ამფორების მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მონაპოვარში, ფორმის, მოცულობის და თიხის მიხედვით სხვადასხვა ტიპოლოგიური ვარიანტები შეინიშნება [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 137-140; კახიძე 1971: 55-63; ფუთურიძე 2003: 98-109; გამყრელიძე 1982: 96-98; გამყრელიძე 2010: 176-189; ბრაшинსკი 1980: ტაბ.XXIII; ვ. 1991: 170-185; ხალვაში 2002: 10-20 და იქ დასახ. ლიტ.]. აგრეთვე სხვაობაა ქრონოლოგიურადაც. კოლხური ამფორები, როგორც ჩანს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთ ადგილას მზადდებოდა. ეს, ადგილობრივი წარმოების ამფორები ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან ახ.წ. VIII ს-მდე და შემდეგაც სხვადასხვა მოდიფიკაციით კეთდებოდა. ზოგადად, კოლხური ამფორები ტიპოლოგიურ- ქრონოლოგიურად შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის — III ს-ის პირველი ნახევრის კოლხური ამფორები სინოპურს გვანან, ოღონდ თიხის ზედაპირი უფრო ხორციანია, ფერი კი მოყავისფრო. გვხვდება ღია-მოყავისფრო ეგზემპლარებიც. ადგილობრივი, კოლხური ამფორების კორპუსი კვერცხისებურია, ღილვაკისებური პირი და ცილინდრული ყელი აქვს; ქუსლი წაკვეთილი კონუსისებურია, ცილინდრულთან მიახლოებული; ყურები თანაბრად მორკალური და ჭრილში ოვალურია.

2. ძვ.წ. II-I სს-ის კოლხურ ამფორებს წელზე შეზნექილობა უჩნდებათ; ყელი ცილინდრულია და შედარებით მოკლე; ოვალურგანივეკვეთიანი ყურები თანაბრად მორკალური და შედარებით მოკლეა; თიხა ზედაპირზე ხორციანია და მოყავისფრო ელფერისაა; გვხდება ღია-მოყავისფრო ეგზემპლარებიც. საერთოდ, კოლხური ამფორების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ფსკერზე სპირალური ხვია, რომელსაც ზოგი მეცნიერი ე.წ. ვარდულისებურსაც უწოდებს. ამგვარი სპირალური ხვია უცხოური ამფორებისათვის არ არის დამახასიათებელი. კოლხური ამფორების თიხის სტრუქტურა ხაოიან-ფორმოვანია. თიხა შეიცავს მოთეთრო და მოშავო მცირენატეხოვან ნამცეცებს. შერეულია დაბაზის და ბაზალტის, პიროქსენიტების, კვარცის, ქარსის, რკინის პიდროჟანგის მინარევები და სხვ. ჩატარებულია თიხის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ანალიზი, რის შედეგადაც დადასტურდა, ადგილობრივი, კოლხეთის სხვადასხვა რეგიონის თიხასთან მათი იდენტურობის ფაქტი [იხ. მორჩაძე 1979: 81; ფოფორაძე და სხვ. 2006: 220-224]. ძვ.წ. II-I სს-ის კოლხური ამფორების ზოგიერთ ეგზემპლარზე გვხვდება ნიშნები. შესაძლოა ისინი ხელოსნის მიერ ამფორის მოცულობას ან რაოდენობას აღნიშნავდეს. კოლხურ ამფორაზე დატანილი ნიშნები ჰქვავს ადგილობრივ დამზადებულ ქვევრებზე და კრამიტზე აღბეჭდილ ნიშნებს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ვანში აღმოჩენილ ერთ-ერთ ადგილობრივ ამფორას ზედაპირი ისევე აქვს დამუშავებული, როგორც ადგილობრივ ქვევრებს — ვერტიკალურ ხაზებიანი პორიზონტალური სარტყლებით [Путуриძე 1977: 68- 69]. კოლხეთში აღმოჩენილია კერამიკის გამოსაწვავი ქურები, სადაც სხვა ტიპის კერამიკის ნატეხებთან ერთად ამფორების ფრაგმენტებიცაა დადასტურებული. ასეთი ქურა აღმოჩენილია სოფ. გვანდრასთან (აფხაზეთი), რომელიც ძვ.წ. III ს-ისაა. ასეთივე ქურაა სოხუმთან ე.წ. ნითელი შუქურას ნამოსახლარზე. ქურის

ნაშთებია შესწავლილი აგრეთვე სოფ. გულრიფშის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნამოსახლარზე.

ძვ.ნ. IIს. მეორე ნახევრის და ძვ.ნ. IIს. კოლხურ ამფორებს ფსკერზე ისევ სპირალური ხვია აქვს. ცილნდრული ქუსლი უფრო სოკოსთავისებრ მომრგვალებურ ფორმას იღებს და ბოლო უფრო შესქელებულია. ზოგი მეცნიერი მას ე.ნ. ღილისებურსაც უწოდებს. ამ პერიოდის კოლხური ამფორების კედელი შედარებით თხელია. ამფორებს ტანზე უფრო შესამჩნევი შეზნექილობა უჩნდებათ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს შეზნექილობა ამფორის ხმელეთზე ტრანსპორტირებასთანაა დაკავშირებული. ამგვარად, ამფორას უფრო ადვილად მოედებოდა შეზნექილობაზე ბანარი და უფრო მოხერხებული იქნებოდა ცხენის ან ვირისთვის საპალნედ გადაკიდება. კოლხური ამფორების ტევადობა 13-დან 22 ლიტრამდე მერყეობს.

კოლხური ამფორები მრავლადაა აღმოჩენილი ძვ.ნ. II-ს სს-ის ნამოსახლარებზე ისტორიული კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე. აქ თითქმის არ არის ამ პერიოდის ნამოსახლარი, სადაც ამგვარი ამფორები არ აღმოჩენილიყო. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ახლა თითქმის ერთხმადაა აღიარებული, რომ ეს ამფორები ადგილობრივი, კოლხური წარმოებისაა. კოლხური ამფორები დადასტურებულია შემდეგ პუნქტებში: ეშერაში, ქ. სოხუმში, ქ. ოჩამჩირეში, მდ. ენგურის ხეობაში, ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფ. ურეკში, მდ. სუფსა-ნატანების შუამდინარეთში, სოფ. ციხისძირში, ქ. ქობულეთის ფიჭვნარში, სოფ. მახვილაურში, ქ. ბათუმში, სოფ. გონიოში, სოფ. ბუკისციხეში, სოფ. გურიანთაში, სოფ. დაფნარში, სოფ. დაბლავომში, სოფ. მთისძირში, ქ. ქუთაისის მიდამოებში, სოფ. საგვიჩიოში, ქ. ვანში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე და სხვ.

ძვ.ნ. II-1 სს-ის კოლხური ამფორები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში სხვადასხვა ნამოსახლარებზეა აღმოჩენილი. ესენია — გორგიპია, კიტეი, კეპი, ნეაპოლი, ქერსონესი, დონუზლავი, ბელიაუსი, კარატობე, კერკინიტიდა და სხვ. [იხ. ვ. 1991: 170-185 და იქ დასახ. ლიტ.].

3. ძვ.ნ. II-1 სს. კოლხური ამფორების შემდგომი პერიოდის გაგრძელებად ახ.ნ. II -III სს. ე.ნ. ყელშიბოიანი წელშეზნექილი ამფორები უნდა იყოს, რომლებსაც წაგრძელებული ტანი, თითქმის თანაბრად მორკალული ყურები და ფსკერზე აგრეთვე სპირალული ხვია ახასიათებთ. მათი კედელი შედარებით კიდევ უფრო თხელია და ყელზე, ყურების მიძერნვის ადგილზე გამოხატული წიბო აქვთ, რომელიც შიდა მხრიდან ოდნავ ჩაზნექილია. ამ ტიპის ამფორები მიკვლეულია — ბიჭვინთაში, სოხუმში, ეშერაში, ნებელდაში, ფოთი (პალიასტომი), ურეკში, ქობულეთის ფიჭვნარში, ციხისძირში, გონიოში და სხვ. [იხ. ხალვაში 2002: 10-20].

4. ახ.ნ. III-IV სს-დან წელშეზნექილი და ფსკერზე სპირალურხვიიანი კოლხური ამფორების ახალი ტიპი ვთარდება. ამ ამფორებს ყურები მკვეთრად აქვთ ზედა ნაწილში მოხრილი და ტანი კიდევ უფრო ვიწრო და წაგრძელებული აქვთ. ზოგიერთ ეგზემპლარს ტანზე დაბალი გოფრირება უჩნდება. ყურები განივკვეთში ოვალურობას კარგავს და უფრო ბრტყელი ხდება.

#### **ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორები:**

1) ქ. ფოთში, პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირთან, ადგილ ნატეხებში კოლხური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური წრეში ჩასმული ჯვრის დამლით აღმოჩნდა. აქ თიხა-ტორფიანი ფენაა, სადაც ძვ.ნ. IV-II სს-ის არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის პროფილირებული ქუსლი და როდოსული ამფორის ქუსლი დადასტურდა [იხ. გამყრელიძე 1987: 97-117; გამყრელიძე 2003:170-185; გამყრელიძე 2002: 70-101; Gamkrelidze 1992a: 101-119; გამყრელიძე 1992: 30-48]. ხსენებული კოლხური ამფორის ყურზე რელიეფური დამღა ზედა მხარეზეა მკაფიოდ დასმული. ყური

ოვალურგანივეტიანია. დამლის დმ-1,9სმ და შიგ ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული. დამლა ანეპიგრაფიულია [იხ. გამყრელიძე 2010: 176-189].

**2)** კოლხური ამფორის ოვალურგანივეტიანი ყური წრეში ჩასმული ჯვრის დამლით აღმოჩნდა ჩოლოქის ნამოსახლართან, მდ. ჩოლოქის მარცხენა ნაპირზე. თარიღდება ძვ.წ. III ს. ინახება ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზის ფონდში [იხ. ცეცხლაძე, იაშვილი 1991: 58-61].

**3)** კოლხური ამფორის ოვალურგანივეტიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკ. 213-212; სავ. №07:1-04:470. ფენა ძვ.წ. III ს-ისაა.

**4)** კოლხური ამფორის ოვალურგანივეტიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკ. 222; სავ. №07:1-74:360. ფენა ძვ.წ. III ს-ისაა [გიგოლაშვილი და სხვ. 1979: ტაბ.5, სურ.30].

**5)** კოლხური ამფორის ოვალურგანივეტიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე; ნაკვეთი 67, ცისტერნასთან; სავ. №07:1-79:2067. ფენა ძვ.წ. II-I სს-ის არტეფაქტებს შეიცავს.

**6)** კოლხური ამფორის ოვალურგანივეტიანი ყური წრიული დამლით, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკ. 213; სავ. №07:1-03:65. ფენა ძვ.წ. II ს-ის არტეფაქტებს შეიცავს.

**7)** კოლხური ამფორის ოვალურგანივეტიანი ყური მომრგვალებულ მკლავიანი სვასტიკის დამლით; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე; ნაკ. 127-142; სავ. №07:1-04:2287. ფენა ძვ.წ. III- I სს-ის არტეფაქტებს შეიცავს.

**8)** კოლხური ამფორის ოვალურგანივეტიანი ყური ჯვრიანი დამლით; აღმოჩნდა მდ. სულორთან, ვანის ნაქალაქარიდან აღმოსავლეთით, ადგილ მშევრის გორაზე არქეოლოგიური დაზვერვების დროს; სავ. №07:9-05: 34. იქვე დადასტურდა ძვ.წ. III-I სს-ის არტეფაქტები. ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე კოლხური ამფორის კიდევ ერთი ჯვრიანდამლიანი ყური აღმოჩნდა.

ჯვრიანი დამლები დაფიქსირებულია ადგილობრივი წარმოების ქვევრზეც: ქვევრის პირზე წრიული დამლაა, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკ. 222; სავ. №07: 1-74: 277. ფენა ძვ.წ. III - ახ.წ. III სს-ის არტეფაქტებს შეიცავს. ადგილობრივი წარმოების ქვევრის სამკუთხაგანივეტიან პირზე დამლაა, რომელშიც ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული; აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე; ნაკ. 221; სავ. №07:1-70: 329. ფენა ძვ.წ. III- ახ.წ. III სს-ის არტეფაქტებს შეიცავს. ქვევრის ეს ფრაგმენტი ძლიერ დაზიანებულ ქურასთან აღმოჩნდა [იხ. ცეცხლაძე და სხვ. 1991: 59]. ადგილობრივი წარმოების ქვევრის მხრის ფრაგმენტი, რომელსაც წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის ტვიფრი აქვს. აღმოჩნდა გურიანთას ნამოსახლარზე, რომელიც მდ. სუფსის მარცხენა მხარეს (ოზურგეთის მუნიციპ.) მდებარეობს. ფენა ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება [იხ. ვაშაკიძე 1971: 17].

დღესდღეობით, ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორები, დასავლეთ საქართველოს გარდა, არსად არ არის მიკვლეული. ისინი, სტრატიგრაფიული მონაცემების და არტეფაქტების კონტექსტზე დაყრდნობით, ძირითადად ძვ.წ. IV ს-ის მიწურულით — II ს-ით უნდა დათარიღდეს. დამლებზე, ჯვრის ფორმების გარკვეული სხვადასხვაობა შეიმჩნევა. შემდგომ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მრავლად აღმოჩენილ ძვ.წ. II-I სს-ის კოლხური ამფორების ყურზე და ყელზე, ხშირად სხვადასხვა ნიშნებია ამოკანრული. ჯერჯერობით ამგვარი ნიშნების ოცდაათამდე სახეობაა დადასტურებული. საყურადღებოა, რომ დაახლოებით ასეთი ნიშნები კოლხეთში ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-დან ქვევრებზე, ხოლო ძვ.წ. III ს-დან კრამიტებზე და სანაფებზეც ფიქსირდება. ისინი, მეცნიერების მიერ, ძირითადად ქვევრების, ამფორებისა და კრამიტების დამამზადებელი სახელოსნოების ნიშნებადა მიჩნეული [ფუთურიძე 2003: 102]. ამ ნიშნებს შორის არის

ჯვრის ნიშან-გრაფიტოებიც. წრეში ჩასმული წვრილტანა ჯვრიანი დამღები ცნობილია თასოსში დამზადებულ ამფორებზე. მაგრამ აქ მკლავებშუა ჩასმულია ბერძნული ასოები [იხ. ბრაшинский 1980: 233, სურ. 132; Монахов 1999: 233].

დამღის დასმა, ხელშეუხებლობისა და ნივთის ან ჭურჭლის შიგთავსის ვისიმე საკუთრებას ნიშნავდა. დამღა მას, ამ ქონებას, არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელყოფისაგან სამართლებრივად იცავდა. დამღა დაახლოებით ისეთივე უფლებრივი ნიშანი იყო, როგორც მონეტაზე გამოსახული ემბლემები. მისი გამოსახვა მხოლოდ გარკვეული წარჩინებული პირების (კოლხეთში — ქურუმი, მეფე, მთავარი) პრეროგატივა იყო. მას ძირითადად სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარჩინებული პირები და მაღალი რანგის მოხელეები ფლობდნენ და იყენებდნენ. ამიტომ, დამღა იურიდიული ხასიათის დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს.

წრეში ჩასმული ჯვარი შესაძლოა დასავლეთ საქართველოს რომელიმე ქალაქური დასახლების, რეგიონის უფლებამოსილი წარჩინებული პირის ნიშანია, რომლის დაქვემდებარებაში მყოფი კერამიკული სახელმწიფის ნაწარმი ასეთი ემბლემით იდამღებოდა. ასეთი საქალაქო ცენტრი შეიძლება „ვანი“, „ფიჭვნარი“ ან ფასისი იყო. ქალაქ ფასისის საშუალებით კოლხეთის ნედლეული და ნაწარმი საერთაშორისო ბაზარზე გაედინებოდა. გამორიცხული არ არის, რომ ეს დამღები მეფის მოხელისაც იყო, რომელსაც ამფორების (ტარის) წარმოების კონტროლი ევალებოდა და გარკვეული პასუხისმგებლობა გააჩნდა ამ ამფორებით გადასატანი სავაჭრო პროდუქციის ხარისხზე.

თუკი დიოსკურია-ეშერიდან ძვ.წ. III ს. კოლხური ამფორების ცნობილ დამღებს გავითვალისწინებთ, რომელზედაც ქალაქის სახელია აღნიშნული [იხ. ფუთურიძე 2003: ტაბ. I, სურ. 2], მაშინ შესაძლოა, რომ ჯვრიანი დამღაც, რომელიმე სხვა კოლხური ქალაქის ემბლემად ჩაითვალოს, მაგალითად, სავაჭრო ქალაქ ფასისის. აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე და სხვა არტეფაქტების მოშველიება-გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ: ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან — II ს-ის ჩათვლით კოლხეთში მზადდებოდა ამფორები, რომელებზედაც ტვიფრავდნენ უფლებრივ, სავაჭრო დამღებს, ისევე, როგორც ეს ხდებოდა ხმელთაშუა და შავი ზღვისპირა საქალაქო ცენტრებში [დაწვრ. იხ. გამყრელიძე 2010: 176-189].

### ლიტერატურა:

**ბოხოჩაძე 1963:** ბოხოჩაძე ალ. მევენახეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 1963.

**ბოჭორიშვილი 1949:** ბოჭორიშვილი ლ. ქართული კერამიკა, I, თბ.

**გაგოშიძე და სხვ. 2006:** გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. ითხვისის სამაროვანი (კატალოგი), არქეოლოგიური უურნალი, IV. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბ. გვ. 36-59.

**გამყრელიძე 1982:** გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ.

**გამყრელიძე 1987:** გამყრელიძე გ. წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძეიება ქ. ფოთის მიდამოებში, საქ, მეც. აკად. მაცნე, ისტ. არქ. ...სერია, №1, გვ. 97-119.

**გამყრელიძე 2010:** გამყრელიძე გ. ანეპიგრაფიკული ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორა ფოთი-ფასისიდან, უურ. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა, №19, თბ., გვ. 176-189.

**გამყრელიძე 2002:** გამყრელიძე გ., კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), გამ. ლოგოსი, თბ.

**გამყრელიძე 2003:** გამყრელიძე გ., ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის, — უურ. იბერია-კოლხეთი, №1, თბ., გვ. 170-185.

**გამყრელიძე თ. 1989:** გამყრელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ.

**გიგოლაშვილი და სხვ. 1979:** გიგოლაშვილი ელ. კაჭარავა დ. ფუთურიძე რ. ფირცხალავა მ. ჭყონია ან., ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1970-77 წწ. არქეოლოგიური მასალის კატალოგი, კრებ. ვანი IV, თბ., გვ. 41-114.

**გობეჯიშვილი 2014:** გობეჯიშვილი ნ. სამარხთა კონსტრუქცია და დაკრძალვის წესი კოლხური და ყობანური კულტურების მიხედვით. თბ.

**გოგაძე 1982:** გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ.

**ვაშაკიძე 1971:** ვაშაკიძე ნ., გურიანთის არქეოლოგიური ძეგლი, კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბ., გვ.5-27.

**ვაშაკიძე, ლორთქიფანიძე 1975:** ვაშაკიძე ნ., ლორთქიფანიძე გ. კოლხური ქვევრი. სდსძ, V. თბ. გვ. 93-106.

**თოლორდავა 1977:** თოლორდავა ვ. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში (1972-73 წწ.). კრებ. ვანი III. თბ. გვ. 71-80.

**თოლორდავა 2001:** თოლორდავა ვ. ვანის ძვ.ნ. VIII-VII სს-ის საკულტო კომპლექსი (ქრონოლოგიისათვის). ძიებანი. დამატებანი. IV. გვ. 37-47.

**კალანდაძე 1954:** კალანდაძე ალ. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი.

**კახიძე 1971:** კახიძე ამ., კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან, კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბ., გვ. 28- 66.

**კახიძე 1971:** კახიძე ამ., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. თბ.

**კახიძე 1965:** კახიძე ამ. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. მსკა, IV. თბ.

**კახიძე 2007:** კახიძე ამ., ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.ნ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი), ფიჭვნარი I. თბ.

**ლორთქიფანიძე გ. 1991:** ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ.

**ლორთქიფანიძე მარ. 1975:** ლორთქიფანიძე მარ., კოლხეთის ძვ.ნ. V- III სს. საბეჭდავი-ბეჭდები, თბ.

**ლორთქიფანიძე 1966:** ლორთქიფანიძე ოთ., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის ძვ.ნ. VI-II სს. თბ.

**ლორთქიფანიძე ოთ. 1972:** ლორთქიფანიძე ოთ. ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები). ვანი I. თბ. გვ. 7-42.

**ლორთქიფანიძე ოთ. 1977:** ლორთქიფანიძე ოთ. ვანის ნაქალაქარი. გათხრები, ისტორია, პრობლემები. (წერილი მეორე). ვანი III. თბ. გვ. 13-27.

**ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ.

**ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე და სხვ. 1972:** ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ან. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ., ვანი I. თბ. გვ. 198-239.

**ლორთქიფანიძე ოთ., და სხვ. 1981:** ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ან. ძვ.ნ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან (ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, დათარიღება, კატალოგი). ვანი V. თბ.

**მათიაშვილი 1973:** მათიაშვილი ნ. ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან. მსკა, V. თბ. გვ. 52-70.


**მათიაშვილი 1977:** მათიაშვილი ნ. ძვ.ნ. III-I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან. თბ.

**მათიაშვილი 2013:** მათიაშვილი ნ. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე. გვიანელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსი. ვანი X. თბ.


- მახარაძე, წერეთელი 2007:** მახარაძე გ., წერეთელი მ. საირხე. თბ.
- მინდორაშვილი 2014:** მინდორაშვილი დ. საქართველოს არქეოლოგია, I, ბათუმი.
- მორჩაძე 1979:** მორჩაძე თ., შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა, თბ.
- მიქელაძე 1974:** მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ.
- მიქელაძე 1978:** მიქელაძე თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ.
- მიქელაძე 1985:** მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ.
- ნადირაძე 1975:** ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.
- ნადირაძე 1990:** ნადირაძე ჯ. საირხე. საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ.
- ნარიმანიშვილი გ. 1999:** ანტიკური ხანის სამარხი პატარძეულიდან, — აკც-ს კრებ. ძიებანი, №3, თბ., გვ. 68- 70.
- პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2005:** პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. კოლხეთის ძველი ნამოსახლარები - ერგეტა, თბ.
- ფანცხავა 1988:** ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ.
- ფირცხალავა, ყიფიანი 1986:** ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-81 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. კრებ. ვანი VIII. თბ. გვ. 52-78.
- ფოფორაძე და სხვ. 2006:** ფოფორაძე ნ., ფარადაშვილი ირ., ახვლედიანი დ., გასიტაშვილი ან., კერამიკის მინერალოგიური და პეტროგრაფიული კვლევა (ვანის მასალების მაგალითზე) — აკც-ს კრებ. ძიებანი, № 17-18, თბ., გვ.220-224.
- ფუთურიძე 2003:** ფუთურიძე რ., ამფორების წარმოება კოლხეთში ძვ.წ. IV-I სს-ში. უურ. იბერია-კოლხეთი, № 1, 2003, გვ. 98-109.
- ფუთურიძე 1976:** ფუთურიძე რ., იმპორტული ამფორები ვანის ნაქალაქარიდან, კრებ. ვანი II, თბ., გვ.79- 90.
- ჭანიშვილი 2013:** ჭანიშვილი თ. თიხის ჭურჭლის ერთი სახეობა (მათარა) საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან, კრებ. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა, №21, თბ., გვ. 257-260.
- ჭყონია 1986:** ჭყონია ან. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი VI. თბ.
- ხიდაშელი 1982:** ხიდაშელი მ. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რეინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყელები). გამოკვლევა და კატალოგი. თბ.
- ყაუხჩიშვილი 1987:** ყაუხჩიშვილი თ., ვანის ახლადაღმოჩენილი წარწერა, კრებ. ქართ. წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., გვ.131-143.
- ყაუხჩიშვილი 1965:** ყაუხჩიშვილი თ., ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ.
- შპაიდელი 1985:** შპაიდელი მ., კავკასიის საზღვარი, II ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში, — საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ისტ. ... სერია), №1, თბ., გვ.134-140.
- ცეცხლაძე, იაშვილი 1991:** ცეცხლაძე გ., იაშვილი ი., დამღიანი კოლხური ამფორის ფრაგმენტი ჩოლოქიდან, — კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ., გვ. 58- 61.
- ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები 1964:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, ილ. აბულაძე (რედ.), თბ.
- ხალვაში 2002:** ხალვაში მ., კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი.
- ხიდაშელი 2001:** ხიდაშელი მ., სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ.
- ჯიბლაძე 2001:** ჯიბლაძე ლ., დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების არქეოლოგიური რუკა, — აკც-ის ძიებანი, № 8, თბ., გვ.34-38.
- Брашинский 1980:** Брашинский И., Греческий керамический импорт на нижнем Дону, Ленинград.

- Гамкелидзе Г. 1992:** К археологии долины Фасиса, Тб.
- Внуков, Цецхладзе 1991:** Внуков С., Цецхладзе Г., Колхидские амфоры Северо-Западного Крыма. - сб. Памятники железного века в окрестностях Евпатории, изд. Мос. университета, с. 170- 185.
- Воронов 1975:** Воронов Ю. Тайна Цебельдинской Долины. Мос.
- Воронов, Бгажба 1985:** Воронов Ю., Бгажба О., Материалы по Археологии Цебельды. Тб.
- Зеест 1967:** Зеест И., Керамическая тара Боспора. МИА. 83. Мос.
- Кигурадзе 1976:** Кигурадзе Н. Дапнарский Могильник. Тб.
- Куфтин 1949:** Куфтин Б. Материалы к археологии Колхиды, т. I. Тб.
- Куфтин 1950:** Куфтин Б. Материалы к археологии Колхиды, т. II. Тб.
- Лордкипанидзе Г. 1970:** Лордкипанидзе Г., К истории древней Колхиды, Тб.
- Монахов 1999:** Монахов С., Греческие амфоры в Причерноморье, изд. СУ, Саратов.
- Рамишвили 2003:** Рамишвили Р., Грузия в эпоху раннего средневековья (4-8 вв). сб. Археология. Крым, Северо-Восточное Причерноморье и Закавказье в эпоху средневековья. Мос., 2003, с. 270-320.
- Путуридзе 1977:** Путуридзе Р., Колхидские амфоры из Вани, - Краткие сообщения, Инст. Археологии, №151, с. 68- 71.
- Трапш 1969:** Трапш М. Труды. II. Сухуми.
- Braund 1994:** Braund D., Georgia in Antiquity, Clarendon press, Oxford.
- Bon 1957:** Bon A., Les timbres amphoriques de Thasos, Etudes thasiennes, Paris.
- Gamkrelidze 1990:** Gamkrelidze G., Travaux hydroarcheologiques de localisation de l'ancienne Phasis, Le Pont-Euxin vu par les Grecs, Universite de Besancon, Paris, p. 223-236.
- Gamkrelidze 1992:** Gamkrelidze G., Hydroarchaeology in the Georgian Republic (the Colchian littoral), The International Journal of Nautical Archaeology, London, New York, vol. 21, #2, p. 101-119.
- Gamkrelidze 2012:** Gamkrelidze G., Researches in Iberia-Colchology (History and archaeology of ancient Georgia). Tbilisi.
- Gamkrelidze 2014:** Gamkrelidze G., Archaeology of the Roman Period of Georgia (Iberia-Colchis). Essay and Catalogue. Iberia-Colchis (The Journal of the Otar Lordkipanidze Centre for Archaeology of Georgian National Museum). Supplement.
- Kunisch 1998:** Kunisch N., Ornamente geometrischer Vasen: ein Kompendium. Köln.
- Lordkipanidze 2000:** Lordkipanidze O., Phasis, The river and City in Colchis, Stuttgart.


## I




II




## III








IV







## VI

$d_3$ , V. VIII b. $\phi_3$ , V. VII b. $d_3$ , V. V b.	 
	
	
	 <p style="text-align: center;">0 — 4</p>
$d_3$ , V. IV b. $\phi_3$ , V. III b.	
	 <p style="text-align: center;">0 — 4</p>


VII




VIII



## IX




X



XI



1



2



3



4

XII



1



2



3




4



5

XIII





## დიონისეს კულტი კავკასიაში (ძ3.ნ. IV–ახ.ნ. IVსს.)

### ლანა ჩოლოგაური

აღნიშნული სტატია წარმოადგენს მოკლე ანგარიშს სამაგისტრო კვლევისა, რომელიც განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით და მხარდაჭერით 2016 წელს. საკვლევი თემის, “დიონისეს გამოსახულებები ელინისტური ხანის ამიერკავკასიაში”, მთავარ მიზანს წარმოადგენდა რეგიონში წარმოდგენილი დიონისესა და მისი წრის ღვთაებათა გამოსახულებების თავმოყრა და შესწავლა. კვლევის გეოგრაფიულ არეალში მოექცა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, ქრონოლოგიური ჩარჩოები კი ელინისტური და გვიანანტიკური ხანით განისაზღვრა.<sup>1</sup>

მოძიებული არტეფაქტების შესწავლამ საშუალება მოგვცა არქეოლოგიური მასალის ერთ ჯგუფზე დაყრდნობით თვალი გაგვედევნებინა ბერძნული კულტურის ინფილტრაციისთვის რეგიონში, რომელიც თავდაპირველად უშუალოდ ბერძნების, ხოლო მოგვიანებით რომაელების სახელს უკავშირდება. როგორც ცნობილია, რომაელებმა შეითვისეს ბერძნული კულტურა და თავისი ელემენტებით გაამდიდრეს ის, მათ შორის დიონისეს კულტი, რომელიც რომაულ სამყაროში ბახუსის სახელითაა ცნობილი.

დიონისე (რომაულ კულტურაში - ბახუსი) ბერძნული და რომაული რელიგიური პანთეონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პოპულარული ღმერთია. ის განიხილება როგორც მევენახეობა-მეღვინეობის, ლხინისა და დროსტარების მფარველი ღვთაება. მის სახელს უკავშირდება თეატრალური წარმოდგენები და მისტერიები, რომელსაც ანტიკურ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. დიონისეს კულტის გავრცელება სხვადასხვა ხალხებში ერთ-ერთი თანმდევი ნიშანია ელინიზაციის პროცესისა, შესაბამისად მისი წრის ღვთაებათა გამოსახულებების შესწავლა საშუალებას მოგვცემს თვალი გავადევნოთ ბერძნული კულტურის ინფილტრაციასა და დამკვიდრებას სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე. დიონისეს კულტთან დაკავშირებული არტეფაქტების შესწავლის პროცესში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

აღნიშნული კვლევის განხორციელებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია იკონოგრაფიული ნიუანსების ცოდნა. ხშირად, სწორედ ეს ნიუანსები გვაძლევს საშუალებას პარალელების მოძიებისა და გააზრების საფუძველზე დავადგინოთ ნივთის თარიღი და წარმომავლობა. დიონისეს კულტი და მასთან დაკავშირებული ატრიბუტები ანტიკური სამყაროს ხელოვნების ერთ-ერთ რთულ და პრობლემატურ საკითხადაა მიჩნეული. მისი კულტის მრავალხმრივი ხასიათი ანტიკური ხანის ნიმუშებზე სხვადასხვაგვარი ატრიბუტით და სიმბოლიკითაა წარმოდგენილი.

დიონისეს იკონოგრაფია საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა, ხშირად მითოლოგიური სიუჟეტების, ადგილობრივი რწმენა წარმოდგენების, არსებული ტენდენციებისა და მოდის შესაბამისად. თუ თავდაპირველად დიონისე ძირითადად წვეროსანი მოხუცის სახით გამოისახებოდა, მოგვიანებით მასთან ერთად დამკვიდრდა მისი გამოსახვა ახალგზარდა ჭაბუკის სახით, თავზე სუროს ან ვაზის ფოთლების გვირგვინით, თმაში ბაფთითა და ზოგჯერ პატარა ზომის რქებით (Dionysus Thaumomorphus), ხელში გირჩით დაბოლოებული ბაფთაშებმული ტორსითა და ღვინის სასმისით, ვაზის ტალავერის ქვეშ ნახევრად წამონალილი ან მის თანამგზვარებთან (მენადები, სატირი, პანი და ა.შ) ერთად მსვლელობისას წარმოდგენილი. ელინისტური ხანიდან ჩნდება დიონისე ბავშვის

<sup>1</sup> გამომდინარე იქიდან, რომ კვლევისა და პროექტის განხორციელების ვადები იყო ძალზე ხანმოკლე, ხოლო ფინანსები შეზღუდული, საკვლევი თემის მიღმა დარჩა საქართველოს მუზეუმების ფონდებში დაცული რამდენიმე არტეფაქტი.

გამოსახულებებიც, რომელიც ხშირად მის აღმზრდელ სილენთან ერთადაა წარმოდგენილი. დიონისეს გამოსახვის ძალზე გავრცელებული და ერთ-ერთი უადრესი ფორმაა ნიღბები, რომელიც სხვადასხვა მასალისგან მზადდებოდა. ნიღბები იყო როგორც ნატურალური (თეატრალური წარმოდგენებისთვის), ისე დიდი და მცირე ზომის (დეკორატიული დანიშნულების).

სამხრეთ კავკასიაში დიონისეს და მისი წრის ღვთაებათა გამოსახულებები ყველაზე დიდი რაოდენობით საქართველოშია წარმოდგენილი. კოლხეთში ისინი აღმოჩენილია საირხის, ვანისა და პიტიუნტის არქეოლოგიურ ძეგლებზე. საირხეშია აღმოჩენილი დიონისეს კულტთან დაკავშირებული ყველაზე ადრეული არტეფაქტი საქართველოს ტერიტორიიდან. ეს არის ძვ.წ V ს-ის უკანასკნელი მეოთხედით დათარიღდებული წითელფიგურული კრატერი, რომელზეც წარმოდგენილია დიონისური სცენა (სურ. 1) [ყიფიანი 2004: 116]. ძვ.წ. IV ს-ის განეკუთვნება ბრინჯაოსა და ოქროს ფარავიანი ბეჭდები სატირის ნიღბისა და სალამურიანი სილენის გამოსახულებით ვანის ნაქალაქარზე მდებარე მდრიდრული სამარხებიდან [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 232-233]. ასევე ძვ.წ. IV ს. განეკუთვნება სოფელ მთისძირში აღმოჩენილი ვერცხლის რიტონი, რომელზეც გამოსახულია ვაც-კაცი (ოჩოპინტრე). ის, სავარაუდოდ დიონისეს წრის (პანის მსგავს) ადგილობრივ ღვთაებას უნდა წარმოადგენდეს [დაწვრ. იხ. გამყრელიძე 1982: 79-81; გამყრელიძე 2001: 110-112; Gamkrelidze 2009: 205-206].

ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. II-I სს-ის კულტურული ფენებიდან მომდინარეობს დიონისეს კულტთან დაკავშირებული შემდეგი არტეფაქტები: დიონისეს ტერაკოტული ნიღბების ფრაგმენტები (სურ. 2, სურ. 3); სილენის თავის გამოსახულების დასამზადებელი თიხის ყალიბი (სურ. 4); დიონისეს და მისი წრის ღვთაებათა თავების ჰორელიფური გამოსახულებები, რომლებიც ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭლის დეკორატიულ გაფორმებას წარმოადგენდა [ლორთქიფანიძე 2002: 224-226] (სურ.5), ბრინჯაოს ჭრაქი, შემკული დიონისეს, ჰერაკლესა და არიადნეს სკულპტურებით [ლორთქიფანიძე 6. 2010: 22] (სურ. 6); ამავე პერიოდს განეკუთვნება სამფიგურიანი დეკორატიულ-არქიტექტურული ფრაგმენტი საყანჩიას ნამოსახლარიდან, რომელზეც დიონისე და მისი თანამგზავრები უნდა იყვნენ წარმოდგენილი [ლიჩელი 1991: 81] (სურ. 7). დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ დიონისურ გამოსახულებათაგან ყველაზე გვიანდელად უნდა ჩაითვალოს პიტიუნტში გამოვლენილი ახ.წ. II-III სს. ვერცხლის თასი, შემკული დიონისური სცენითა და ცხოველთა გამოსახულებებით [დიდი პიტიუნტი 1978: ტაბ.257] (სურ. 9), ასევე დიონისეს/სილენის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ახ.წ. II-III სს-ის კულტურული ფენიდან მომდინარეობს (სურ.8) [დიდი პიტიუნტი 1975: 119, სურ.255].

როგორც ვხედავთ, კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილი კვლევისთვის მნიშვნელოვანი არტეფაქტების ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. V ს-ის მიწურულიდან ახ.წ. IV ს-მდე პერიოდს მოიცავს.

დიონისესა და მის კულტთან დაკავშირებული ღვთაებათა გამოსახულებები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი იბერიის ტერიტორიაზე. ზოგი მათგანი შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენს, ზოგიერთი კი სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლის კულტურული ფენიდან მომდინარეობს. ყველაზე ადრეულად შეიძლება ჩაითვალოს სარკინეს გვიანელინისტური ხანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი დიონისეს და მისი წრის ღვთაებათა ტერაკოტული ნიღბები ძვ.წ. II-I სს (სურ.10) [ბოხოჩაძე 1973: 36-42].

ძვ.წ. I - ახ.წ. I სს-ს უნდა გაკეთებულებოდეს კასპის მუზეუმში დაცული დიონისეს ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენს (სოფელ კოდისწყაროდან) და რაც საკმაოდ ართულებს მისი ზუსტი თარიღის განსაზღვრას

(სტილისტური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა აღნიშნული ქანდაკების თარიღად ახ.წ. II-III საუკუნეებიც კი ჩაითვალოს) (სურ.11)<sup>2</sup>.

მნიშვნელოვანია დედოფლის გორაზე, სასახლის კომპლექსში აღმოჩენილი ამფორის ყურის ფრაგმენტი - დიონისეს ბრინჯაოს ნიღაბი (სურ. 12) და სილენის ბრინჯაოს ქანდაკება (სურ. 13), რომელიც უშუალოდ საკურთხევებზე იყო მოთავსებული [ი. გაგოშიძე 2015: არქ. ანგარიში]<sup>3</sup>. ამ ნივთების ზედა თარიღად ახ.წ. 80-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ (სასახლის კომპლექსის ნგრევის დრო), ხოლო ქვედა ზღვარი, სტილისტური მახასიათებლებიდან გამომდინარე, გვიანელინისტური ხანა (II-I სს) უნდა იყოს. ძვ.წ. I საუკუნეს განეკუთვნება დიონისეს ინტალიო აღმოჩენილი აღაიანში, რიყიანების ველის სამაროვანზე [ჯავახიშვილი 2003: 84] (სურ. 14).

მნიშვნელოვანია ასევე: სილენის ბრინჯაოს ნიღაბი (ოინოხოიას ყურის დეკორატიული ფრაგმენტი) სოფელ მეტეხიდან, ახ.წ I ს. (სურ. 15)<sup>4</sup>; დიონისეს მინის სურა ხოვლეს მდიდრული სამარხიდან ახ.წ II-III სს [ჭატბერაშვილი 2007: 88-90] (სურ. 16); ვერცხლის სარკის სახურავი დიონისეს, არიადნესა და ეროტის გამოსახულებით სამთავროს სამაროვნიდან, ახ.წ II-III სს [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 11] (სურ. 17); დიონისეს მოზაიკა ძალისის რომაული ხანის სასახლის კომპლექსიდან 230-270 წწ. [ოდიშელი 1989: 15-65; Odišeli 1995: 13, სურ. 2] (სურ. 18).

იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დიონისეს კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები ძვ.წ. II-I - ახ.წ III სს-ის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა.

მნიშვნელოვანი არტეფაქტებია გამოვლენილი სომხეთის ტერიტორიაზე. ისინი ძირითადად წარმოდგენილია ანტიკური ხანის ისეთ მნიშვნელოვან ურბანულ ცენტრებში როგორიცაა არტაშატი, ვალარშაპატი, ანისი. ერთი არტეფაქტია გამოვლენილი ერებუნის ციხესიმაგრის ტერიტორიაზე. ეს არის ვერცხლის რიტონი, რომელზეც შესაძლოა გამოსახული იყოს დიონისე მის თანმხლებ მენადებთან ერთად (აზრთა სხვადასხვაობაა ნივთზე წარმოდგენილი სცენის ინტერპრეტაციაში) [არაკელი 1976: 35; მარკარიან 2002: 169-177; Treister 2012: 117-146] (სურ. 19). აღნიშნული რიტონი ძვ.წ IV ს-ის მიწურულითა და III ს-ის პირველი ნახევრითაა დათარილებული და შესაბამისად, დიონისეს კულტთან დაკავშირებულ ერთ-ერთი უადრეს არტეფაქტად შეიძლება ჩაითვალოს სომხეთის ტერიტორიიდან (თუ მასზე გამოსახულ სიუჟეტს დიონისეს კულტს დავუკავშირებთ). ძვ.წ. II-I სს-ს განეკუთვნება დიონისეს თავის ტერაკოტული გამოსახულება აღმოჩენილი ვალარშაპატში [მარკარიან 2010: 170-179]<sup>5</sup> (სურ. 20). საკვლევ თემასთან დაკავშირებული მასალის დიდი ნაწილი აღმოჩენილია არტაშატში, რომელიც გვიან ელინისტურ ხანაში სომხეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. მათ შორის აღსანიშნავია სილენის ტერაკოტული ქანდაკება (სურ. 21); ოქროს საყურეები დიონისეს/მენადის თავის გამოსახულებით (მსგავსი ატრიბუციიდან გამომდინარე რთულია ზუსტად განსაზღვრა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ ელინისტურ ხელოვნებაში დიონისეს ხშირად ქალური მომხიბვლელობითა და სილამაზით გამოსახავდნენ) [არაკელი ბ. 1982: 35] (სურ. 22)<sup>6</sup>;

<sup>2</sup> მასალაზე წვდომისა და ფოტოგადაღების ნებართვისათვის დიდ მადლობას ვუხდი გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელობას.

<sup>3</sup> მასალაზე წვდომისა და ფოტოგადაღებისათვის დიდ მადლობას ვუხდით იულონ გაგოშიძესა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის, დედოფლის გორის არქეოლოგიური ფონდის კურატორს ქ-ნ ნ. გოგიბერიძეს.

<sup>4</sup> მასალაზე წვდომისა და ფოტოგადაღების ნებართვისათვის დიდ მადლობას ვუხდი გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელობას.

<sup>5</sup> მასალაზე წვდომის ნებართვისა და ფოტოსათვის მადლობას ვუხდი სომხეთის ეროვნული ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაციას.

<sup>6</sup> მასალაზე წვდომის ნებართვისა და ფოტოსათვის მადლობას ვუხდი სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს.

სატირის ბრინჯაოს ნიღაბი (სურ. 23)<sup>7</sup>; აღნიშნული არტეფაქტები ძვ.წ. II - ახ.წ. I სს-ით თარიღდება. მნიშველოვანია ანისში აღმოჩენილი დიონისეს ბრინჯაოს ნიღაბი (სურ.24) (ბრინჯაოს ჭურჭლის ყურის დეკორატიული გაფორმება), რომელიც სტილისტური მახასიათებლების მიხედვით ძვ.წ. I - ახ.წ. I სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს [Arapakelyan 1976: 85].

სომხეთის ტერიტორიიდან მომდინარე მასალა ძვ.წ. II - ახ.წ. I სს-ს განეკუთვნება, ხოლო, თუ ერებუნის რიტონზე დატანილ სცენას დიონისეს დაკავშირებული ბერძენთა და რომაელთა ნაკლებ აქტივობასთან ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მუზეუმებსა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრებში ჩატარებულმა კვლევამ, სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლამ, საშუალება მოგვცა მოგვეძიებინა სამივე ქვეყნის მასშტაბით აღმოჩენილი დიონისური წრის ღვთაებათა არტეფაქტები. მათი შესწავლის, ინტერპრეტირებისა და არქეოლოგიური კონტექსტის გააზრების საფუძველზე განისაზღვრა ბერძენთა და რომაელთა აქტივობის კვალი რეგიონში და მათ მიერ შემოტანილი კულტურისა და რჩმენა-წარმოდგენების გავრცელების ინტენსივობა. **თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არტეფაქტების ეს ჯგუფი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ, და არა ერთადერთ, განმსაზღვრელ ნიშნად აღნიშნული პროცესებისა** (სურ. 25). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო პროექტის ფარგლებში განხორციელებული ეს კვლევა, შესაძლოა არ გვაძლევდეს ამომწურავ ინფორმაციას თითოეული ქვეყანაში გამოვლენილ დიონისეს კულტთან დაკავშირებულ არტეფაქტებზე.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ამიერკვაკასიაში დიონისეს წრის ღვთაებათა არტეფაქტები ყველაზე დიდი რაოდენობით საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ელინისტურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ორი განსხვავებული კულტურა არსებობდა, დასავლური ანუ კოლხური, რომელიც ბერძნული კულტურის გავლენას განიცდიდა და აღმოსავლური ანუ იბერიული, სადაც უფრო მეტად იგრძნობოდა აქემენიდური ირანის ტრადიციები. კოლხეთის ზღვისპირა ზოლში ბერძნული კულტურა და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა ძვ.წ. V ს-ის მიწურულიდან ჩნდება და ალბათ გასაკვირიც არაა, რომ დიონისეს კულტთან დაკავშირებული უძველესი არტეფაქტები ამიერკვაკასიიდან, სწორედ კოლხეთიდან მომდინარეობს.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი დიონისეს კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები, ძირითადად, ვანის ელინისტური ხანის ნაქალაქარიდან მომდინარეობს. აქ მრავლად აღმოჩენილი დიონისესა და მისი წრის ღვთაებათა გამოსახულებები, ასევე ცენტრალურ ტერასაზე გათხრილი მოზაიკურ იატაკიანი სატაძრო კომპლექსი, რომელიც შესაძლოა მევენახეობა-მეღვინეობის კულტს უკავშირდებოდეს, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ დიონისეს კულტი კოლხეთის მოსახლეობაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და მათ რელიგიურ მსოფლმხედველობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. არქეოლოგიური კონტექსტი, რომელშიც აღმოჩენდა დიონისეს ტერაკოტული ნიღბის ფრაგმენტები, ასევე ნიღბის ცალსახად რელიგიური დანიშნულება, შენირული 40-მდე მცირე ზომის ქოთანი და დამწვარი ძელის ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დღესასწაულობდა საგაზაფხულო დიონისობის (Antheasteria) მესამე დღეს, ჰიტროს ანუ ქოთნების დღეს, როდესაც ხალხი დიონისესა და მისი დედის სემელეს სახელზე სწირავდა

<sup>7</sup> აღნიშნული მასალის ფოტოგადაღების ნებართვისათვის მადლობას ვუხდი სომხეთის ეროვნული ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაციას.

ძლვენს, განსაკუთრებით კი მცირე ზომის ქოთნებსა და კოჭობებს [რამიშვილი 1976: 258-260].

შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე დიონისეს კულტი თანმდევია ელინიზაციის პროცესისა, მისი შემოსვლა და დამკვიდრება უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს კოლხეთში ბერძნების გამოჩენას. თუმცა, დიონისეს კულტის დამკვიდრებას უთუოდ ხელი შეუწყო კოლხეთში მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ტრადიციის არსებობამ. ოთ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, საფიქრებელია, რომ კოლხები "დიონისეს სახით თაყვანს სცემდნენ მეღვინეობა-მევენახეობის ადგილობრივ ღვთაებას, რომლის კულტი უძველესი დროიდან არსებობდა და დიონისეს კულტის მსგავს ტიპოლოგიურ ელემენტებსაც შეიცავდა" [ლორთქიფანიძე 2002: 232]. მსგავსი მოსაზრება აქვს გ. გამყრელიძეს. ის მიიჩნევს რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. IV საუკუნეში უკვე არსებობდა დიონისეს პროტოტიპი ადგილობრივი ღვთაება – ოჩოპინტრე ქართველთა ეთნოგრაფულ ყოფაში დადასტურებული, რომელიც უნდა იყოს გამოსახული სოფ. მთისძირში აღმოჩენილ ვერცხლის რიტონზე [Gamkrelidze 2009: 205]. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კოლხეთის მოსახლეობამ ადვილად მიიღო და შეითავსა ბერძნული რელიგიური პანთეონის ეს მნიშვნელოვანი ღმერთი.

რაც შეეხება იბერიას, აქ ბერძნული კულტურისა და ელინიზაციის მძლავრი ნიშნები, არქოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, ძვ.წ. II ს-ის შუა ხანებამდე არ ჩნდება [ლიჩელი 2005: 35-37]. ბერძნული კულტურისთვის დამახასიათებელი ელემენტები, აღმოჩენილი სარკინეს გვიანელინისტურ ნამოსახლარზე, სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება (იონური კაპიტელი, დიონისეს და მისი წრის ღვთაებათა ტერაკოტები). ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, კერძოდ კი, I-III სს-ში ეს პროცესები განსაკუთრებით ინტენსიურია. შესაბამისად, ბახუსის კულტის პოპულარიზაცია აქ არა იმდენად ბერძენთა საქმიანობის შედეგია, რამდენადაც რომაელების.

დიონისეს გამოსახლებები ყველაზე დიდი რაოდენობით იბერიის ტერიტორიაზეა გამოვლენილი. ისინი წარმოდგენილია არა მხოლოდ ურბანულ ცენტრებში, არამედ სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე (სამაროვანი, სატაძრო კომპლექსი, სასახლე), ზოგიერთი კი შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენს. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ დიონისეს კულტი გავრცელებული იყო მოსახლეობის ფართო ფენებში.

ცხადია, ბახუსის კულტი იბერიის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ეს ყველაფერი კი მევენახეობა-მეღვინეობას, როგორც აღმ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან და უძველეს დარგს უნდა უკავშირდებოდეს. პალეობოტანიკური მონაცემებით საქართველოში მევენახეობას 8000 წლოვანი ისტორია აქვს, უძველესი კულტურული ვაზის, *Vitis Venifera*-ს ნიპნები აღმოჩენილია ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებულ კულტურულ ფენებში [რუსიშვილი 2007]. ამიტომაც, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ადვილად მიიღო ღვინისა და მევენახეობის მფარველი ღვთაების – დიონისეს, ბახუსის კულტი. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია ვაზისა და ღვინის კულტის არსებობა. ნაყოფიერების ღვთაების კულტზე მიუთითებს თანამედროვე ყოფაში დამოწმებული ადათ-ჩვეულებანი, რომელიც მეცნიერთა აზრით თავისი წარმოდგენებით (თხის ტყავებში გახვევა, ნიღბების გაკეთება) ემსგავსება დიონისეს მისტერიებს. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს უძველესი მოსახლეობის ყოფასა და მსოფლმხედველობაში დიონისეს კულტი შეერწყა ადგილობრივ ნაყოფიერების კულტს, რის გამოც მან ადვილად მოიკიდა ფეხი საქართველოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება სომხეთის ტერიტორიას, აქ ელინიზმი, როგორც კულტურული მოვლენა თავს იჩენს ძვ.წ. II ს-ის მიწურულიდან და იგი დაკავშირებულია სომხეთის სამეფოს ფორმირებასა და მისი პირველი მეფის, არტაშეს I-ის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან. ძვ.წ.

180-170 ნლებში მან დააარსა ქალაქი არტაშატი, რომელიც ხუთი ასწლეულის მანძილზე იყო სომხეთის ძველი ქალაქი, ერთ-ერთი უმსხვილესი და უძლიერესი კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი. არტაშატში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა ნათლად ასახავს სომხეთის ტერიტორიაზე ბერძნული კულტურის ინფილტრაციის ინტენსივობას. ის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ელინიზირებულ ქალაქად შეიძლება ჩაითვალოს [Треевер 1953: 14-15].

სომხეთის სამეფოს ძლიერების ხანა ძვ.წ Ⅱ-Ⅰ სს-ზე მოდის, მეფეების არტაშეს I-სა (189-160წწ.) და ტიგრან II-ის (95-56 წწ.) მმართველობის დროს. წერილობითი წყაროების ცნობით ტიგრან II-მ ძვ.წ. 69 წელს ტიგრანაკერტში დააარსა სომხეთში პირველი თეატრი. მეორე თეატრი კი ტიგრანის ვაჟმა არტავაზდ Ⅱ-მ დააარსა არტაშატში. პლუტარქეს ცნობებით არტაშატში არტავაზ Ⅱ-ის სასახლეში იმართებოდა დიონისესადმი მიძღვნილი თეატრალური წარმოდგენები დადგმული ევრიპიდეს ტრაგედიების მიხედვით. მისივე ცნობით, სპექტაკლში მონაწილეობისათვის ბერძენი მსახიობები მოწვეულნი იყვნენ მცირე აზიდან [Гюн 1952: 405].

არქეოლოგიურად თეატრის არსებობა არ დასტურდება ტიგრანაკერტში, თუმცა არტაშატში წამდვილად შეინიშნება ძველი თეატრისა და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალის კვალი. სომხეთში თეატრის წარმოქმნა უნდა უკავშირდებოდეს აქ მიმდინარე კულტურულ-ეკონომიკურ და სოციალურ ძვრებს. თეატრისა და მასთან ერთად დიონისეს კულტის გაჩენა მჭიდროდაა დაკავშირებული სომხეთის სახელმწიფოს ფორმირების პროცესთან, რომელიც თავის მხრივ ელინიზაციის პროცესისა და სომხეთის მეფეთა პრობერძნული საქმიანობის გამოძახილია.

სომხეთში დიონისეს კულტს ადგილობრივი პროტოტიპიც ყავდა. ეს იყო არა-გისანე (მშვენიერი არას კულტი), რომელიც სომხეთში ინდოეთიდან შემოსულ კულტად ითვლება. არა-გისანეს აღმოსავლურ მწერლობაში უკავშირებდნენ მდიდრულ ცერემონიებსა და თეატრალურ წარმოდგენებს, ასევე გაზაფხულის დადგომასა და ბუნების გამოცოცხლებას. სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება ამგვარი ტერმინიც, ადონის-დიონისე-გისანე-არას კულტი [Гюн 1952: 424].

სომხეთში აღმოჩენილი დიონისური გამოსახულებების ინტერპრეტირებისა და არქეოლოგიური კონტექსტის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კოლხეთის შემდგომ ელინიზაციის პროცესი ყველაზე ინტენსიურ ხასიათს სწორედ სომხეთში ატარებდა. აქ დიონისე პოპულარული უნდა გამხდარიყო არა მხოლოდ, როგორც მეღვინეობისა და დროსტარების მფარველი ღვთაება, არამედ როგორც თეატრალური წარმოდგენების ღმერთი, რასაც ადასტურებს კიდეც არტაშატში დაარსებული ბერძნული თეატრი.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ დიონისეს კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები დღემდე არ გამოვლენილა. ეს გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, ბერძნული კულტურის ერთ-ერთი თანმდევი ელემენტი - დიონისეს კულტი, არ გავრცელებულა ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე. ელინიზაციის პროცესის პასიურ ხასიათს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ბერძნული იმპორტული კერამიკა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დღემდე არ გამოვლენილა.

აღსანიშნავია მანანა ოდიშელის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დიონისეს კულტის გავრცელება კავკასიაში მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მითოდატე VI ევპატორის სახელთან (ძვ.წ. 135-63). რამდენადაც ცნობილია, მითოდატემ, რომელიც თავს ალექსანდრე მაკედონელს ადარებდა და დიონისეც კი დაირქვა, დალაშქრა კოლხეთისა და სომხეთის სამეფოები, ხოლო პომპეუსისგან დევნილმა სწორედ კოლხეთში გამოიზამთრა (იხ. Odisheli 2019). სავსებით შესაძლებელი უნდა იყოს დიონისეს კულტის პოპულარობის ამდაგვარი ახსნაც ძვ.წ. Ⅱ-Ⅰ საუკუნეების კოლხეთში.

ამგვარად, დიონისეს კულტთან დაკავშირებული არტეფაქტების ერთი ჯგუფის შესწავლამ საშუალება მოგვცა შემოგვეთავაზებინა ბერძნული კულტურის გავრცელების ინტენსივობა და თანმიმდევრობა რეგიონში და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები სამხრეთ კავკასიის თითოეულ ქვეყანაში. დიონისური გამოსახულებების შესწავლის საფუძველზე ელინიზაციის ქრონოლოგიური ჩარჩოები ასე წარმოგვიდგება: კოლხეთში ელინისტური კულტურის შესვლა და დამკვიდრება იწყება ძვ.წ. IV ს-დან, სომხეთსა და იბერიაში კი ძვ.წ. II ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან. ხოლო ალბანეთის ელინიზაციაზე საუბარი ჩემს საკვლევ მასალაზე დაყრდნობით, არადამაჯერებელად მიმართია.

ლოგიკურია, რომ ბერძნული კულტურის გავრცელება რეგიონში დასავლეთის მხრიდან, მცირე აზიის გავლითა და შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან მიმდინარეობდა. სამივე ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, თუ მათში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა თავისებური გავლენა მოახდინა რეგიონში ბერძნული კულტურის გავრცელებასა და მისი თანმდევი ელემენტის - დიონისეს კულტის დამკვიდრებაზე. დიონისესა და მისი წრის ღვთაებათა გამოსახულებების შესწავლის საფუძველზე ელინიზაციის პროცესების კვლევა საკმაოდ რთულია, ვინაიდან ელინიზმი, როგორც კულტურული მოვლენა, თავის მხრივ, ერთ-ერთ რთულ და პრობლემატიკურ საკითხადა გააზრებული. არ შეიძლება ეს პროცესი განხილული და შესწავლილი იყოს მხოლოდ ერთი მხრიდან, არქეოლოგიური მასალის ერთ კატეგორიაზე დაყრდნობით. თუმცა, აღნიშნული კვლევის ფარგლებში მოძიებული მასალა და მათი ამგვარ კონტექსტში გააზრება საშუალებას გვაძლევს ახლებურად გავიაზროთ რეგიონში მიმდინარე რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები.

### ბიბლიოგრაფია:

**აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. 1996:** მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. IIIს. - აკლდამა 905, თბ.

**ბოხოჩაძე ალ. 1973:** ნასტაკისი, სარკინე, ძალისი, უურ. ძეგლის მეგობარი, 33. გვ. 36-42.  
**გაგოშიძე იულ. 2015:** 2013-2014 წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე (ექსპრეს ინფორმაცია). უურ. იბერია-კოლხეთი, გ. გამყრელიძე (რედ.). 11. თბ. გვ. 119-138.

**გამყრელიძე გ. 1982:** ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ.

**გამყრელიძე გ. 2001:** კოლხოლოგიური ნარკვევები, ნაკ. II, თბ. იხ. ელ-ვერსია:

<https://library.iliauni.edu.ge/ebooks/gela-gamqhrelidze-kolkhologiuri-narkvevebi-ii/>.

**დიდი პიტიუნტი 1975:** არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, აფაქიძე ან. (რედ.), ტ. I.

**დიდი პიტიუნტი 1978:** არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, აფაქიძე ან. (რედ.), ტ. III.

**ლიჩელი ვ. 1991:** ძველი ვანი, სამეურნეო უბანი. თბ.

**ლიჩელი ვ. 2005:** ელინიზმი საქართველოში: სამი რეგიონი - სამი ეტაპი, უურ. ძიებანი. დამატებანი, XIII, შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში, გვ. 35-37.

**ლორთქიფანიძე ნ. 2010:** იკონოგრაფიული ინტერპრეტაცია. „საქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე: შედეგები და პერპექტივები“ (თეზისები), გვ. 21-24.

**ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ.

**ოდიშელი მ. 1989:** ძველი ქართული მოზაიკები, დისერტაცია (ხელნაწერი), თბ.

**რამიშვილი ქ. 1976:** ტერაკოტები ვანიდან, კრებ. ვანი, ტ. II. თბ. გვ. 191-205.

**რუსიშვილი ნ. 2007:** ვაზის კულტურა საქართველოში პალეოთნობოტანიკური მონაცემების საფუძველზე, თბ.

**ყიფიანი ნ. 2004:** წითელფიგურული კრატერი საირხიდან. არქეოლ. უურ. III. გვ. 114-119.

**შატბერაშვილი ვ. 2007:** მდიდრული სამარხი სოფ. ხოვლედან, უურ. იბერია-კოლხეთი, (რედ. გ. გამყრელიძე), თბ. გვ. 87-96.

**ჯავახიშვილი ქ. 2003:** ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალების მიხედვით). უურ. ძიებანი 12, 2003 გვ. 75-88.

**Gamkrelidze G. 2009:** Two Silver Rythons from West Georgia – Colchis (*Mtisdziri and Gomi*), Jour. *Iberia-Colchis*, (ed. G. Gamkrelidze), #5, Tb., pp. 204-214.

**Odišeli M. 1995:** Spätantike und Frühchristliche Mosaike in Georgien, Wien.

**Odisheli M. 2019:** The Cult of Dionysus in Georgia'. Greek Theatre and Performance Culture around the Ancient Black Sea, (eds, D. Braund, E. Hall and R. Wyles, Cambridge University Press. (in press).

**Treister M. 2012:** The Treasure of Silver Rhyta from Erebuni, jour. "Искусство и идеология" Унив. Изд. Св. Климент Орхидски, София, 2 pp. 117-146.

**Аракелян Б. 1976:** Очерки по истории искусства древней Армении, Ереван.

**Аракелян Б. 1982:** Арташат I, Основные результаты Раскопок 1970-1977 гг. Ереван.

**Гоян Г. 1952:** 2000 лет Армянского Театра. Театр средневековой Армении. Том II, Мос.

**Маркарян А. 2002:** Серебряный Ритон из Эребуни, Ист.-Филолог. журнал, 2(160). с.166-177.

**Маркарян А. 2010:** Терракотовые статуэтки из Вагаршапата, Историко-Филологический журнал, 3 (185), Ереван. с. 170-179.

**Тревер К. 1953:** Очерки по истории культуры древней Армении (II в. до н.э - IV в.н.э), Мос.-Лен.

### ტაბულების აღწერილობა:

**ტაბ I. სურ. 1.** წითელფიგურული კრატერი. საირხე ძვ.წ V-IV სს. (ყიფიანი 2004 მიხედვით).

**სურ. 2.** დიონისეს ტერაკოტული ნიღაბი ვანი. ძვ.წ II-I სს. (რამიშვილი 1976: სურ. 150).

**სურ. 3.** დიონისეს ტერაკოტული ნიღაბი. ვანი. ძვ.წ II-I სს. (რამიშვილი 1976: სურ. 150).

**სურ. 4.** სილენის თავის ყალიბი. ვანი. ლორთქიფანიძე 2002: სურ. 213 მიხედვით.

**სურ. 5.** დიონისეს ნრის ღვთაებათა ბრინჯაოს გამოსახულებები. ვანი. ძვ.წ II-I სს.

**ტაბ. II. სურ. 6.** ბრინჯაოს ჭრაქი. ვანი. ძვ.წ II-I სს.

**სურ. 7.** სამფიგურიანი არქიტექტურული ფრაგმენტი. საყანჩია. ძვ.წ II-I სს.

**სურ. 8.** სილენის (ან დიონისეს) ფიგურა. ბიჭვინთა, III. 1978: სურ. 255 მიხედვით.

**სურ. 9.** ვერცხლის თასი. ბიჭვინთა. © <http://www.irrsochi.ru> .

**ტაბ. III. სურ. 10.** დიონისეს ნრის ღვთაებათა ტერაკოტები. სარკინე. ძვ.წ II-I სს.

**სურ. 11.** დიონისეს ბრინჯაოს ქანდაკება. კოდისწყარო ძვ.წ I – ახ.წ I სს.

**სურ. 12.** ბრინჯაოს ამფორის ყური. დედოფლის გორა. ძვ.წ I- ახ.წ I სს.

**ტაბ. IV. სურ. 13.** სილენის ბრინჯაოს ფიგურა. დედოფლის გორა. ძვ.წ I- ახ.წ I სს.

**სურ. 14.** დიონისეს გამოსახულებიანი ინტალიო. აღაანი. ძვ.წ I ს.

**სურ. 15.** სილენის ნიღბით შემკული ბრინჯაოს ოინოხოიის ყურის ფრაგმენტი. სოფ. მეტეხი. შემთხვევითი მონაპოვარი (ახ.წ I ს. (?)).

**სურ. 16.** მინის სურა. ხოვლე. ახ.წ II-III სს. შატბერაშვილი 2007: ტაბ V მიხედვით.

**ტაბ. V. სურ. 17.** ვერცხლის სარკე. მცხეთა XI 1996: ტაბ .15 მიხედვით.

**სურ. 18.** დიონისური მოზაიკა. ძალისი. ახ.წ 230-270 წწ. Odišeli 1995. სურ. 2 მიხედვით

**სურ. 19.** ვერცხლის რიტონი. ერებუნი. ძვ.წ IV-III სს. Treister 2015: სურ. 28. მიხედვით

**ტაბ. VI. სურ. 20.** დიონისეს თავის ტერაკოტა. ვაღარშაპატი. © History Museum of Armenia.

**სურ. 21.** სილენის ტერაკოტა. არტაშატი. ძვ.წ II-I სს. © History Museum of Armenia .

**სურ. 22.** ოქროს საყურეები. არტაშატი. ძვ.წ II-I სს. © History Museum of Armenia.

**სურ. 23.** სატირის ბრინჯაოს თავი. არტაშატი ძვ.წ II-I სს. © History Museum of Armenia.

**სურ. 24.** დიონისეს ნიღაბი. ანისი. ძვ.წ I-ახ.წ I სს. არაკელან 1976: ტაბ . CIV მიხედვით.

**ტაბ. VII. სურ. 25.** დიონისეს კულტთან დაკავშირებული არტეფაქტების აღმოჩენის ლოკაციები. რუკა.

Ծծ. I



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4




სურ. 5

გვ. II



ს. 6



ს. 7

ს. 8




ს. 9

Ծծ. III



Խյթ. 10



Խյթ. 11

Խյթ. 12

Ծած. IV



Խյթ. 13



Խյթ. 14



Խյթ. 15




Խյթ. 16


Ծած. V



Նկ. 17



Նկ. 18



Նկ. 19

૭૦૬.VI



નિઃ. 20



નિઃ. 21



નિઃ. 22



નિઃ. 23



નિઃ. 24

080.VII



怀柔, 25

## ცხოველთა ერთი ჯგუფის გამოსახულებები სასახლი გლიატიკაში ქეთევან ილიას ასული რამიშვილი

სასანურ გლიპტიკაში ცხოველთა მრავარიცხვოვან გამოსახულებებს შორის არის ჯგუფი ცხოველებისა, რომელთა მკვეთრი განსაზღვრა ყოველთვის ვერ ხერხდება. ამის გამო, მათ ხშირად ზოგადად ასე განსაზღვრავენ — გაურკვეველი ცხოველი ან გაურკვეველი ოთხფეხა ცხოველი. ვფიქრობ, ამ ტიპის ცხოველთა გამოსახულებებზე დეტალებისათვის ყურადღების მიქცევა შესაძლებლობას მოგვცემს მათ შორის განსხვავებული სახეების დადგენისა. ასე მაგ. ერთი შეხედვით, მსგავსი, დათვისა და ტახის გამოსახულებებზე, ყურადღება უნდა მიექცეს ყურების მოყვანილობას, სხვაობას ტახის დინგის წაკვეთილ მოყვანილობასა და დათვის დრუნჩის ფორმას, თათებზე ერთ შემთხვევაში კლანჭების არსებობას, მეორეში კი ჩლიქებისა. ასევე შეიძლება კატისებთა ოჯახის ცხოველთა გამოყოფა. ეს საკმაოდ მრავალრიცხვოვანი ჯგუფია, რომელშიც გაერთიანებულია ლომის, ვეფხვის, ჯიქის, გარეული კატის გამოსახულებანი. აქედან ხვადი ლომის გამოსახულება აშკარად იოლი გამოსაყოფია.

ლომს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნებაში, როგორც უძლეველობის სიმბოლოს. სასანურ ხელოვნებაში იგი აჟურამაზდას ერთ-ერთი ძირითადი განსახიერებაა. გლიპტიკურ ძეგლებზე მისთვის დამახასიათებელია ძლიერი, მოქნილი სხეული, დიდი ზომის, ფაფრიანი თავი, ხან ხახა დალებული, ან სხეულით პროფილში მიმავალი, თავით კი მობრუნებული (*en face*), ერთგვარად გაადამიანებული წაკვთებით. იგი ან მშვიდად მიაბიჯებს მარჯვნივ ან მოხდენილად წამოწოლილია და ძლიერი კუდი ფეხებს შორის აქვს მოქცეული. ამ ჯგუფის დანარჩენი ცხოველების გამოყოფა კი შედარებით რთულია; ჭირს ძუ ლომისა და ვეფხვის, ან ავაზასა თუ გარეული კატის გამოსახულებების ერთმანეთისაგან გარჩევა.

ქვემოთ შევეცდები საქართველოში აღმოჩენილი რამდენიმე საბეჭდავის შესწავლის საფუძველზე ყურადღება გავამახვილო გარკვეულ დეტალებზე და ზოგიერთი გამოსახულების შინაარსი დავაზუსტო.

გველეთის სამაროვნის 15-ე ქვის სამარხში აღმოჩენდა მუქი წითელი ფერის, ნახევრად გამჭვირვალე სარდიონის ინტალიო ვერცხლის ბეჭედში [წონელია, მინდორაშვილი 1999: 67,68]. ინტალიოს პირი ბრტყელი და ოვალურია (ზომები: პირი - 9 X 12 მმ, რკალის დმ - 22 მმ, ბუდის სიმაღლე 6 მმ.).

პირზე გამოსახულია მარჯვნივ მიმავალი ცხოველი, სავარაუდოდ ძუ ლომი. მკაფიოდ ჩანს ცხოველის დაკუნთული, წელში გაზნექილი სხეული, დაფარული წმინდა, ირიბი ხაზებით, რაც ბალნის სილბილის მთაბეჭდილებას ქმნის, ცხოველს მცირე თავი ოდნავ წინ აქვს წახრილი, ჩანს პატარა, აცქვეტილი ყურები და ნახევრად ღია ხახიდან წამოწეული ენა. კიდურების ბოლოებში თათები შემსხვილებული და კარგადაა გამოკვეთილი. გრძელი კუდი გავას ჩამოუყვება და უკანა კიდურებს შორის ეშვება. ცხოველის ზურგს ზემოთ რკალადაა განლაგებული ფალაური წარწერა [წონელია, მინდორაშვილი 1999: 67,68]. დახვეწილი და სუფთა კვეთაა, ცხოველის სხეული საკმაოდ მაღალი რელიეფითაა მოცემული. მისი ძლიერი ბეჭედი, მოქნილი, ჩაზნექილი წელი და ფაფუკი კიდურები რეალისტურადაა გადმოცემული. საკმაოდ მაღალი დონის ნახელავია (სურ. 1). უნდა ითქვას, რომ ზემოთ მითითებულ წერილში ავტორები აღნიშნავენ, რომ კვეთა „შტრიხული მანერითაა“ შესრულებული [წონელია, მინდორაშვილი 1999:67]. ვფიქრობ, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ე.ნ. შტრიხული მანერით შესრულებული გამოსახულებები ბევრად უფრო სქემატურია და რაც მთავარია, კვეთა ხაზოვანია, რითაც გრაფიკულ ჩანახატს გავს, ამავე დროს, მოცულობითობა და ფორმათა სიმრგვალე არ არის დამახასიათებელი. ამ მანერით შესრულებული გამოსახულებები საკმაოდაა

წარმოდგენილი ქართულ მასალებში. თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ბაიერნისეული, სამთავროს მთის ბროლის კაბოშონი, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

გველეთის გამოსახულებას მრავალი ანალოგია ეძებნება კვეთის მანერისა და სტილის მიხედვით. ამგვარი, წყნარად მიმავალი ცხოველი გვხვდება როგორც რეალისტურად, დახვენილად შესრულებული, ისე სქემატურად შესრულებული, უფრო პირობითად გადმოცემული დეტალებით. გველეთის გამოსახულება უფრო ახლოს დგას დახვენილად შესრულებულ ცალებთან. სიახლოვე ჩანს თავის, სხეულის და კიდურების გადმოცემაში [შდრ. Bivar 1969: გამ. AB1; AC 4,5; Борисов, Луконин 1963: 10-11]. ამ მონაცემების გათვალისწინებით, გველეთის ინტალიო მეხუთე საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს. ზემოთ დასახელებული წერილის ავტორები მას გველეთის №15-ე კომპლექსის თანადროულად თვლიან. კომპლექსი კი ნიღბისებური ბალთებით, -ს მაგვარი აბზინდებითა და ბრინჯაოს მთლიანადსხმული საკინძებით VII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, ხოლო რადგან ინტალიოს გამოსახულება შტრიხული მანერით შესრულებულად მიიჩნიეს, ეს თარიღი აღნიშნული ნივთისათვისაც მისაღები გახდა, რადგან როგორც მკვლევარები აკვირდებიან, ამ მანერით შესრულებული კვეთა უფრო გვიანი ხანისათვის, კერძოდ VI-VII საუკუნებისათვისაა დამახასიათებელი [წონელია, მინდორაშვილი 1999: 68]. როგორც აღვნიშნე, გველეთის ინტალიოს კვეთა ე.წ. შტრიხული მანერით შესრულებულს ვერ განეკუთვნება. აქ უფრო დასაშვებია ვიფიქროთ, რომ V საუკუნის ნივთი ხანგრძლივი ხმარების შემდეგ, უფრო გვიანდელ სამარხში აღმოჩნდა.

ამავე ჯგუფის ცხოველი უნდა იყოს გამოსახული მარტაზისხევის № 46-ე სამარხის მუქი შინდისფერი ქარვის ელიფსოიდზე (ტაბ. I, სურ. 2). იგი გვერდებშებრტყელებულია, პირი ბრტყელია და ოვალური. პირზე გამოსახული მარჯვნივ მიმავალი ცხოველი, სავარაუდოდ, ავაზა უნდა იყოს. მისი ძლიერი, დაკუნთული სხეული ღრმად და მკაფიოდაა ამოკვეთილი. კარგად ჩანს მრგვალი თავი, დიდი ზომის, განზიდული თვალი, პატარა, აცქვეტილი ყურები. ყელისა და მხრების არეში ჩანს გადაჭრილი სალტე, რაც კისრის ძლიერი კუნთის მინიშნება უნდა იყოს. ცხოველის კიდურები მკაფიოდაა დამუშავებული. იგი რბილად მიაბიჯებს ბოლოში შემსხვილებული თათებით, რომლებზეც კლანჭები მკაფიოდაა გამოკვეთილი. ცხოველის მთელი სხეული დაკეჭნილია ბალნის ამსახველი მოკლე ჩანაჭდევებით. მოხრილი კუდი ძირსაა დაშვებული. ზურგს ზემოთ, რკალადაა ამოკვეთილი წერტილოვანი ხაზი – წარწერის იმიტაცია.

მარტაზისხევის ელიფსოიდის გამოსახულება სწორედ იმ რიგს მიეკუთვნება, სადაც ცხოველის ამოცნობა გარკვეულ სირთულეს აწყდება. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ იგი შესაძლოა, დათვის გამოსახულებადაც იყოს მიჩნეული – მართლაც, მასიური სხეული, სქელი ბალნით დაფარული ძლიერი კიდურები მას აახლოვებენ დათვის გამოსახულებებთან [Bivar 1969: გამ. FK 1,2,4,5,6]. მაგრამ, თუ დავაკვირდებით ზოგიერთ დეტალს, დავინახავთ, რომ განმასხვავებელი ნიშნები საკმაოდ თვალსაჩინოა: მრგვალი თავი, სადაც ყურები აცქვეტილია და არა მომრგვალებული, დიდი ზომის გაზიდული თვალი სწორედ კატისებრთა დამახასიათებელი ნიშანია. მათვე ახასიათებთ ფრთხილი, თითქოს მიპარვით სიარული და რაც მთავარია, მაღალი, დაკუნთული ფეხები. დათვს მათგან განსხვავებით, უფრო სქელი და მოკლე კიდურები და ქერისთან, კუზივით ამონტეული ზურგი აქვს. დათვის გამოსახულების თვალსაჩინო ნიმუშია სამთავროს 221-ე სამარხის ლაუვარდისფერი ინტალიო (ტაბ. I, სურ.7) [რამიშვილი 1979: გამ. 18].

ქარვის ელიფსოიდი გვერდებშებრტყელებულია, რაც ამ ფორმის უფრო გვიანდელი ვარიანტია. კვეთა დაზგაზეა შესრულებული, საკმაოდ მკაფიო და სუფთა ნახელავია. ოსტატურადაა ხაზგასმული ცხოველისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა (ზომები: პირი – 13 X 7 მმ.; საბეჭდავის სიმაღლე 13 მმ.). ქვის ფორმის გათვალისწინებით, საპეჭდავი, ვფიქრობ, VI საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს.

კატისებრთა ჯგუფის ცხოველია გამოსახული სამთავროს 92-ე ქვის სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ბეჭდის რკინაქვის ინტალიოზე. ინტალიოს პირი ბრტყელი და მრგვალია. პირზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ცხოველი (კატისებრი), რომელსაც თავი ქვემოთაა აქვს დახრილი. ჩანს პატარა, აცქვეტილი ყურები, დიდი ზომის, გაზიდული თვალი, რომელიც თითქმის მთლიანად ავსებს „სახის“ არეს. ზურგი ამოზნექილია, სხეული დაძაბულია და თითქოს ფრთხილად მიიპარება. კისრის არეში მასაც სქელი სალტე აქვს გამოკვეთილი, კიდურებზე შეინიშნება კლანჭები, ზურგს ზემოთ წყვეტილი ხაზი – წარწერის იმიტაციაა ამოჭრილი (ტაბ. I, სურ. 3). მსგავსი ცხოველის გამოსახულებები ხშირია სასანურ გემებზე [მდრ. Bivar 1969: გამ. I 7, 8].

სამთავროს ბეჭდისა და მისი თარილის შესახებ რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება არსებობს, ამიტომ, ამ საკითხზე მოკლედ შევჩერდები. მაქსიმოვა, ახასიათებს რა ამ ბეჭედს, ამბობს, რომ ის პირველი საუკუნის რომაულ ბეჭდების ერთ ჯგუფს, კერძოდ კი რომბისებურ ბუდიან ბეჭდებს უახლოვდება, ხოლო თვით რკინაქვის ინტალიო, რომელზეც, მისი თქმით გაურკვეველი ცხოველია გამოსახული, გვიანსასანურ ხანას განეკუთვნება [Максимова 1950: 271-272], ე.ი. ადრეულ ბეჭედში ჩასმულია გაცილებით გვიანდელი თვალი. თვით სამარხი კი, მასში აღმოჩენილი არაბული ფელსის საფუძველზე VIII საუკუნითაც შეიძლება დათარილდეს. მოგვიანებით, ეს მონეტა ხელახლა განისაზღვრა და იგი ხოსრო მეორის (590-628 წწ.) სასანური მონეტა გამოდგა [აფხაზავა 1974 :96]. 6. აფხაზავაშ შეისწავლა ეს კომპლექსი და ბეჭდის (ინტალიოს) განსაზღვრაც სცადა. ცხოველი მან დათვად მიიჩნია, სწორედ ზემოთ დასახელებული სიძნელების გამო. აქედან გამომდინარე, მან ინტალიო IV-V საუკუნეებს მიაკუთვნა, დაეყდნო რა იმ მოსაზრებებს, რომ სასანურ ხელოვნებაში სწორედ IV საუკუნიდან, კარტირის რეფორმების შემდეგ ჩნდება ღვთაებათა ცხოველური იპოსტასები, და რადგან დათვი (ისე, როგორც ტახი) ვერეთრაგნას განსახიერებად ითვლება, ამიტომ დათვის გამოსახულება სწორედ ამ ხანისა უნდა იყოს. ამავე თარილს ამყარებს, მისი აზრით კომპლექსში არსებული ბუდეაბმული საკინძი და თვით ბეჭდის ფორმა [აფხაზავა 1974 :95-96]. ხოსროს მონეტის არსებობას ამ სამარხში კი იგი გაუგებარ შემთხვევითობად მიიჩნევს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ინტალიოზე გამოსახული ცხოველი აშკარად კატისებრთა ოჯახისაა, და ასეც რომ არ იყოს, IV-V საუკუნისათვის მიკუთვნება გამოსახულებისა, კარტირის რეფორმის გამო, არ არის მართებული, რადგან ეს პროცესი — ცხოველთა (ლომის, დათვის, ტახის, ვერძის, რაშის, ხარის და სხვ.), როგორც ღვთაებათა იპოსტასების გამოსახულებების გავრცელება კი დაიწყო ამ ადრეულ ხანაში, მაგრამ მთელი სასანური ხანის განმავლობაში გრძელდებოდა ხელოვნების ყველა ძეგლებზე და ცხადია, გლიპტიკურ ძეგლებზეც. მათი გამოსახულებები არის IV – VII საუკუნეების ტორევტიკულ ნაწარმზე, სტუკოებზე, ქსოვილებზე და რელიეფებზე.

რაც შეეხება გამოსახულების სტილს, იგი გვიანდელი იერის მქონეა, ანალოგებიც VI-VII საუკუნეების ძეგლებში ეძებნება [Bivar 1969: გამ. 1, 7, 8]. ბეჭედიც სრულებით არ უახლოვდება რომაულ, პირველი საუკუნის ბეჭდებს. იგი მასიური რკალითა და დამზადების ტექნიკით გვიანდელი ხანის სასანურ ბეჭდებს გავს. ვფიქრობ, ბეჭედიც და ინტალიოც გვიანი — VI-VII საუკუნეებისა უნდა იყოს. ამდენად, ამ კომპლექსში ხოსრო მეორის მონეტის აღმოჩენა გაუგებრობა კი არუნდა იყოს, არამედ სწორედ მათი სინქრონულობის და გვიანსასანური ხანისადმი მათი მიკუთვნების დამადასტურებელია.

ამ ჯგუფის ცხოველთა განხილვის დროს უნდა შევეხოთ ერთ სიუჟეტს: ეს არის ძუ მგელის გამოსახულება ჩვილ ბავშვებთან ერთად. რომაული სამყაროდან სასანურ გლიპტიკაში შემოსული ეს სიუჟეტი უკავშირდება კაპიტოლიუმის ძუ მგელისა და მის მიერ აღზრდილი ჩვილი ძმების – რომულუსისა და რემუსის მითს, რომელსაც ქალაქ რომის წარმოშობას უკავშირებენ. სასანურ გემებზე გვხვდება დახვენილი, რეალისტური

გამოსახულებანი, სადაც მკაფიოდ ჩანს ძუ მგლის დამახასიათებელი სახე და მის მუცლის ქვეშ მყოფი ჩვილების შესანიშნავად შესრულებული სხეულები [Bivar 1969: 2]. მაგრამ არის ისეთი ცალებიც, სადაც გამოსახულებანი ძალზე სქემატურია. ცხოველის სახეობის დადგენა და ჩვილების სხეულების გარჩევა ჭირს. შემორჩენილია მხოლოდ დედა ცხოველის პოზა, როდესაც მას კისერი მოხრილი აქვს ისე, რომ თავი ჩვილებისკენა აქვს მიმართული — იგი მათ დასცერის. შემდეგ ჩნდება კიდევ უფრო პირობითი გამოსახულებები, სადაც უკვე დედა ცხოველი უფრო გავს ძუ ლომს, ხოლო მის მუცელქვეშ მყოფი მცირე არსება უკვე მისი ბოკვერია [Gigoux, Gyselen 1987: გამ. 30.6; 30.7; 30.8; 30.22]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჩვენს მასალაში არსებული ერთი საბეჭდავი.

სამთავროს სამაროვნის 444-ე ქვის სამარხში აღმოჩენილ სარდიონის ელიფსოიდზე (ტაბ I., სურ. 4) ვხედავთ ამ სიუჟეტის მეტად თავისებურ ასახვას [რამიშვილი 1979: გამ. 47]. საბეჭდავის პირზე გამოსახულია პროფილში მარჯვნივ მიმართული დედა ცხოველი. ტანი რამდენიმე ზედაპირული ღრმულითაა გადმოცემული; გრძელი კისერი ისე აქვს მოხრილი, რომ თავით წინა კიდურებს ეხება. ცხოველის თავი, კიდურები, კუდი ძლიერ სქემატურადაა გადმოცემული. მის მუცელქვეშ ზედაპირული შტრიხებით, ძალზე სქემატურად, გაურკვეველი საგნებია გამოსახული. ცხოველის იერი იმდენად უჩვეულოა, რომ მისი სახეობის დადგენა ჭირს. სწორედ ამიტომ, მ. ლორთქიფანიძემ თავდაპირველად ის ფაშატი ცხენის გამოსახულებად მიიჩია [ლორთქიფანიძე 1954: 51]. მართლაც, წაგრძელებული სხეული, გრძელი, მოხრილი კისერი და დახრილი თავი შეიძლება ცხენისას მივამსგავსოთ. მაშინ ქვევით მოთავსებული არსება მისი კვიცი უნდა იყოს, რაც კვიცს სრულებით არ გავს. ამიტომაც, მ. ლორთქიფანიძე წერს, რომ გაურკვეველი საგანია. დაკვირვებით განხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ აქ ორი დამოუკიდებელი საგანია: ორი სვეტისებური მცირე სხეული, ჯვრისებურად ურთიერთგადამკვეთი, შემსხვილებული ხაზებით გადმოცემული თავებითაა დასრულებული. მათი შინაარსის დაზუსტებაში გვეხმარება ზემოთ მითითებული ანალოგიები. ეს აშკარად პატარა ბავშვების უკიდურესად სქემატურად გადმოცემული გამოსახულებებია. ამდენად, ეს არის ასლი ძუ მგლისა და ჩვილების გამოსახულებისა, მაგრამ იმდენად პირობითი და სქემატური, რომ სრულიად წაშლილია მათთვის დამახასიათებელი ნიშნები. შესაძლოა, მჭრელმა, საბეჭდავზე მუშაობისას, უკვე არც იცოდა თავდაპირველი სუჟეტი, რომლისაგან შემდეგ გავრცელდა საერთოდ დედა ცხოველისა და მისი შვილის გამოსახულებები. შემორჩენილია მხოლოდ ერთი დეტალი: მოხრილი კისერი და დაბლა, ჩვილებისაკენ დახრილი თავი.

ელიფსოიდის ფორმის საბეჭდავები, ბივარის სქემის მიხედვით, ძირითადად IV-V საუკუნეებში იყო გავრცელებული [Bivar 1969: EA 1, 2, 3], თუმცა ჩვენს მასალებში გვხდება ძალზე სქემატურგამოსახულებიანი ელიფსოიდები, სადაც დეტალები უხეში, გაშეშებული ხაზებითაა გადმოცემული, რაც უკვე დაკნინების გზაზე მდგომი ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი [Bivar 1969: 23-24]. მათი შემცველი კომპლექსებიც გვიანი ხანით, კერძოდ VI-VII საუკუნეებით თარიღდება. ზემოთაღწერილი ელიფსოიდიც, შესაბამისად, გვიანდელი, ანუ V საუკუნის ბოლოსი ან VI საუკუნის დასაწყისისა უნდა იყოს. უნდა ითქვას, რომ მისი გვერდები და ზურგის მხარე უხეში დარებითაა შემკული, რაც ორნამენტირებული ელიფსოიდების გვიანდელი ნიმუშებისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი.

ჩვენს მიერ განხილული ცხოველების ჯგუფში კიდევ ერთი სახეობა იქცევს ყურადღებას. ეს არის უკიდურესად სტილიზებული, კატისებრთა ოჯახის ცხოველის გამოსახულება. ქართულ მასალაში ამგვარი სტილით შესრულებული ერთი საბეჭდავი მოიპოვება: ე.წ. ბაიერნისეული, სამთავროს მთის ბროლის საბეჭდავი-კაბოშონი (ტაბ. I, სურ. 5).

ინტალიოს პირი ძლიერ ამობურცული და ოვალურია, პირზე მსუბუქი, ზედაპირული ხაზებითაა ამოკვეთილი მარჯვნივ მიმავალი ცხოველი. მისი ზედმეტად წაგრძელებული სხეული, მოქნილი კისერი, დაბლა დახრილი თავი მთლიანად დაფარულია ხშირი, ირიბი ხაზებით, რაც სილბილისა და მოქნილობის იერს ქმნის. ასევე უკიდურესად შტრიხული მანერითაა გადმოცემული გრძელი კიდურები, სადაც კლანჭები მკვეთრადაა გამოკვეთილი. ცხოველის მუცელქვეშ ასეთივე შტრიხული მანერით გამოსახულია ბოკვერი, დედისკენ მიმართული თავითა და გადახრილი ყურებით. განსაკუთრებით დამახასიათებელია დედა ცხოველის მრგვალი თავის და დიდი ზომის, განზიდული თვალის გამოსახვა. ცხოველის ზურგს ზემოთ, ერთსტრიქონიანი არაბული (ქუფური) წარწერაა ამოკვეთილი. უნდა ითქვას, რომ ეს ქვა, გამოირჩევა როგორც ფორმით (კაბოშონი), ისე გამოსახულების შესრულების საკმაოდ მაღალი დონით, მკვეთრად გამორჩეული მანერითა და კვეთის ტექნიკით. ჩანს, რომ სტილიზაცია და მანერიზმი გამოწვეულია არა გამარტივების ან დაბალი ოსტატობის მიზეზით, არამედ ორიგინალური ხელწერის დამკვიდრების მიზნით. გამჭვირვალე ქვა (მთის ბროლი) და ძლიერ ამობურცული პირიც სპეციალურადაა შერჩეული. კაბოშონი სასანურ გლიატიკაში გვიანდელ ხანაში გავრცელებულ ფორმად ითვლება და არაბული წარწერაც ადასტურებს, რომ ეს ძეგლი VII საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს.

საგულისხმოა, რომ ცხოველის გამოსახულების შესრულების ამ მანერას (წაგრძელებული ტანი, მაღალი კიდურები, გაზიდული თვალი), კვეთის ტექნიკით მრავალი პარალელი მოექცენება [Frye 1973: გამ. 311, 315; Bivar 1969: გამ. 1, 2,3,4 | 3, 1 7; Gignoux, Gyselen 1987: გამ.30.22, 30.6, 30.7, 30.8, 30.9]. საინტერესოა, რომ ყველა შემთხვევაში ეს არის კაბოშონი და მასალადაც მთის ბროლი ან სხვა, ძლიერ გამჭვირვალე ქვა, მაგალითად ალმანდინი, ამეთვისტო და უფრო იშვიათად, გამჭვირვალე სარდიონია გამოყენებული. აშკარაა, რომ სასანურ სამყაროში, გვიანსასანურ ხანაში (VI-VII საუკუნეები), ამ სიუჟეტის გადმოცემისათვის შემუშავდა გარკვეული სტილი. შესაძლოა, ეს ძეგლები, თავდაპირველად ერთი სახელოსნოდან იყო გამოსული, შემდეგ კი უფრო დიდ არეალზე გავცელდა, რასაც ის ადასტურებს, რომ ნიმუშები აღმოჩენილია როგორც ირანში (ქასრ-ი აბუნასრი), ისე ქართლში. ისინი გაფანტულია ლუვრის, ერმიტაჟის, ბრიტანეთის, ოქსფორდის, ბერლინის და სხვა მუზეუმების კოლექციებში.

სამთავროს მთის ბროლის საბეჭდავები გვიჩვენებს, რომ გვიანდელ ხანაში, მაშინ როდესაც სასანურ გლიპტიკაში აშკარა გამარტივებისა და სქემატიზაციის ტენდენციები, ხანდახან მაინც ჩნდება გარკვეული სტილით გაერთიანებული, დახვეწილად შესრულებული, თუმცა პირობითი და უტრიორებული, მაგრამ მაინც ძალზე თავისებური და გრაციოზული გამოსახულებები. ნივთზე დატანილი არაბული წარწერა – მიმართვა ღმერთისადმი წაკითხულია ფრ. ვასმერის მიერ [დაწვრილებით იხ. Zakharow 1928: 250].

ზემოთაღწერილი ნივთების გარდა, ჩვენს მასალებში ვხვდებით კიდევ ორ გამოსახულებას, რომლებიც შეიძლება ამ ჯგუფის ცხოველებს დავუკავშიროთ, მაგრამ მათი შესრულების დონე გაცილებით დაბალია, რის გამოც მათი მიკუთვნება კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლებისადმი მხოლოდ ვარაუდის სახითაა შესაძლებელი.

არმაზისხევის 79-ე ქვის სამარხის ლურჯი მინის ინტალიო (ლაუვარდის იმიტაცია) ვერცხლის ბეჭედშია ჩასმული. პირზე გამოსახულია მარჯვნივ მიმავალი ცხოველი. ზურგამოზნექილი სხეული ოვალური ღრმულითაა მინიშნებული, ჩანს ოდნავ დახრილი თავი, დიდი ზომის თვალი, აცქვეტილი ყურები. კიდურები უხეში ღარებითაა გამოსახული. კლანჭები არ შეინიშნება, მაგრამ ცხოველის პოზა, სხეულის მოყვანილობა და თვალი გვაფიქრებინებს, რომ ესეც კატისებრთა წარმომადგენელია [შდრ. Bivar 1969: გამ. Gi8]. გამოსახულება ჩამოსხმის გზით უნდა იყოს მიღებული, დაბალხარისხმისანია.

ბეჭდის ფორმისა და თვით გამოსახულების იერის მიხედვით, გვიანი ხანის, VI-VII საუკუნეებისა უნდა იყოს.

მეორე გამოსახულება ისევ ბაიერნისეული სამთავროდანაა [Zakharow 1928: გამ. 59]. ლაშვარდის ინტალიო ვერცხლის ბეჭდებში (ტაბ. I, სურ. 6). გვერდებდაქანებული ფირფიტა ბრტყელპირიანია და ოვალური. პირი განიერ მხარეზეა და მასზე მარჯვნივ მიმავალი ცხოველი ძალზე უხეში ხაზებითაა ამოკვეთილი. ჩანს ზურგგაზნექილი, მოკლე სხეული, მრგვალი თავი, დიდი თვალი, აცქვეტილი ყურები. ყურები იმდენად წაგრძელებულია, რომ შეიძლება კურდღლის გამოსახულებად მივიჩნიოთ, მაგრამ უხეში ხაზებით გამოსახულ კიდურებზე დიდი კლანჭები ისე აშკარადა მინიშნებული, რომ ცხოველი უფრო კატისებრთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. ამასვე ადასტურებს მოსქო სალტე კისრის არეში, რაც ამ ჯგუფის ცხოველების გამოსახულებებს ახასიათებს (იხ. ზემოთ). ყურების შეუსაბამო ზომა, ვფიქრობ დაუდევარი შესრულების შედეგი უნდა იყოს. ზურგს ზემოთ რამდენიმე ჩანაჭდევი წყვეტილ ხაზს უნდა გულისხმობდეს.

ბეჭდის ფორმა სასანური ბეჭდების ძირითადად გავრცელებული ფორმებისაგან კუთხოვანად დაშვებული მხრებით გამოირჩევა. იგი მასიურია და საკმაოდ ტლანქადაა ნაკეთები. როგორც გამოსახულების საერთო იერი (უხეში ხაზები, უსიციცხლო ფორმები, უზუსტობა დეტალების გადმოცემაში), ისე ქვის ფორმა (წაკვეთილი კონუსი) და თავად ბეჭდი, გვაფიქრებინებს, რომ ინტალიო გვიანსასანური ხანისაა (VI-VII საუკუნეები).

მართალია, ეს ორი უკანასკნელი ნიმუში საერთო იერით ახლოს დგას სასანურ ძეგლებთან და აქ გამოსახული ცხოველებიც ზემოაღწერილ ცხოველთა რიგს უნდა განეკუთვნებოდნენ, მაგრამ მათ შესრულების მანერაში გარკვეული დაუდევრობა, უზუსტობანი, პირველ შემთხვევაში ისიც, რომ მინის ჩამონასხამია და მეორე შემთხვევაში ბეჭდის განსხვავებული ფორმა (თითქოს არმაზული, მხრებდაშვებული ბეჭდების ერთგვარი გამოძახილი), გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, ეს არის ადგილობრივი, ქართლის სახელოსნოს ნაწარმი. ცნობილია, რომ სასანური ხელოვნების ძეგლების გავრცელება ფართო არეალზე, არა მხოლოდ ირანიდან შემოტანილი ნივთებით იფარგლებოდა, არამედ მიმდინარეობდა თემატიკის, სტილის, ფორმების დიფუზია, როგორც დასავლეთის, ისე ალმოსავლეთის შორეულ პროვინციებში. ამ ხანის ადგილობრივ ხელოსანთა ნაწარმში ხშირად შეინიშნება სასანური ხელოვნების აშკარა კვალი. ამის შესანიშნავ მაგალითებს იძლევა ადრექრისტიანული ხანის ქართული მონუმენტური ხელოვნების ძეგლები [Aladashvili 1977 გამ. 3,4,6]. უნდა აღინიშნოს, რომ რ. გირშმანი, ეხება რა სასანური ხელოვნების დიფუზიის საკითხს, სხვა მრავალ მაგალითთან ერთად ერთ-ერთ თემად სწორედ კატისებრთა ოჯახის (ლომის, ვეფხვის) გამოსახულებას მიიჩნევს და ამის ნიმუშად ასახელებს X საუკუნის ბრწყინვალე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის, ოშკის რელიეფს [Ghirshman 1962: გამ. 392]. აქ წარმოდგენილი მიმავალი ცხოველი მთელი რიგი ნიშნებით მართლაც ძალიან ახლოს დგას ჩვენს მიერ განხილულ კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლებთან. ისეთივე, წელში გაზნექილი, ძლიერი სხეული, კლანჭებით დაბოლოებული მაღალი კიდურები, მრგვალი თავი, მცირე, აცქვეტილი ყურები. ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი დეტალი: ცხოველს თავი მობრუნებული აქვს, პირდაპირ იყურება და „სახის“ ნაკვთები გაადამიანურებულია. ეს დეტალი მას კიდევ უფრო აახლოვებს სასანურ ძეგლებთან: კერძოდ, სასანურ გემებზე ხშირია ლომების მსგავსი გამოსახულებანი, როდესაც სხეული პროფილშია, პირდაპირ მობრუნებული თავი, ნაკვთების გადმოცემით ადამიანის სახეს უახლოვდება. დასახელებული მაგალითი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ თუ რა ახლო კავშირი იყო სასანური ირანისა და ადრექრისტიანული საქართველოს ხელოვნების ძეგლებს შორის.

## ლიტერატურა:

- აფხაზავა 1974:** აფხაზავა ნ., ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ.
- ლორთქიფანიძე 1954:** ლორთქიფანიძე მარგ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები I, თბ.
- რამიშვილი 1979:** რამიშვილი ქ.ი, სასანური გემები საქართველოში.
- წონელია, მინდორაშვილი 1999:** წონელია მ., მინდორაშვილი დ., ფალაურნარნერიანი გემა გველეთის სამაროვნიდან, უურ. ძიებანი №4, გვ. 67-68.
- Bivar 1969:** Bivar A.D.H., Catalogue of the western Asiatic seals in the British Museum. Stamp seals. II: The Sassanian dynasty, London: British Museum.
- Frye 1973:** Frye Richard N. (Sasanian Remains from Qasr-i Abu Nasr: Seals, Sealings, and Coins (Iranian Ser. : No. 1) Harvard University Press.
- Ghirshman 1962:** Ghirshman R., Iran: Parthians and Sassanians, London.
- Gignoux, Gyselen 1987:** Gignoux P.H., and Gyselen R., Bulles et sceaux Sassanides des diverses collections, Paris.
- Zakharow 1928:** Zakharow A., Gemmen und Siegel des Museums Georgians, ssmm V, Tb.
- Аладашвили 1977:** Аладашвили А. Н., Монументальная скульптура Грузии. М.
- Борисов, Луконин 1963: Борисов А., Луконин В., Сасанидские Геммы, Л.
- Максимова 1950:** Максимова М. Геммы из некрополя Мцхета-Самтавро, სსმმ XVI-B.

## ილუსტრაციების აღწერილობა:

### ტაბ. I - სურ.

1. სარდიონის ინტალიო გველეთის სამაროვნის 15-ე ქვის სამარხიდან;
2. ქარვის ელიფსოიდი მარტაზისხევის № 46-ე სამარხიდან;
3. ბრინჯაოს ბეჭდის რკინაქვის ინტალიო სამთავროს 92-ე ქვის სამარხიდან;
4. სარდიონის ელიფსოიდი სამთავროს სამაროვნის 444-ე ქვის სამარხიდან;
5. სამთავროს ბაიერნისეული, მთის ბროლის საბეჭდავი-კაბოშონი;
6. სამთავროს ბაიერნისეული, ლაჟვარდის ინტალიო;
7. დათვის გამოსახულება სამთავროს 221-ე სამარხის ინტალიოზე.

I



1



2



3



4



5



6



7

## რეცენზია

### გიორგი ლალიაშვილი, იალუილუთეფეს კულტურა ალაზნის ველზე

გამომცემლობა „უნივერსლმა“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით გამოსცა გიორგი ლალიაშვილის მონოგრაფია „იალუილუთეფეს კულტურა ალაზნის ველზე“.

თავიდანვე აღვინიშნავ, რომ ამ კულტურის კვლევას საქართველოსა და აზერბაიჯანში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს შეჯერებული აზრი მისი გენეზისის თაობაზე. აზრთა სხვადასახვაობაა აღნიშნული კულტურის სახელწოდებასთან დაკავშირებითაც. მკვლევართა ნაწილი მას მოიხსენიებდა როგორც: „ალაზნის ველის კულტურა“ (გიორგი ნიორაძე), „ალაზან-იალუილუთეფეს კულტურა“ (სიმონ ჯანაშია), „ჰერული კულტურა“ (რამინ რამიშვილი), ხოლო აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან საერთოდ უარყოფილი იქნა ტერმინი „იალუილუთეფეს კულტურა“.

გიორგი ლალიაშვილის ნაშრომში განსხვავებული კუთხით არის განხილული საქართველოს ტერიტორიაზე ამ კულტურის გავრცელების არეალი, გენეზისი და ეთნიკურ ატრიბუციასთან დაკავშირებული საკითხები. მონოგრაფია შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დაკვირვებულისაგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და ტაბულები.

მონოგრაფიაში დეტალურად არის შესწავლილი ამ კულტურის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების არეალი, გამოტოვებული არ არის არცერთი არქეოლოგიური ძეგლი, სადაც აღმოჩენილია იალუილუთეფეს კულტურისთვის დამახასიათებელი არტეფაქტები; არქეოლოგიური ობიექტების გარდა დეტალურად არის შესწავლილი და განხილული კულტურისთვის ნიშანდობლივი არქეოლოგიური მასალის ტიპები, რაც ავტორს საშუალებას აძლევს მივიდეს ლოგიკურ დასკვნამდე, რომ აღნიშნული არტეფაქტები (თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკა, სამტუჩა ხელადები, სამფეხა ჯამები) არ არის დამახასიათებელი მხოლოდ იალუილუთეფეს კულტურისთვის და შესაბამისად, დღის წესრიგიდან უნდა მოიხსნას მათი მიკუთვნება მხოლოდ აღნიშნული კულტურისადმი, რადგან მსგავსი ჭურჭლები არსებობს ამ კულტურამდეც და მის შემდეგაც და მოიცავს ფართო გეოგრაფიულ არეალს, სადაც სავარაუდებელი არ არის იალუილუთეფეს კულტურის გავრცელება (მაგ. შიდა და ქვემო ქართლი).

ასევე დაზუსტებულია იალუილუთეფეს სამაროვნების გავრცელების ქრონოლოგია. ამ შემთხვევაში გ. ლალიაშვილი უარყოფს ა. იესენისა და კ. ტრევერის ქრონოლოგიურ შეალას (ძვ. წ. V-I სს) და გარკვეულწილად მხარს უჭერს აზერბაიჯანელი არქეოლოგის ო. ისმიზადეს მიერ შემოთავაზებულ თარიღს (ძვ. წ. III-I სს). საინტერესოა ავტორის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ამ კულტურისთვის დამახასიათებელი ნიუანსები არ გადადის ახ. წ. I საუკუნეში და ამ რეალობიდან გამომდინარე, უნდა შეიცვალოს საქართველოს ტერიტორიაზე მისი გავრცელების ქრონოლოგიის საკითხი (გ. ნიორაძე).

